ლუკრეციუსი

სიგვანთა ბუნებისათვის

თარგმანი ლათინურიდან
პანტელეიმონ ბერაძისა

სახელმწიფო გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»
19 · თბილისი 58

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ლუკოეციუსის თარგმნას შევუდექი 1946 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დავალებით. თარგმანის პირველი ნიმუშები გამოქვეყნდა გაბეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ 1947 წლის ნომერში. 1950 წელს დავამთავრე პირველი ორი წიგნის თარგმანი და იმავე წლის ფილოსოფიის ინსტიტუტის „შრომებში“ ეს ორი წიგნი დაიბეჭდა კიდეც.

თარგმანზე მუშაობა დავასრულე 1956 წელს. ეხლა პოემის სრულ თარგმანს ვაქვეყნებ. თარგმანს დართული აქვს აუცილებელი შენიშვნები, რათა ქართველ მკითხველს მივაწოდო ზოგი ცნობა, ფრაზალურად ტექსტის გაგება გაჭირდებოდა. პოემის თარგმნის სალექსო ზომად ავირჩიე ძველთაგანვე შეზიდებული თოთხმეტმარცვლიანი ლექსი, იგი მეტად ეგუება ინ საბრძოს, ლათინური ორიგინალის პოეტურ ფორმას რომ ახასიათებს.

დაქტილური ჰეგზამეტრის—ძველი ბერძნული და შემდგომ ლათინური ეპოსის სალექსო წყობის—შესახებ ბთარგმნელის აზრი ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ცნობილი უნდა იყოს.

1949 წელს სადოქტოროდ წარდგენილ შრომაში „ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრის ქართული საფუძვლები“ ბევრ შეკვეცადეთ გვეჩვენებინა, თუ რამდენად ბუნებრივია დაქტილური ოიტმი და საზომი ქართული ლექსისათვის და არა მარტო ლექსისათვის, არამედ საერთოდ ქართული ხელოვნების ყველა იმ დარგისათვის, სადაც რიტმია გამოვლინებული:

ა) ქართული ქორეოგრაფია იცნობს მხოლოდ დაქტილურ რიტმს—გრძელი ნაბიჯი ორი ითმდეგნო მოკლე ნაბიჯითურთ.

ბ) ქართული ხალხური სიმღერის ძირითადი რიტმი დაქტილურია—ერთი გრძელი ბგერა ორი მოკლე ბგერით.

გ) ქართული სამმარცვლიანი სიტყვა ყოველთვის დაქტილურია—პირველი მახვილიანი ორი უმახვილო მარცვლით.

ქართული სიტყვაც. სიმღერაც და ქორეოგრაფიაც შედეგია განვითარების ძალიან დიდი და ხანგრძლივი პერიოდისა.

ძნელია ადამიანმა გაითვალისწინოს სრული სისავსით ჩვენი ხელოვნების წარსული, მხოლოდ შედეგზე შეიძლება ლაპარაკი. შედეგი ხომ ყველაზე დიდი საბუთია მდიდარზე უმდიდრესი წარსულისა.

ქართული ქორეოგრაფია სრულიად თავისთავადი მოვლენაა, იგი გამომეტყველია გასაოცარი კეთილშობილებისა, სიდარბაისლისა და ქალ-ვაჟს შორის უნაზესი და ულამაზეაი ურთიერთობისა.

ქართული ხალხური სიმღერა უსწორ-უტოლო, ურთულესი მრავალხმიანობით, მისი უდიდესი დამსახურებით მსოფლიო მრავალხმიანობის ისტორიაში, რაც ნათელი გახდა პავლე ინგოროყვას უკანასკნელი გამოკვლევებით, ერთხელ კიდევ უეჭველს ხდის ჩვენი მშობლიური სიმღერის ბნიშვნელობასა და მისი ძირითადი წამყვანი დაქტილური რიტმის თავისთავადობას.

ქართული სიტყვის დაქტილური რიტმი კი ხომ არის და არის გვირგვინი ყოველივე ამისა. რაც სიმღერამ და ქორეოგრაფიამ განმტკიცა და საბოლოოდ დახვეწა. ქართული ლექსის დაქტილურობა ამითაკითვე მისთვის განკუთვნილი თვისება და ძირითადი, დამახასიათებელი,

წამყვანი მოვლენაა, რაც ქართული ლექსის ბუნებას განსაზღვრავს. ამიტომაა, რომ ქართული ლექსის განვითარების ყველა ეტაპი ჩვენს თვალწინ სრული სიცხადით გადაშლილა.

უძველეს ურითმო ლექსებს—დღევანდლამდე დაცულს ხალხში — დაქტილური რიტმი ახასიათებს:

სვანური „ლილეს“ ტექსტის ყოველი სტრიქონი ექვსი დაქტილური სიტყვისაგან არის შედგენილი:

ისგვამი /დიდები/ გოშია /თარგლეა/ შინედა/ დიდები

ასევე დაქტილურია და ექვსტერფიანია ხევსურული მთიბლური:

უკმი იძახს დათვიამა, მარიენობა შამავიდა

აქედან, ამ ურითმო ლექსებიდან, მოჰდინარეობს გარითმული ექვსტერფიანი ლექსი სადაც ოთხი დაქტილი დარჩა, ხოლო ორმა ტერფმა თითო მარცვალი დაიკლო:

2 3 3 2 3 3
წუთისოფელი ასეა, ღამე დღეს უთენებია,
3 2 3 3 2 3
რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია.

ქართული „მრავალჟამიერის“ ეს სიტყვები ქართული გარითმული დაქტილური ჰეგზამეტრის ისეთსავე უძველეს ნიმუშს წარმოადგენს, როგორც „ლილეს“—წარმართული ხანის მზისადმი მიძღვნილი ჰიმნის სიტყვებია უძველესი.

ამ საბუთების შემდეგ კიდევ რა ეჭვი უნდა იყოს, რომ ურთულეს მრავალხმიანობასთან ერთად ქართულ კულტურას მსოფლიოსათვის დაქტილური ლექსი შეუქმნია. აბა, სად ნახავთ სხვაგან, რომ შესაძლებელი იყოს დასაწყისისა და განვითარების ყველა ეტაპების ასე გათვალისწინება როგორც ქართულ ლექსშია შესაძლებელი? ჩვენ მიერ მოყვანილი ქართული ლექსის ნიმუშები ყველა წარმართულ ხანაშია საგულვებელი.

ანტლომ თუ ვინმე ჩვენს თარგმანში ნოსაწონს იპოვის რასმეს, დიდი მთხოვნელი ვიქნები, ეს სიკეთე იმ ენას, ლექსს იმ კულტურას ნიაღვროს, რომლის ერთ პატარა მსახურად მეგულვის თავი და ესეც ჩემთვის უდიდესი ჯილდო იქნება, რადგან ქარგადვიცი რა დიდი ბესაძლებლობანი მოეპოვება ქართულ ენასა და ლექსს აზრის გადმოსაცემად და რათ დენ მცირეა ჩემი საკუთარი ძალღონე ამ სიმძიმის ასაწევად.

ლუარსაბიანის ქართული თარგმანის გამოქვეყნების დროს სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია მოვიხსენიო ჩემი სიყრმის მასწავლებელი მიხეილ ჩინჩალაძე, რომელმაც ლათინურ ენას პირველად გამაცნო, ჩემი დიდი მასწავლებელი პროფ. გრიგოლ წერეთელი და მადლობა ვუძღვნა ჩემს მასწავლებელს პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილს, რომელმაც, ვითარცა რედაქტორმა ბევრად ხელი შეუწყო წინამდებარე თარგმანის გაუმჯობესებას.

მთარგმნელი

ლუკრეციუსი

(99—55 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე)

ბიოგრაფიული ცნობები ლუკრეციუსის შესახებ ბეტისნეტად ცოცხალია. ეიცით მხოლოდ ის, რაც იერონიმეს ქრონიკაში 95 წლის გაფურცლეს არის აღნიშნული: „დაიბადა პოეტი ტიტუს ლუკრეციუსი, რომელსაც, რომელიღაც საფალავისაგან ტკუბაზე შემცდარს, შიგადაშიგ, როცა გონზე მოვიდოდა ხოლმე, დაუწერია რამენიმე წიგნი. შემდეგ წიგნებისთვის გადაეხედავს ციცერონს. ორმოცდათხუთმეტ წლისას თავი მოუკლავს“.

ეს ცნობები საეჭველი ბანს. ძნელი დასაჯერია საფამლავით დაავადებულ ამბავი. განსაკუთრებით ის არის საკვირველი, რომ ასეთ ყოფაში კაცს პოემა, ისიც ფილოსოფიური პოემა დაეწერა.

ჰკუასთან ახლოს უნდა იყოს ინათი მოსაზრება, ვინც ფიქრობს, რომ ცნობები ბოსი გაგიუების შესახებ მოგონილია ქრისტიანული ეკლესიის მამეთა მიერ იმ მიზნით, რომ ამგვარი ათეისტური პოემისა და მისი ავტორისათვის სახელი გაეტეხათ.

საეჭველია აგრეთვე იერონიმეს ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს ლუკრეციუსის პოემისთვის გადაეხედოს (emendavit) ციცერონს. ამ ცნობას საეჭველს ხდის თვით პოემის ტექსტის მდგომარეობა. არავითარი კვალი რედაქციული ნაშრომისა მას არ ეტყობა. პირიქით, ჩანს რომ პოემამ იმგვარადვე მოაღწია ჩვენამდე, რა რიგაც თვით პოეტის ხელიდან უნდა გამოსულიყო. კიდევაც რომ მიენდოთ ციცერონისათვის ლუკრეციუსის პოემის გამოცემა, სრულიად ნოულოდნელია ისეთი გემოვნების კაცისაგან, როგორიცაა ციცერონი, კალამის ხელში აღება ისეთი ქმნილების გასასწორებლად, რომელიც ადამიანს აოცებს ბრის გასაკვირველი სითამამითა და პოეტური გენიის სიდიადით.

თუმცა ლუკრეციუსის შესახებ ცნობები ბეტად მცირეა. მაგრამ ერთი რამ ცხადია, მას უხდებოდა ცხოვრება პოლიტიკური ბრძოლების უძნიმეს დროში, იგი მოწმე უნდა ყოფილიყო სულას ხანისა, მონათა აჯანყებისა და კატილინას შეთქმულებისა. ამიტომაც არის, რომ პოეტი მოუწოდებს ვენუსს მოიბრალოს ომის ღმერთი მარსი:

> სთხოვდე, დიადო, ბავს სანუკვარს რომაელთათვის,
> რადგან სამშობლოს განსაცდელის მძიმე დრო-ჟამსა,
> მშვიდ მუშაობას ჩვენც ვერ შეეძლებთ, ვერც მემიუსის
> ძე სასახელო კეთილის საქმეს ვერ ფლალატებს.

(ლუკრეციუსი. საგანთა ბუნებისათვის, I, 40—43).

ამავე სტრიქონებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ მისი მეგობარი ყოფილა ლიტერატურულ წრეებში საკმაოდ ცნობილი ორატორი და პოეტი მემიუსი, რომელიც მოხსენიებულია როგორც კატულესთან დაახლოებული ადამიანი. მას იცნობს და ასახელებს კიდეც ციცერონი. ეს გარემოება ნათელს ხდის ლუკრეციუსის ახლო კავშირს მაშინდელ ლიტერატურულ წრეებთან.

ლუკრეციუსი არის ავტორი შესანიშნავი პოემისა „საგანთა ბუნებისათვის“ (De rerum natura). ამ წიგნში პოპულარული ენითაა გადმოცემული ეპიკურეს მატერიალისტური მოძღვრება. ლუკრეციუსი თვით ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რატომ აირჩია მან სალექსო ფორმა ფილოსოფიური მოძღვრების ხალხის ფართო მასებისათვის გასაცნობად:

> როცა მკურნალი აწვდის ბალღებს საზარ აბზინდას,
> ფიალას, პირის გარეშემო წაუსვამს ხოლმე

ყვითელი თაფლის საამურს და უტკბილეს სითხეს,
ბავშვის ასაკი მიამიტი სწრაფად ტყუვდება
და მისი ბაგე, სიტკბოს რომ გრძნობს, დაეწაფება
მწარე აბზინდას საზიზღ სითაეს და შეცდომის გზით,
ასე ამრიგად, ჯანმრთელობა კვლავ უბრუნდება.
(ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის, I, 936—942)

პოეტის მიზანია იხსნას ხალხი ცრუ შიშისაგან და ამიტომაც იგი ეპიკურეს ფილოსოფიის დედააზრს გაანავებენით, მბატვრული ფორმით აყალიბებს. ეპიკურეს მოძღვრება ბუნების შესახებ ანა სარწმუნოების სიმბოლოდ გაუხდია. ამ მოძღვრების საშუალებით უნდა ლუკრეციუსს ფართოდ გააღოს ბუნების საიდუმლოების კარი და დაანახოს რელიგიის ბურუსით მოსილ ადამიანებს ჭეშმარიტი გზა გაბოუცნობ მოვლენათა გამოცნობისა.

პოეტს შესანიშნავად ესმის მის მიერ არჩეული გზის სირთულე, ამიტომაც შემდეგი სიტყვებით მიმართავს მკითხველს:

თავს არ ვიტყუებ, ძნელი არის ეს ყოველივე,
მაგრამ გულს მივსებს სიხარულით ქების იმედი,
ბუნათა ტრფობა სულს მოიცავს უნაზეს გრძნობით
და მით ტყვექმნილი თამამ ახრით მივეშურები
გზას პიერიდთა, ჯერ არვისგან რომ არ თელილა.
აღმაფრთოვანებს, რომ პირველი დავეწაფები
ხელუხლებ წყაროს; იქ მშვენიერ ტურფა ყვავილთა
დიად გვირგვინით მოვირთვები, ჯერ არ ნაბულით,
რომლით აქამდე მუზას არვინ არ შეუმკია.
(ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის, I, 922—930)

ასეთი გატაცებით და მიზნის სიდიადის სრული გათვალისწინებით შესდგომია საქმეს ლუკრეციუსი, გამსჭვალული ადამიანისადმი და არა მარტო ადამიანისადმი, არამედ ყოველი ყულდგმულისადმი, საერთოდ ბუნებისადმი უსაზღვრო სიყვარულით. აი როგორი თანაგრძნობით აღწერს პოეტი ხბოს დედის სევდას, რომელსაც ქურუმებმა შვილი სამსხვერპლოზე დაუკლეს:

„ხშირია როცა ღმერთთა შემკულ ტაძრის წინაშე
გუნდრუკის კმევით სამსხვერპლოზე ხბოს ქვე დასცენენ
და ცხელი სისხლის ნაკადული იფეთქებს გულით.
დედა ობოლი ეხეტება მწვანე მდელოზე,
ეძებს ნაკვალევს დატოვებულს წყვილ ჩლიქებისგან,
სულ იცქირება გარეშემო, რომ ბოლოს მაინც
ჰპოვოს ნაყოფი დაკარგული, მისი ბღავილი
აყრუებს ბალებს. კვლავ ბრუნდება უკან ბოსელში,
გულდაკოდილი თავის შვილის დაკარგვის გამო.
ვერც ნახი ვახი, ვერცა მდელო ნამით მოსილი,
ვერცა მდინარე მომჩქეფარე ნაპირთა შორის
სულს ვერ უმშვიდებს, ვერ უქარვებს უცაო ელდას.
(ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის, II, 351—363).

ასეთი თანაგრძნობით არის გამსჭვალული ლუკრეციუსი ხბოს დამკარგველი დედისადმი და აკაც, ისევე როგორც პირველი წიგნის დასაწყისში, სადაც იფიგენიას მსხვერპლად შეწირვის ამბავია მოთხრობილი, ისევ ქურუმებისა და ღმერთების წინააღმდეგაა მიმართული ლუკრეციუსის ლექსები. როგორც ადამიანი თუ ცხოველი, ისევე ბუნების ყოველი მოვლენა ედიდეს თანაგრძნობას და სიყვარულს იწვევს პოეტში. ამიტომაც არის, რომ ბუნების საიდუმლოებათა ღრმა მცოდნე და ბრძენი მოკვარული ასეთი გასაოცარი უშუალობით ასურათხატებს ბუნებისა და ცხოვრების სხვადასხვა მოვლენებს: ქარია თუ ღვართეფეფი, ბრძოლასა თუ შორს მდებარე ქალთებზე გაშლილ ცეცხლის ფარას.

ლუკრეციუსს დიდის გენიოსებით შეუძლია: წარმოგვიდგინოს დიადი და ეტად წარმტაცი სურათები ბუნებისა. ბაგრამ ლუკრეციუსისათვის საინტერესოა არა მხოლოდ ის, თაც ადამიანზე ესოდენ ძლაგრ შთაბეჭდილებას ახდენს ძალისა თუ სისწრაფისა, ან სხვა რაიმე, ამა თუ იმ მოვლენისათვის დამახასიათებელი თვისებით, რომელიც ერთი შეხედვით თვალში მოხვდება ადამიანს. მას აინტერესებს სულ უმცირესი მოვლენებიც კი როგორც მისი დიდი ოსტატის ეპიკურეს ლირიკულ მოწაფეს. იგი არა ნაკლები გატაცებით მსჯელობს უმცირეს ნაწილაკთა მოძრაობის შესახებ.

საგანთ საწყისნი ლუკრეციუსის შეხედულებით წარად მოძრაობაში არიან:

სიმბვიდის ნაცვლად შეუწყვეტელ ძვრითა და ბიძგით,
ესენ დიდ მანძილით ერთურთისგან გაითიშვიან,
ესენ კი მცირედი რამ შუალედი რჩება მათ შორის.
ეს, ესენი მეტისმეტად შეერთებულნი,
ერთურთს შორავენ სულ მცირეკი რამე მანძილით
გადახლართულნი თვისთა სახეთ მრავალგვაროობით.
(ლუკრეციუსი. საგანთა ბუნებისათვის, II, 97—102).

და ოთმ ნათელი გაადოს უბილავ საწყისთა მოძრაობა, ლუკრეციუსი მოიხმველიებს ბილული სურათის აღწერას, რომელიც შორი მანძილით დაფარული უძრავად ჩანს.

ეო უნდა იყოს არავისთვის გასაკვირველი,
ოთმ ნივთთ საწყისნი, შეუწყვეტლად მიმოქცეულნი,
ბთლიანობაში უმოძრაოდ გვეჩვენებიან.
(ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის, II. 308—310).

ამგვარი მაგალითით ნათელყოფს ლუკრეციუსი ჩვენთვის ფარული მოძრაობის არსებობას.

თუმცაღა არსთა საწყისების ოთული ბუნება
დაშორებია ჩვენს გრძნობათა მიწედმის სახლვარს,
ესეიც არსებობა მოძრაობა ჩვენგან ფარულად.
მომხდარა ზოგჯერ მოელენა რამ თვალით საჩინო
შორი მანძილით დაფარული ვერ დაგვინახავს.
ხშირია, როცა მთის კალთაზე ხუკუნა ცხვრები
ესუყე საძოვრით მოხიბლულნი ზლაბვნით დადიან
და სძოვენ ბალახს გაბრწყინვებულს ალმასებრ ნამით.
ბატკნებიც ხტიან გამაძღარნი, ირჭინებიან.

და ეს შორიდან ისე რიგად მოგვეჩვენება,
თითქოს თეთრი რამ უმოძრაოდ მწვანე ქედს აჩნდეს.
ან როს სირბილით შეიყრება ლეგიონები
და მოედანზე გაიშლება სურათი ბრძოლის;
ცათი საჭურველის ელვარება თვით ცამდე აღწევს,
ცპილენძი ბრწყინავს მოედანზე, კვეითი ჯარის
ლეხის ხმა ისმის, მთებსაც შესძრავს ბრძოლის ყიჟინი,
ცამოძახილი ავარდება ვარსკვლავებამდე,
ცეცდარნი ჰკრიან აქეთ-იქით ეოცელ ბრძოლის ველზე.
ცათი თქარუნით შეირყევა გარეგნო სრულად,
ცაგრამ მაინც კი იპოვება მაებზე წვეროვალი,
სადით ყოველი უძრავ შუქად მოგვეჩვენება.

(ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის, II, 312—332).

ასეთია პოეტური ხედვის დიაპაზონი ლუკრეციუსთან. იგი მოიცავს მთლიანად მთელ ბუნებას, შეიძლება ითქვას—მთელ მსოფლიოს, დაამავე დროს იგი სადა, უბრალო მგვრეტელივით კვრეტს ბუნებას, ღია გულით, დიდი ადამიანური გულთბილობით და უტეხი გამბედაობით. ბუნების საიდუმლოებათა ბილვა აღელვებს პოეტს, იგი ამ აღფრთოვანებას გულუბვად უბიარებს მკითხველს. ამიტომაც არის, რომ მარქსი ლუკრეციუსს „მსოფლიოს მარად უკნობ, ბარად ახალ მპყრობელს“ უწოდებს.

ასეთია ის საერთო შთაბეჭდილება, რასაც ახდენს მკითხველზე ლუკრეციუსის პოემა. მისი ავტორი, შემოქმედების უმაღლეს მწვერვალზე მიღწეული, ყოველთვის მოაჯადოვებს თავისი გასაოცარი ხელოვნებით ყველა დროის მკითხველს.

პოემა შედგება ექვსი წიგნისაგან. პირველი წიგნი იწყება მიმართვით ვენუსისადმი, ამგვარი მიმართვა ჩვეულებრივი მოვლენაა ანტიკურ მწერლობაში და ამ ტრადიციას ლუკრეციუსიც იცავს. პოემის დასაწყისი ვენუსისადმი მიძღვნილია სწორედ იმიტომ, რომ ვენუსი ითვლება ყოველი ქნილების მშობელ დედად, ბუნების იმ შემოქმედ ძალად, საიდანაც ყოველივე იღებს სათავეს:

შენ ენეადთა წინაპარო, დედაო ვენუს,
კაცთა და ღმერთთა სანატრელო, სიცოცხლით ავსებ
მსრბოლ ვარსკვლავიან ცის ქვეშეთში ხომალდიან ზღვას
და ნაყოფიერ დედამიწას, ყოველი არსი
შენით სულდგმულობს, იბადება და სჭერეტს მზის ნათელს.
როს გამოჩნდები, ღვთაებრივო, ქარი ჩადგება,
იფანტებიან ცით ღრუბელნი და ტურფა ველი
ვარდყვავილებად გეფინება, ტალღა გიღიმის
და მოკაშკაშე ცის ტატნობი სხივს შემოგაფრქვევს;
როს თვალს გაახელს გაზაფხულის სისხამი დილა,
დაჰბერს ნიავი—ფავონიუს მაცოცხლებელი,
ფრინველნი ცისა შენის ძალით გულშემსჭვალულნი,
ყოვლის უსწრაფეს შენს გამოსვლას მიესალმიან.
და ბალაღებულ ჯოგს, მიდენილს საძოვრისაკენ
წყალთ მდინარება გადულახავს, შენკენ მოილტვის
შენის ეშხით და მძაფრი ნდომით წაქეზებული.
და ბოლოს ზღვასა, მაღალ მთებსა, ჩქარ მდინარეში,

ფოთლით დაფარულ სირთ ბუდეში, მწვანე ველზედაც—
ყველგან და ყველას შენ აღაგზნებ მძაფრ ტრფიალებით,
გულს აუჩქროლებ შთამომავლის წარმოსაშობად...
თქმას მიანიჭე სილამაზე დაუტკნობელი,
და ამავე დროს მღელვარება სასტიკ ომისა
ზღვასა და ხმელზე, გვევდრები, სრულად შესწყვიტე.

აი, ასეთია პოეტის თხოვნა ვენუსისადმი. რა აღტაცებაა გამოთქმული თვით მიმართვაში! აღტაცება ბუნებით მოჯადოებული ადამიანისა; ადამიანისა, რომელიც ესოდენ უსაზღვრო სიხარულით შეხარის გაზაფხულის მოახლოებას, ბუნების შენთვნელი ძალების გაღვიძებას, სიყვარულის გამარჯვებას. ბუნების ეს ზეიმი მოიცავს ყოველ ნბარეს, ყოველ კუთხეს, ყოველ კუნჭულს, სულერთია ზღვაზე იქნება თუ ხმელზე.

ასეთი ზეიმისათვის მას სჭირდება „დაუტკნობელი სილამაზის“ სიტყვა, მაგრამ მარტო ეს როდი კმარა, საჭიროა სინშვიდე, საჭიროა ზავი. ნშვიდობაა საჭირო, რომ არ დაირღვეს ბუნების ეს საოცარი დღესასწაული და პოეტს საშუალება მიეცეს მის წინაშე დასასრულ ამოცანა შეასრულოს, სახელდობრ, „დაუტკნობელი სილამაზის თქმით“ ლირსეულად შეამკოს მისი ხოტბის საგანი—მოკაშკაშე ცა, მოხდიმარე ზღვის ტალღა, ჯოგი, ფრინველნი. ყველანი. ტრფობის ეშხით რომ მოჯადოებულან...

ამის შემდეგ ჩვენ ვტყობილობთ, რომ პოეტის მიზანი ყოფილა ბუნების საიდუმლოებათა გამეღავნება:

ბუნება ვითარ შობს და ჰკვებავს ყოველსა საგანს.
იგივ ბუნება ვით გარდაქნნის მას დაწლის შემდეგ,
მას—მატერიას, საგანთ შემქნელ მცირე სხეულებს...

პოეტი თითქოს ვერ ამყარებს მტკიცე ლოგიკურ კავშირს მესავალსა და თვით კვლევის ძირითად საგანს შორის, მაგრამ ასეთი უკავშირობა მოჩვენებითია. ლუკრეციუსი აქ მკითხველს უკვე ამოცანას უსვამს—ბუნების ეს ჰარმონია საიდან მოდისო, ღმერთების შექმნილია, თუ მისი საწყისები ის მცირე სხეულებია, მატერიაა, საიდანაც ყოველივე შეიქმნებაო. ამ ამოცანის შემდეგ უკვე აღარ გრძნობს მკითხველი უსერხულობას, გამოწვეულს ნაწილთა მოჩვენებითი შეუკავშირლობით. ეხლა უკვე ცხადი ხდება, რომ ამ სილამაზესთან. ამ სიდიადესთან, ბუნებით, მატერიით შექმნილ სიდიადესთან ღმერთებს ხელი არა აქვთ. და ეს აზრი უფრო ნათელი რომ გახდეს, ლუკრეციუსი კვლავ ახალ ხოტბას ამბობს იმ მეცნიერის მიმართ, რომელმაც ადამიანი იხსნა მისთვის შეუფერებელი შიშისაგან, ღმერთის წინაშე შიშისგან და გამარჯვებულმა ფარდა ახადა ბუნებასა და მის საიდუმლოებას. ასეთი პიროვნება იყო ეპიკურე. რომლის ქებას შეიცავს მომდევნო სტრიქონები პოემისა:

როს ყველას თვალწინ სამარცხვინო ცხოვრება კაცთა
ბორგავდა ქვეყნად კირთებს ქვეშე რელიგიისა
და ღმერთი, ზეცის წიაღიდან გადმომხედვარე
თავზარდამცემი, სასტიკ სახით აფრთხობდა მოკვდავთ,—
პირველად ელინს შეუმართავს თამამად თვალი
და გაუბედავს მას პირველად ღმერთებთან ბრძოლა.
ვერ შეუცვლია მისთვის ფერი ვერც ღმერთთა რისხვას,

ვეროც ელეა-ვრგვინვას ზეცით ნატყორცნს, ისევ უმძაფრეს
თავგამოდებით ჰკვეთებია, რომ მას პირველად
დაცალეწა მტკიცედ ხშული ბუნების კარი.
ესრეთ დასძლია უტეხ სულის ცაოველმა ძალამ,
შესძლო გასცლოდა დედამიწის ცეცხლოვან ხლეჩეს,
გადალახა გონების გზით სივრცე უსაზღვრო
და გამარჯვებულს ყოველივე ეცნო იქიდან.
ეცნო თუ არსი თვითეული, სადით იწყება,
ოა საზღვარს აღწევს და ვითარი ელის მას ბოლო.

(ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის, I, 62—77).

და ოონ ნათელჰყოს. თუ როგორ „შობს რელიგია საზარ და ბოროტ საქმეთ“, იგი მორწმუნეებს თქმულებას იფიანასეს შესახებ, თუ როგორ შესწირა აგამემნონმა ის მსხვერპლად არტემიდეს. ოათა ბერძენთა გემთკრებულს ტროასაკენ წასასვლელი გზა გახსნოდა. ასეთი მითოლოგიური ილუსტრაცია აუცილებელი იყო ყოველგვარი პოემისათვის და ლუკრეციუსმა ამ ტოადიციას შესაფერი ხარკი მიუხლო. მაგრამ არა მითოლოგიაში წარმოდგენილი ღვთაების როლის სიძლიერის დასადასტურებლად, არამედ იმისათვის, რომ ეჩვენებინა, თუ რაოდენი ვნება მოაჭეა ადამიანისათვის ღმერთების ცრურწმენას. მისი მიზანია ადამიანი იხსნას რელიგიის წინაშე ცრუ შიშისაგან. ამ შიშის ძლევა კი არის შესაძლებელი მხოლოდ ბუნების კანონთა შესწავლით (იხ. პოემის I წ. 148 სტრ.). და მის ძირითად კანონად ლუკრეციუსს მიუჩნევია:

ეოარაისგან თითონ ღმერთიც ვერარას შექმნის.

ამას მოსდევს მოძღვრება ატომების შესახებ, რომლებსაც ლუკრეციუსი რამდენიმე საპელს უწოდებს: „საგანთა საწყისები“, „საგანთა თესლები“, „სხეულები“ და სხვა.

ლუკრეციუსი აღიარებს, რომ არის მხოლოდ „სხეულები“, ე. ი. ატომები და სიცალიერე-ატომები მოძრაობენ სიცალიერეში. ლუკრეციუსი აკრიტიკებს ჰერაკლიტეს მოძღვრებას იმის თაობაზე, თითქოს ცეცხლი იყოს ყოველივეს საწყისი, იგი ილაშქრებს აგრეთვე იმ ფილოსოფოსთა წინააღმდეგ, რომელთაც ჰაერი, წყალი ან მიწა მიუჩნევიათ ყოველივეს საწყისად. აქვე აკრიტიკებს ლუკრეციუსი ანაქსაგორას სწავლას იმის შესახებ, თითქოს მცირე, მსგავს ნაწილებისაგან შექმნილა ყოველივე.

ბოლოს ლუკრეციუსი მსჯელობს მსოფლიოს უსაზღვროების თაობაზე და ამ ნაწილში აკრიტიკებს სტოიკოსების მოძღვრებას, რომლებიც აღიარებენ მსოფლიოში ცენტრის არსებობას:

ბუნება ილტვის, რომ არ ჰქონდეს რამე საზღვარი.

(ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის, I, 1008).

ზეანიშნავია მეორე წიგნის დასაწყისში სტრიქონები, სადაც ავტორი ბრწყინვალედ მსჯელობს ცოდნის სიდიადის შესახებ.

ცოდნას ის ძალა აქვს, რომ მას შეუძლია გაფანტოს ფუჭი შიში:

აი, ეს შიში ხამს გავფანტოთ, ბნელი დავძლიოთ,
ოოა მზის სხივით, ანდა კიდევ დღისა სინათლით,—

ბუნების აზრთა და კანონთა ღრმა დაუფლებით.

(ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის, II, 59—61).

ამ შესავლის შემდეგ, საცა ნაჩვენებია ცოდნის ყოვლადშემძლე ძალა, პოეტი იწყებს მსჯელობას ატომების შესახებ: ატომებს აქვთ მოძრაობის უნარი. მოძრაობა წარმოუებს ატომთა ზონის გამო და იმ ბიძგის გამო, რომელიც წარმოიშვის ატომთა დაჯახების დროს.

ატომთა მოძრაობა ლუკრეციუსის წარმოდგენით დიდი სისწრაფით ხდება და ამ გარემოების საილუსტრაციოდ პოეტს მოჰყავს ამგვარი შედარება:

თუ რა სიჩქარე განეკუთვნის თვით მატერიის
საწყის სხეულებს ნსურს, მემიუს, მოკლედ გიამბო.
ოდეს აისი პირველ ნათელს მოჰფენს ქვეყანას,
ფრინველთა დასნი, ხეივნებზე გადმომფრინავნი,
წკრიალა ჰანგით დილის ჰაერს როცა აესებენ,
რა რიგ სისწრაფით, უეცარად მზე ამოსული
ყველაფერს ახვევს თვის სხივების ელვარებაში.

(ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის, II, 142—148).

ან კიდევ:

მკვრივსა და სადა საწყისებსა ცალიერ სივრცეს
მოძრაობისას წინ არ ხვდება რამ დაბრკოლება,
ვრთ ერთეულად თვის ნაწილთან შენამეიდროთა,
და ერთობლივად ბიდენილთა ერთ ადგილისკენ.
აშკარა არის, აქვთ სიჩქარე გასაოცარი,
და უმალესად ისწრაფვიან, ვიდრე მზის სხივი.
განვლიან სივრცეს უფრო სწრაფად, ვიდრე იმავ დროს
ცისა ტატნობზე გაიელვებს ბზის ელვარება,

(ლუკრეციუსი, საგანთა ბუნებისათვის, II, 157—164).

ატომების ფორმა სხვადასხვაგვარია, სხვადასხვაგვარია მათი სიმკვრივეც; ამათგან ჩქარქმნება ყოველივე, როგორც ცხოველთა, ისე მცენარეთა სამყარო. სიკვდილი ქვეყნად არ არსებობს, მატერია ერთი ნდგომარეობიდან ნეორეში გადადის მხოლოდ.

მესამე წიგნი ისევ ეპიკურეს ხოტბით იწყება. ამ წიგნში განხილულია საკითხი სულის შესახებ. ლუკრეციუსი სულსაც ატომებისგან შედგენილად ნიიჩნევს, მაგრამ მისი ატომები მეტისმეტად მსუბუქი უნდა იყოსო.

ლუკრეციუსი ასხვავებს სულსა და სულიერებას, ანუ გონსა და სულს, გონი მოთავსებულია ადამიანის გულში (animus), ხოლო სული ან სულიერება (anima) განფანტულია მთელ სხეულში. ლუკრეციუსი animus—ს სხვაგვარად mens—ს უწოდებს. სულზე გაელენას ახდენს გონი და ამოძრავებს. ლუკრეციუსი უკუაგდებს მოძღვრებას სულის უკვდავების შესახებ. რაკი გონი და სული მატერიისაგან შედგება, ისიც ცვალებადობას განიცდის. ადამიანის სიკვდილთან ერთად კვდება მისი სულიც. ამიტომ არ არსებობს საიქიო სამყარო, სულების საყოფელი ადგილი, არ არსებობს სულეთი.

მეოთხე წიგნში წარმოდგენილია ლუკრეციუსის შემეცნების თეორია. პოეტი განასხვავებს სახებას თვით საგნისაგან. სახება განიფენება სივრცეში და მიტომაც ადამიანს შეუძლია მას მის-

წვდეს კიდეც. ასე რომ, შემეცნება ხდება იმის გამო, რაკი ჩვენამდე აღწევს საგნისაგან არეკლილი სახეები (simulacra), რომლებიც გავლენას ახდენენ ჩვენს გრძნობებზე. ამ სახებათა ზემოქმედებით ხსნის პოეტი მხედველობის პროცესს. შემდეგ ლუკრეციუსი განიხილავს სმენისა, ყნოსვისა და ყნოსვის გრძნობათა საკითხს. ცალკე აქვს განხილული პოეტს სიყვარულის გრძნობის საკითხი. თუმცა ამ საგანზე იგი ლაპარაკობს ძველებისათვის ჩვეული პირდაპირობით, ნაკრამ. მიუხედავად ამისა, ამ სტრიქონების კითხვის დროს ადამიანი თავს შეურაცხყოფილად არ გრძნობს.

პოეტი უარყოფს გრძნეული სიზმრის არსებობას, სიზმარი მას მიაჩნია ადამიანის მიერ დღისით განცდილის ანარეკლად თუ გამოვლინებად.

ბოლოს წიგნი ეხება კვეყნისა და მსოფლიოს წარმოშობის საკითხს. მსოფლიოს შექმნაში ღმერთებს წილი არ უდევთ. ყველა ზეციური სხეული იმავ ატომისაგან არისო შექმნილი. შემდეგ ლუკრეციუსი ეხება ადამიანთა საზოგადოების უძველეს ცხოვრებას, როდესაც ისინი ჯერ კიდევ ველურები იყვნენ. ბუნების მოავალი მოვლენა მათთვის ჯერ უცნობი იყო, შიშის ზარს ჰგვრიდა მათ. აქედან არის, რომ ადამიანებმა შექმნეს წარმოდგენა ღმერთების შესახებ. გამოუცნობ მოვლენის წინაშე ძრწოლამ შექმნა წარმოდგენა ღმერთებზე. ბუნების მოვლენებზე დაკვირვების შედეგად ისწავლეს ადამიანებმა მიწის დამუშავება და სხვადასხვაგვარი ხელოვნება.

მეექვსე წიგნი განიხილავს სხვადასხვა მოვლენებს, როგორიცაა ელვა, ჭექა-ქუხილი, ცისარტყელა, ქარი, წვიმა და თოვლი, ცალკე განიხილავს იგი მიწისძვრის საკითხს, ხსნის ნილოსის მოდიდებას. ბოლოს აღწერს შავი ჭირის მძვინვარებას, რომელიც ქალაქ ათენში პელოპონესის ომის დროს გავრცელდა.

ლუკრეციუსის მნიშვნელობა რომის ლიტერატურის ისტორიაში მეტისმეტად დიდია, ნან შეაძლო გასაოცარი ოსტატობით დაელაგებინა ბერძენთა მიერ შემუშავებული მატერიალისტური ფილოსოფია. მარქსი მის შესახებ ამბობს:

„ლუკრეციუსთან, რომელიც ძველებთაგან საერთოდ მარტოდმარტო მიწვდა ეპიკურეულ ფიზიკას, ჩვენ ვპოულობთ მის უფრო ღრმა დალაგებას"*). დიდი იყო ლუკრეციუსის გავლენა მატერიალისტური ფილოსოფიის შემდგომ განვითარებაზე. თუ მის ნაწარმოებს უდიერად ეკიდებოდნენ ქრისტიანული ეკლესიის მსახურნი, სამაგიეროდ მის წინაშე ქედს იხრიდნენ, მისგან სწავლობდნენ ყველა დროის მატერიალისტები. მის ცხოველმყოფელ პოეზიას დღესაც მოსავს დიდი პოეტური გენიის შარავანდედი და მიტომაც იგი მარად უკვდავ, მარად ჭაბუკ, მარად საყვარელ პოეტად გვესახება.

ბ. ბერაძე.

* მარქსი და ენგელსი ანტიკურობის შესახებ, თბილისი, 1937 წ., გვ. 3.

სიყვარული
ბოროტებისათვის

წიგნი
ჯიჩოელი



ენ, ენეადთა წინაპარო, დედაო ვენუს,
ქაცთა და ღმერთთა სანატრელო, სიცოცხლით აესებ
მსრბოლ ვარსკვლავიან ცის ქვეშეთში ხომალდიან ზღვას
და ნაყოფიერ დედამიწას, ყოველი არსი
5 შენით სულდგმულობს, იბადება და სჭვრეტს მზის ნათელს.
როს გამოჩნდები, ღვთაებრივო, ქარი ჩადგება,
იფანტებიან ცით ღრუბელნი და ტურფა ველი
ვარდ-ყვავილებად გეფინება, ტალღა გიღიმის
და მოკაშკაშე ცის ტატნობი სხივს შემოგაფრქვევს;
10 როს თვალს გაახელს გაზაფხულის სისხამი დილა,
დაჰბერს ნიავი — ფავონიუს მაცოცხლებელი,
ფრინველნი ცისა შენის ძალით გულშემსჭვალულნი,
ყოველის უსწრაფეს შენს გამოსვლას მოესალმიან.
და გალაღებულ ჯოგს, მიდენილს საძოვრისაკენ,
15 წყალთმდინარება გადულახავს, შენკენ მოილტვის
შენის ეზხით და მძაფრი ნდომით წაქეზებული.
და ბოლოს ზღვასა, მაღალ მთებსა, ჩქარ მდინარეში,
ფოთლით დაფარულ სირთ ბუდეში, მწვანე ველზედაც —
ყველგან და ყველას შენ აღაგზნებ მძაფრ ტრფიალებით,
20 გულს აუჩქროლებ შთამომავლის წარმოსაშობად.
რადგან შენ მართავ ერთადერთი საგანთ ბუნებას,
შენს უნებურად ცისქვეშეთში არრა იშობა,
არღა იქნება არც მოლხენა, არც ნეტარება,
შენი შეწევნით ვიმედოვნებ წერას ამ ლექსთა
25 საგანთ ბუნების საიდუმლოს გადმოსაცემად.
და ეს ყოველი მსურს მიეუძღვნა ჩვენს მემეადეს,
შენგან ყოველმხრივ სრულ სიკეთით რომ შემკობილა.
თქმას მიანიჭე სილამაზე დაუჭკნობელი

და ამავე დროს მღელვარება სასტიკ ომისა
30 ზღვასა და ხმელზე, გეეედრები, სრულად შესწყვიტე.
შენ ძალგიძს მხოლოდ ამო ზავით ანებივრებდე
მოკვდავთა მოდგმას. ომის საქმეს აბჯარასხმული
განაგებს მარსი, შენს წიაღში ბინის მძებნელი,
მარად ვნებული უკურნებელ ტრფობის ჭრილობით.
35 შენკენ, ღვთაებავ, მობრუნებულს ყელმოღერებით,
ტრფობით მომზირალს, შენის ჭვრეტით მოჯადოებულს,
და განმზადებულს დასანთქმელად შენი სულთქმისა,
ასე ამრიგად წამოწოლილს, წმიდა სხეულით
გარსნემოეგდე, უტკბეს სიტყვებს წასჩურჩულებდე,
40 სთხოვდე, დიადო, ზავს სანუკვარს რომაელთათვის.
რადგან სამნობლოს განსაცდელის მძიმე დროებამსა,
მშვიდ მუნაობას ჩვენც ვერ შევძლებთ, ვერც მემიუსის
ძე სასახელო ქვეყნის საქმეს ვერ უღალატებს.

50 ყურნი მომაპყარ, ზრუნვათაგან გათავისუფლდი,
და შეისმინე ჭეშმარიტი სიბრძნის მოძღვრება,
რომ ჯილდო იგი, ალალ გულით მოწოდებული,
არ იყოს შენგან განუსჯელად უკუგდებული.
ვიწყებ მსჯელობას ღმრთის და ზეცის უმაღლეს არსთა
55 რაობისათვის და საგანთა პირველ საწყისზე,
ბუნება ვითარ ზობს და ჰკვებავს ყოველსა საგანს,
იგივ ბუნება ვით გარდაქმნის მას დაწლის შემდეგ.
მას—მატერიას, საგანთ შემქმნელ მცირე სხეულებს,
მისი არსების კვლევის მიზნით, ჩვენ ვუწოდებდით
60 საგანთა თესლებს, და მივიჩნევთ მათ საწყისებად,
იმ სხეულებად, რომლისგანაც იშვის ყოველი.
როს ყველას თვალწინ. სამარცხვინო ცხოვრება კაცთა
ბორგავდა ქვეყნად კირთებს ქვეშე რელიგიისა
და ღმერთი, ზეცის წიაღიდან გადმომხედვარე
65 თავზარდამცემი, სასტიკ სახით აფრთხობდა მოკვდავთ,—
პირველად ელინს ჭეუმართავს თამამად თვალი
და გაუბედავს მას პირველად ღმერთებთან ბრძოლა.
ვერ ზეუცვლია მისთვის ფერი ვერც ღმერთთა რისხვას,
ვერც ელვა-გრგვინვას ზეცით ნატყორცნს. ისევ უმძაფრეს
70 თავგამოდებით ჰკვეთებია, რომ მას პირველად

დაცაელეწა მტკიცედ ხშული ბუნების კარი.
ესრეთ დასძლია უტეხ სულის ცხოველმა ძალამ,
შესძლო გასცლოდა დედამიწის ცეცხლოვან ზღუდეს,
გადაელახა გონების გზით სივრცე უსაზღვრო
75 და გამარჯვებულს ყოველივე ემცნო იქედან,
ემცნო თუ არსი თვითეული სადით იწყება,
რა საზღვარს აღწევს და ვითარი ელის მას ბოლო;
ესრეთ დაეცა რელიგია ფეხქვეშ თელილი,
ჩვენ კი უსაზღვრო გამარჯვებამ ცად აგვამაღლა.

80 ამ შემთხვევაში ის მაშინებს, რომ არ იფიქრო
მაცდურ სწავლისკენ, ყალბი გზისკენ, მოგიწოდებდე
ანდა ბოროტი რამ ცდუნება გულს განმეზრახოს.
თვით რელიგია შობს ბოროტს და საზარელ საქმეთ.
ვით ავლიდეში ის სამსხვერპლო არტემიდესი
85 იყო სასირცხოდ იფანასეს სისხლით შესვრილი,
დანაელ სარდლებს, რჩეულ ვაჟკაცთ რომ დაუღვრია,
ოდეს ქალწულის თმები შეჰკრეს წმიდა საბელით
და ბოლოები ჩამოუშვეს ორთავ ღაწვებზე.
რა მოჰკრა თვალი სამსხვერპლოს წინ მშობელს მწუხარეს
90 და დაინახა ვით მალავდნენ მსახურნი დანას,
თან ცრემლს აფრქვევდნენ მის მნახველი მოქალაქენი,
შიშით მუნჯქმნილი ძირს დაეცა მუხლმოკვეთილი.
და საწყალობელს ვერ უშველა ჟამს განსაცდელის, —
მამის სახელი რომ პირველმა აჩუქა მეფეს.
95 ათრთოლებულსა ხელთ იპყრობენ მოქალაქენი
და მიჰყავთ იგი სამსხვერპლოსკენ. მიტომ კი არა —
ქორწილის შემდეგ დააბრუნონ მაყრულის მღერით,
არამედ მისთვის, ქალწულობის უბიწო ჟამსა,
შეუბრალებლად მამის ხელით განგმირულიყო,
100 რომ გზა გახსნოდა ბედნიერი იმათ გემთკრებულს.
ამგვარ საქმისთვის აქეზებდა ხალხს რელიგია!
შენც ხომ ყოველთვის შეგიძლია ჩვენ ჩამოგვშორდე
დამარცხებული მისანთ ნათქვამ საშიშ სიტყვებით.
მართლაცდა რამდენ სისულელეს მოიგონებენ,
105 რომლითაც ძალუძთ აღგირიონ ცხოვრების გზანი,
სულის სიმშვიდე ფუჭი შიშით სრულად მოგტაცონ.

მართალიცაა, რომ სცოდნოდათ ადამიანებს,
ექნება ბოლო იმათ ტანჯვას, რამენაირად
ქურუმთ ყბედობას, რელიგიას თავს დააღწევდნენ.
110 დღეს კი სადღაა მასთან ბრძოლის რაიმე ღონე,
რადგან უფრთხიან მუდმივ სასჯელს სიკვდილის შემდეგ,
რაკი არ არის გარკვეული ბუნება სულის,
დაბადებითვე თან დაჰყვება, თუ მოდის შემდგომ,
კვდება თუ არა ჩვენთანავე აღსასრულის ჟამს,
115 ან თუ მიილტვის ორკის ტბათა წყვდიად უდაბნოს,
ან სხვა ცხოველში გადინაცვლებს ღვთიურ განგებით,
ვით მოგვითხრობდა ენიუსი, მან ხომ პირველად
ჰელიკონიდან მოიტანა გვირგვინი მწვანე,
იტალთა შორის დიდსახელის მომპოვებელმა.
120 და ვით გვამცნევდა ენიუსი უჭკნობ ლექსებით,
რომ არსებობსო უცხო მხარე აქერუსიის,
სად წარსდგებიან არა სულნი, არცა სხეულნი,
მარტოდ სახება ფერშემკრთალი განსაცვიფრებლად.
გვამცნევს, ჰომეროს მოვიდაო სხივშემოსილი
125 და შეუწყვეტლად ცრემლთა მღვრელი მომითხრობდაო
საგანთ საწყისთა წარმოშობას წილადობილად.
და ამიტომაც ხამს ვარკვიოთ, აზრით განვჭვრიტოთ
არსნი ციურნი, მიმოქცევა მზისა და მთვარის
თუ ვით სწარმოებს, ანდა ძალა რომელი მართავს
130 ამქვეყნად ყოველს. თანვე ისიც უნდა ვიკვლიოთ,
რისგან შექმნილა ჩვენი აზრი და ჩვენი სული.
ანდა რის გამო გვაფრთხობს ზოგჯერ ფუჭი ზმანება
მძიმე ავადმყოფთ დღის სიცხადით, ანდა ძილის დროს
თითქოს თვალნათლივ ვხედავდეთ ჩვენ და ხმაც გვესმოდეს
135 აწ გარდაცვლილთა, რომელთ ძვლები მიწას ჩაუკრავს.

თავს არ ვიტყუებ, ბერძენთ ბნელი სწავლა-მოძღვრების
ძნელი იქნება გადმოტანა ლათინურ ლექსით.
რაც მთავარია, მომიხდება სიტყვათა ძებნა
და ღარიბ ენით გადმოცემა ახალ მცნებათა.
140 სიკეთე შენი და სიამე შენთან უტკბესი
მეგობრობისა ძალას მმატებს, რომ გადავლახო
ყველა სიძნელე, ღამეები თეთრად ვათიო,

საჭირო სიტყვის და გამოთქმის მოსაპოვებლად,
რომ შენი აზრი, ნათელ სხივით გაბრწყინვებული,
145 ღრმად ჩასწვდებოდეს საგანთ არსის იდუმალობას.

ასე, სიბნელეს აზროვნების და უგნურებას
ველარ გაფანტავს ვერც მზის სხივი, ვერც დღის ნათელი,
მხოლოდ შესწავლა თვით ბუნების კანონებისა,
რომლის ძირითად დებულებად მიჩნეული გვაქვს:
150 არარაისგან თითონ ღმერთიც ვერარას შექმნის
და იმის გამო იპყრობს შიში ყოველსა მოკვდავს,
რადგან ბევრს რასმე ხედავს იგი ზეცად და ქვეყნად,
რომელთ მიზეზის გამოცნობას ვერ მისწვდომია
და ფიქრობს, ვითომც ღმერთი იყოს ყოვლის მოქმედი.
155 უკეთუ ნათლად წარმოვიდგენთ, რომ არარისგან
არრა შექმნილა, რასაც ვეძებთ უმალ მივსწვდებით,
თუ ვით იქმნება საგანი რამ, ვით წარმოიშვის
და რარიგ ჩნდება ყოველივე ღმერთთა გარეშე.

მართლაცდა, თუ რამ წარმოიშვის არარაისგან,
160 ყოველი არსი უთესლოდაც შეიქმნებოდა,
ვსთქვათ, რომ შეიქმნან ზღვისგან კაცნი და ხმელეთისგან
ფოროჯა თევზნი და ფრინველნი, ცით ჩამოცვივდეს
წვრილი თუ მსხვილი საქონელი, ველურნი მხეცნი
იშვან უდაბნოს, გამოუცნობ რაღაც მიზეზით;
165 ხეხილს ნაყოფი აღარ ჰქონდეს ერთგვაროვანი
და თითოეულს რომ მოესხას რაგინდ რაგვარი;
და რომ ყოველ არსს არა ჰქონდეს თავისი ჯიში,
ეყოლებოდათ იმათ ერთი მშობელი დედა?
რაკი გარკვეულ თესლისაგან იშვის ყოველი,
170 მხოლოდ იქედან იბადება დღის სინათლეზე,
სად მატერია ყოველ საგანს მოეპოვება,
მიტომ ყოველი ყოველისგან არ შეიქმნება.
და ყოველ საგანს თავის ძირი განეკუთვნება.

რად ვჰვრეტთ ჩვენ ვარდებს გაზაფხულზე, ზაფხულზე ყანებს,
175 და შემოდგომით ზვარის ხვავი გულს რად გვიხარებს?
თუ არ იმიტომ, რიგისამებრ შეერთებულნი,
თავის დროს თესლნი შესაფერად წამოიზარდონ,
რაკი დრო მოვა, როცა მიწის ცხოველი ძალა .
სათუთ არსებათ ფრთხილად ნათელს აღმოაცენებს.
180 არარაისგან არსებანი მსწრაფლ გაჩნდებოდნენ,
მიუხედავად წელთა დროის სხვადასხვაობის,
რადგან საწყისნი არსებათა არ იქნებოდნენ
და ვერც შესძლებდნენ შეჩერებას დროის მიზეზით.
არ მოხდებოდა საგანთ თესლის დროით შეჯვარვა,
185 რომ შესძლებოდათ წარმოშობა არარაისგან,
შეიქმნებოდნენ მსწრაფლ ჭაბუკნი მცირე ბალღთაგან,
და დედამიწაც ვრცელ ხეივნებს მსწრაფლ ამოჰყრიდა.
მაგრამ ცხადია, ასე რიგად არრა იქმნება,
იშვის ყოველი წესისამებრ ერთგვარ თესლისგან
190 და ინარჩუნებს თავის მოდგმას შეურეველად:
თავის თესლისგან მატერია იშვის, იზრდება.

აქვე დაურთე, დროით წვიმა თუ არ მოვიდა,
მაშინ საამურ ნაყოფს მიწა ვეღარ მოგვცემდა,
და სულდგმულთ არსნი, მოკლებულნი საჭირო საზრდოს,
195 ვერც განაგრძობდნენ თავის მოდგმას, ვერც იცოცხლებდნენ.
დასაშვებია ვიგულისხმოთ მრავალ არსებას
აქვს რამ საერთო, ისე როგორც, ვთქვათ, სიტყვას ასო,
ვიდრე რამ არსის წარმოშობა უსაწყისებოდ.

ბოლოს ბუნებამ რად არ შექმნა ადამიანი,
200 ზღვის გადალახვა მას ფეხდაფეხ რომ შესძლებოდა,
მაღალი მთები გადაედგა საკუთარ ხელით,
ხანგრძლივ სიცოცხლით დაეძლია საუკუნენი,
თუ არა იმად, რომ ყოველ ქმნილს წარმოშობიდან
განკუთვნილი აქვს თავის წელილი მატერიისა.
205 მაშასადამე, არარისაგან არრა იქმნება,
რაკი ყოველ არსს უნდა ჰქონდეს თავისი თესლი,
რომლითაც იგი აღიზრდება დღის სინათლეზე.
და ამის გარდა რაკი ვხედავთ მოუველელ ადგილს
სჯობნის მოვლილი და ნაყოფსაც ჭარბად იძლევა,

210 თვით ნიადაგში არსებულან საგანთ საწყისნი,
რომელთ სახნისით მსუყე ბელტის აბრუნებისას,
კარგად გაპოხილ მიწის პირზე, სიცოცხლეს ვაძლევთ.
ეს საწყისები რომ არ იყოს, მაშინ ყოველი
თავისდათავად უმჯობესად აღიზრდებოდა.

215 ესეც იცოდე, რომ ბუნება პირველ საწყისად
დაშლის ყოველსა და არარას არა სპობს სრულად,
რადგან მთლიანად რომ კვდებოდეს არსი ყოველი,
თვალთა ხედვიდან დაღუპვის დროს მსწრაფლ გაქრებოდა.
არ იქნებოდა რამე ძალის საჭიროება,
220 რომელს გათიშვა მის ნაწილთა ევალებოდეს.
მარადი თესლით მატერია რადგან შექმნილა
თუგინდ რომ დარტყმით უცხო ძალამ იგი დაგლიჯოს,
ანდა ცალიერ შუაგულიდან ნგრევა დაუწყოს,
სულერთი არის, მას ბუნება მაინც არ მოსპობს.

225 მართლაცდა, თუკი ყოველსავე სიბერის გამო
დრო უდებს საზღვარს და სავსებით სპობს მატერიას,
მაშინლა ვენუსს ვითარ ძალუძს ცხოველთა მოდგმას
სიცოცხლე მისცეს, სად შესძლებდა თუნდ დედამიწა
მრავალგვაროვან ქმნილებათა კვებას, გამოზრდას?
230 ვით აღავსებდნენ უძირო ზღვას ნაკადულები
და მდინარენი? ვითარ ზრდიდა ცა მნათობთ კრებულს?
სუყველაფერი, რაც კი კვდება, დაუსრულებელ
დრო-ჟამთა სრბოლას რახანია უნდა მოესპო.
რაკი გარდასულ, უძველეს დროს იყვნენ საგნები,
235 ამ ჩვენს ქვეყანას რომ ქმნიდნენ და განაახლებდნენ,
მაშინ ცხადია უკვდავება მათი ბუნების;
ვერ გახდებოდა ამიტომაც არარად არრა.

ბოლოს ყოველი ერთი ძალით მოისპობოდა,
რომ არა ჰქონდეს მატერიას არსი მარადი
240 და თვის ნაწილნი მტკიცე ჯაჭვით არ გადაეჭდო,

მაშინ ყოველი გაქრებოდა მსუბუქ შეხებით.
რადგან სხეულებს მარადობა რომ არ ჰქონოდა,
ყოველი ძალა დაარღვევდა რაგინდრა კავშირს.
რაკი კავშირი საგანთ შორის მრავალგვარია
245 და მატერიაც მარადჟამად არსებობს ქვეყნად,
საგანთ სხეულიც ურყევია, გარეშე ძალა
ვიდრე არ შესძლებს იმის დაშლას მძლე დაჯახებით.
საგანთა არსნი კი არ ქრება, არამედ ყოველს
მოელის დაშლა სხეულებად მატერიისა.
250 მამა ეთერის მოვლენილი წვიმა როს მოდის,
ის დაინთქმება დედამიწის მშობლიურ წიაღს;
ჯეჯილი ბზინავს წამოშლილი, იმკობა მწვანით
ხეთა ტოტები, ხეც ზრდას იწყებს, ნაყოფს მოისხამს.
საზრდოობს იმით მოდგმა კაცთა, ცხოველთა მოდგმაც.
255 ქალაქს ახარებს ჟრიამული ცელქ ბავშვთა გუნდის,
ტყეს, ხშირფოთლიანს, კი ჭიკჭიკი დაფრენილ ბარტყთა.
დასუქებული ცხვრისა ფარა მსუყე საძოვარს
წამოწოლილა ნებიერად, რძის თეთრი წვეთი
სავსე ჯიქნიდან გამოჟონავს, ბატკნებიც იქვე
260 სუსტი ფეხებით რბილ მდელოზე ხტიან, ცელქობენ,
თავბრუდასხმულნი დამათრობელ რძისა სიმსუყით.
ბუნებას არრა ეკარგება, თუმცა ასე სჩანს,
რადგანაც იგი ქმნის ერთს რასმე მეორისაგან,
ერთის სიკვდილით შეიქმნება არსი მეორე.

265 მე დავამტკიცე: არც რა იშვის არარაისგან
და დანაბადიც ვერ გარდიქმნას არარაობად.
ჩემმა ნათქვამმა შენ რომ ეჭვი აღარ აღგიძრას,
რადგან არ ძალგვიძს ჩვენ დანახვა საგანთ საწყისთა,
მომაპყარ ყურნი და შეიგნებ, რომ საგანთ შორის
270 არის სხეული, რომლის ხილვა არ შეგვიძლია.

პირველი — ქარი, თავის ძალით ზღვას რომ აღელვებს,
გემთკრებულს ამსხვრევს, მიმოფანტავს ზეცაზე ღრუბლებს,
ან სწრაფ გრიგალად ვრცელ ველებზე დატრიალდება;
პირქვე დაამხობს დიდრონ ხეებს, კლდეთა მწვერვალებს,

275 ამოთხრის ტყეებს, გააფთრებით ასე მძვინვარებს,
ზათქით, ღრიალით, უტეხ რისხვით მიმომქროლვარე.
ასე რომ, ქარიც სხეულია თუმც უხილავი,
რომელიც ზღვასა, დედამიწას, თვით ცის ღრუბელთა
მსწრაფულ ეკვეთება და სასტიკი გრიგალით არღვევს.
280 ქარი მოძრაობს ისეთივე ძალუმი სრბოლით,
ვითარცა წყალი, თუმცა იგი მეტად რბილია,
მაგრამ ღვართქაფად რომ მოსხლტება მოდიდებული
მაღალ მთებიდან მომჩქეფარე წყალვარდნილებად,
მოაქვს ნამსხვრევი უღრან ტყეთა, დიდრონი ხენი,
285 და იმ წყლის ძალას მტკიცე ხიდიც კი ვეღარ უძლებს,
ესდენ ძლიერად ეშურება აზვირთებული,
უტეხი ძალით ეჯახება განიერ ჯებირს.
ყველაფერს ამსხვრევს და ნამსხვრევებს ფარავს ტალღებით,
კლდეთა ლოდებიც მისი ძალით ქვედამხობილა.
290 ასევე ქარიც უტევს ხოლმე შეუპოვარად,
ვით ნიაღვარი მოვარდნილი, თავაშვებული
მოეხეთქება და რაც ხვდება მიანგრ-მოანგრევს,
ძალუმ შეტევით და ტრიალით შემართებული
ყველაფერს ამსხვრევს თავბრუდამხვევ ქარიშხლად ქმნილი.
295 ასე რომ ქარი უხილავი არის სხეული,
რადგანაც საქმით და ზნეობით მიემსგავსება
დიდთა მდინარეთ, რომელთ ვხედავთ ცხადად, თვალნათლივ.
ჩვენ ვუნოსავთ აკი ნაირნაირ სურნელთ სიმრავლეს
და არკი ვხედავთ, თუ რარიგად შედის ნესტოში,
300 ისევე, როგორც ვერც სიცხესა და ვერც სიცივეს
თვალით ვერ ვამჩნევთ, ვით ვერ შევძლებთ ხმის თვალით ჭვრეტას.
ხომ ყოველ მათგანს უნდა ჰქონდეს მყარი სხეული,
თუკი რომ ძალუძს ჩვენი გრძნობის ამოძრავება.
რასაც ვეხებით და გვეხება, მას აქვს სხეული.
305 ხომ ზღვის მახლობლად, ტალღა ნაპირს რომ ეჯახება,
დაგვისველდება ტანთსამოსი. მზეზე კი — შრება.
ვერც იმას ვხედავთ, თუ ვით დაჯდა სამოსზე წყალი,
ვერც იმას, თუ ვით აიორთქლა ისევ უკანვე.
მაშ, ნაწილდება ისე მცირე წვეთებად წყალი,
310 რომლის დანახვას ჩვენი თვალი ვერ შესძლებს სრულად.
წელთა სიმრავლით დაწვრილდება თითზე ბეჭედის
შიგნითა მხარე, დალეული ხანგრძლივ ტარებით,

წვეთი დაცემით კლდესაც ანგრევს, რკინის სახნისიც
თანდათან ცვდება შეუმჩნევლად მიწის ხვნისაგან,
315 და ხალხის ფეხქვეშ ქვაფენილი, ვამჩნევთ, გამცვდარა,
ან ვრცელ ქალაქის კარიბჭესთან სპილენძის ქანდაკს,
ვხედავთ, მრავალი შემომსვლელის ამბორის გამო
ხშირი შეხებით დამცრობია მარჯვენა ხელი.
ახლა ცხადია, რომ მცირდება შეხებით ნივთი,
320 მაგრამ, თუ რარიგ მოაკლდება საგანს დროისგან,
ფრთხილმა ბუნებამ დაუმალა ჩვენს მხედველობას.
და ამის გარდა, რასაც დღენი, ანდა ბუნება
შემატებს საგანს და ნელ-ნელა შეჰყავს ის ზრდაში—
ვერავითარი ვერ შენიშნავს თვალთ სიმახვილე,
325 ვერც თუ დაკლებას სიბერის და სიგამხდრისაგან.
მლაშე მარილით შეჭმულ ლოდთა ფილაქანები,
ვერ დაინახავ, რასა ჰკარგვენ გარკვეულ დროში.
უხილავ არსით ქმნის ბუნება ყოველს ამ ქვეყნად.

და ყოველ მხრიდან ხომ სიმკვრივე არ ავსებს სხეულს;
330 სიცალიერე ყოველ საგანს მოეპოვება.
ამის შეგნება ბევრ საქმეში გამოგადგება
და ხელს არ მიჰყოფ უნაყოფო კვლევა-ძიებას
არსთა ბუნების, ჩემგან თქმულით დაეჭვებული.
ამად გვჭირდება ვაღიაროთ სიცალიერე,
335 ხომ უიმისოდ მოძრაობას ვერ შეიძლებდა
საგანი სრულად, რადგან იგი, რაც მას შეჰფერის:
წინაღმდეგობა, ვერ დათმობა, მარად ბორკილად
შეიქნებოდა; ვერცრა წინსვლას ეღარ შესძლებდა,
საგანთ საწყისებს მოძრაობის ბიძგს არ მისცემდა.
340 მართლაცდა, ცასა, ხმელეთსა და ზღვისა სივრცეში
მრავალნაირად წარმართულნი მოძრაობანი
გვეშლება თ[illegible]ლწინ, და თვინიერ სიცალიერის,
არ [illegible]ქნეპოდა რამ ნასაბი მოძრაობისა,
ვერცრა ოდესმე საიდანმე შეიქმნებოდა
345 და მატერია დარჩებოდა მყარშენივთული.
ანდა საგანი რა მკვრივადაც არ მოგვეჩვენოს,
თვით დარწმუნდები, რომ ნაპრალნი მოეპოვება.

ქვაბთა ლოდების სიღრმეთაგან ყოველის მხრიდან
მრავალ წვეთებად გამოჟონავს სითხე ნელ-ნელა.
350 მიმოიქცევა საზრდელი რამ ყოველ სულდგმულში,
იზრდება ხენი, თავის დროზე მოაქვს ნაყოფი,
რადგანაც საზრდო წამოსული ფესვებიდანვე
ტანსა და ტოტებს შემოივლის ირგვლივ სრულიად.
ასევე, ხმები შემოივლის მთლიანად სახლსა
355 კარგამოკეტილს, ზამთრის სუსხი ძვლებამდე აღწევს.
სიცალიერე რომ არ იყოს, სად შეიძლებდა
სხეული სვლასა, ამ მოვლენებს ვერც კი ნახავდი.
ბოლოს რად არის, რომ მრავალი საგანთაგანი
თუმც იგივეა მოცულობით, წონით კი — არა.
360 მატყლის გორგალში თუ სხეული იმდენივეა,
რაც ტყვიის ზოდში, მაშინ უნდა წონაც უდრიდეს,
რადგანაც საგანს ქვე დაზიდვა აქვს ხომ თვისებად,
სიცალიერეს წონა რამე არ აქვს ბუნებით.
მაშასადამე, რაც კი სხვაზე უფრო მჩატეა,
365 უფრო მეტი აქვს, ცხადი არის, სიცალიერეც.
ხოლო, პირიქით, რაც მძიმეა, მასში სხეული
უმეტესია და ნაკლები სიცალიერე.
ეჭვი არ არის, ჩვენ რომ ვეძებთ მახვილ გონებით
სიცალიერეს, ყოველ არსში შერეულია.

370 ამ საქმეებში მოვალე ვარ, რომ მოგარიდო
ყალბი მოძღვრება, ზოგიერთნი რომ იგონებენ,
ამბობენ, ვითომც ფოროჯა თევზს უტევსო წყალი,
სითხე გზას უხსნის, ხოლო უკან რჩება ადგილი,
სადაც ნაკადი მიერთვისო ერთიმეორეს.
375 ასევე ძალუძთ სხვა საგნებსაც ადგილის შეცვლით
იმოძრაონო, თუმც საესეა გარსეგმო სივრცე.
მაგრამ ამ ახსნის საფუძველი ყალბია სრულად,
ცხადია, რომ ვერ შეიძლებდნენ თევზები წინსვლას,
თუ წყალი ადგილს მათ არ მისცემს; ან ვით დაუთმობს
380 ნაკადი არეს, თევზნი წინსვლას თუ ვერ შესძლებენ?
ან სულ არა აქვს მოძრაობის უნარი საგანს,
ან ყოველ საგანს გააჩნია სიცალიერე,
სადით ღებულობს მოძრაობის ძალას საგნები,
თუ სხეულები თანაბარი მოცულობისა

385 ერთიმეორეს დაეჯახა, დაშორდა ისევ,
ჰაერმა უნდა წამს შეავსოს სიცალიერე,
მაგრამ, რაც უნდა ძლიერ ქროლვით ის მოედინოს,
სულერთი არის, ვერ აავსებს მთელ სივრცეს მაინც,
რადგანაც ჯერედ ახლო ადგილს დაიჭერს იგი,
390 შემდეგ მომდევნოს, და თანდათან ყველა დანარჩენს.
თუ ჯვინმე ჰგონებს, სხეულები მიტომ სხლტებიან,
რადგანაც იმათ შეეკუმშათ ჰაერი უცებ—
ეს შეცდომაა; ის იცლება, რაც იყო სავსე,
და აღივსება რაც კი წინათ ცალიერებდა.
395 ასე ამგვარად, როდი ხდება ჰაერის კუმშვა,
რომ შესძლებოდა ჰაერს მაინც შეკუმშულიყო,
უცალიეროდ თვისთა ნაწილთ ვერ შეიკრებდა.

და საიდანაც არ ეცადო მიზეზთა ძებნას,
უნდა სცნო მაინც არსებობა სიცალიერის.
400 და არა ერთი რამ საბუთი მქონდა მე კიდევ
ჩემთა ნათქვამთა სრულ სიმართლის დასამოწმებლად,
მაგრამ სრულიად საკმაოა ეს მცირე კვალიც,
რომ სხვა დანარჩენს თვით შენ მისწვდე მახვილ გონებით.
ისე, ვით ხშირად მთის მწვერვალზე მაძებარ ძაღლებს
405 მხეცის ბუნაგი მოუნახავთ ტყით დაფარული,
რაკი ერთხელვე კვალი ჰპოვეს, სწორ გზას დაადგნენ,
შენც ასე ერთი მეორისგან გამოიყვანე.
ძალგიძს გონებით გაარღვიო ბურუსი ბნელი,
გამოიწვლილო ყოველივე, მისწვდე სიმართლეს.
410 შენ კი თუ ისევ ყოყმანობ და ეჭვს შეუპყრიხარ,
მაშინ პირდაპირ უნდა გითხრა, ჩემო მემიუს,
სანამ დაუშრეტ ნაკადულად გადმოიღვრება
ჩემი გულიდან აღტაცებულ სიტყვათ მდინარე,
ეშიშობ, მანამდე ჩვენ სხეულებს შეჰბოჭს სიბერე:
415 ჩვენი სიცოცხლის კავშირს იგი სრულიად დაშლის,
ვიდრე შეეძლებდე ლექსის სიტყვით რომ გამომეთქვა
ყველა საბუთი ერთ საკითხის დასამტკიცებლად.

კვლავ ვუბრუნდები მე დაწყებულ მსჯელობის საგანს:
სრულად ბუნება ორ ნაწილით შედგენილია;

420 სახელდობრ: არის სხეულნი და სიცალიერე,
მასში არიან: მოძრაობენ სხვადასხვა მხარეს.
საგანი მართლაც რომ არსებობს,—მასში გვარწმუნებს
ჩვენ შეგრძნებანი; და ჩვენ იმას თუ არ მივენდეთ,
ფარულ საგანზე ვით შევძლებდით მაშინ დაყრდნობას,
425 ვით გამოვთქვამდით მის შესახებ მსჯელობას რასმე.
ადგილი, სივრცე, რასაც ვეტყვით სიცალიერეს,
სულ რომ არ იყოს, საგანს მაშინ აღარ შეეძლო
არც არსებობა, ვერც შესძლებდა მოძრაობასაც,
როგორც აღვნიშნე ამის გამო მე უკვე წინათ.
430 გარდა ამისა, შენ ვერაფერს ვერ აღმინიშნავ,
არცა სხეული რომ არ იყოს, სიცალიერეც
აღარ გააჩნდეს და მესამე ჰქონდეს ბუნება.
რადგან, რაც არის, უნდა იყოს იგი რაიმე,
თუგინდ სულ დიდი, ანდა კიდევ სრულიად მცირე.
435 და თუ როგორმე შეიძლება მისი შეხება,
რაც უნდა იყოს, საგანთ რიცხვში ჩასათვლელია.
და თუ რისამე ჩვენ შეხებას ვერ შევიძლებდით,
თანაც საგნებსაც თავის შორის გაატარებდა,
ჩვენ ვუწოდებდით მაშინ იმას სიცალიერეს.
440 გარდა ამისა, ყოველივე, რაც კი რამ არის,
ან თვით მოქმედებს, ანდა სხვარამ მოქმედებს მასზე,
ან წარმოგვიდგენს ადგილს საგანთ მოძრაობისთვის.
რისამე შექმნა, სხვად გარდაქმნა ძალუძს სხეულსა.
საგანთ სამკვიდრო არის ოდენ სიცალიერე.
445 სიცალიერის ან სხეულის ფარგალს გარეშე
ყოფნას საგანი ვერ შესძლებდა ადგილს მესამეს,
რომლის არსობას განიცდიდა ჩვენი გრძნობანი,
ან აზროვნება მის რაობას შეიმეცნებდა.

რაც სახელს ირქმევს, იგი საგნის, სიცალიერის
450 ან თვისებაა ორთავესი, ან თვით მოვლენა.
თვისება არის არსებითი საგანს რომ ახლავს,
რომელს ვერ მოსწყვეტ, რასაც ერთვის, მის მოუსპობლად:
სიმძიმეს—ქვასა, სითბოს—ცეცხლსა, წყალს—თხიერებას,
შეხებას—საგანს, ხელთუპყრობას—სიცალიერეს,

455 ხოლო მონობას, სიღარიბეს, ანუ სიმდიდრეს,
თავისუფლებას, ომსა თუ ზავს, და ყოველსავე,
ყოფნა-არყოფნით თვით ბუნებას რაიც არ იცვლის,
მას ყოველივეს, ვით შეჰფერის, ვეტყვით მოვლენას.
დროც არ არსებობს თავისთავად, თვით მოვლენები
460 გვაგრძნობინებენ რაც რამ ქმნილა ჟამსა გარდასულს,
ან დღეს რაც ხდება, ან მას შემდეგ რაც უნდა მოჰყვეს.
უნდა ითქვას, რომ ვერვინ შესძლებს დროის შეგრძნებას,
თუ საგანს მივხდით მოძრაობას და სიმშვიდესა,
ბოლოს, ელენეს მოტაცებას რომ მოგვითხრობენ,
465 ანდა ტროელთა დამარცხებას ულმობელ ომში,
როდი არსებობს ეს ყოველი თავისდათავად,
რადგან ხალხთ მოდგმა, ეს მოვლენა, რომ შეეხება,
დრომ გაჭდასულმა წარიტაცა სამარადჟამოდ.
მიტომ სხვა დრო-ჟამს, სხვა მოდგმაში მომხდარსა რასმე,
470 უნდა მოვლენა ვუწოდოთ ჩვენ გარდასულ დროის.
და, ბოლოს, საგანს მატერია რომ არ ჰქონოდა,
არც დრო, არც სივრცე, რომლის არეს იგი მოქმედებს,
ვერც ტინდარიდეს სილამაზით აღძრული ცეცხლი
ტროობის ალმურად ალექსანდრეს გულს ანთებული,
475 ვერ დააგზნობდა ბრძოლის ველზე მძვინვარე ომსა,
ვერცა ხის ცხენი, ტროელთაგან საიდუმალოდ
დასწვავდა პერგამს, ღამის წყვდიადს ბერძენთა მშობი.
ცხადად ხედავ, რომ მომხდარ ამბებს, ერთობით ყველას
სხეულისებრი, არც სახე აქვთ, არცა არსება,
480 არც რამ კავშირი შორეული სიცალიერის,
მიტომ გაქვს ნება, რომ უწოდო იმას მოვლენა
სხეულის, ანუ ადგილისა, საცა ის ხდება.

ბოლოს, სხეულნი შეადგენენ საგანთ სათავეს,
ანდა სრულქმნილან შეერთებით პირველ საწყისთა.
485 საგანთ საწყისი რაც კი არის, მას ვერრა დაშლის,
რადგან სხეულის სიმტკიცითა ის ყველას სჯობნის.
მართლაც, ძნელია წარმოდგენა საგანთა შორის
რომ არსებობდეს უმტკიცესი იმის სხეულზე.
გაიელის ხოლმე კედლებს შორის ციური ელვა
490 ხმა, ან ძახილი, ცეცხლი რკინას ხომ ავარვარებს,

მცხუნვარე ცეცხლით დაიწლება მაღალ კლდის ლოდი.
ჰკარგავს ხომ ოქრო თვის სიმაგრეს ცეცხლში დნობილი,
სპილენძიც ცეცხლზე ისე ლღვება, როგორც ყინული.
ვერცხლში ხომ ატანს თანაბარად, სითბოც, სიცივეც.
495 მას ყოველსავე ჩვენ შევიგრძნობთ, სასმისს რომ ვილებთ
და ვავსებთ იმას ნამისებურ რაიმე სითხით, .
ასე გამოდის, არრა არის მყარი ამ ქვეყნად.
რაკი გონებაც, თვით ბუნებაც ყოველი არსის
ჩვენ მოგვიწოდებს მცირეოდენ ლექსით განვმარტოთ,
500 რომ არის მართლაც სხეული რამ მყარი, მარადი,
და იგი არის საგანთ თესლი, პირველსაწყისი,
სადით ყოველი არსებული წარმოშობილა.

უწინარესად, რაკი უკვე დადგენილია
ორგვარი არსის შეუფერი ორი ბუნება,
505 სხეულისა და ადგილისა, სად იძვრის ნივთი,
უეჭველია, არსებობენ ისინი ცალკე,
რადგან იქ, სადაც იპოება სიცალიერე,
სხეული არ გვაქვს, სხეული კი თუ სადმე არის,
იქ არ იქნება არასოდეს სიცალიერე.
510 უცალიერო და მყარია საგანთ საწყისნი.
რაკი აქვს მისგან შექმნილ საგნებს სიცალიერე,
იმას უთუოდ უნდა ერტყას მყარი სხეული.
საღი გონება ვერ დაუშვებს მის წარმოდგენას,
რომ სხეულს ჰქონდეს დაფარული სიცალიერე,
515 რაც მას გარს ერტყმის, მის სიმტკიცეს თუკი უარყოფთ.
არრა არის რა, რომ თვინიერ მატერიისა
შესძლოს შეპყრობა თავის თავში სიცალიერის.
მატერიაა, რომ შექმნილა მყარ სხეულისგან,
მას ძალუძს მარად იარსებოს, სხვა კი იხრწნება.

520 ჩვენ რომ დავუშვათ არარსება სიცალიერის,
მხოლოდ მყარობა იქნებოდა, და რომ სხეულებს
არ დაეჭირა მიჩნეული მისთვის ადგილი,
ცალიერქმნილი დარჩებოდა სამყარო სრულად.

სიცალიერეს. სცელის ყოველგან მყარე, სხეული.
525 რადგან სამყარო როდი არის, ან სრულად სავსე
ან ცალიერი. მაშ, არსებობს მყარი სხეული,
რომელსაც ძალუძს რომ აავსოს სიცალიერე.
იმის დარღვევას ველარ შესძლებს გარედან დარტყმა,
ვერც ნიგ შეკრილი რამე ძალა შესძლებს მის დაშლას,
530 ვერც სხვა რაიმე მანქანება მოსპობს ნას სრულად.
როგორც უკვე ვთქვი თავის დროზე ამის შესახებ,
სიცალიერე რომ არ იყოს, არცა რისამე
შეიძლებოდა ტეხა, გლეჯა, გაყოფა ორად,
სითხის შესრუტვა, შეთვისება ყინვა-სიცრვის,
535 არც მწველი ცეცხლის, ყოველივეს რომ ანადგურებს.
და რაც მეტი აქვს საგანს რასმე სიცალიერე,
უფრო უმეტეს დაიშლება იგი ბოლომდე.
და რომ საგანთა საწყისები სულ მჭიდრო იყოს,
უცალიერო, დარჩებოდა მარად უცვლელი.
540 ან რომ არ იყოს მატერია მარადიული,
არარაობად სულ ყოველი გარდიქმნებოდა,
შეიქმნებოდა რასაც ვხედავთ არარაისგან.
და ვით წინათ ვთქვი, არარისგან სრულად არცარა
აღიზრდებოდა, გაქრებოდა თვით არსებული.
545 საგანთ საწყისნი უკვდავ სხეულს ხამს დაემყაროს
და, იმ სხეულად დაიშალოს ჟამს აღსასრულის,
რომ მატერიამ ისევ შესძლოს საგანთ წარმოქმნა.
საგანთ საწყისნი მაგარია და თან მარტივი.
სხვაგვარ ვერ სძლევდნენ საუკუნეთ, უხსოვარ დროით
550 გადარჩენილნი, და კვლავ საგანთ ვერ აღადგენდნენ.

და რომ ბუნებას რამ საზღვარი არ დაედგინა
საგანთ რღვევისთვის, მატერიის სხეული უკვე
ხანგრძლივი რღვევით მივიდოდა ისეთ დონემდე,
სადით იმათგან შექმნილი რამ განკუთვნილ დროში
555 ვერ მიაღწევდა ზრდის შედეგად უმაღლეს საზღვარს.
ვხედავთ, რომ უფრო ადვილია რისამე დაშლა,
ვიდრე იმისი კვლავ აღდგენა, რადგან აქამდე
დღეთა სიმრავლეს, უსასრულო ჟამთმდინარებას,
რაც უნგრევია, ერთურთისგან უშორებია,

560 დრო დანარჩენი მას ვერასგზით ვერ აღადგენდა.
უეჭველია, რომ საგანთა დაშლა-დანგრევას
აქვს რამ საზღვარი, რადგან ვხედავთ, თვითეულ საგანს
მოდგმისდაგვარად შესატყვისი დრო გააჩნია,
როს შეუძლია მიაღწიოს ჟამს სრულ გაფურჩქვნის.
565 და აქვე დავსძენთ, რომ საწყისნი თვით მატერიის
თუმც კი მკვრივია, ყოველსავე ქმნის მაინც იგი,
თუგინდ რბილს რასმე— წყალს თუ ჰაერს, მიწას ან სითხეს.
ეს მიტომ ხდება, იმის გამო, იმ წესის ძალით,
რადგანაც საგნებს შერევიათ სიცალიერე.
570 საგანთ საწყისნი იმთავითვე რბილი რომ იყოს,
კაჟი თუ ჩრკინა საიდანღა შეიქმნებოდა?
ვერ შევიძლებდით ამის ახსნას, რადგან ბუნებას
საყრდენი ძალა ძირითადი მოაკლდებოდა.
ამრიგად, მტკიცე, მარტივია საგანთ საწყისნი
575 მათი უმეტეს და უმტკიცეს შემჭიდროებით
შეემატება საგანს ძალაც და გამძლეობაც.
შემდეგ, სხეულის რღვევა-დაშლას რომ არა ჰქონდეს
საზღვარი რამე, ოდიდანვე მაშინ საგნებსა
შემორჩებოდათ დღევანდლამდე თვისი სხეული,
580 რომელს აქამდე ვერრა ძალა ვეღარ დაშლიდა.
თუ ეს სხეული თვის ბუნებით რღვევადი არის,
მაშ როგორ მოხდა, რომ უსასრულ დრო-ჟამის სივცეს
გაუძლო იმან ურიცხვ დარტყმის მიუხედავად?

რადგან ყოველ არსს განეკუთვნა გვარის შესაფერ
585 გზა ცხოვრებისა და საზღვარი განვითარების,
რადგანაც მტკიცედ დადგენილა ბუნების წესით,
რის წარმოშობა შეჰფერის მას და რისა არა,
რაკი არარა არ იცვლება, რაც იყო—რჩება,
და თვით ფრინველნი შემოსილნი ჭრელი ბუმბულით
590 შეუცვლელ წინწკლებს ატარებენ ჯიშის მიხედვით,
მაშ მატერიაც ყოველ არსის ხომ უნდა იყოს
მარად უცვლელი. თუ იცვალა საგანთ საწყისნი
სრულად სხვა გვარად, ახალ წესთა შესაბამისად,
ვერ მივსწვდებოდით, თუ საიდან რა წარმოიშვის

595 და რა არ იშვის, რა ძალა აქვს თვითეულ საგანს,
ან რა საზღვარი იმთავითვე განკუთვნებული,
ახალ მოდგმაში ეგრერიგად ვერ აღდგებოდა
ბუნების წესი, თვისებანი, წინაპართ ჩვევა.

შემდეგ, რაკი აქვს საბოლოო რაღაც მწვერვალი
600 თვითეულ საგანს ჩვენ გრძნობისთვის მიუწვდომელი,
უეჭველია, რომ ამ მწვერვალს არ გააჩნია
რამე ნაწილი და ბუნებით მეტად მცირეა.
ის ვერასოდეს ვერ დარჩება განცალკევებით,
რადგან იგია სხვა მეორის ოდენ ნაწილი,
605 რომელსაც სხვები, მისი მსგავსი, შემჭიდრულ წყებად
რიგზე მიერთვის შესავსებად საგანთა არსის.
რადგანაც მარტო აღარ ძალუძთ მათ არსებობა,
ერთად არიან, ვერრა ძალა მათ ვერ გათიშავს.
საგანთ საწყისნი მჭიდროა და სრულად მარტივი,
610 სრულიად მცირე ნაწილებად მტკიცედ შეკრულნი,
ცალკეულ ნაწილთ შეერთებით როდი შექმნილან,
საუკუნებრივ სისადავით გამორჩეულებს,
იმათ, ვერარა ვერც რას წაჰგლეჯს, ვერც ჩამოაკლებს,
ბუნების მიერ საგანთ თესლად დაცულა იგი.

615 რადგანაც, თუკი არ იქნება უმცირესი რამ,
სხეულს შექმნიდა უსასრულოდ მცირე ნაწილი,
თუკი გვაქვს რამე ნახევარი, მას უნდა ჰქონდეს
თვის ნახევარი, ასე შემდეგ დაუსრულებლივ.
მაშ ვით გაარჩევ მცირე საგანს უდიდესისგან?
620 არრა იქნება განსხვავება. უსასრულოა
თუმცა სამყარო, მაგრამ მაინც სულ უმცირესიც
თანაბრად უნდა შესდგებოდეს უსრულ მცირისგან.
ამას კი საღი აზროვნება ვერ ურიგდება
და ვერ დაუშვებს ეს ირწმუნოს ჩვენმა გონებამ,
625 უნდა მივიღოთ: ის, რაც არის განუყოფელი,
არის ბუნებით უმცირესი, თუ ის არსებობს,
ხამს აღიარო, რომ მტკიცეა, მარადიული.
და ბოლოს, თუკი სულ უმცირეს ნაწილაკებად
დაშლიდა საგანს ყოველივეს მშობი ბუნება,

630 იმათგან იგი კვლავ ვერაფერს ვეღარ შექმნიდა,
რადგანაც იმას ის ნაწილნი აღარ ექნება,
რაც საჭიროა წარმომშობი მატერიისთვის:
რთული კავშირი, მოძრაობა, წონა და ბიძგი,
შერწყმა და ყველა რაც სჭირდება საგანთა შექმნას.
635 . და ამის გამო, ვინც ფიქრობდა, რომ მატერია
ცეცხლმა შექმნაო და ცეცხლია სამყაროს ფუძე,
დაშორებია მეტისმეტად საღ აზროვნებას.
თავი მებრძოლი ჰერაკლიტე იყო ამ ომში,
სახელგანთქმული თავის ენის ბუნდოვანებით.
640 უვიცთ ხიბლავდა, არკი ბრძენთა სწორი გზის მძებნელთ,
რადგან ჰკვირობენ მხოლოდ ბრიყვნი, მხოლოდ მათ უყვართ
ბუნდოვან სიტყვით გამოთქმული უსუსურება
და ჭეშმარიტად მიიჩნევენ რაც ყურს აამებს,
თან შემკულია ფერად სიტყვის ფუჭ ელვარებით.

645 როგორ მივიღებთ, მე ვკითხულობ, საგანთ სხვაობას,
მხოლოდ ცეცხლისგან ყოველივე თუკი შექმნილა?
რა ბედენაა თუ რომ ცეცხლი შევამჭიდროვეთ
ან გავათხელეთ, თუ ბუნება ცეცხლის ნაწილის
სულ იგივეა, რაც მთელ ცეცხლის, მეტად ძლიერის.
650 ნაწილთა შერთვით ცეცხლი უფრო გაფიცხდებოდა,
შესუსტდებოდა — გათიშვით და გამხოლოებით.
ამაზე მეტი, დამერწმუნე, ამ საფუძვლისგან
არრა გამოვა. ურიცხვ საგანთ მრავალფერობა
ფიცხელ, ანდა ნელ ცეცხლისაგან ვით იქმნებოდა.
655 თუ დაუშვებენ, რომ აქვს საგანს სიცალიერე,
ცეცხლიც შესძლებდა გათიშვას და შემჭიდროებას,
რადგანაც მუზას სჭირს აზრების წინაღმდეგობა,
არ სცნობს საგნებში არსებობას სიცალიერის,
სიძნელეს უფრთხის და სცილდება ჭეშმარიტ გზაკვალს
660 ვერ შეუნიშნავს, რომ თვინიერ სიცალიერის
შენივთდებოდა ყოველივე და წარმოქმნიდა
ერთ სხეულს იგი, რაც ვერ შესძლებს კვალად გაყოფას.
მგზნებარე ცეცხლი აფრქვევს შუქსაც, ძლიერ სითბოსაც,
და როგორც ხედავ, აღარ არის მასში სიმკვრივე.

665 თუკი ფიქრობენ, შესაძლოა რამენაირად
ცეცხლს რამ მიერთოს ჩაქრობისას და სხვად გარდიქმნას,
რაღა თქმა უნდა, როგორც მათ სურთ, რომ ყოფილიყო,
მოისპობოდა უეჭველად ცეცხლი სრულიად,
შეიქმნებოდა ყოველივე არარაისგან.
670 რადგანაც იგი, რაც გამოდის თავის საზღვრიდან,
აღსასრულია იმისათვის, რაც იყო წინათ.
და ამიტომაც უნდა დარჩეს უცვლელად რაღაც,
არა და ყველა არსებული არრად ქცეული,
კვლავ წარმოშობდა არარისგან საგანთ სიმრავლეს.
675 რადგან არსებობს გარკვეული რამ სხეულები,
თავის ბუნებას რომ უცვლელად ინარჩუნებენ,
რომელთა მირთვა, თუ მოკლება, ან რიგის შეცვლა
სრულად სცვლის საგანს და ერთს რასმე მეორედ აქცევს.
კარგად უწყოდე, არ აქვს იმას ცეცხლის ბუნება.
680 ერთი იქნება, რამ მოაკლდეს, სრულად გასცილდეს,
ანდა სხვა რამე მიემატოს, რიგი ეცვალოს,
და ბოლოს მაინც შეინახოს ცეცხლის ბუნება,
და ცეცხლად დარჩეს თითონაც და მისგან შექმნილიც.
სწორი ეს არის ჩემის აზრით: არის სხეულნი,
685 რომელთა შეხლას, მოძრაობას, წყობას, სახებას,
ძალუძს შვას ცეცხლი, რიგის შეცვლით თვისი ბუნება
კვლავ შეიცვალოს. იგი არ ჰგავს არც ცეცხლს, არც საგანს,
რომლის სხეული არ შეგვეძლო სრულად შეგვეგრძნო
ჩვენი განცდებით, ან შეხებით გამოგვეცადნა.

690 მტკიცება იმის, რომ ცეცხლია არსი ყოველი
და რომ მის გარდა არრა არის საგანთა შორის,
ვით ამას სჩადის ისევ იგი, არის სიგიჟე.
იმ გრძნობას ებრძვის, რა გრძნობასაც თვითვე ეყრდნობა
და მასვე ანგრევს, რასაც თითონ სურს დაემყაროს,
695 რომელთ მიხედვით მისწვდა იმას, ცეცხლს რომ უწოდებს.
მას სჯერა, მხოლოდ გრძნობა სწვდება ცეცხლის არსებას,
სხვა, არა ნაკლებ დასაჯერი, მას არა სჯერა,
ასეთი აზრი მიმაჩნია ბრიყვულ-გიჟურად.
კიდევ რა გზაა, რა სახსნელი, გრძნობის გარეშე,
700 რომლის მიხედვით ძალგვიძს ვპოვოთ გზა ჭეშმარიტი?
და რა მიზეზით უკუვაგდოთ უნდა ყოველი,

უპირატესად მივიჩნიოთ მხოლოდ აგზნება
და არ უარვჰყოთ თითონ ცეცხლი, სხვა რამ დავტოვოთ?
მცდარია ეგონებ თანაბარად ორივე აზრი.
705 და ამის გამო, ვინც ფიქრობდა, რომ მატერია
შექმნილა ცეცხლით და ცეცხლია ყოვლის სათავე,
აგრეთვე ისიც, შემქმნელ წყაროდ ვინც სცნო ჰაერი,
ან რომ ფიქრობენ, წყალი ჰქმნიდეს სულ ყოველივეს
თავისდათავად, ან ჰგონებენ, რომ მიწისაგან
710 შეიქმნებიან არსებანი მრავალნაირნი,
მეტად დაშორდნენ, მე მგონია, ჭეშმარიტებას.
ამას დაურთე, ვინც აორებს საგანთ საწყისებს,
ჰაერს ცეცხლს ურთავს, ხოლო მიწას წყალს მიუმატებს,
ანდა რომ სთვლიან ოთხ საწყისით იყოს შესაძლო
715 შექმნა ყოვლისა ცეცხლით, მიწით, წყლით და ჰაერით.
პირველი იყო ემპედოკლე აგრაგანტელი,
რომ იშვა კუნძულს, სამკუთხებრივს, ზღვის ვრცელ ნაპირზე,
იონიისა ზღვის ტალღები გარს რომ ევლება
და რწყავს გარემოს მლაშე წყალთა ლურჯმდინარეებით,
720 შემდეგ კი, ვიწრო სრუტედ მდენი. ტალღათა სრბოლით,
იტალიისა საზღვართაგან ჰყოფს სიცილიას.
აქვე ქარიბდე უძღებ პირით, მქუხარე ეტნაც,
ცეცხლთა მფრქვეველი, ემუქრება სასტიკი რისხვით
თვის ნაპრალიდან შმაგი ცეცხლი ამოაფრქვიოს,
725 მგზნებარე ელვა ზეატყორცნოს ცის მწვერვალამდე.
თუმც იქ მრავალი სასწაული თვალწინ ეწლება
კაცთა მოდგმას და ბევრს სურს ნახოს ქვეყანა იგი,
სიმდიდრით სავსე, ვაჟკაცთ ძალით განმტკიცებული,
მაგრამ მას არ ჰყავს ამ ვაჟკაცზე უსათნოესი,
730 არც უწმინდესი, უმჯობესი, უერთგულესი.
ღვთაებრივ გულით ამოსული მისი სიმღერა
სჭექს ისე ძლიერ, და ისეთის ზეშთაგონებით,
ვერ დაიჯერებ, ძეს კაცისას შეექმნას იგი.
თუმცალა ესეც, მასთან ერთად სხვა დანარჩენნიც,
735 მას ბევრ რამეში მეტისმეტად ჩამორჩებოდნენ.
შესძლებდნენ ხოლმე ბევრს კარგს რასმე რომ მისწვდომოდნენ,
და მათი გულით ამოსული ზოგი პასუხი
უწმიდესია, ჭეშმარიტიც, ვიდრე ყოველი,
თებეს დიადი სამფეხიდან ქითიას თქმული.

740 მაინც დამარცხდნენ, როს მიადგნენ საგანთ საწყისებს,
და იმ დიდთათვის მარცხი იგი იყო უმძიმეს.
ჯერ გამოსწირეს მოძრაობას სიცალიერე,
და დაუტოვეს სირბილე და იშვიათობა,
ჰაერსა, წყალსა, ცეცხლსა, მიწას, ცხოველთ და ნაყოფთ,
745 მათ არსებაში უარყოფენ სიცალიერეს.
არცა უდებენ საგანთ დაშლას რაიმე საზღვარს,
თითქოს დაყოფა სწარმოებდეს უსასრულომდე.
არ სურთ გაგება, რომ არსებობს საგანში მცირე,
თუმც აშკარაა, საგანს აქვს რამ კიდე-ნაპირი,
750 რომელს მიიჩნევს ჩვენი გრძნობა უმცირეს რადმე.
მიმიხვდი ვგონებ, უმცირესი, რასაც ვერ ვხედავთ,
სწორედ იგია ყოველ საგნის მცირე ნაწილი.
მათ, ამის გარდა, მიაჩნიათ, საგანთ საწყისნი
რბილია თითქოს, რაკი იშვის სხეულთან ერთად,
755 უცილობელად მას მოელის სრული დაღუპვაც,
ვითომც ყოველი გაქრებოდეს, არრად იქმნოდეს
და არარისგან იშობოდეს საგანთ სიმრავლე,
აზრი ორივე, როგორც ვხედავთ, სიმართლეს შორავს.
სტოიკონებში როდი არის რამე თანხმობა,
760 ურთიერთისთვის საწამლავად ჩაითვლებიან,
შეერთებისას იღუპვიან და ითიშვიან
დაშორებისას, როგორც ავდარს, დანთქავს გრიგალი.

თუკი ყოველი ოთხ საწყისით წარმოშობილა
და ყოველ საგანს ელის დაშლა ამ საწყისებად,
765 მაშ რად ვეძიებთ საგანთ საწყისს და არ მივიჩნევთ
თითონ ამ საგნებს მათ წარმომშობ მთავარ მიზეზად?
ხომ ერთურთისგან იბადვიან და, როგორც ფერით,
768 მთელი არსებით იცვლებიან დაუსრულებლივ.
770 რომ განგეზრახა რამ შეგექმნა, ცეცხლისა, მიწის,
წყლისა და ქროლვის ანდა სითხის შეერთებისას,
მათი ბუნების შეუცვლელად დამტოვებელი,
ვერ მიიღებდი სულ ვერარას, ვერც სხეულს რასმე,
გინდა სულიერს, გინდ უსულოს, ხეთა მაგვარსა,
775 რადგან საგანი მრავალგვარად შეერთებისას
შეინარჩუნებს თვის ბუნებას. უნდა გვენახა

ეით უგრთდება ცეცხლი სითხეს, ჰაერი მიწას.
არა, საწყისნი ნივთთ შექმნისას ხამს აელინებდნენ
მათ არსებაში მოთავსებულ ფარულ ბუნებას,
780 რომ არ გამოტყვრეს რამ საბრძოლად, ან შეფერხებად
და ყოველ საგანს მიენიჭოს მისი თვისება.

. და უფრო მეტიც, ცით იწყებენ და მისი ცეცხლით,
ასე ჰგონიათ: ცეცხლი შობსო ჰაერის ქროლვას,
ჰაერი — წვიმას, იქმნებაო წვიმისგან მიწა,
785 შემდეგ მოდისო ყოველივე ისევ მიწიდან.
პირველად წყალი, ჰაერი და ბოლოს ცეცხლი
და შეუწყვეტლად კვლავ ყოველის მიმოცვალება
ზეციდან ქვეყნად და ქვეყნიდან ვარსკვლავებამდე.
საგანთ საწყისნი ასე რიგად ვერ იმოქმედებს,
790 უნდა რაიმე დარჩეს მაინც უცვალებელად,
რომ არ გარდიქმნას ყოველივე არარაობად,
რადგან თუკი რამ ცვლილების დროს თვის საზღვარს ასცდა,
უმალ დაღუპვას მოასწავებს, რაც წინათ იყო.
სწორედ ამიტომ აღნიშნული ოთხი საწყისი
795 თუ ცვალებადობს ისე რიგად, რომ სხვად იქცევა,
რომელს მის დღეში არღა ძალუძს რომ შეიცვალოს,
ვერრას ამიღებ, გარდიქმნება ყოველი არრად.
მაშ ვაღიაროთ, რომ აქვს საგნებს რაღაც თვისება,
უცებ ცეცხლს რომ ქმნის, კვლავ წარმოშობს სულ ახალ რასმე
800 მცირე რამ იმას რომ მიერთოს, ზოგიც მოაკლდეს.
ცვლა მოხდეს წყობის, მოძრაობის, ჰაერიც შექმნას,
განა ამრიგად ერთ საგნიდან სხვა წარმოიშვის?

„მეტყვი, ღაღადებს სინამდვილე ასე აშკარად,
რომ ჰაერისგან დედამიწა წარმოშობს ყოველს.
805 და თუ ამინდი თავის დროზე წვიმას არ მისცემს,
რომ მძაფრ თქეშისგან ხეივნები მძლავრად ბეირყეს,
და მზე თვის სხივით არ გაათბობს ძალუმად მიწას,
ვერ აღიზრდება ხე, ნაყოფი, ძე სულიერი“.
მართლაც, საზრდელი და სასმელი რომ არ მიეიღოთ,

810 ჩვენი სხეული მიღწეული დასუსტდებოდა,
ძვალსაც და რბილსაც დასტოვებდა სიცოცხლის ძალა.
ეჭვი არ არის, რომ ვსაზრდოობთ ჩვენ სხვაგვარ საჭმლით,
სხვა არსებანიც მათ შესაფერ იკვებებიან.
ცხადია, რაკი ბევრ საგანში მსგავსნი საწყისნი
815 მრავალგვარ საგნის ბევრნაირად შერეულია,
სხვადასხვა არსი იკვებება სხვადასხვა საჭმლით.
ისიც კი არის მეტისმეტად მნიშვნელოვანი,
საგანთ საწყისნი როგორ არის განლაგებული
და რარიგი აქვთ მოძრაობა ურთერთისადმი.
820 თუმც ერთ საწყისით შექმნილია ცა, ზღვა, მზე, მიწა,
ნაყოფთა ჯიში, ხეებიც და ყველა სულდგმული,
კავშირი მათი, მოძრაობა მრავალფეროვნობს.
ჩვენს ლექსებშიაც დაინახავ, მრავალი სიტყვა
რომ ერთდაგვარი ასოებით შედგენილია,
825 მაგრამ ხომ სხვაობს ლექსიც, სიტყვაც, ერთურთისაგან,
სხვაობს აგრეთვე მათი აზრიც და ხმოვანებაც,
ესდენ დიდია ძალა ასოთ ცვალებადობის.
რაც შეეხება საგანთ საწყისთ, ბევრად მეტი აქვთ
მათ საშვალება ნაირ საგნის წარმოსაშობად.

830 ანაქსაგორას განვიხილოთ „ჰომოეომერ“,
ვით ბერძენთ ენით გამოითქმის, სიძნელის გამო,
ჩვენ ღარიბ ენას ვერ ძალედვა სახელის დებად,
ხოლო მის არსის გადმოცემა როდია ძნელი.
ჰომოეომერზე საგნებისა ოდეს გვამცნობენ
835 უეჭველია, რომ ჰგონებენ მცირის უმცირეს
შენდება ძვლები ძვლებისაგან ხოლო კუნთები
მცირის უმცირეს კუნთებისგან, ხოლო სისხლი კი,
სისხლის უმცირეს მრავალ წვეთთა შეერთებისგან,
ოქროც იქმნება ოქროს ნაწილთ თაეყრილობისგან,
840 მომატებისგან ციცქნა მიწის მიწაც იზრდება,
ცეცხლი ცეცხლისგან წარმოიშვის, სითხე სითხისგან,
ამგვარ შერევით იქმნებაო ვითომც ყოველი.
სიკალიერე, მისი ფიქრით, არ აქვს სხეულებს
საგნის დაყოფა ხდება ვითომც დაუსრულებლივ
845 და ამიტომაც, მე ვგონებ, რომ ორგზის შეცდომა
მოსდის ყმას და მის წინათაც ვისაც შეეხეთ.

საგანთ საწყისებს ის მიიჩნევს ძალიან სუსტად,
თუ ეს საწყისნი იგივეა, რაც თვით საგანი;
მისებრ მოქმედებს, იღუპება იმავ ბუნების
850 სრულ მოსპობისგან, ასეთ საგანს რა დაიხსნიდა?
მათგან, რომელიც ძლავრ შეტევას გადურჩებოდა,
რა ააცდენდა სასტიკ სიკვდილს, იმის ბასრ კბილებს?
ცეცხლი ან წყალი? ან ჰაერი? სისხლი ან ძვლები?
ვფიქრობ, არარა, ყოველ საგანს განურჩეველად
855 სიკვდილი ელის, ისე როგორც ჩვენ თვალთ წინაშე
ზოგი საგანი რამე ძალით ისპობა ხოლმე.
არ ძალუძთ საგანთ არრად იქცნენ, როგორც ზემოთ ვთქვი,
არცა, პირუკუ, წარმოშობა არარაისგან.
რაკი საზრდელი ზრდის და ჰკვებავს ყოველ არსებას,
860 უნდა ვიცოდეთ, რომ ძარღვები, სისხლი და ძვლები
860ა ხასს რომ შეიქმნას სხვადასხვაგვარ სხეულებისგან.
თუკი გვეტყვიან: ნარევია თითონ საზრდელი,
შეიცავს იგი მრავალს რასმე ნაწილებს კუნთის,
ძვლისა და ძარღვთა, თანვე სისხლის მცირე წვეთებსაც,
გამოვა, თითქოს, ყველა საზრდო, საკმელ-სასმელიც
865 შედგენილია ნაირნაირ სხეულისაგან:
ძვლისა და ძარღვის ნაწილებით და ნარევ სისხლით.
შემდეგ, რაც კი რამ მიწისაგან არსება იშვის,
თუ შიწაშია, მაშინ მიწა ხასს შესდგებოდეს
სხვაგვარ ნივთთაგან. რაც რამ მიწით წარმოიშობა.
870 ძალგიძს ნათქვამი შეუფარდო სულ. სხვა რამესაც.
და თუკი შენა თვით შეიცავს ცეცხლს, კვამლს და ნაცარს,
შეუდგენიათ მაშინ შენა უკილობელად
874 სხვაგვარ საწყისთა, რაც ნეშისგან გამოდის ხოლმე.
875 ხერხი რამ მცირე მაინც რჩება თავდასალწევად,
ანაქსაგორაც გამეტებით მას ხელს ჩასჭიდებს,
თითქოს საგნები ნარევია მრავალრისამე;
ამათგან ერთი ნაირობა გამოირჩევა,
იგი ყველაზე ცხადია და უპირველესი.
880 მაგრამ ეს ყველა მეტად შორავს საღ აზროვნებას.
ჩვეულებრივად მძიმე ქვებით პურის მარცვალი
რომ დაიფქვება, კვალი დარჩეს უნდა იქიდან
სისხლის, ან სხვა რამ საკვებისა, ჩვენ სხეულს რომ ზრდის.
885 აგრეთვე მაშინ ბალახებიც, უეჭველია,
884 ქვის და ქვის შუა გასრესილნი სისხლს დაიდენდნენ,

ან კიდევ წყალი გამოსცემდა საამო ტკბილ წვენს,
ვით ხშირბეწვიან ცხვრის ძუძუდან რძე მოსწვეთს ხოლმე.
მიწის ბელტების ნატეხებში გამოჩნდებოდა
მრავალ ბალახთა, მარცვლეულთა, ანდა ფოთლების
890 მიმოფანტულად დაფარულნი მცირე ნაწილნი.
შეშის ნაპობში ფერფლსაც, კვამლსაც დავინახავდით,
ანდა ცეცხლისა სულ უმცირეს ფარულ ნაწილებს.
მაგრამ ამათგან არრა შეიქმს, ვით საქმე ცხადჰყოფს,
არრა საგანი ნივთთა ნარევს არ წარმოადგენს,
895 საგანთა თესლი, დაფარული, შეურეველი,
მრავალ საგნისთვის უნდა იყოს მარად საერთო.
„ხომ ხშირად ხდება, ძალგიძს მკითხო, რომ მაღალ მთებში
ხეთა მწვერვალნი ურთიერთის ხახუნს იწყებენ
მაშინ, როდესაც მძაფრი ქარი თავს დააცხრება,
900 ვიდრე ელვისებრ ავარდება ბრწყინვალე ალი“.
სწორია, მაგრამ თვითონ ხეში ცეცხლი კი არა,
ცეცხლის თესლები მრავლადაა განლაგებული
და ხახუნის დროს შენაერთნი ტყის ხანძარს ქმნიან.
მართლაცდა ცეცხლსა თვის წიაღში ტყე რომ ფარვიდეს,
905 მცირე დროითაც მის ჩაქრობას ვერვინ შესძლებდა,
ცეცხლი მოსპობდა ყველა ტყეებს და ყოველ ხესაც.
ვგონებ რომ იცი რაზედ გვქონდა ჩვენ საუბარი.
მთავარი არის განლაგება საგანთ საწყისთა.
რა რასთანაა მიწყობილი და რა რას მისდევს,
910 ანდა რაგვარად მოძრაობენ ურთიერთ შორის.
ან ვით ოდნავი შეცვალებით თვისთა საწყისთა
წარმოიშობა ხე, ან ცეცხლი, ხომ ამგვარადვე,
ასოთა შეცვლით შეიცვლება სიტყვაც და აზრიც,
როგორც ხეს, ცეცხლსაც განვასხვაევებთ ბგერათა რიგით.
915 შენ თუ იფიქრებ, რაც საგნებში დასანახია,
არ შეიძლება იყოს სხვა რამ, განსხვაევებული
საგანთ საწყისთან და იგივე ჰქონდეს ბუნება,
გაგეცლებოდა შენ ხელთაგან საგანთ საწყისნი,
და შეიძლებდნენ თვით ისინი ხმამაღლივ ხარხარს,
920 ან ცხარე ცრემლით თვისთა ღაწვთა უხვად დანამვას.

ახლა დანარჩენს გულისყურით უსმინე ისევ,
თავს არ ვიტყუებ. ძნელი არის ეს ყოველივე,

მაგრამ გულს მივსებს სიხარულით ქების იმედი,
მუზათა ტრფობა სულს მოიცავს უნაზეს გრძნობით
925 და მით ტყვექმნილი თამამ აზრით მივეშურები
გზას პიერიდთა, ჯერ არვისგან რომ არ თელილა.
აღმაფრთოვანებს, რომ პირველი დავეწაფები
ხელუხლებ წყაროს; იქ მ'შვენიერ ტურფა ყვავილთა
დიად გვირგვინით მოვირთვები, ჯერ არ ნახულით,
930 რომლით აქამდე მუზას არვინ არ შეუმკია.
ჯერ ერთი, მიტომ, რომ მე ვარკვევ დიად საკითხებს:
ადამიანი უნდა ვიხსნა რელიგიისგან,
შემდეგ, მიტომაც რომ ძნელ საკითხს უბრწყინვალესი
ლექსით გადმოვცემ, შთაგონებულს მუზების ეშხით.
935 და ხერხი იგი, ვფიქრობ, არის ჭკუასთან ახლო;
როცა მკურნალი აწვდის ბალღებს საზარ აბზინდას,
ფიალას, პირის გარეშემო წაუსვამს ხოლმე
ყვითელი თაფლის საამურს და უტკბილეს სითხეს,
ბავშვის ასაკი მიამიტი, სწრაფად ტყუვდება
940 და მისი ბაგე, სიტკბოს რომ გრძნობს, დაეწაფება
მწარე აბზინდას საზიზღ სითხეს და შეცდომის გზით,
ასე ამრიგად, ჯანმრთელობა კვლავ უბრუნდება.
მეც აგრეევ ვქმენ: ჩემი სწავლა მოეჩვენებათ
საქმის არ მცოდნეთ მეტად მძიმედ; უბრალოთათვის
945 საძულველია და მიტომაც მე მოვისურვე
პიერიდების ტკბილი ენით გაუწყო სწავლა,
რომ შევანელო იგი უტკბეს მუზათა თაფლით.
მე ვგონებ ამ გზით მაინც შევძლებ, რომ მოვიზიდო
ლექსებისადმი შენი სმენა, ვიდრე შეიტყობ
950 საგანთ ბუნებას და კანონებს მისი არსების.
ხომ გამცნე კიდეც, სრულად მჭიდრო მყარნი სხეულნი
საგანთ საწყისთა ვითარ სრბიან მარადჟამიერ.
ეხლა გავსინჯოთ, მათ სიმრავლეს კიდე-საზღვარი
აქვს თუ არა აქვს. რაკი ვპოვეთ სიცალიერე,
955 აგრეთვე სივრცე, რამ ადგილი სხეულთ შექმნისთვის.
განსაზღვრულია მისი არსი მთლიანობაში,
თუ უსაზღვარო, ღრმა უფსკრულით დანთქმულა იგი.

არც ერთი მხრიდან აღსასრული არ აქვს მსოფლიოს,
თუ მას უარვყოფთ, მაშინ უნდა ჰქონდეს მას ზღვარი,

960 მაგრამ საზღვარი არარას აქვს, თუ იმის მიღმა
არ იპოება კიდე ივი დასასრულისა,
რომლის მიჯნამდე ჩვენსა გრძნობას ძალუძს მიღწევა.
ხამს ვაღიაროთ, რომ არ არის მსოფლიოს მიღმა
არცა ნაპირი, ზღვარი რამე, ან განაკიდე.
965 და ამიტომაც რა ნაწილშიც იმყოფებოდე,
ან რა ადგილას, სულ ერთია, მაინც ყოველმხრივ
უსასრულომდე განფენილად დარჩება ივი.
გარდა ამისა, თუ დაუშვებთ, რომ აქვს საზღვარი
მთლიანად სივრცეს და თუ ვინმე სრბოლით მიმწვდომი
970 მის განაკიდეს სტყორცნის ისარს რაც ძალღონე აქვს,
რა გეზით იყო წარმართული, იმავ გზაკვალით
კვლავ განაგრძობდა ხანგრძლივ სრბოლას შეუწყვეტელად.
განა რამ ძალა იმის სრბოლას დააბრკოლებდა?
ამ ორ აზრთაგან შენ უნდა სცნო ერთიც, მეორეც.
975 აი ამათგან შენ ორივე გზად გეღობება
და გაიძულებს აღიარო უსასრულობა.
ანდა აბრკოლებს და ხელს უშლის რამ იმის წინსვლას,
რომ არ მივიდეს ეს ისარი დანიშნულ საზღვარს,
ან თუ კვლავად სრბის, ჩანს, არ იყო კიდით ნატყორცნი,
980 არ მოგეწვები არასოდეს და შენ საცა კი
მსოფლიოს კიდეს აღმინიშნავ — ისარზე გკითხავ.
ბოლოს გამოვა, რომ ვერ შესძლებ საზღვარის დათქმას,
ნატყორცნის სრბოლა გაგრძელდება დაუსრულებლივ.

•

გარდა ამისა, მთელი სივრცე ყოველის მხრიდან
985 შემოფარგლული ყოფილიყო მტკიცე საზღვრებით,
დამთავრებულიც, მატერიის მთლიანი მასა
მყარ სხეულთაგან შემორტყმული ჩაიშლებოდა,
არრა იქმნოდა ცის ქვეშეთში, არ იქნებოდა
არცა თვით ზეცა, არც მზის შუქი მანათობელი
990 და ასე რიგად მატერია უწესო გროვად
გარდაიქმნოდა ჟამთა სრბოლის მიმოქცევაში.
მართლაცდა, აბა, ეს სიმშვიდე სადღა ექნებათ
საგანთა საწყისთ, თუ არ არის ფუძე, საყრდენი,
რომ შესძლებოდათ იქ შეკრება, უძრავად ყოფნა.

995 მარად უწყვეტი მოძრაობით იქმნის საგნები
და ყოველის მხრით, როგორც ქვემოთ, ისე ზენოდან
უძირო სიღრმით ბიმოდიან საგანთ საწყისნი.

თვალნათლივ ხედავ, რომ საგანი საზღვრავს საგანსვე,
ჰაერი საზღვრავს მთათა ნწვერვალს. მთები კი ჰაერს,
1000 მიწა ზღვას ფარგლავს, ვრცელი ზღვა კი საზღვრავს თვით მიწას.
და არრა არის. რომ ფარგლავდეს იმას გარედან.
ისე უძირო თვის ბუნებით არის მსოფლიო,
რომ თვით ბრწყინვალე ელვის სხივიც ვერ ნეიძლებდა,
საუკუნეთა მარად სრბოლას მიდევნებული,
1005 რამენაირად სულ ბოლომდე რომ მიღწია.
აი ესოდენ უსაზღვროა საგანთ განფენა,
არ აქვს საზღვარი, გზახსნილი აქვს კიდით კიდეამდე.

ბუნება ილტვის, რომ არ ჰქოდეს რამე საზღვარი
საგანთ სისრულეს, საზღვარს უდებს სიცალიერით
1010 ის ყოველ საგანს, საგნით მიჯნავს სიცალიერეს,
რომ ამნაირად ყოველივე ჰყოს უსასრულო,
ერთი საგანი მეორეს რომ არა საზღვრავდეს,
მაინ ბუნება უსასრულოდ განიერცობოდა.
1013ა რადგან საზღვარი რომ დაედვას სიცალიერეს,
1013ბ ვერ დაიტევდა ყველა სხეულს მატერიისა.
1013გ საგანთ სიმრავლე რომ ეძლია სიცალიერეს,
ვერც ზღვა, ვერც მიწა. ვერცა ზეცის ლაჟვარდი თაღი,
1015 ვერც მოკვდავთ მოდგმა, ვერც კრებული უკვდავ ღმერთების
მცირე ჯამსაც კი, ვერ ნესძლებდნენ ქვეყნად არსებას
და მატერია მოწყვეტილი პირველად კავშირს
ეკვეთებოდა უტეხ ძალით სიცალიერეს,
ეელარ ნესძლებდა ნენივთებას იგი ვერასდროს
1020 და ვერ ნექმნიდა გათიშული რაიმე საგანს.
გაუმიზნავად, ცხადი არის, საგანთ საწყისნი
მოხერხებულად ისეთ რიგად წარმართებულან
თვინიერ რამე წინასწარი ნეთანხმებისა,
თანაც ნრავალგვარ და ნრავალგზის სახეცვალებით,
1025 რომ მოძრაობენ ოდითგანვე უწყვეტი ბიძგით;
რის ნეასრულეს მოძრაობაც. ბევრი კავშირიც,

დაბოლოს მოხვდნენ ისეთნაირ ვითარებაში,
რომლით შეიქმნა ცნობილ საგანთ ნაირფერობა.
ის მრავალ წელთა მსვლელობაში შეინარჩუნებს
030 იმ მოძრაობას, რაც ერთხელვე მას განეკუთვნა.
მარად ეშვება უძღებ ზღვაში მდინარეთ ტალღა
და მზით გამთბარი დედამიწა კვლავად წარმოშობს
და აღორძინებს მრავალ ნაყოფს, მოდგმას სულდგმულთა.
კვლავ ელვარებენ მიმომსრბოლნი ცისა მნათობნი,
035 ესე ყოველი არარა გზით არ მოხდებოდა,
თუ მატერია ძალს არ ჰკრებდეს უსასრულოდან,
რომ დანაკლისი ყოველგვარი დროით შეივსოს.
ვთქვათ რომ მოაკლდეს ცხოველს საზრდო, გახდება იგი,
დაძაბუნდება მთელ სხეულით, ასე ყოველი
1040 კლებას იწყებს და შემცირებას, თუკი მოაკლდა
მას მატერია განკუთვნილი არსებობისთვის,
და თვით ბიძგები ვერ შესძლებდა შენარჩუნებას
საგანთ წყობისთვის უცილობელ მთლიანობისა.
ხშირ-ხშირი დარტყმით ძალუძთ იმათ ნაწილის დაცვა,
1045 ვიდრე შეკრბება, სრულ არსებას რაც მისცემს საგანს.
მაგრამ ამავ დროს საჭიროა უკან დახევაც,
რომ საგანთ საწყისთ მიენიჭოს ის საძრაობა,
რომელიც შესძლებს თავისუფლად შეკავშირებას.
ამრიგად, მაინც საჭიროა საწყისთ ემატოს,
1050 და რომ ბიძგებიც განმეორდეს შეუწყვეტელად,
თვით მატერია უნდა იყოს დაუსასრულო.

შორს დაიჭირე, ო, მემიუს იმ რწმენისაგან,
მსოფლიოს გულში თითქოს ყველა მიმართულიყოს,
ვითომც მსოფლიოს ამიტომაც ძალუძს არსება
1055 ბიძგთა გარეშე, მის გათიშვა არრას ძალ ედვას,
რადგან ყოველი წარმართულა შუაგულისკენ
(თუკი ირწმუნებ, რომ საგანი თავის თავს იჭერს).

არარა არის მიწის ქვემოთ, სიმძიმით მისკენ
მიმართულიყოს თავდაყირა დაყუდებული,
1060 ვით ანარეკლი, წყლის ზედაპირს რომ შეგვინიშნავს.

არ არის სწორი ცხოველებიც ვითომც ჩვენს ქვემოთ
მიმოდიოდნენ, ვერ შემძლენი დედამიწისგან
თავის აღმართვის, ვით ჩვენს სხეულს არ შესწევს ძალა
თავისდათავად რომ აფრინდეს ზეცის წიაღში.
1065 ვითომც ისინი მზესა სჭვრეტენ, როს ჩვენ შევყურებთ
ღამის მნათობთა, ცვალებადობს, ვითომც, ჩვენ შორის
დროთა მსვლელობა, მათი ღამე ჩვენ დღეს უდრიდეს,
მხოლოდ აშკარა სულელები მას ამტკიცებენ,
ვინაც უკუღმართ აზროვნებას მიჩვეულია,
1070 ხომ შუაგული არ ექნება მსოფლიოს, რომელს
არა აქვს ბოლო. ვსთქვათ, აქვს საგანს შუა წერტილი,
ვერ დარჩებოდა ის უმისოდ, რომ სხვა რაიმეს
არ გამოეგდო იგი უკან თვის ადგილიდან,
რადგან ყოველი ადგილი და სიცალიერე
1075 შუა წერტილში, ან მის გარეთ უთმობს თვის ადგილს
მძიმე სხეულებს, სხვადასხვა გზით რომ მიმოდიან.
არც იპოვება რამ ადგილი, საცა სხეულნი
წონას ჰკარგვიდნენ და ცალიერ სივრცეშიც დარჩნენ.
სიცალიერე ვეღარ შესძლებს რისმე დაჭერას,
1080 რადგან ბუნების შესაფერად ის მარად უთმობს.
და ვერ შესძლებდნენ ურთერთ კავშირს საგანთ საწყისნი,
მარად ძლეულნი ძალუმ ლტოლვით შუაგულისკენ.

ყველა საგანი, მათი აზრით, როდი მიილტვის
შუაგულისკენ, მარტოდმარტო მიწა და სითხე,
1085 ან მხოლოდ იგი, მიწის გარსით რაც რამ მოსილა,
ან ტალღა ზღვისა, მდინარება მთით ნასხლეტ ღვარის;
ხოლო, პირიქით, ამბობენ, რომ ჰაერის დენა,
მცხუნვარე ცეცხლი შუა გულით გარე ილტვისო,
ვითომც ამიტომ აელვარებს ვარსკვლავნი ეთერს,
1090 ცათა ლაჟვარდში გროვდებაო თითქოს მზის ალი,
რადგანაც სითბო შუაგულით თავს იქ იყრისო.
ვერ შესძლებდნენო ხეთ მწვერვალნი მწვანედ გაფურჩქვნას,
რომ მათი საზრდო, მიწის გულით ამომავალი,
ცოტცოტაობით არ სდევდესო ხის ტოტს წვერამდე.
1095 ცხადია, ცდება, ვინც კი მისდევს ამ გზააბნეულთ;

მათი მტკიცება არის სრულად შეუსაბამო,
რადგანაც იგი ემყარება მცდარსა წანამძღვარს.
როგორც გითხარი, აღარა აქვს საზღვარი სივრცეს,
დაუსრულებლად მოჰფენია ის ყოველ მხარეს.
1100 უნდა ირწმუნო შენ სავსებით უცილობელად,
უსასრულოა მატერიის განფენილობა.
1102 მსრბოლ ცეცხლთა მსგავსად, ამ მსოფლიოს ზღუდე და ბჭენი
მსწრაფულ რომ არ გაქრეს და ჩაინთქეს სიცალიერით,
და თან ყოველი რომ არ მიჰყვეს იმას უკანვე,
1105 რომ არ დაემხოს ცის ტატნობი მეხთა მტეხელი
და რომ ფერხთ ქვეშე სულ არ გაჰქრეს ეს დედამიწა,
არ აირიოს ცის ნამსხვრევნი და საგანთ ნაშთნი
სხეულთ დაშლისას რომ არ შთანთქას სიცალიერემ,
ისე, რომ ერთ წამს ყოველივე არრად გარდიქმნას,
1110 არ დარჩეს მხოლოდ ბრმა საწყისნი, ტიალი სივრცე,
მიტომ რომ თუკი საგანთ ნაწილს მოაკლებ რასმე,
მსწრაფულ გაიღება საგანთათვის სიკვდილის კარი
და ამ კარიდან მატერია გაქრება სრულად.
ამ მცირე შრომით შეგიძლია შეიტყო ყველა,
1115 რადგან ერთიდან მეორე რამ გამოდის მუდამ.
წყვდიადი ღამე ვერ დაგიბნევს შენ სავლელ გზაკვალს,
ბუნებას იცნობ: წინა სხივი სხვას გაგიშუქებს.

წიგნი
ექვსი

Სასიამოა, როს გრიგალით აღბორგილ ზღვაზე,
ნაპირას მდგარი გასცქეროდე სხვათა გასაჭირს,
მიტომ კი არა, სხვის ტანჯვაში სიტკბოს ჰპოვებდე,
განსაცდელისგან რომ შორსა ხარ, იგი გახარებს.
6 სასიამოა დიდთა ბრძოლათ, შეჯახებათა
5 ჭვრეტა ვრცელ ველით, როს შენ არ ხარ თვით მონაწილე,
მაგრამ არრაა უამესი, სიმშვიდით მისწვდე
სინათლის ტაძარს, ბრძენთა ცოდნით მტკიცედ ანაგებს,
სადით შენ ძალგიძს გადმოხედო ყოველთა კაცთა,
10 ცდომით, ტორტმანით, ვით ეძებენ ცხოვრების სწორ გზას.
სურთ ერთურთს სძლიონ ნიჭითა თუ გვარიშვილობით,
დღისით და ღამით უწყვეტ შრომით ვითარ ილტვიან,
რომ მიაღწიონ ზღვა სიმდიდრეს, მაღალ უფლებას.
ჰოი საბრალო კაცთა მოდგმავ, შავბნელო გულო!
15 რარიგ წყვდიადსა და საფრთხეში მოგიქცევია
შენი ცხოვრების წუთიერი დროვამთა სრბოლა.
ნუთუ ვერ ხედავ, მასლა ითხოვს ბუნება შენგან,
ტკივილი რამე სხეულმა რომ არ განიცადოს,
და სული შენი ნებივრობდეს უშიშ-უზრუნველ,
20 მაშასადამე, ჩვენს ბუნებას მცირე რამ უნდა,
ის, რაც კი ტანჯვას განარიდებს მის არსებისგან.
სიამოვნების მინიჭება ბევრს რასმე ძალუძს,
რადგან საამოს თვით ბუნება როდი გვიმალავს,
თუნდა არ გედგას სასახლეში ოქროს ქანდაკნი
25 ლამაზ ჭაბუკთა, ხელთამპყრობნი ჟინჟღილ-ჩირაღდნის,
ღამის ზეიმთა ნათელ შუქის მიმომფენელად.
ვთქვათ, არც ბრწყინვალებს შენი სახლი ოქრო და ვერცხლით,
არცა მოოჭვილ ჭერთა ქვეშე ჟღერს ჩანგ-ებანი,

მის ნაცვლად ძალგიძს ლბილ მდელოზე წამოწოლილსა,
30 გრილ წყაროს პირას, მაღალ ხეთა ჩრდილნარის ქვეშე,
სულ მცირედითაც დაიამო სული და გული,
თუ, მით უმეტეს, დარიც დგას და წლის დროც ისეთი,
მწვანეთა შორის უხვად რომ ჰფენს ვარდსა და ყვავილს.
ციების სიცხე განა უმალ შორდება სხეულს,
35 რომ ძოწეული მეწამული ლოგინად გეგოს,
ვიდრე პლებეურ სარეცელზე განისვენებდე?
რაკი ჩვენს სხეულს არრას ჰმატებს არცა დიდება,
სახელოვნება, ან მეფური ძალაუფლება,
ხამს ვაღიაროთ, რომ სულისთვის ყველა ფუჭია.
40 განა, როდესაც ხედავ ველზე შენს ლეგიონებს
მიმომქროლვარეთ, თვალწინ გიდგას ბრძოლის სურათი,
ჯარიც თან ახლავს მარქაფა და ცხენოსანთ რაზმიც,
თანაბარ ძალის და თანაბრად შეუპოვარი,
43ა ან შენ გემთკრებულს რომ გასცქერი მიმონავარდეს,
თუ გაგიფანტავს იგი ძოწოლას ღმერთთა წინაშე,
45 ანდა ზარხდომა სტოვებს შენს სულს? სიკვდილის შიში
შორდება შენს გულს? გევლინება სულის მშვიდობა?
თუ ეს ყოველი სასაციღოდ მოგეჩვენება,
სინამდვილეში შიში, ზრუნვა, კაცთმოდგმას რომ სდევს,
არ ეპუება საჭურველის ზარდამცემ ელარუნს
50 და უმეტესად ის თავს იჩენს მეფეთა კარზე,
თუ მას არ აკრთობს ელვარება მბრწყინავ ოქროსი,
არც თვალისმომჭრელ ძოწეულის ლაჟვარდ ფერი,
კვლავ რა ეჰვი გაქვს, რომ გონებას ძალუძს აქ შველა,
ცხოვრება ჩვენი ბნელ წყვდიადით როს დაფარულა.
55 ისე ვით ბავშვნი სიბნელეში შიშითა თრთიან,
ჩვენც იმათ მსგავსად სინათლეზე ვუფრთხით იმ საგნებს,
რომელთ საშიში არარა აქვთ იმის უმეტეს,
რაიც მცირე ბალღთ შეაშინებს ღამის წყვდიადში.
აი ეს შიში ხამს განვფანტოთ, ბნელი დავძლიოთ,
60 არა მზის სხივით, ანდა კიდევ დღისა სინათლით, —
ბუნების აზრთა და კანონთა ღრმა დაუფლებით.

მაშ, მატერიის ქმნადი ძალის რა მოძრაობა
წარმოშობს საგანთ, ანდა შექმნილს რა დაშლის ისევ?

ის რა ძალაა, საგანთ საწყისს რომ აიძულებს,
65 ან რა სწრაფვა აქვს დასაძლევად სიცალიერის?
ამას გავარკვევ, შენ კი ნათქვამს ათხოვე ყური.

და მატერია როდი არის მყარ-შენივთული,
რადგან ყოველ ნივთს, როგორც ვხედავთ, ძალუძს დაიკლოს
და ხანგრძლივ ჟამთა მსვლელობაში თანდათან გადნეს,
70 ბოლოს ჩვენ თვალწინ, ხანდაზმული, სრულიად გაქრეს.
მთლიანობაში ყოველივე თითქოს უძრაობს,
რადგან ნაწილი როცა სტოვებს რაიმე საგანს,
მას თუ აკლდება, ემატება სხვას რომელსამე,
ერთს რომ აკნინებს, ნაცვლად ამის ზრდის ხომ მეორეს.
75 ეს ხდება სწრაფად. განახლდება მარად ყოველი.
მოკვდავთა წყება რიგრიგობით ცხოვრობს ამ ქვეყნად.
მატებაშია ზოგი მოდგმა, ზოგიც კლებაში
და მოკლე დროით იცვლებიან არსთა წყებანი,
ვით მორბენალნი, ისე ცვლიან ცხოვრების ჟინჟღილს.

80 თუკი გგონია საგანთ საწყისთ ძალუძთ შეჩერდნენ
და შემდეგ ისევ აღადგინონ თვის მოძრაობა,
აშორებულხარ გზას ჭეშმარიტ აზროვნებისა,
რადგან ცალიერ სივრცეში მყოფთ მიუცილებლად
ან თვით სიმძიმე მოძრაობად წარიტაცებდა,
85 ან სხვათა ბიძგი, რაკი ხშირად სისწრაფით მსრბოლნი
ეჯახებიან და ერთურთით განიტყორცნიან.
ეს როდი არის საკვირველი, რადგან მტკიცეა
სიმძიმ-სიმკვრივით, უკუ სხლტომას ვერრა აბრკოლებს.
თუ ვით იძვრიან შეუწყვეტლად საგანთ საწყისნი,
90 ეს რომ შეიტყო, არ აქვს ძირი, უნდა გახსოვდეს,
სრულად მსოფლიოს, საგანთ საწყისთ არ აქვთ ადგილი
დასვენებისთვის. არ არსებობს რაკი შუალედი,
დაუსრულებლივ განფენილა არე ყოველმხრივ,
საღ აზროვნების ვით ნათელვყავ მრავალ საბუთით.
95 რაკი ასეა, ცხადი არის, არ აქვს სიმშვიდე
საგანთა საწყისთ მთელ სივრცეზე სიცალიერის.
სიმშვიდის ნაცვლად შეუწყვეტელ ძვრითა და ბიძგით,

ხან დიდ მანძილით ერთურთისგან გაითიშვიან,
ხან კი მცირედი რამ შუალედი რჩება მათ შორის.
100 აი ესენი, მეტისმეტად შეერთებულნი,
ერთურთს შორავენ სულ მცირედი რამე მანძილით,
გადახლართულნი თვისთა სახეთ მრავალგვარობით,
ამათგან მტკიცე კლდეთ ბორძალნი, რკინის სხეულნი
წარმოიქმნება, სხვაც მრავალი მათი გვარისა.
105 დანარჩენები, რიცხვით მცირე, როს მიმოსრბიან,
შორით ჯახება მათ შორსავე, დიდ შუალედზე,
გასტყორცნის ისევ, ხოლო მისგან თხელი ჰაერი
და მოელვარე მზის სხივები წარმოიშობა.
და ამათ გარდა სრბიან კიდევ სიცალიერეს
110 საგანთ კავშირით მოწყვეტილნი, რომელთ აქამდე
სხვა საწყისებთან შეერთება არ ღირსებიათ.
რაც კი აღვნიშნე, მის სახების გამოვლინება
სრულად ყოველი, ჩვენ თვალთა წინ არის და ხდება,
ხომ ვხედავთ მართლაც, როს მზის სხივი შემოანათებს
115 და ჩვენ ოთახის ბინდბუნდს გაჰკვეთს თავის ნათელით.
ნაწილაკები, ნახავ, ჰკვეთენ ცალიერ სივრცეს
და მოკიაფე სხივთა შორის მოსრიალეთა
ომი აქვთ თითქოს, უსასრულო ბრძოლა-ჭიდილი,
ბოლო არ უჩანს მათ რაზმების შეჯახებათა,
120 ხან შენაერთთა და ხან ისევ უკუქცეულთა.
ძალგიძს დაასკვნა შენ აქედან, საგანთ საწყისნი
ცალიერ სივრცეს შეუწყვეტლად ვით მოძრაობენ,
უეჭველია, დიდ საქმეთა შესაცნობელად
მცირე საქმენი ჯვალს გვიჩვენებს სამაგალითოს.
125 და მით უმეტეს საჭიროა თვალნი მიაპყრო
იმ სხეულთ ქროლვას, მზის სხივებში რომ შეგინიშნაეს;
ასეთ ჯგუფებში მატერიის მოძრაობისა
უნდა განვრიტო დაფარული იდუმალობა,
მრავალი ფერფლი ფარულ ბიძგით — ძალგიძს შენიშნო —
130 მარად რომ იცვლის მოძრაობის მიმართულებას,
აქეთ და იქით და ყოველმხრივ მიმოიქცევა,
მაშ, საწყისთაგან სრბოლა იგი მომდინარეობს.
თავდაპირველად ნივთთ საწყისნი თვისით იძვრიან
და მასთან ერთად თანმიმყოლნი მცირე ნაწილნი,

135 მიახლებულნი საწყისების პირველად ძალას,
მათი ფარული ბიძგებისგან ლტოლვას იწყებენ,
შემდეგ თითონვე აღძერენ უფრო მოზრდილ ნაწილებს.
მაშ, საწყისთაგან მოძრაობა მოდის ამგვარად,
შემდეგ ის აღწევს ჩვენთა გრძნობათ და ბოლოს ხდება
140 თვალდასანახი მზის სხივებზე მცირე ფერფლებში,
თუმც ჩვენ ვერ ვამჩნევთ თვით იმ ბიძგებს, რომლით იძერიან.

თუ რა სიჩქარე განეკუთვნის თვით მატერიის
საწყის სხეულებს, მსურს, მემიუს, მოკლედ გიამბო.
ოდეს აისი პირველ ნათელს ქვეყანას მოჰფენს,
145 ფრინველთა დასნი, ხეივნებზე გადმომფრინავნი,
წკრიალა ჰანგით დილის ჰაერს როცა ავსებენ,
რარიგ სისწრაფით, უეცარად მზე ამოსული
ყველაფერს ახვევს თვის სხივების ელვარებაში.
ყოველსავ ამას ცისმარე დღე შენ ცხადად ნახავ.

150 ის მცხუნვარება, მზე რომ გვივლენს, ნათელი სხივიც
ცალიერ სივრცით კი არ მოდის, მოძრაობს ნელა,
ჰაერის ტალღებს ვიდრე სრულად გადალახავდეს,
ცალ-ცალკე როდი მოძრაობენ სითბოს ნაწილნი,
არამედ ჯგუფად მოილტვიან შეჯარებულნი
155 და ამის გამო აბრკოლებენ ისინი ერთურთს,
გარე მიზეზიც იმათ წინსვლას კიდევ ანელებს.
მკვრივსა და სადა საწყისებსა ცალიერ სივრცეს
მოძრაობისას წინ არ ხვდება რამ დაბრკოლება,
ერთ ერთეულად თვის ნაწილთან შენამჭიდროთა,
160 და ერთობლივად მიდენილთა ერთ ადგილისკენ,
აშკარა არის, აქვთ სიჩქარე გასაოცარი
და უმალესად ისწრაფვიან, ვიდრე მზის სხივი,
განვლიან სივრცეს უფრო სწრაფად, ვიდრე იმავ დროს
ცისა ტატნობზე გაიელვებს მზის ელვარება.

* * *

165 საგანთ საწყისნი თვითეულად არ განვიხილოთ,
რომ ცხადი გახდეს ყოველ საგნის არსი და წყობა.

ის ვინც უარჰყოფს მატერიას და ჰგონებს, თითქოს
ღმერთთა გარეშე თვით ბუნებას ვეღარ ძალედვას,
ადამიანთა სურვილ-ზრახვის შესაფერისად,
170 ვერც წლის დროს შეცვლა, ჭირნახულის აღმოცენება,
სხვა დანარჩენი, რაც კი მოკვდავთ მიიზიდავდა,
ვერც ვნებათ ღელვა, წამმართველი ჩვენი ცხოვრების,
ვენუს რომ აღძრავს შესაქმნელად შთამომავალთა,
რომ არ მოისპოს კაცთა მოდგმა, რომელთ გულისთვის
175 ღმერთთა ყოველი შექმნეს ვითომც; ვინც ასე ფიქრობს,
ის მეტისმეტად, მე ვგონებ, რომ შორავს სიმართლეს.
კიდეც რომ იყოს ნივთთ საწყისნი ჩემთვის უცნობი,
ცის მიხედვითაც გავბედავდი, აგრეთვე სხვათა
მრავალ მოვლენის საფუძველზე მის დამტკიცებას,
180 რომ არცა ჩვენთვის, არც ღვთის ნებით არის შექმნილი
ქვეყნის ბუნება: იმდენია მასში ნაკლი რამ.
ესე ყოველი შემდეგ ცხადვყოთ, ჩემო მემიუს,
ხოლო ამჟამად მოძრაობა უნდა ვიკვლიოთ.

ახლა კი დროა, ჩემის აზრით, რომ განგიმარტო
185 შენ ეს საკითხი: არრა საგანს საკუთარ ძალით
არ შეუძლია წიაღსვლა და მაღლა დარჩენა.
აზრს ნუ შეგიცვლის შენ დანახვა ცეცხლის ალისა,
როს წარმოიშვის, აინთება, ზევით მიილტვის,
ხეც და ყვავილიც ხომ აგრეთვე ზევით იზრდება.
190 თუმცა სიმძიმე ყოველ საგანს ქვემოთ იზიდავს.
როცა მიაღწევს მძაფრი ცეცხლი სახლის სახურავს
და სწრაფი ალი შემოერტყმის ძელსა და ლარტყებს,
არ დაიჯერო თავისთავად თითქოს ეს ხდება.
ასევე როცა სხეულიდან სისხლს გაიღებენ,
195 მაღლა ჩქეფს იგი წვრილ ნაკადად გადმომდინარე.
არ დაგინახავს ძელს და მორებს რაოდენ ძალით
მოატივტივებს ღონე წყლისა? და რაც უფრო ღრმად,
უმეტეს ძალით ქვემოთ ვძირავთ, მასზე უმეტეს
ძალითვე უკან ანატყორცნი ამოვარდება,
200 და ამიტომაც მეტნაწილით წყლის ზემოთ რჩება.
მაგრამ ეჭვიც კი, მე მგონია, არ უნდა იყოს,
ცალიერ სივრცეს რომ სხეულნი ქვე ისწრაფვიან.

ცეცხლის ალი კი უცილობლად, ჰაერის ძალით
გარშემორტყმული ზემიილტვის, მაღალ სივრცეში,
205 თუმცა სიმძიმე რასაც კი აქვს, ქვემოთ იზიდვის.
გინახავს ღამის ჩირაღდანნი, ზეცას რომ ჰქრიან,
და ცეცხლოვან კვალს მიყოლებით უკან სტოვებენ,
იმ მხარეს, სითაც თვით ბუნებამ გზა მიუჩინა.
გინახავს თუნდაც, ვარსკვლავთ ცვევნა დედამიწაზე?
210 ან მზე მაღალ ცით ვითარ მოჰფენს სითბოს გარშემო
ყველას და ყოველს, ვრცელ ველებსაც სხივებში ახვევს.
მაშასადამე, სითბო მზისა მიწისკენ ილტვის,
ან როს ირიბად სერავს თქეზ'ში ელვა სიბნელეს,
ხან აქ და ხან იქ, ღრუბელთაგან გამონატყორცნი,
215 მიმოქრის ცეცხლი, უტეხ ძალით ჰკვეთს მიწას ალი.

ვისწრაფვი მეტად, განგიმარტო ეს მოვლენანი,
ვით ნივთთ საწყისნი ქვე მიჰქრიან სიცალიერეს
საკუთარ წონით, განუსაზღვრელ დროის ნაკვეთში
და განუსაზღვრელ ადგილიდან ოდნავ ირიბად,
220 ისე ოდნავად, რომ გადახრას მას ძლივს ვუწოდებთ.
თუმცა თვინიერ ამ გადახრის სულ ყოველივე
წვიმის წვეთისებრ რომ განვლიდეს სიცალიერეს,
ქმნადი ჯახება, საწყისთ ხვდომაც არ იქნებოდა
და თვით ბუნებაც ვერ შესძლებდა რისამე შექმნას.

225 თუ ვინ ირწმუნებს, უმძიმესნი საგანთ საწყისნი
ცალიერ სივრცის უსწრაფესად გადამლახველნი,
თავს ატყდებიან უფრო მსუბუქთ, ეჯახებიან
და წარმოშობენ ბიძგთა წყებას ქმნად მოძრაობის,
ის სწორ აზრისგან დიდად არის დაშორებული,
230 რადგან ყოველი, რაც წყალს განვლის, ან მსუბუქ ჰაერს,
წონისდაგვარად მოასწრაფებს თავის დაცემას,
რაკი სუსტია თვით ბუნება წყლის და ჰაერის,
ყველა სხეულებს თანაბარად ვერ დააბრკოლებს
და უსწრაფესად უმძიმესნი დასძლევენ იმათ.
235 განა ოდესმე და რითიმე სიცალიერე
დააბრკოლებდა მოძრაობას რაიმე საგნის;

სიცალიერე თვის ბუნებით მარადჟამ უთმობს,
მიტომ ყოველი, რაც გაივლის სიცალიერეს
არათანაბარ წონისაც კი, სრბის ერთ სისწრაფით,
240 და ამის გამო მსუბუქ საგანთ არ ძალუძთ ზემოთ
დაატყდნენ მძიმეს და ბიძგებსაც ვერ წარმოშობენ,
რომ მით შესცვალონ მოძრაობა, შექმნან საგნები.
კვლავ ვიმეორებ, უცილოა მცირე გადახრა
სხეულებისთვის იმზომ მცირე, იგი, ირიბად
245 არ მოგვეჩვენოს წინააღმდეგ საღ აზროვნების.
ეს რომ ასეა, ცხადად ძალგვიძს მასში დავრწმუნდეთ.
სიმძიმის გამო, რამდენადაც შეინიშნება,
მაღლით მომავალს აღარ ძალუძს პირდაპირ ვარდნა,
მაგრამ სწორ გზიდან ვითარ უხვევს ის ამ სრბოლის დროს,
250 ამის გარჩევას ვერ შესძლებდა ვგონებ ვერავინ.

თუ მოძრაობა ისე არის გადაჯაჭვული,
რომ წინანდელით წარმოიშვის კვლავად ახალი,
და გადახრისგან ნივთთ საწყისთა, არ ამოძრავდეს
სხვა საწყისები ბედისწერის დამარღვეველად,
255 დაუსრულებლად თუ ხამს სდიოს მიზეზმა მიზეზს,
თავისუფლება სადით არის სულიერ არსთა,
სადით აღმოჩნდა, გეკითხები, ნების ხსნილობა?
რითაც ჩვენ ძალგვიძს იქ მივიქცეთ, საცა ვისურვებთ,
ჩვენი ნებისებრ მოძრაობის მხარი ვიცვალოთ,
260 განუსაზღვრელად დროისა თუ ადგილისაგან.
ეჭვი არ არის, ყოველ საგანს ნება ანიჭებს
იმ ბიძგს, რომელიც იმის არსში შობს მოძრაობას.
არ დაგინახავს, როცა ცხენებს საჯინიბოის
კარს გაულებენ, მაინც უმალ ვეღარ გარბიან,
265 თუმც მეტისმეტად წააქეზებს იმათ სურვილი.
საჭირო არის მატერია რომ ამოძრავდეს
საგნის მთელ არსში, მოძრაობა სახსრებს მოედოს,
რომ შემდეგ სულიც აღიძვროდეს მოქმედებისთვის.
მაშ, როგორც ხედავ, მოძრაობა გულით იწყება —
270 სულით აღძრული, ნებისყოფით წაქეზებული,
ის ამის შემდეგ ეფინება სხეულს და სახსრებს.
სულ სხვაა, როცა ჩვენ ვმოძრაობთ იძულებულნი

უცხო რამ ბიძგით მოყენებულ ძალდატანებით,
რადგან მაშინ ხომ მატერია ჩვენი სხეულის
275 ნება-სურვილის წინააღმდეგ ამოძრავდება,
იმ დრომდე ვიდრე ნებისყოფა შეგვაჩერებდეს.
ეხლა ხომ ხედავ, გარე ძალა კაცს თუ უბიძგებს
და აიძულებს იმოძრაოს მისდა უნებურ,
მაინც ჩვენს გულში არის რაღაც, რომელსაც ძალუძს
280 მას აუმხედრდეს, შეებრძოლოს და უკუაგდოს.
ძალა ისეთი, რომლის ზრახვით მთლად მატერია
მიმოდებული ჯერ სხეულსა, შემდეგ სახსრებზე
კვლავ მიიქცევა ზოგჯერ ისევ პირველ სამყოფელს.
და ამის გამო საწყისებში ხამს მიიჩნიო
285 ძვრის სხვა მიზეზიც ბიძგის, წონის გარდამეტებით,
უნარი იგი დანერგილა ჩვენში თავიდან,
რადგან არარით, როგორც ვიცით, არრა იქმნება.
წონა ასუსტებს ბიძგს იმდენად, რომ ის არ გახდეს
ერთადერთ ძალად, თითონ აზრიც რომ არ შეიქნეს
290 იძულებული საგნის დაძვრა მარტო იკისროს,
ან ქედმოხრილი დამორჩილდეს მისგან ძლეული.
ესე ყოველი წესრიგდება საწყისთ გადახრით,
რაიც სწარმოებს დროს, ადგილის განუსაზღვრელად.
არც როს ყოფილა მატერიის შედგენილობა
295 მეტ-ნაკლებ მჭიდრო, ვიდრე იყო ან და იქნება
მას ხომ არც არა ემატება და არც აკლდება,
რადგან მარადი მოძრაობა საგანთ საწყისის
იგივე არის, როგორიც დღეს, ან წარსულ დროში
და მომავალშიც იმოქმედებს წინანდებურად.
300 რაც კი აქამდე იშობოდა, კვლავ წარმოიშვის,
ჩვეულებისებრ აღიზრდება და ძალს მოიკრებს
იმზომ, რაოდენ მას შეჰფერის ბუნების წესით.
საგანთ ერთობას ვერ დაარღვევს ვერარა ძალა.
არსად არ ძალუძს მატერიის რაიმე ნაწილს
305 მოსხლეტილს მთელით, დაიმალოს, და არსით ძალუძს
უცნობ სტიქიონს შემოიჭრას მსოფლიოს შიგნით
და მით შესცვალოს მოელენათა მსელელობის წესი.

არ უნდა იყოს არავისთვის გასაკვირველი
რომ ნივთთ საწყისნი, შეუწყვეტლად მიმოქცეულნი,

310 მთლიანობაში უმოძრაოდ გვეჩვენებიან,
იმ სხეულთ გარდა, რომელთ ძალუძთ თვით იმოქმედონ.
თუმცაღა არსთა საწყისების რთული ბუნება
დაშორებია ჩვენს გრძნობათა მიწვდომის საზღვარს.
მაინც არსებობს მოძრაობა ჩვენგან ფარულად.
315 მომხდარა ზოგჯერ მოვლენა რამ თვალით საჩინო,
შორი მანძილით დაფარული, ვერ დაგვინახავს.
ხშირია, როცა მთის კალთაზე ხუჭუჭა ცხვრები
მსუყე საძოვრით მოხიბლულნი ზლაზვნით დადიან
და სძოვენ ბალახს გაბრწყინვებულს ალმასებრ ნამით,
320 ბატკნებიც ხტიან გამაძღარნი, ირქინებიან.
და ეს შორიდან ისე რიგად მოგვეჩვენება,
თითქოს თეთრი რამ უმოძრაო მწვანე ქედს აჩნდეს.
ან როს სირბილით შეიყრება ლეგიონები
და მოედანზე გაიშლება სურათი ბრძოლის;
325 მათი საჭურვლის ელვარება თვით ცამდე აღწევს,
სპილენძი ბრწყინავს მოედანზე, ქვეითი ჯარის
ფეხის ხმა ისმის, მთებსაც შესძრავს ბრძოლის ყიჟინი,
გამოძახილი ავარდება ვარსკვლავებამდე,
მხედარნი ჰქრიან აქეთ-იქეთ ბრძოლის ერცელ ველზე,
330 მათი თქარუნით შეირყევა გარემო სრულად,
მაგრამ მაინც კი იპოვება მთებზე მწვერვალი,
სადით ყოველი უძრავ შუქად მოგვეჩვენება.

ეხლა გადვიდეთ სხვა საკითხზე, უნდა შევიტყოთ
საგანთ საწყისთა თვისებანი, სახეთ სხვაობა,
335 მრავალფერობა, ბევრგვარობა მათი ნაკვთობის.
მიტომ კი არა, რომ მცირე რამ ერთია მათში —
სწორედ იმიტომ, რომ არრაა მათში საერთო,
ნუ გიკვირს, ისე მრავალია იმათი რიცხვი,
რომ არცა ბოლო, როგორც გამცნე, არც აქვს საზღვარი,
340 რაღა თქმა უნდა, არ აქვს ყველას ერთგვარი წყობა
და არც სახება შეიძლება ჰქონდეთ ერთგვარი.
გარდა ამისა გადახედე კაცთა მოდგმასა,
მოდგმას უტყვ თევზთა, ჯოგს და მხეცებს, მრავალფეროვანს
ფრინველთა გუნდებს, როს მხიარულ წყალთა ნაპირზე,

345 ტბათ და მდინარის მახლობელად შეჯგუფებულან,
ან ტყეთ და ჭალათ გარეშემო მიმომფრინავთა.
თვითეულ გვარის გადასინჯე არსი ყოველი,
ნახავ, სახებით ერთურთისგან განსხვავებულან,
სხვაგვარ შვილები თავის დედებს, დედები შვილებს
350 ვერ გაარჩევდნენ, აკი ძალუძთ კარგად გარჩევა
მათ ერთმანეთის არანაკლებ ადამიანთა.
ხშირია როცა ღმერთთა შემკულ ტაძრის წინაშე
გუნდრუკის კმევით სამსხვერპლოზე ხბოს ქვე დასცემენ
და ცხელი სისხლის ნაკადული იფეთქებს გულით.
355 დედა ობოლი ეხეტება მწვანე მდელოზე
ეძებს ნაკვალევს დატოვებულს წყვილ ჩლიქებისგან,
სულ იცქირება გარეშემო, რომ ბოლოს მაინც
ჰპოვოს ნაყოფი დაკარგული, მისი ბღავილი
აყრუებს ჭალებს, კვლავ ბრუნდება უკან ბოსელში,
360 გულდაკოდილი თავის შვილის დაკარგვის გამო.
ვერც ნაზი ვაზი, ვერცა მდელო ნამით მოსილი,
ვერცა მდინარე მომჩქეფარე ნაპირთა შორის
სულს ვერ უმშვიდებს, ვერ უქარვებს უეცარ ელდას,
ვერც სხვა ხბოების ხილვა ველზე დარდს ვერ ავიწყებს,
365 ვერ უმსუბუქებს მწუხარებას და სევგლახეს,
ისე ძლიერად სურს რომ ჰპოვოს თვისი ნაშობი.
და ამიტომაც მთრთოლვარე ხმით მხმობი ციკნები
თავიანთ რქოსან დედებს სცნობენ, მჩოლარე კრავსაც
ესმის დედის ხმა, როგორც ითხოვს წესი ბუნების,
370 მიტომ ყოველი, რძეს რომ აძლევს, ომ ჯიქანს ელტვის.
და რომ აიღო რომელიც გსურს პურის მარცვალი,
ყველა მათგანში ვერ შენიშნავ სრულ ერთგვარობას,
რომ არ შეეტყოს რამ სხვაობა მათ გარეგნული.
მსგავს განსხვავებას დავინახავთ ნიეარებშიაც,
375 ნაპირს რომ ამკობს თვის სიჭრელით, სად ლბილი ტალღა
ელამუნება მყუდრო ყურეს, ქვიშას ასწორებს.
მასვე ვამბობ და ვიმეორებ, რაც ვთქვი წინასწარ,
საგანთ საწყისნი ერთ ყალიბზე კაცს არ უქმნია,
მათ ქმნის ბუნება, ცხადი არის და ამიტომაც
380 ურიცხვნაირი მიმოჰქრიან მრავალ სახებად.
ადვილი არის აზრით მისწვდე, ახსნა ყოველი,
ცეცხლი ელვისა უსწრაფესად რად ჰკვეთს გარემოს,

ვიდრე მიწისა ჩირაღდნებით გაჩაღებული?
ძალგიძს მიუგო, ცით ნატყორცნი ცეცხლი ელვისა
385 უფრო წმინდაა, შედგენილი წვრილ ნაწილებით,
და ამის გამო ძალუძს გასცდეს ისეთ ვიწროებს,
რომელს ვერ დასძლევს ჩვენი ცეცხლი ხის, თუ ჩირაღდნის.
გარდა ამისა, ნათურის რქა უშვებს სინათლეს,
სითხეს კი არა, ვთქვათ, რა მიზეზით? მნათნი სხეულნი
390 უფრო წვრილია, ვიდრე წვიმის წყალს რომ შეადგენს.
აგრეთვე ღვინო ხომ საწურში სწრაფად გაივლის,
ხოლო ზეთი კი, წინააღმდეგ, ნელა მიეონავს,
უფრო მსხვილია შეიძლება მისი სხეული,
უსწორმასწორო, ურთერთშორის გადახლართული
395 და ამის გამო ვერ შესძლებენ უმალ გათიშვას,
მათი საწყისნი გამოდიან თითოეულად
და გასასვლისკენ სულ ცალ-ცალკე ეშურებიან.

აქეე დავსძენთ, რომ სითხე თაფლის, ან კიდევ რძისა
ენაზე, პირში ქმნიან გემოს მეტად საამოს.
400 და წინააღმდეგ, თვის სიმწარით მყრალი აბზინდის
ანდა თავცეცხლის მწარე გემო პირს ჩაგიშხამავს.
ძალგიძს ადვილად მის მიხვედრა — მსუბუქ-რგვალია
ის ნაწილები, რის შეხებაც გრძნობას აამებს.
და წინააღმდეგ, რაც ჩვენ გვიჩანს მწარედ და მძლაქედ
405 დაღრაკნილ ნაწილთ, მტკიცედ შეკრულთ შეუდგენიათ.
და ამიტომაც, როს იკვალვენ გზას ჩვენ გრძნობისკენ,
ასოს და სხეულს მძიმე ტკივილს მიაყენებენ.

რაც საამოა ჩვენ გრძნობისთვის, რაც უამური,
განსხვავდებიან ერთურთისგან სახოვანებით.
410 არ კი იფიქრო გულამზრზენი ხერხის ჭრაჭუნი
შედგენილიყოს ისეთ მსუბუქ ნაწილებისგან
ვით ტკბილი ჰანგი ჩანგთ სიმთაგან, ვინმე დამკვრელის
მსუბუქ თითებით მონასხლეტი, სმენად საამო.
და ნურცა ჰგონებ, ერთგვარ სახის აღწევდეს თითქოს
415 კაცთა ყნოსვამდე საწყისები ცხედრის დაწვისას,
ან როს სცენაზე კილიკიის ზაფრანს აფრქვევენ,
და გვერდით ბომონს ასდის კვამლი პანქეს საკმევლის.

და ნუ იფიქრებ კარგი ფერის საღებავები
ჩვენ მხედველობას რომ აამებს, ერთ თესლის იყოს,
420 როგორც ფერები თვალთმომჭრელნი, ცრემლთ გამომწვევნი,
რომელთ დანახვას ძალუძს აღძრას მარტოდენ ზიზღი.
მართლაც საამო ჩვენ გრძნობისთვის როგორ იქნება,
რომ იმთავითვე სწორ საწყისით არ მოდიოდეს,
და წინააღმდეგ, რაც არ მოგვწონს, რაც კი ზიზღს იწვევს,
425 უეჭველია, რომ საწყისიც აქვს იმას მქისე.
არიან ზოგნი, რომელთ გლუვად მაინც ვერ ჩასთვლი,
ვერც თუ მეტისმეტ მიმოხრილად, ან წვეტიანად,
მხოლოდღა კუთხე რამდენადმე გამოსჩენიათ;
უღიტინებენ, არკი ბასრვენ ისინი გრძნობას —
430 თხლეს ან მზიურას იმის გემოს შევადარებდი,
მგზნებარე ცეცხლი და მის გვერდით ცივ ყინვის სუსხი
არათანაბრად აღიქმება სხეულის გრძნობით,
და ამას გვამცნევს ჩვენ შეხება ორთავესივე.
შეხება, დიახ, — შეხებაა, ღმერთებსა ვფიცავ,
435 სხეულის გრძნობა, როს გარედან მას რამე აღძრავს,
ან როცა რამ სტკენს, თვით სხეულში წარმოშობილი,
ანდა როს ლაღობს ყოვლის შემქმნელ ვენუსის საქმით.
ან დაჯახებით როს საწყისნი აირევიან,
მიმოაქცევენ უწესრიგოდ ჩვენთა განცდათა.
440 საკუთარ ხელით შეგიძლიან შენი სხეულის
რაიმე ნაწილს რომ შეეხო და მით დარწმუნდე,
ვითარ საწყისნი ერთურთისგან უნდა სხვაობდეს,
რაკი იმათგან მრავალგვარი იშვის განცდანი.
და, ბოლოს, რაც კი მიგვაჩნია მაგრად და მეიდროდ,
445 უნდა მიმოხრილ საწყისთაგან იყოს შექმნილი,
და ტოტებივით ერთურთს მეიდროდ გადახლართული.
ამ გვართა შორის პირველია მტკიცე ალმასი,
რადგან იმისთვის არრას ნიშნავს რაიმე დარტყმა,
შემდეგ ქვის ძალა და შეურყევ რკინის სიმაგრე,
450 და თვით სპილენძის, რომ ეღარუნებს კართ გაღების დროს.
ხოლო იმ საგანთ, მსუბუქ და მრგვალ საწყისით შექმნილთ,
აქვთ თვით სხეული თხევადი და მიმომდინარე,
რადგან წყალივით მოსდის ხოლმე ყაყაჩოს თესლი,
ვერ შეაყენებს იმათ სრულად თესლთა კავშირი,

455 მცირე ბიძგითაც ისწრაფვიან დაქანებაზე.
ბოლოს: ყოველი, რაც მოკლე დროს ქრება თვალთგან,
ვითა ღრუბელი, ანდა კვამლი, ან ცეცხლის ალი,
თუმც არ შექმნილა მსუბუქ და მრგვალ საწყისებიდან
და, ვთქვათ, არც არის შემჭიდრული მტკიცედ ერთურთთან
460 სხეულს განბასრვენ, გაატანენ ქვასა და სიპში
ცალ-ცალკე მყოფნი. რასაც წვდება ჩვენი გრძნობები
და იმორჩილებს, ცხადად ძალგიძს შენ რომ განსაზღვრო,
არა დახლართულ, თუმც ბასრ საწყისთ ის შეუქმნიათ.
მაგრამ თუ ხედავ, რომ მწარეა რაიმე სითხე,
465 ვით წყალი ზღვისა, საკვირველი არ არის ეგე,
თუმც სითხის გვარი მრგვალ და მსუბუქ საწყისს შეიცავს,
რაკი მწარდება მქისე საწყისთ შერევის გამო,
არ უნდა იყოს უცილობლად ქაცვისებური,
მრგვალიც არიან, ამავე დროს ხორკლიც თან ახლავთ,
470 სწრაფადვე ბრუნვენ გამბასრველნი ჩვენთა გრძნობათა.
და რომ შეიტყო, მსუბუქ საწყისთ ვით შეერევა
მქისე საწყისნი და ამლაშებს ნეპტუნის წიაღს,
შესაძლო არის, რომ გამოჰყო შენ ცალკეულად.
ხომ 'წყალს მრავალგზის დედამიწით გამონაყონსა,
475 აუზში ჩასულს, დაჰკარგვია სრულად სიმლაშე.
ზემოთ რჩებიან საწყისები მლაშის შემცველი,
სიხორკლის გამო ვერ ატანენ მიწის სიღრმეში.

•

იმ დებულებას, შენ რომ გამცნე, ახალს დავურთავ,
ვგონებ ადვილად მერწმუნები, საგანთ საწყისებს
480 მხოლოდ გარკვეულ მიჯნებამდე ძალუძს ცვლილება.
ეს რომ არ იყოს, ზოგიერთი საგანთ საწყისი
დაუსრულებელს მიაღწევდა სივრცე-სიდიდეს.
როს იმთავითვე განკუთვნილი აქვს მას სიმცირე,
როდილა ძალუძს შეიცვალოს მრავალსახებად.
485 წარმოიდგინე, როს შესდგება რამე სხეული
სამ ან უმეტეს სულ უმცირეს ნაწილისაგან,
და თუკი შემდეგ ამ სხეულით აღებულ ნაწილს
მიმოაბრუნებ აღმა-დაღმა, მარჯვნივ თუ მარცხნივ
და გამოარკვევ, თუ რაგვარი სახეთ ცვალება

490 იყო შესაძლო სხეულისთვის შესაფერისი.
თუ მოისურვებ კვლავ შესცვალო მათი სახენი
ახალ ნაწილთა ხამს ურთავდე, ამას მოჰყვება
კვლავ ახალ ნაწილთ მომატების უცილობლობა,
თუ კვლავ ისურვებ, რომ შესცვალო მათი სახენი,
495 მაშასადამე, სახის შეცვლა ახალ საწყისთა
მირთვას მოითხოვს. ამის გამო ნურც კი იფიქრებ,
რომ საგანთ თესლნი უსასრულოდ მრავალფერობდეს,
ანდა სიდიდე იყოს მათი უზომ-უსაზღვრო.
როგორც უკვე ვთქვი, ასეთი რამ არ შეიძლება,
500 მაშინ ხომ უკვე უცხო ფარჩა მელიბოური,
მეწამულ ფერად თესალიურ ნიჟრით ნაღები,
ოქროსებური ფარშავანგთა ბრჭყვიალა კუდი,
ახალ საგანთა ბრწყინვალებით გაცუდდებოდა,
შეგვძაგდებოდა თაფლის გემო, სმირნის სურნელი,
505 სიმღერა გედის, თებეს ჩანგის სიმთ ამო ჟღერა
იმავ მიზეზით სამუდამოდ დადუმდებოდა,
თუკი მომდევნო დაჩრდილავდა სრულად წინანდელს,
ანდა პირუკუ, უარესი შეიქნებოდა,
ისევე როგორც ის შესძლებდა უმჯობესობას.
510 ერთი მეორის უცუდესი გახდება ყველა
ყნოსვისა, სმენის, მხედველობის, გემოვნებისთვის.
ასე როდია, რადგან საგანთ გარკვეულ საზღვარს,
ხამს აღიარო, თანვე ახლავს ორივე მხარე,
და მატერიას ფერობს სახეთ განსაზღვრულობა.
515 და ბოლოს ცეცხლის მცხუნვარებით ზამთრის ყინვამდე
არის საზღვარი ორივე მხრივ ზუსტ ოდენობის.
ყოველ სითბოსა, სიცივესაც ხომ გააჩნია
რამ შუალედი მსაზღვრელ ფარგლის ამოსავსებად.
ყოველი არსი ზუსტ საზღვრებში განლაგებულა,
520 რადგან ფარგალი გარკვეულსა აღნიშნავს კიდეს,
მწველ სიცხეს აქეთ და იქეთ კი სიცივეს მკაცრსა.

ეს რომ განვმარტე, განვიხილავ ეხლა სხვა საგანს,
შენც დარწმუნდები ნათქვამიდან, რომ ნივთთ საწყისნი,
ერთი მეორის თანაბარი სახის მქონენი,
525 ურიცხვ არიან, თუმც საზღვარი არის მათ შორის
სახეთ სხვაობის. თანაბარი საგანთ საწყისნი

ან სულ ურიცხვი უნდა იყოს, ან მატერიას
აქვს დასასრული, კარგად ვხედავ ეს არ მოხდება
და ამ ლექსებში ვთქვი ხომ კიდეც, მცირე ნაწილნი
530 რომ ოდიდანვე საგანთ კავშირს იცავენ მეთქი,
მარად შობილთა თანმიმდევარ უწყვეტ ბიძგებით.
თუმც, მართალია, იშვიათად ხედავ ზოგ ცხოველს,
ნაყოფიერიც რომ არ არის მასაც შენიშნავ,
ხოლო სხვა ქვეყნად, შორს აქედან რომ იმყოფება,
535 მრავლის მრავალი ძალგიძს ნახო, რიცხვის შემვსები.
ოთხფეხთა შორის სულ პირველად ვხედავთ ჩვენ სპილოს,
გველისებური რომ აქვს ხელი. მთელი ინდეთი
გარშემორტყმულა სპილოს ძვალის ბევრად ბევრ ბოძით,
ისე რომ შესვლა შეუძლოა: ესდენ დიდია
540 ამ ცხოველთ ძალა, ჩვენში კი მათ ძნელად თუ ნახავ.

აი დაგითმობ ამ საკითხშიც, ვთქვათ რომ არსებობს
რაღაც საგანი შექმნილთაგან ის ერთადერთი,
რომლის ბადალი აღარ იყოს მთელ ქვეყანაზე,
და მატერიას რომ არ ჰქონდეს უტეხი ძალა,
545 სადით შეესძლებდა არსი იგი, ან წარმოშობას,
გაზრდა-გაფურჩქვნას, საარსებო საზრდოს პოვნასა?
დიაღ რომ მართლაც, ერთი საგნის წარმოსაქმნელად
საგანთ საწყისნი გამიზნული რომ იყოს მხოლოდ,
საიდან, როგორ ან რა ხერხით შეჰკრებდა საწყისთ
550 უზომ-უძიროდ მიმობნეულ ზღვა მატერიით?
ვფიქრობ, არასგზით არ მოხდება მათი შეკრება;
და როგორც ღელვა-ქარიშხალში გემთ დაღუპვისას
მიმოფანტულა ვრცელ ზღვის სივრცეს გემთა ფერდები,
ანძა, ბაქანი, დედაბოძი, კიჩო, ნიჩაბი,
555 ნაპირის გასწვრივ სჩანს მიყრილი გემთა ნამსხვრევი,
გასაფრთხილებლად კაცთა მოდგმის, თავი არიდონ
მაცდური ზღვისა სავერაგო ბოროტ ცდუნებას
და განერიდონ, აღარ ენდონ იმას მაშინაც,
თუ გინდ მაცდურად იღიმოდეს სრულიად მშვიდი,
560 ისევე, თუ სთქვი, რომ საწყისნი განსაზღვრულია,
მაშინ ისინი ერთურთისგან გათიშულები,
სულ ყოველ მხარეს მატერიით განიფანტვოდნენ

და ვერასოდეს ვერ შესძლებდნენ ისევ შეკრებას,
ერთად თავმოყრას, რისმე შექმნას, ან გამრავლებას.
565 მაგრამ ხომ საქმე დაგვიმტკიცებს ერთს, მეორესაც.
საგანი იშვის, წარმოშობილთ ძალუძს იზარდოს,
საგანთ საწყისნი, ცხადი არის, მრავალგვარია,
უსრულებელი, ყოვლის შემძლე და შემოქმედი.

ამის გამოა მოძრაობა, ყოვლის მომსპობი,
570 ველარ შეიძლებს უწყვეტ ყოფის განადგურებას,
ვერც საგანთმშობი და აღმზრდელი მოძრაობანი
სამარადჟამოდ თვისთა ქმნილთა ვერ დაიფარვენ.
ესრეთ სწარმოებს თანაბარი ბრძოლა საწყისთა
დაუსაბამ.ი დროიდანვე წამოწყებული.
575 აგერ იმარჯვებს საგანთ მშობი სიცოცხლის ძალნი,
აგერ მარცხდება და მიერთვის ზარს მგლოვიარეს
მზის ნათელ სხივის ახლად მხილველ ყრმათა ტირილი.
არ მოჰყოლია არც დღეს ღამე, ღამეს აისი,
რომელს არ ესმას შერეული ბავშვის ტირილთან
580 მკვდრის დატირება, წესისამებრ დასაფლავების.

და ეს სიმართლე ჩაიბეჭდე შენს გონებაში,
არ დაივიწყო და გახსოვდეს მარადჟამიერ,
არაფერია რასაც ვხედავთ ჩვენს გარეშემო,
რომ სულ თანაბარ საწყისთაგან შედგენილიყოს,
585 და არ შეექმნას ის საწყისებს მრავალფეროვანს.
საგანი იგი, რომელს ძალა აქვს მეტისმეტი,
შედგენილია უფრო მრავალ საწყისებიდან,
და ეს გვიმტკიცებს მის ძალას და მრავალფერობას,
გარდა ამისა, აქვს თვით მიწას პირველ-სხეულნი,
590 სადით ავსებენ ზღვას უძიროს გრილნი წყარონი,
ანდა ისეთნი, მგზნებარე ცეცხლს რომ წარმოშობენ.
რადგან მრავალგან ცეცხლით იწვის პირი მიწისა,
და ცეცხლს უმძაფრესს, აღმოანთხევს მძვინვარე ეტნა.
გარდა ამისა აქვს თვით მიწას ის საწყისები,
595 კაცთა მოდგმისთვის წარმომშობი მიწის ნაყოფთა,
ან წყაროს წყალი და ფოთლები, მსუყე საძოვი

განმზადებულა მთის მწვერვალზე მყოფ ცხოველთათვის,
ის დიად დედად იწოდება — დედად ღმერთების
და წარმომშობად ცხოველთა და კაცთა მოდგმისა.
600 მას უმღეროდნენ უძველესნი ბერძენთ პოეტნი.

* * *

ორ შებმულ ლომსა ის მართავსო, ეტლზე მჯდომარე,
ნიშნად იმისა, ჰაერთ შორის მიწა კიდული
ვერ შეიძლებსო რომ მიეყრდნოს თითონვე მიწას.
ლომნი შეუბამთ, რომ უწყალო შთამომავალიც
605 ხამს მორჩილებდეს დედობრივსა ზრუნვას და ნებას.
ციხისებრ გვირგვინს შეუმკია იმისი თავი,
ციხე ქალაქნი მტკიცე ადგილს რომ აუგია.
ამრიგად მორთულს ატარებენ ვრცელ ქვეყანაზე
და შიშს აღძრავენ ღმერთთა დედის შეხედულებით.
610 სხვადასხვა ტომმა ძველი რწმენის შესაფერისად
„დედა იდეა" უწოდა მას და მიუბოძა
ამალად გუნდი ფრიგიელთა, რადგან იმათგან
წამოწყებულა მკა და თესვა, პურის მოყვანა.
თან საჭურისნიც, რომ ენიშნოთ ვინც შეურაცხყოფს
615 დიადსა დედას, თავის მშობელს პატივს არა სცემს,
ისინი სთვლიან მათ ულირსად, რომ მომავალში
წარმოშვან თითონ მზის ნათელზე მოდგმა ახალი.
დაფის დაფდაფი და ხმაური წინწილ-ებნისა,
საყვირთა ბგერა სულ გარემოს შეაზრიალებს,
620 გულს ამღელვარებს სალამური ფრიგიულ ჰანგით.
ლახვრებიც მოაქვთ ეს ნიშანი ამძვინვარების,
ცოდვილი სული ურწმუნო ბრბოს, გულიც არწმინდა,
ძრწოლამ შეიპყროს დიად ღმერთის ძალის წინაშე.
გასცდა თუ არა მისი ეტლი ქალაქის ზღუდეს,
625 ღმერთი მდუმარე მიანიჭებს მოკვდავთ წყალობას.
სპილენძს და ვერცხლსა მიმოფანტავს მის სასვლელ გზაზე
ხალხი გულუხვი, თოვს გარშემო ვარდყვავილები,
და სულ დაფარავს თვით ღვთაებას, მის ამალასაც
და შეეურვილი რაზმიც მიდის აბჯართ ჟღარუნით,

630 რომელთ ბერძნები უწოდებენ ფრიგელ კურეტებს.
როკვით მავალნი, აღნატაცნი დაღვრილი სისხლით
თავზარდამცემად მოარხევენ საშინელ ჯიღებს.
დიქტელ კურეტებს გამოსახვენ, რომელთაც, თითქოს,
კრეტაზე ძველად დაუხშვიათ ზევსის ტირილი,
635 ბავშვებთან ერთად, ყრმა ზევსს ირგვლივ გარს რომ უვლიდნენ,
637 ხტოდნენ ისინი, თანაც სპილენძს აჟღარუნებდნენ,
სატურნს რომ შვილი არ ეპოვა, პირს არ მოეგდო
და საუკუნოდ დედის გული არ დაეკოდა.
640 მიტომ დიდ დედას შეეფურვილი ახლავს მცველები,
ან რომ აუწყონ ღმერთის ნება მძლე იარაღით
და ვაჟკაცობით ხამს დაიცვან მიწა, სამშობლო
და ექმნენ მშობლებს მცველ-მფარველად და საამაყოდ.
თუმც კი წარმტაცად გვეჩვენება ეს თქმულებანი,
645 ჭეშმარიტებას მეტისმეტად დაშორებია,
რადგანაც ღმერთნი თვის ბუნებით უცილობელად
ხამს ნეტარებდნენ მშვიდობიან, უკვდავ ცხოვრებით
ჩვენთა საქმეთა, ზრუნვათაგან დაშორებულნი.
არ უნდა ჰქონდეთ არც სევდა რამ, არცა რამ შიში,
650 თავისით სრულად კმაყოფილთა, არრის მოსურნეთ,
არც რამ სიკეთე, არცა რისხვა შეაძრწუნებდეს.
ხოლო მიწას კი არ ჰქონია გრძნობა მის დღეში,
მაგრამ, რადგანაც მრავალ საწყისთ არის მფლობელი,
მრავალნაირად, მრავალს რასმე მზის შუქს უჩვენებს.
655 და თუკი ვინმე თვის სურვილით ზღვას არქმევს ნეპტუნს
და პურს - ცერერას, ურჩევნია ღვინოს ბახუსსა
მიუწოდებდეს ნაცვლად მისთვის შექმნილ სახელის,
მოდი დავუთმოთ, დედამიწას, დაე, ეწოდოს
ღმერთების დედა, მაგრამ მაშინ უნდა ახსოვდეს,
680 რომ თვისი აზრი რელიგიით არ წაიბილწოს.

660 ამის გამოა, რომ თუმც ხშირად ერთ საძოვარზე
არის ცხვრის ფარაც და უხედნელ ცხენების ჯოგი
და რქა-მოხრილთა ხართა ჯოგიც, ყველა ერთ ცის ქვეშ
და წყურვილსაც კი ერთ მდინარის წყალით იკლავენ,
მაინც ცხოვრობენ სულ სხვა გვარად თვისთა მშობელთა
665 ჩვევას და ქცევას თანდაყოლილს კვალდაკვალ სდევენ.
ესოდენ სხვაობს მატერია, რაგინდ რა გსურდეს

ჯიშის ბალახში, ყოველსავე მდინარეშიაც.
და რა გინდ გსურდეს ცოცხალ სხეულს აქვს თანაბარი
სისხლი და ხორცი, ძვალი, ძარღვი, ნერვი და სითხე,
670 თან შიგნეულიც, ერთურთისგან განასხვავები,
წარმოშობილი სხვადასხვაგვარ საწყისებისგან.
და ყოველივე, რაც რამ იწვის, ალს მოიკიდებს,
სხვა რამ თუ არ აქვს, მაინც ძალუძს თავის სხეულით
ააღოს ცეცხლი, თვის გარშემო ჰფინოს ნათელი,
675 წინწკლები ჰყაროს, მიმოფანტოს ირგვლივ ნაცარი.
თუ შენ დანარჩენს ამგვარადვე გამოიკვლევდი,
აღმოაჩენდი, რომ საგნებში იფარვის თესლნი,
რომელთ სხეულნი ბევრგვარ საწყისთ შეუდგენიათ.
679 ბოლოს ბევრს ნახავ საგანს, რომელთ ფერსა და გემოს
681 ეთანაბრება სურნელებაც, თუგინდ საკურთხიც,
681₁ ღმერთებისათვის სამსხვერპლოზე რომ დააკმევენ.
მაშასადამე, თვით საწყისნი უნდა სხვაობდეს.
სუნი იქ აღწევს, საცა ფერი ვეროდეს მივა,
ფერი ცალკე ვლის, გემოც გრძნობას სხვა გზით ეწვევა.
685 ახლა ხომ გჯერა, რომ სახენი ბევრგვარი არის.
სხვადასხვაგვარი საწყისები რომ ერთდებიან
ამ თესლთ შერევით შეიქმნება საგანთ სიმრავლე.
თვით ჩვენს ლექსებში, ცხადად ძალგიძს რომ დაინახო,
მრავალი ასო საერთოა მრავალ სიტყვაში,
690 უნდა განსაზღვრო უცილობლად ლექსიც და სიტყვაც
სხვადასხვანაირ ასოთაგან რომ შედგენილა.
მიტომ კი არა, რომ საერთოს თვით გაურბოდნენ,
ან ვერ ჰპოებდე ორს სრულად მსგავსს ერთიმეორის,
სწორედ იმიტომ, რომ ისინი ერთურთს არ უდრის.
695 ვგონებ ცხადია, თუმც კი საგნებს მოეპოვებათ
ხშირად მრავალი საწყისები სრულიად მსგავსნი,
მაინცდამაინც ვით მთლიანნი სხვადასხვაობენ.
ამიტომ ვიტყვი, სხვადასხვაგვარ საწყისებიდან
ქმნილა კაცთ მოდგმა, მარცვალთ ჯიში, თუ ხშირი ტევრი.

700 უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველი ყოველს არ ერთვის,
არადა ყველგან იხილავდი საშიშ ქმნილებათ—
ნახევარ მხეცთა, ნახევარ კაცთ თავზარდამცემთა,

და გრძელი რტონი ცოცხალ სხეულთ გამოებმოდა,
მიწის ცხოველნი ზღვის ცხოველთა ასოს ისხმიდნენ,
705 საზარ ქიმერებს პირით ცეცხლის აღმომქშინავთა
შობდა ბუნება ყოვლისმოქმედ მიწის წიაღით;
მაგრამ, ცხადია, ეს არ ხდება და ყოველივე,
ძალგვიძს შევნიშნოთ, წარმოიშვის გარკვეულ თესლით
და გაიზრდება შემნახველი მოდგმის თვისების.
710 უდავო არის, აქ მოქმედებს კანონი რამე.
ყოველ საკვებით სხეულთ ასოს შეუერთდება
ის ნაწილები, რაც კი შეჰფერს და შენივთული
წარმოშობს ხოლმე მოძრაობას, რაც მას არ ფერობს
იგი კვლავ უკან დედამიწას დაუბრუნდება.
715 ბევრი ნაწილი ბიძგის ძალით სხეულთ შორდება,
რომელთ ვერ შესძლეს მას როგორმე შენივთებოდნენ
და საარსებო მოძრაობას ზიარებოდნენ.
არ კი გეჩვენოს, ეს კანონი მხოლოდ სულიერს
განეკუთვნოდეს, იგი ფერობს ყოველ არსებულს.
720 სრულად ბუნება რაკი არის შეუმსგავსები,
მისგან ნაშობი არსებანიც სხვადასხვანიბენ
და საწყისები მრავალგვარი ქმნიან მათ სხეულს,
მიტომ კი არა, რომ ერთმანეთს ემსგავსებიან,
სწორედ იმიტომ, რომ არრაა მათში საერთო.
725 და თუ თესლები სხვადასხვაა, უნდა სხვაობდეს
შუალედებიც, გზაც, კავშირიც, წონაც, ბიძგებიც,
და კრებადობაც, მოძრაობაც; და ფერობს იგი
არა მარტოდენ ცოცხალ არსთა, ზღვა და ხმელეთიც
გაყოფილია, დედამიწით შორსაა ზეცა.

730 ყური მიუგდე ჩემს ნაუბარს, უტკბესი შრომით
მონაპოვარსა, არ იფიქრო, რაც თვთრად მოჩანს
თვალთა წინაშე, შექმნილიყოს თეთრ საწყისთაგან.
ანკი რაც შავობს, შავ თესლთაგან წარმოშობილა.
ნურც დაიჯერებ, რამე ფერით მოსილი ნივთი
735 იმიტომ იყოს, რომ ამგვარი ფერი ჰქონოდეს
მინიჭებული მას წარმომშობ საწყისებიდან.
საგანთ საწყისებს რამე ფერი არ გააჩნიათ,
არც საგნისებრი და არც მისგან განსხვავებული.
თუკი შენ ფიქრობ, ამგვარ საგანს გონება ჩვენი

740 ველარ მისწვდება, უეჭველად შორავ სიმართლეს.
თუ ბრმად შობილნი, სხივი მზისა რომელთ არასდროს
აღარ უხილავთ, შეიცნობენ შეხებით სხეულს,
რასაც იმათთვის შობიდანვე არა აქვს ფერი,
ხამს ვაღიაროთ, ჩვენს გონებას ძალუძს შეიცნოს
745 სხეული, სრულად მოკლებული ფეროვანებას.
ბოლოს, ჩვენ თითონ ბნელ წყვდიადში აკი ვეხებით
რაიმე სხეულს მისი ფერის შეუგრძნობელად.
რაკი ეს ვძლიე, ახლა უკვე იმას მოგითხრობ,
748₁ რომ არსებობენ სხეულები სრულად უფერო.
ყოველ ფერს ძალუძს შეცვალება სხვა ფერისამებრ,
750 მაგრამ საწყისნი ეგრერიგად ვერ შეიცვლება.
ხამს რომ უცვლელი იყოს მარად მასში რაიმე,
არსი რომ არრად არ გარდიქმნას და არ მოისპოს,
თუკი რაიმე ცვლილების დროს საზღვარს გადასცდა,
უმალვე სიკვდილს ნიშნავს იმის, რაც იყო წინათ.
755 მიტომ ერიდე არსთ საწყისებს ნულა შელებავ,
რომ ყოველივე არ გადგექცეს არარაობად.

ამრიგად, თუკი საგანთ საწყისთ არა აქვს ფერი
და გააჩნიათ მხოლოდ სახე სხვადასხვაგვარი,
იმათგან ქმნილი არსებანი კი ფერს იცვლიან,
760 ამის გამო აქვს ფრიად დიდი მას მნიშვნელობა,
საგანთ საწყისნი თუ რაგვარად შეერთებულან,
ანდა რა რიგად მოძრაობენ ერთურთისადმი,
მაშინვე ძალგიძს მიაკვლიო და აზრით მისწვდე,
რატომ არის რომ, რაც ეხლახან სულ შავი იყო,
765 მარმარილოსებრ ელვარ თეთრად გარდაიქმნება,
როს ქარიშხალი ზღვის ზედაპირს აამღელვარებს,
რუხი ტალღები შეიცვლება მარმარისფერად.
და ძალგიძს რომ სთქვა, რასაც წინათ შავად ვხედავდით,
თუ მატერია აირია, დაირღვა რიგი,
770 საგანთ საწყისთა რამ მოაკლდა, მიერთო რაღაც,
უმალვე თეთრად და ბრწყინვალედ მოგვეჩვენება.
ზღვისა ტალღები ლურჯ თესლთაგან რომ შექმნილიყოს,
ვერ შეიძლებდი შენ ვერრას გზით მის გათეთრებას,
რარიგადაც გსურს აურიო ლურჯი ფერები,

775 შენ ვერასოდეს მარმარის ფერს ვერ მიიღებდი.
თუ სხვადასხვაფრად შეღებილი იგი თესლები,
რომელნიც ზღვასა ერთფეროვნად აკიაფებენ,
ისევე როგორც სხვადასხვაგვარ სახის და ფორმის
ნაწილი ზოგჯერ შექმნის კვადრატს, ერთ ფორმის მქონეს.
780 როგორც კვადრატში შეგვიძლია გამოვარჩიოთ
სხვადასხვა ფორმა, ასე ძალგვიძს შევნიშნოთ ზღვაზე,
ან სხვაგან სადმე, რასაც კი აქვს ერთი იერი,
ნაირ-ნაირი, მრავალგვარი ცალკე ფერები.
თუმც კი არ უშლის, მის ნაწილთა ფორმის სხვაობა
785 დარჩეს კვადრატი ძირითადად ისევ მთლიანი,
ხოლო ნაწილთა ფეროვნების ნაირსახობა
მეტად აბრკოლებს, რომ საგანი ერთფეროვნობდეს.
და ის საბუთიც, რომლის ძალით უნდა გვეფიქრა,
რომ ფეროვნება საგანთ საწყისთ მიზეზითაა,
790 აწ უკუვაგდეთ, თეთრი თეთრით აღარ იქმნება,
და შავით შავი, მას ქმნის რაღაც სხვაგვარი ფერი,
მაგრამ ცხადია, უნდა იყოს წარმოშობილი
ბრწყინვალე თეთრი შავით კი არ, არამედ სულ სხვა,
სრულიად უცხო, განსხვავებულ ფერებისაგან.
795 თუ არ არსებობს უსინათლოდ რაიმე ფერი
და თვით საწყისნი სინათლეში არ იმყოფება,
ხამს ვაღიაროთ, რომ ისინი უფერულია,
ან რა სინათლე შეიძლება იყოს წყვდიადში?
ფერს სცვლის სინათლე, მართლაც იმის შესაბამისად
800 სწორად თუ ცერად ირეკლს ნივთი დაცემულ სხივებს.
ამას შენიშნავ მზით განაშუქ მტრედის ბუმბულში,
კეფას და კისერს მზის სხივები რომ ულივლივებს;
ზოგჯერ ღაჟღაჟებს იგი წითლად ისე, ვით ლალი,
ხოლო ზოგჯერ კი, ისერიგად მოგვეჩვენება,
805 ლაჟვარდის ფერი ელვარებდეს მწვანე ზურმუხტში.
ფარშავანგთ ბოლოც, მზის სხივებით განათებული,
მიბრუნებისას ასევე სცვლის თვის ფეროვნებას;
და თუ ისინი წარმოიშვის სხივის დაცემით,
უნდა ვიცოდეთ, რომ უმისოდ ის არ იქნება.
810 თუ გუგას ხვდება ერთდაგვარი ნარეკლი სხივი,
რომ განვიცადოთ ფერი იგი, რომელს თეთრს ვეტყვით,
ან კიდევ შავსა, ანდა სულ სხვას ფერს რომელსამე,

თუ არ გვჭირდება საგნის ფერი, რომელს ვეხებით,
მხოლოდ ფიგურის ოდენობა თუ გვსურს შევიტყოთ,
815 მაშინ, ცხადია, საწყისთათვის ფერი მეტია,
ფორმათ სხვაობას ჩვენ შევიგრძნებთ სხვადასხვაგვარად.
გარდა ამისა, თუ არა აქვს ერთგვარ ფიგურებს
ფერიც ერთგვარი, ფეროვნება ყოველ საწყისის
ჩვენ შეიძლება წარმოგვიდგეს ყოველგვარ ფერით,
820 მაშინ ყოველი მისგან ქმნილი რად არ ატარებს
თვითეულს გვარში რომელიც გსურს იმგვარსავ ფერსა?
დავინახავდით მაშინ ყორნებს თეთრი ბუმბულით
მიმომფრინავთა, მოკიაფეთ თეთრ ფეროვნებით,
და შავი თესლით შავნი გედნი შეიქმნებოდნენ,
825 თესლიც ფერადი წარმოშობდა არსთა მრავალ ფერს.

და ამის გარდა, რამდენადაც მცირე ნაწილად
დაჰყოფ შენ საგანს, მით უმეტეს ძალგიძს შენიშნო,
თანდათანობით ვით ისპობა, გაქრება ფერი,
ასე მოხდება თუ ძოწეულს დააქუცმაცებ.
830 თვით მეწამული, საღებავი ფინიკთ ქებული,
ძაფ-ძაფ დაშლილი, თავის ელფერს დაჰკარგავს სრულად,
ამით შეიტყობ, ჰკარგავს თვის ფერს ნაწილი უმალ,
ვიდრე საგანი თვის თესლებად დაიყოფოდეს.

და ბოლოს, რაკი მიგაჩნია, რომ ყოველ საგანს
835 არა აქვს სუნი, არც უნარი ხმის გამოცემის,
მაშ საგანს ყოველს ხმა და სუნი არ განკუთვნია.
რაკი არ ძალგვიძს რომ თვალებით ყველა ვიხილოთ,
ხამს ვაღიაროთ სულ უფერულ საგანთ არსება,
როგორც უსუნო და ხმის უნარს გამოწირულთა,
840 მაგრამ მახვილ აზრს არა ნაკლებ ძალუძს მას მისწვდეს,
ისევე, როგორც სხვებს, შეუმჩნევ, ფარულ თვისებათ.

კი ნუ იფიქრებ, თითქოს მხოლოდ ფერი ჰკლებოდეს
საგანთ საწყისებს, მათ რამ სითბოც არ გააჩნიათ,
მათგან შორსაა როგორც სუსხი, მცხუნვარე სიცხეც

845 და მოჰკლებია, როგორც ხმასა, გეძოვნებასაც,
არც გამოსცემენ თვის სხეულით რაიმე სუნსაც.
თუ გსურს შემზადდეს სრულად უცხო სურნელი მურის,
ნელსაცხებელსა და თაეშავას როცა შეურევ
ნარდსა საამოს. ის ნექტარი რომ გამოვიდეს,
850 უნდა მონახო შენ ზეთი რამ სრულად უსუნო,
რომ არ შეეხოს ჩვენსა ყნოსვას იგი სრულებით
და არ შეიძლოს იმან მირთვა რაიმე სუნის,
რომ სურნელება მისი ამო არ დაიკარგოს.
ამ ნათქვამიდან ცხადი არის, საგანთ საწყისნი
855 საგანთ შექმნისას რაიმე სუნს, ან ხმიერებას
არ მიურთავენ. რადგან იგი თვით მათ არა აქვთ.
ამისდაგვარად არცა გემოს არ ანიჭებენ.
არცა სიცივეს, არცა სითხეს, ან კიდევ სითბოს;
ან მის მსგავს რასმე, რაც მოკვდავის არის თვისება:
860 სირბილე, დრეკა, მტვრევა, ცვევნა, ღრუ, ან მეჩხერი;
ესე ყოველი ხამს საწყისთა აღარ გააჩნდეს,
თუ გვსურს დავუდვათ საფუძველი უკვდავ არსთაგან
მთელსა ქვეყანას, დაუშლელი სამარადჟამოდ,
რადგან სხვაგვარად ყოველივე არრად იქცევა.
865 და გრძნობიერი კარგად ვხედავთ, უეჭველია,
სრულად უგრძნობელ საწყისთაგან უნდა ‘ეიქმნას.
ამ დებულებას არც ვინ ებრძვის, არც ვინ უარჰყოფს,
ისე თვალნათლივ გასაგები. დასანახია.
ეს ჩვენ ხელს გვიწყობს. უმეტესად კვლავ დაგვარწმუნებს,
870 უგრძნობელთაგან, როგორცა ვსთქვი, არსნი ‘ნექმნილან.

შენ შეგიძლიან რომ შენიშნო ‘ნიაყლები
მყრალ ნაკელიდან ნაწვიმარზე რომ მოძვრებიან,
როცა დაიწყებს სველი მიწა გახრწნას და ლპობას.
ასე ფერს იცვლის ყოველივე ამ ქვეყანაზე.
875 საქონლის ჯოგად გარდიქმნება ხეთა ფოთლები,
წყაროც, საძოვიც, ხოლო ჯოგი გადაინაცვლებს
კაცთა სხეულში, კაცთ სხეული გახდება ზოგჯერ
მხეცების კერძად, ან ძალს მატებს ფრთოსანთა გუნდებს,
ბუნება საზრდოს ცოცხალ არსად ასე გარდაქმნის
880 და იმ არსებათ მიანიჭებს ყოველგვარ გრძნობას.
სწორედ ამგვარად და ამ წესით ხმელი ხეები,

ალმოდებული გარდიქმნება მგზნებარე ცეცხლად.
ნუთუ ვერ ხედავ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს
იმას, რა რიგად და რა წესით განლაგებულან
885 საგანთ საწყისნი ერთურთშორის, ვით მოძრაობენ.
და ამის შემდეგ რა გაფიქრებს, სულს რა გიშფოთებს,
რა დაგაეჭვებს, მრავალ აზრებს გულს რა აღგიძრავს,
უგრძნობელთაგან არა გჯერა გრძნობადის შექმნა?
ცხადია, მართლაც, ქვა, ხე, მიწა რომ შეურიო,
890 ცოცხალი გრძნობის წარმოშობას ვერ შეიძლებენ,
აქ საჭიროა, უეჭველად, რომ გაიხსენო
არა ყოველსა, რაც იქმნება გრძნობის შემცველი,
ძალუძს, როგორც ვთქვი, რამე გრძნობის გამოვლინება.
მნიშვნელოვანი არის დიდად, რარიგ მცირეა
895 გრძნობის აღმძვრელი საწყისები, რაგვარი ფორმის,
რა მოძრაობის, რა წყობისა და განლაგების.
მას ჩვენ ვერ ვპოებთ ვერცა ხეში, ვერცა ბელტებში,
მაგრამ ესენი, წვიმისაგან ლპობას რომ იწყებს,
ჭიებს შექმნიან, რადგან მაშინ საგანთ საწყისნი,
900 რაკი იცვლიან პირველ წყობას, ახლად აღნაგნი,
განლაგდებიან ახალ არსთა წარმოსაშობად.
ვინც ფიქრობს, შექმნა მგრძნობელ არსთა ძალუძს მხოლოდდა
გრძნობიერ არსთა, წარმოშობილს გრძნობად საწყისით,
903₁ იგი, ამავ დროს, აღიარებს საწყისთ მოკვდავად
და სთვლის მათ რბილად, რადგან გრძნობა შეერთებია
905 ნერვებს და ძარღვებს, შიგნეულსაც, ეს, როგორც ვიცით,
შესდგება რბილი და მოკვდავი სხეულისაგან.
იმათ კიდევაც რომ შეეძლოთ უკვდავად ყოფნა,
უნდა გააჩნდეთ ან ნაწილი რაიმე გრძნობის,
ანდა სრულიად ცოცხალ არსთა ემსგავსებოდნენ,
910 მაგრამ ნაწილებს ხომ არ ძალუძთ ცალკე რომ იგრძნონ,
ასოთა გრძნობა ერთურთზეა დამყარებული,
ვერცა თუ ხელი უსხეულოდ, ვერც სხვა ნაწილი
ვეღარ შეიძლებს ცალკე გრძნობა შეინარჩუნოს.
მაშ, ნაწილები ცოცხალ არსთა ემსგავსებიან
923 და რასაც ჩვენ ვგრძნობთ უცილობლად ის უნდა იგრძნონ.
915 ცხოვრების გრძნობას მათი გრძნობა რომ შეეფარდოს,
ვის ძალუძს რომ სთქვას, ეს საწყისნი რაკი ცოცხლობენ,

შეიძლებენო სიკვდილისგან თავის დაღწევას,
ცოცხალი არსი ხომ მოკვდავიც არის ამავ დროს?
კიდეც რომ იყოს შესაძლები ასეთ ნაერთით
920 ცოცხალ არსებათ ნარევი რამ შეიქმნებოდა.
ვთქვათ რომ შეერთდა კაციც, მხეციც და საქონელი,
922 ამ შეერთებით არაფერი გამოვიდოდა.
თავის სხეულით თუ რამ გრძნობას ისინი ჰკარგვენ
925 და ითვისებენ ისევ ახალს, რა საჭიროა
ის დაეუმატოთ რასაც ვაკლებთ? უნდა ძველ დასკვნას
კვლავ დაეუბრუნდეთ. თუკი კვერცხი ბარტყად იქცევა,
თუკი ჩვენ თვალწინ მოძვრებიან ჭიაყელები,
როცა წვიმისგან ნიადაგი ლპობას დაიწყებს,
930 უნდა ვიცოდეთ, რომ გრძნობიერს შობს უგრძნობელი.
თუკი შემთხვევით იტყვის ვინმე, რომ გრძნობიერი
უგრძნობელისგან წარმოიშვის მხოლოდ ცვლილებით,
ან მხოლოდ შობით, რაც გარეგან მას გამოავლენს,
მე ეს პასუხი საკმარისად მიმიჩნევია:
935 რომ არ იქნება წარმოშობა შეყრის გარეშე,
ცვალებადობა არა ხდება შეუუღლებლად.
უმალ სხეულში მოთავსებას გრძნობა ვერ შეძლებს,
სულიერ არსის დაბადება-წარმოშობამდე.
ცხადი არის, რომ მატერია განფანტულია
940 ჰაერსა, წყალსა, მიწასა და მის ქმნილებებში,
ვიდრე წესისებრ შეკრებილი სიცოცხლის მჩენი
მოძრაობანი იმ გრძნობათა არ წარმოშობდეს,
ყოველს რომ ხედვენ სულდგმულ არსთა დამცველ-მფარველად.
და ამის გარდა დარტყმა იგი, რომელსაც არსი
945 ვერ უმაგრდება, მას ძირს დასცემს, უეჭველია,
სხეულთან ერთად გრძნობებს სრულად უფორიაქებს,
ირღვევა მაშინ განლაგება საგანთ საწყისთა,
და სასიცოცხლო მოძრაობა იშლება სრულად,
და მატერიას, სახსრებიდან სრულად მოშლილსა,
950 კავშირი ტანთან დაერღვევა, ცხოვრების სული
მიმოფანტული ნაპრალთაგან განიდევნება.
ანდა სხვას კიდევ დარტყმისაგან რას ელოდები,

თუ არ დარღვევას, სრულად დაშლას ყველა კავშირთა.
ხდება კი, ზოგჯერ მცირე ძალით დარტყმის შედეგად,
955 სიცოცხლის ძალის მოძრაობა იმარჯვებს ხოლმე
რა გადაიტანს იმ დარტყმისგან შექმნილ ზარხდომას,
კვლავ ყოველივეს დააბრუნებს პირვანდელ გზაზე
და აი, თითქოს დაძლეული, კარს მომდგარ სიკვდილს
შორს უკუაგდებს, მიმქრალ გრძნობას აღადგენს ისევ.
960 სხვაგვარ ვით შესძლოს მიღწეულმა სიკვდილის მიჯნას
კვალად სიცოცხლეს, აზროვნებას რომ დაუბრუნდეს,
ნაცვლად იმისა, უკუნ საზღვარს რომ მისულიყო.

გარდა ამისა, ტკივილის დროს, როს რაღაც ძალა
აღაგზნებს მწვავედ გვამს და ასოს, საგანთ საწყისნი,
965 თავის სამყოფელ ადგილიდან ამოვარდნილნი,
კვლავ როცა ადგილს უბრუნდება, ქმნის რამ სიამეს.
უნდა ვიცოდეთ, საგანთ საწყისთ არ ძალუძთ განცდა;
არც რამ ტკივილსა, ან სიამეს ის ვერ მისწვდება.
რაკი საწყისებს არ ჰქონიათ თვისი საწყისნი,
970 რომელთ ადგილის მონაცვლება რამ ტკივილს ჰქმნიდეს,
არც რამ ნაყოფი სიამისა. ძალუძთ იგემონ,
მაშ, თვით საწყისებს არრა გრძნობა არა ჰქონიათ.

თუ ყოველ სულდგმულს შეუძლია რომ განიცადოს,
რაკი მის საწყისთ გააჩნიათ განცდის უნარი,
975 მაშ კაცთა მოდგმის საწყისები რას იმატებენ?
მათ შეუძლიათ, რა თქმა უნდა, სიცილ-ხარხარი,
ან ცხარე ცრემლით თვისთა ღაწვთა უხვად დანამვა,
მრავალ საგანთა არსებაზე სჯა სრული ცოდნით,
და ამის გარდა თვის საწყისთა გამოძიება.
980 სხვა ყველაფერში თუ მოკვდავთა შეემსგავსება,
მაშინ თვითონაც შედგენილან სხვა ნაწილთაგან,
და თვით ესენიც სულ სხვებისგან დაუსრულებლად.
რადგან, შენი თქმით, რასაც ძალუძს თქმა, გაცინება
და აზროვნება, ერთ საწყისით წარმოშობილა.
985 თუ ეს ყოველი უგნურება და სიგიჟეა,
სიცილის საწყისთ გარეშეც კი სიცილს თუ შევსძლებთ,
და აზროვნებას ბრძნულ სიტყვებით სჯასა და ბაასს,

სულაც გარეშე ბრძნულ-მჭერმეტყველ საწყისებისა,
მაშინ რა უშლის, რომ ყოველი, რაც კი გრძნობს რასმე,
990 შედგენილ იყოს სულ უგრძნობელ საწყისებიდან.

ბოლოს ზეციურ თესლებისგან ყველა ვშობილვართ,
მამა ყოველთა არის იგი, ვინც წვიმით ნამულ
დედამიწისგან ყოველივეს დასაბამს აძლევს,
აღმოაცენებს ლაღ ყანებსა, მწვანე ტყეებსა,
995 კაცთა მოდგმასა და ყოველგვარ გარეულ ცხოველს,
საზრდოთი ჰკვებავს ყოველ მათგანს, და კმაყოფილნი
სრულად ტკბებიან ლაღ ცხოვრებით, ნაშიერობენ;
სწორედ მიტომაც მიწა დედად წოდებულია.
უკან ბრუნდება, რაც შექმნილა დედამიწისგან.
1000 რაც კი საზღვართა ეთერისა გამოსულია,
იგი უკანვე წარმართულა წიაღად ზეცის,
ისე კი არ სპობს ნივთს სიკვდილი, რომ მატერიის
გაქრეს სხეული, იგი არღვევს კავშირს ნაწილთა.
და ახლებურად ის ნაწილნი კვლავ შეერთდება.
1005 ამიტომ იცვლის ფერს და სახეს ყველა საგანი
წარმოშობს გრძნობებს, შემდეგ უმალ დაჰკარგავს ისევ:
აქედან ძალგიძს, რომ დაასკვნა საგანთ საწყისნი,
მრავალნაირად დაწყობილნი და შენაერთნი,
ერთურთის მიმართ თუ რა რიგად იმოძრავებენ;
1010 და ნუ იგულვებ საგანთ საწყისთ, ამ მარად სხეულთ,
ეფერებოდეს რასაც ვხედავთ საგნის ზედაპირს
ჟამით ჟამამდე, რაც იშვის და მსწრაფლ იკარგება.
თვით ჩვენს ლექსებშიც ხომ ყოველი მათი ნაწილი
გარკვეულ წესით და თანრიგით განლაგებულა,
1015 რადგანაც ზეცას, ზღვას და მიწას, მზესა და მთვარეს,
ხეს, ნაყოფს, ცხოველს ხომ აღვნიშნავთ ერთგვარ ასოთი.
თუ ყველა არა, ამ სიტყვებში მეტი ნაწილი
თანაბარია, განლაგება სცვლის ყოველივეს.
სულ ასევეა საგნებშიაც, ცვლა მატერიის,

1021 თანხვედრა რიგის, მოძრაობის, წყობის, ფორმათა;—
უცილობელად რომ იწვევენ საგანთ ცვლილებას.

სულს ჩაიწვდინე ეს მოძღვრება, ჭეშმარიტების
სწავლა ახალი, მსწრაფლ რომ ილტვის შენთა ყურამდე,
1025 ხამს საგანთ წყობა წარმოგიდგეს შენ ახლებურად.
აღარ არსებობს სულ უბრალო, რაიმე ცოდნა,
თავდაპირველად მეტად მძიმე რომ არ გეჩვენოს.
და არცა უცხო მოვლენა რამ, დიდსაკვირველი,
რომ განცვიფრება შენ თანდათან არ შეგიმცირდეს.
1030 თავდაპირველად ცისფერს ვიტყვი, კამკამას, სუფთას,
თავის წიაღში რომ მოიცავს მსრბოლ მანათობელთ,
მთვარეს და მზესაც, უბრწყინვალეს სხივთა შუქმფენელს.
ვთქვათ, კაცთა მოდგმას მხოლოდ ახლა რომ მოვლენოდა,
ანაზდეულად დაენახა ეს საოცრება,
1035 ამ მოელენაზე უმეტესად რა განაკრთობდა,
რას ირწმუნებდა კაცთა მოდგმა ამის უადრეს?
ვფიქრობ, არარას უსაკვირვლესს ვერრას ნახავდა.
ხოლო ვერავის, ნახვით დაღლილს, აიძულებდი
შეუწყვეტელად რომ ეცქირა ცის თაღისათვის.
1040 მიტომ სიახლე ამ მოძღვრების შენ ნუ შეგაკრთობს,
გულს ნუ აიყრი, აზრს მიენდე და სრულ სიმკაცრით,
როცა განსაჯო ყოველივე, თუ სწორი ვიყო—
კვერი დამიკარ, თუ ვცდებოდე—წინა აღმიდეგ,
რადგან ამ ქვეყნის საზღვარს იქით განფენილია
1045 უზომ-უძირო სივრცე იგი, სული მიილტვის,
აზრით რომ მისწვდეს, რაც იქ არის, მსოფლიოს მიღმა,
იმ უსასრულო სივრცის წიაღს გადაიქროლოს.

უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველგან და ყოველ მხარეს
ზემოთ და ქვემოთ, მარჯვნივ, მარცხნივ, მსოფლიოს სივრცეს
1050 არ გააჩნია რამ საზღვარი, ვით თავისთავად
ცხადდება ესე თითონ სივრცის ბუნებისაგან.
და არასოდეს ჭეშმარიტად არ ჩაითვლება,
იქ, სად ყოველმხრივ უსასრულოდ გაშლილ წიაღში
თესლნი ბევრგვარნი მიმქროლვარე უტეხ-უსიერს,

1055 მრავლის უმრავლეს. მარად სრბოლითؔ მიტაცებულან,
ნაშობი იყოს ერთი მიწა და ერთი ზეცა,
და ეს სიმრავლე მატერიის უქმად რჩებოდეს.
თუ ეს ქვეყანა შექმნილია ბუნების მიერ,
საგანთ საწყისნი თავისთავად რა ერთურთს ხვდება
1060 მრავალნაირად, უცაბედად, სრულად შემთხვევით,
ბოლოს ერთდება ისეთ კავშირ-ურთიერთობით,
რომ დიდ საგანთა საწყისები მარად იშვიან
ზღვის და ხმელეთის, ცის და მოდგმის სულიერ არსთა.
მაშ, ახლა სრული დარწმუნებით ხამს აღიარო,
1065 რომ არის სხვაგან მატერიის სხვა შენაერთი,
სწორედ ისეთი, ხარბ ეთერს რომ გარემოუცავს.
და ამის გარდა თუკი არის მზად მატერია,
არის ადგილიც, არც არსებობს მიზეზი რამე
დამაბრკოლები, რომ შეიქმნან საგანნი მისგან.
1070 თუ საგანთ თესლის ოდენობა ისეა დიდი,
რომ იმის დათვლას არ ეყოფა კაცის სიცოცხლე,
და თუ ბუნებას შეუძლია საგანთა თესლი
ირგვლივ განფანტოს და კვლავადვე შემოიკრიბოს,
სწორედ ისევე, როგორც აქა, ხამს აღიარო,
1075 დედამიწანი სხვაც ბევრია მთელს მსოფლიოში,
კაცთა სხვა მოდგმაც, ცხოველებიც მრავალნაირი.
და არ იქნება მსოფლიოში საგანი ერთიც,
მარტოდ შობას და მარტოდ გაზრდას რომ შეიძლებდეს,
თუ თან არ ახლავს თანაბარი მსგავსი გვარისა.
1080 აბა, მიაპყარ ცოცხალ არსთა გონება შენი,
მაშინ შეიტყობ, ასე იშვის მთაში მხეცები,
და კაცთა მოდგმაც, იბადება მოდგმაც უენო
ფოროჯა თევზთა, და ფრინველთა ყოველი ჯიშიც.
ამის მიხედვით, უნდა ვსთქვათ, რომ მარტო არ არის,
1085 არც ცა და მიწა, მთვარე და ზღვა, და დანარჩენი
საგანთ სიმრავლეც მიუწვდომლად ბევრზე ბევრია.
მათი არსობის ხანგრძლივობაც განსაზღვრულია,
ამასთანავე მოკვდავია მათი სხეული,
ისე ვით ფერობს ამქვეყნიურ ცოცხალთა მოდგმას.
1090 და, ეს თუ კარგად შეგიტყვია, მიხვდები მაშინ,
რომ ლაღ ბუნებას მბრძანებელი არა ჰყოლია.
თითონ ყოფილა ყოვლის მქმედი ღმერთთა გარეშე.

ხომ ზეცის არსთა წმინდა·გულნი დამტკბარან უქმი
და უზრუნველი ტკბილ ცხოვრების ნებიერებით,
1095 ვინღა შესძლებდა ამ მსოფლიოს მართვა-განგებას,
მტკიცე მარჯვენით ხელთაპყრობას უფსკრულთ სადავის,
ვინ წარმართავდა ცისა ტატნობს? მგზნებარ ეთერით
ვინ გაათბობდა ზომიერად ვრცელ დედამიწას?
ვინ შეიძლებდა ყოველთვის და ყოველგან ყოფნას,
1100 წყვდიადის შექმნას ღრუბელთაგან, მოწმენდილ ცაზე
ჭექა-ქუხილის დანარცხებას, ელვის კვეთებას,
თვისთა ტაძართა დაცალეწვას, უდაბნოდ მალვას
და მრისხანებით ისართ ტყორცნას, ხშირად ბრალეულთ,
რომ გვერდს აუვლის და უბრალოთ სიცოცხლეს უსპობს?
1105 ქვეყნის შექმნიდან, და იმ დღიდან, როდესაც გაჩნდა
მიწა და ზღვები, როს პირველად მზე ამოვიდა,
სხეულთ სიმრავლე წარმოიშვა, თესლიც ურიცხვი,
რომ შესძლებოდა გადიდება ზღვასა და მიწას.
1110 განვრცობილიყო ცის წიაღი მიწაზე მაღლა
უზეშთაესად და ჰაერიც წიაღსულიყო,
რადგან თითეულს ყოველ მხრიდან გარეშე ბიძგი
დაანაწილებს შესატყვისად მათი ბუნების,
სითხე სითხესვე უერთდება და მიწიერი
1115 მიერთვის მიწას, ცეცხლი ცეცხლს და ეთერი ეთერს,
ვიდრე ბუნება უკიდურეს ზრდის საზღვრებამდე
განავრცობს სხეულს, წარმონაშობს თავისთავიდან.
ეს ხდება მაშინ, როცა ძარღვებს მიემატება
სწორედ იმდენი, რაოდენიც აკლდება ძალი.
1120 აქ კი, ყოველ არსს დაუდგება ჟამი ისეთი,
ოდეს ბუნება მის ძალთა ზრდას დაუდებს საზღვარს.
და როს იზრდება შენ თვალთა წინ რამე ხალისით,
თანდათანობით აღწევს ასაკს სრული სიმწიფის,
ბევრად მეტს იღებს მის სხეული, ვიდრეღა გასცემს.
1125 სანამ ადვილად მის ძარღვებში დაივლის საზრდო,
ვიდრე იქამდე არ გაზრდილა, რომ მეტი გასცეს,
რაც საჭიროა საზრდოდ მისი ასაკისათვის.
ხომ დიდი ძალა სხეულიდან მიედინება,
მაგრამ მის ნაცვლად უფრო მეტი უნდა მიერთოს,
1130 ვიდრე საგანი მიაღწევდეს ზრდის მაღალ მწვერვალს.
შემდეგ ამისა ძალთ სიმტკიცე და ამტანობა

ტყდება, სუსტდება და დუნდება თანდათანობით,
რადგან საგანი საბოლოოდ რაკი გადიდდა,
განივრცო მეტად, მით უმეტეს გამოდის მისგან
1135 ჭარბად სხეულნი და იფანტვის მის გარეშემო,
და მის ძარღვებშიც ვერ მიმოდის საზრდო ადვილად
და როდი ჰყოფნის მას საკვები ასეთ ხარჯვის დროს,
რაც საჭიროა მის არსობის აღორძინებად.
ახად მოელის ჭეშმარიტად იმათ დაღუპვა,
1040 გარეგან დარტყმით თუ დაკნინდა და დაქუცმაცდა
და მიღწეულსა წელთ სიმრავლით, საზრდოს სიმცირით,
გარე სხეულნი განაგრძობენ შეუწყვეტ დარტყმებს
და დასუსტებულს საბოლოოდ დაშლიან სრულად.
და ამდაგვარად დიად ქვეყნის მტკიცე ზღუდენი
1145 გარემოცვისგან ნა`კრევებად ქვე დაემხობა.

საზრდო აღადგენს ყოველივეს და განაახლებს,
საზრდო აცოცხლებს, საზრდო აძლევს ძალას ყოველ არსს,
და სულ ფუჭია, როცა ძარღვებს არ შესწევთ ძალა
გამოყენების და სხეულიც ველარ მუშაობს.
1150 უნდა დაემხოს ჩვენი მოდგმა, როს მწირი მიწა
მცირე ცხოველთა გარდა სხვასა ვერრას წარმოშობს.
წინათ კი ჰქმნიდა მრავალფერთა, დიდ საშიშ მხეცთა.
მე როდი ვფიქრობ, მოკვდავთ მოდგმა თითქოს ზეციდან
ოქროს ძეწკვებით ჩამოეშვათ დედამიწაზე,
1155 არ შეუქმნია იგი ზღვას ან მქუხარე ტალღებს,
არამედ შექმნა მიწამ, მზრდელმა ყოველი არსის,
მარცვალი პურის მანვე შექმნა, ვაზიც საამო
და სხვა მრავალი თვის წიაღში წარმონაშობი,
ტკბილი ნაყოფიც მისგანვეა, მსუქანი ჯოგიც,
1160 რაც ჩვენი შრომით ძლივსძლივობით წარმოიზრდება.
ჩვენ მეტისმეტად ვღლით ჩვენს ხარებს, მიწის მუშებსაც,
ვაჩლუნგებთ რკინას, ოდნავ მაინც მივიღოთ რამე.
ყველა ცუდდება და მრავლდება სულ უქმი შრომა.
მოხუცი მხვნელი თავის ქნევით და ამოხვნეშით
1165 შესცქერს უმძიმეს შრომა-ღვაწლის უნაყოფობას,
და როს ადარებს ამ დროს უკვე გარდასულ დროთა,

მაშინ უმეტეს ხოტბას ასხამს მშობლების ხვედრსა.
და სევდიანი მევენახე ცუდ ვაზს რომ ხედავს,
თვის დროებამს სწყევლის, სწყევლის ზეცას, გაჩენის დღესაც
1170 და გაიძახის შეუწყვეტლად, რომ ძველი ხალხი
ღვთისა მოსავი, უზრუნველად, კარგად ცხოვრობდა,
თუმც მცირე ჰქონდათ მაშინ მიწა, მცირეს სჯეროდნენ,
ის კი არ იცის, რომ თანდათან ყველა კლებულობს
და წელთ სიმრავლით სიკვდილისკენ მიემართება.

წიგნი
პირველი



ეუნ წყვდიადით ვინც აღმართე სვეტი ბრწყინვალე,
შენ, ვინც პირველად კაცთა ყოფას გზა გაუნათე,
მე შენ მოგყვები სიქადულო ბერძენთა ტომის
და ნატერფალის ფერხთა შენთა ვარ მიმდევარი;
5 მიტომ კი არა, გაჯიბრებას ვეპირებოდე,
ვბედავ მივბაძო, სიყვარულით, განა მერცხალი
გედთან მოვიდეს? განა ვაცი — ბევრიც ეცადოს —
შესძლებს ჯირითში ბედაურის თავის დასწრებას?
შენ ხარ, მამაო, აღმომჩენი საგანთა არსის
10 და იმ შენ სწავლას მამობრივსა—ქარტას აღნუსხულს,
ვითა ფუტკარნი ჰკრებენ სიტკბოს ველს ყვავილოვანს,
აგრეთვე ჩვენცა იმ ოქროთქმას შენსას შევიტკბობთ,
დიაღაც ოქროს—მარადიულ არსების ღირსსა.
რა ერთხელ გვესმა შენი აზრით შთაგონებული
15 საგანთ ბუნების შუქმომფენი გრძნეული სიტყვა,
გადაგვეყარა გულით შიში, ქვეყნის ზღუდენი
უმალ დაემხო, ვეჭვრეტთ სივრცეში საგანთა გზაკვალს,
გამოჩანს ღმერთთა სამყოფელი—მყუდრო სავანე,
სად არ მძვინვარებს ქარიშხალი, არცა შავღრუბლით
20 ეშვება თქეში, არცა თოვლი ყინულად ქმნილი
იფრქვევა მაღლით, იქ ეთერი მარად უღრუბლო
ცის სილაჟვარდეს მიმოაფრქვევს ნათელ ღიმილსა,
ბუნება აწვდის უხვად ყოველს სურვილისამებრ
და იმ სიმშვიდეს ღვთაებრივსა ვერრა დაარღვევს.
25 აქერუსიის იქ არა სჩანს ბნელი უფსკრული
და დედამიწა ყოვლის ხილვას აღარ აბრკოლებს,
რაც კი რამ ხდება ფერხთა ქვეშე უკუნეთ სივრცეს.
აღმაფრთოვანებს ეს ყოველი, გრძნეული ძრწოლა

გამიელის გულში, შენმა ძლევამ სრულად ბუნების
30 იდუმალობა აზრს საწვდომად რომ გადუშალა.

რაკი გასწავლე, როგორია თვითონ ბუნება
საგანთ საწყისთა, ერთურთისგან ვითარ სხვაობენ,
თავისდათავად ვით ილტვიან მარადი სრბოლით,
და რარიგ ძალუძთ წარმოშობა საგანთ სიმრავლის,
35 ეხლა კი დროა, ჩემის ფიქრით, ბუნება გონის,
მასთან სულისა, ლექსის სიტყვით გამოგიმეღავნო,
რომ შორს განაგდო ფუჭი შიში აქერონტისა,
კაცთა ცხოვრების შემარყევი ძირფესვიანად,
უკუნ წყვდიადით, შავ სიკვდილით ყოვლის მმოსველი,
40 გამომწირველი მშვიდი ყოფის ნათელ სიამის.
ფიქრობენ, თუმცა, ზოგნი კაცნი, ჭირი, ვაგლახი
უფრო საზარი იყოს თითქოს უკუნ ტარტარზე,
რომ სული, ვითომც, სისხლისაგან იყოს შექმნილი,
46 ან ქარისაგან—ისე, როგორც მოესურვებათ,
44 და რომ არავის არ სჭირდება ეს ჩვენი სწავლა,
45 ასე მსჯელობა შედეგია სულზვავობისა,
47 ვიდრე თვით საგნის შესწავლისგან აზრი დასკვნილი.
თვის სამშობლოდან ოტებულნი, შორს განდევნილნი,
თვისთა ნათესავთ მოკვეთილნი მძიმე ცოდვისთვის,
50 მრავალ ტანჯვათა შენამთხვევნი ცოცხლობენ მაინც.
საცა კი მივლენ, უბედურნი, აღაპს იხდიან,
შავ ზვარაკს დაკვლენ და ქვესკნელის შესწირვენ მანებს,
ბედის სიმწარე ვერ ამაღლებს იმათ სულს მდაბალს,
უმეტეს ლტოლვით რელიგიას ეტანებიან,
55 მძიმე განსაცდელს, უბედობას როს შეემთხვევა,
მაშინღა ძალგიძს გასაჭირით კაცის გამოცდა,
რადგანაც მაშინ აღმოხდება გულის სიღრმიდან
ხმა ჭეშმარიტი, ნიღაბს იხსნის და არსი რჩება.
ბოლოს სიხარბე და დიდების ბრმა ტრფიალება
60 საბრალო მოკვდავთ ყოველ საზღვარს რომ გადააცდენს
და გახდის მონად ენითუთქმელ ბოროტებათა,
დღიან-ღამიან უწყვეტ შრომით სურთ მიაღწიონ
მაღალ უფლებას, და ცხოვრების ამ სატკივარსა
სიკვდილის შიში კიდევ უფრო აღიზიანებს,

65 რადგან სირცხვილი, სივაგლახე სიღარიბისა
კეთილ ცხოვრების სიტკბოს სრულად დაშორებოდეს,—
ასე ჰგონებენ და მას სახვენ სიკვდილის კარად.
ამ ყალბი შიშით შეპყრობილნი მარად ცდილობენ,
რომ სიღარიბეს რითაც ძალუძთ თავი არიდონ.
70 მიტომაცაა, მოძმეთ სისხლით ხვეჭენ სიმდიდრეს,
ხარბად წაჰგლეჯენ, დაურთავენ სიკვდილზე სიკვდილს,
ღვიძლი ძმის კუბოს ბოროტეულ სიამით სდევენ,
თვისთა ნათესავთ ტაბლად ჯდომას დაზარებულნი.
გულის მომწყვლელსა შურსაც იწვევს ზოგჯერ ეს შიში.
75 იმის თვალის წინ ხედავს—ერთი განდიდებულა,
მეორე დადის ელვარების სხივშეფრქვეული,
თვით კი ჩამხრჩვალა წყვდიადსა და წუმპე-წვირეში.
ზოგიც თავსა სდებს ქანდაკის და სახელისათვის,
ზოგჯერაც მიჰყავს სიკვდილის შიშს კაცი იქამდე,
80 შესზარებია ეს სიცოცხლეც, სინათლის სხივიც,
და გულმოკლული თვით ისწრაფვის სიკვდილის წიაღს,
იმის არ მცოდნე, რომ შიშია ამ სევდის წყარო,
განდევნის სირცხვილს, მეგობრობის მტკიცე ჯაჭვს ამსხვრევს,
სრულად შებღალავს სათნოებას, წმიდათა წმიდას,
85 თვით სამშობლოსაც, ძვირფას მშობლებს ღალატობს კაცი,
აქერუსიის უკუნ წყვდიადს რომ განერიდოს.
ისე ვით ბალღნი ბნელ წყვდიადში შიშით რომ თრთიან,
აგრეთვე ჩვენცა დღის ნათელზე ვუფრთხით ზოგ რასმე,
რაიც არ არის საშიშარი იმის უმეტეს,
90 რასაც ბალღები დაუფრთხვია ღამის წყვდიადში,
აი, ეს შიში ხამს დავძლიოთ, ბნელი გავფანტოთ,
არა მზის სხივით, ანდა კიდევ დღისა სინათლით,
ბუნების აზრთა და კანონთა ღრმა დაუფლებით.

ვამბობ, რომ გონი, რასაც ზოგჯერ ვუწოდებთ აზრსა,
95 წამმართველია, ხელმძღვანელი ჩვენი ცხოვრების,
ყოველი კაცის ნაწილია, ისევე როგორც
ხელ-ფეხი, თვალი სულდგმულ არსის ნაწილს შეადგენს.
თუმც მიაჩნია სწავლულთ ჯგუფსა სულ უსაფუძვლოდ,
თითქოს არც იყოს გონის გრძნობა განსაზღვრულ ადგილს.
და შეადგენდეს ცოცხალ არსის ოდენ თვისებას,

100 ის ბერძენთ ენით ჰარმონიად წოდებულიყოს,
სიცოცხლეს, განცდას გვანიჭებდეს — ნაწილს არ ფლობდეს.
როს ჯანმრთელადო იგულვებენ სხეულსა რასმე
ხომ არ იჭერსო მასში ადგილს ჯანის სიმრთელე,
არც გონის გრძნობას უჭირავსო რამე ადგილი,
105 და ამ საქმეში, ჩემის აზრით, დიდად ცდებიან.
ხშირად ვიტკივებთ ჩვენ სხეულის გარეგან ნაწილს
და ამავე დროს შინაგანი სრულად ჯანმრთელობს,
ანდა პირუკუ—შენაცვლებით მოხდება ზოგჯერ—
გონი ავადობს, სხეული კი საღია სრულად,
110 სწორედ ისევე, როცა ფეხი დაავადდება
თავი ამავ დროს არავითარს არა გრძნობს ტკივილს,
ან როს მშვიდ ძილსა მისცემია ჩვენი სახსრები,
დამძიმებული გაშოტილა სხეული უგრძნოდ,
მაინც რჩება რამ, რაც ამავ დროს ჩვენს არსებაში
115 მრავალნაირად რომ მოქმედებს, აღიქვამს მომხდარს
საამო საქმეს, ფუჭ ოცნებას გულის დამტვირთველს,
მაშ, სული იგი ჩვენს სხეულში რომ განფენილა
წარმოშობს გრძნობებს, ჰარმონიას კი რაღა რჩება?
მტკიცდება ეგე თვით სხეულით, ბევრი ნაწილი
120 თუნდაც მოაკლდეს სცოცხლობს კიდევ სხვა ასოები;
ანდა პირუკუ, ოდნავ სითბო მოაკლდეს სხეულს,
და პირისაგან დაცდეს კაცსა მცირე ჰაერიც,
უმალ შორდება ის ამავ დროს ძვალსაც და რბილსაც.
ამით შეიტყობ, თანაბარი როდი აქვს ძალა
125 ყოველგვარ ნაწილს დასაცავად კაცთა სიცოცხლის,
არამედ უმალ თესლნი ქარის, მცხუნვარ სითბოსი
ზრუნვენ უმეტეს, რომ სიცოცხლე შერჩეს ჩვენ სხეულს.
ამად არსებობს სითბოც, ქარიც მაცოცხლებელნი,
სხეულად მყოფნი, აღსასრულის ჟამს წარმავალნი.
130 რაკი ცხადია ეხლა შენთვის, რომ არსი გონის,
მასთანვე სული ნაწილია კაცთა სხეულის
შორს ჰარმონია—ჰელიკონით სწვევია მგოსნებს,
ანდა ანაზდად ნაპოვნია იმათგან სადმე,
რომ აღენიშნათ უსახელო მოვლენა რამე;
135 რაც უნდა იყოს ის მათ დარჩეს—შენ ყური მიგდე.

მაშასადამე, ერთად არის გონიც და სულიც
და ერთ ბუნებას ამყღავნებენ ორივ ერთთავად,
მაგრამ მთავარი ხელმძღვანელი მთელი სხეულის,
მის წამმართველი არის გონი, აზრს რომ ვუწოდებთ,
140 მოთავსებულა ჩვენი გულის შუა ნაწილში.
აქა მღელვარებს თრთოლვა-შიში, მის გარეშემო
კრთის სიხარულიც, რადგან აზრიც, გონიც აქ სუფევს.
სულის სხვა წილი, სხეულში რომ განფანტულია,
აზრის კარნახით ის მოქმედებს მისი მორჩილი.
145 გონი აზროვნებს თავის თავზე თვისდა საამოდ,
როცა არც სულსა და არც სხეულს არარა აღძრავს,
ისე ვით თავი ანუ თვალი რა გრძნობს ტკივილსა,
მთელი სხეული როდი არის მით შემსჭვალული,
გონიც ასევე—ტკივილს რასმე განიცდის ზოგჯერ,
150 ზოგჯერ ნებივრობს, სხვა ნაწილში ოდეს სხეულის
მდგომარე სული ახალს რასმე თუნდ არრას გრძნობდეს.
ხოლო როდესაც დიდი შიში მოიცავს აზრსა,
ვხედავთ, რომ სულიც მთელ სხეულში მასვე განიცდის;
ტანზე ოფლს ასხამს და ფითრდება სრულად სახეზე,
155 კაცს ენა ებმის, ჩაუწყდება ხმა უეცარად,
თვალთ უბნელდება, ყურს უშხუის, მუხლთ ეკვეთება
და ბოლოს ვხედავთ სულთმობრძავი ქვედამხობილა.
ამის მიხედვით შეგიძლია, ვფიქრობ, დაასკვნა,
გონი და სული ერთურთს ვითარ გადაჯაჭვულა,
160 და რაჟამს გონი სულს შეებრძვის, სხეულს სცემს უმალ.
და ამ საბუთით სჩანს ყოფილა გონიც და სულიც
სხეულებრივი, რადგან ასოს აამოძრავებს,
აღვიძებს ძილით უცებ ჩვენ ტანს, კაცს სახეს უცვლის,
და ადამიანს იგი სრულად მართავს, განაგებს,
165 ეს არ იქნება, როგორც ვხედავთ, შეუხებელად,
და თვით შეხება უსხეულოდ რაკი არ ხდება,
ჩანს გონს და სულსა აქვთ ბუნება სხეულებრივი.
და ამის გარდა გონთან ერთად რომ გრძნობს სხეული,
ძალგიძს შენიშნო თვით საკუთარ შენსავ სხეულში,
170 თუნდაც არ იყოს სასიკვდილო-საშინელ ძალით
ნატყორცი შუბი, ღრმად შეჭრილი ძვალსა და რბილში,
მოგვისავდება და ვეშვებით ერთგვარ სიამით,
მაგრამ მიწაზე მსწრაფლად აზრი კვლავ გაიელვებს

და ბუნდოვანად ვგრძნობთ სურვილსა ფეხზე დადგომის.
175 სხეულებრივი ბუნებისა ყოფილა გონი,
თუ სხეულებრივ შუბის დაკვრით იგი გვემულა.

თუ რა რიგია გონის არსი, მისი სხეული
ამას განვმარტავ, დაწვრილებით აგიხსნი ყოველს.
ჯერ უნდა გითხრა—წვრილ, უმცირეს სხეულებისგან
180 შესდგება გონი, ძალგიძს მიხვდე ეს რომ ასეა,
თუ ყურადღებით შენ მოისმენ ყოველ ჩემს ნათქვამს.
არარას ძალუძს ესდენ სწრაფად მოიმოქმედოს,
ვითარცა აზრსა განზრახულის სრულსაყოფელად.
გონი მოქმედებს უსწრაფესად ყოველგვარ საგნის,
185 რომელსაც ვხედავთ, ანდა ჩვენი გრძნობით მივსწვდებით,
რომ იმოძრაოს ესდენ სწრაფად, მისი სხეული
უნდა სულ მრგვალსა, მეტად წმინდა თესლებს შეექმნას,
სრულიად მცირე ბიძგისაგან მსწრაფლ ამოძრავდეს.
აკი მოძრაობს წყალიც მეტად მცირე ბიძგებით,
190 რადგან შესდგება ციცქნა, წვრილი ნაწილებისგან,
ხოლო ბუნებით თაფლი მასზე უფრო მკვრივია,
უფრო ნელიად, უფრო მძიმედ მოწვეთავს იგი
და მატერიის სხეულები მტკიცეა მასში.
გასაგებია, რომ წყალივით მსუბუქ, მცირე ან მრგვალ სხეულებს
195 არ შეუქმნიათ თაფლი წყალზე უმეტეს მკვრივი.
ყაყაჩოს მარცვალს ნელი ქროლვაც მსწრაფლ მიმოფანტავს,
რაც გინდა დიდი მისი გროვა ერთად შეჰკრიბო,
ხოლო თავთავის ან ქვისგროვას—ვერას დააკლებს.
მაშასადამე, რაც მცირეა რამე სხეული,
200 იგი უმეტეს სიმსუბუქით მოძრაობს ხოლმე.
ხოლო პირუკუ, რაც მძიმეა და ხორკლიანი,
იგი უმეტეს მტკიცეა და ნაკლებ მოძრავი.

რაკი ამრიგად გამოირკვა, გონს აქეს უნარი
სწრაფ მოძრაობის, თქმა არ უნდა, ის შედგენილა
205 მცირე და მსუბუქ, თანვე მრგვალი სხეულებისგან.
ჩემო კეთილო, ბევრ საქმეში შენ ეს ცნობები,
თუ მოისურვებ, ცხოვრებაში წინ დაგიდგება.

აი, ეს საქმეც შენ გაგირკვევს იმის ბუნებას,
რამდენად წმინდა, ნაზი არის მისი ქსოვილი—
210 რა მცირე ადგილს დაიჭერდა რომ შეიკუმშოს.
ვთქვათ და სიმშვიდე სიკვდილისა კაცს დაეუფლა,
განვიდა მისგან როგორც გონი, აგრეთვე სულიც,
ვერრის დაკლებას მის სხეულში ვეღარ შენიშნავ,
ვერც გარეგნობის, ვერც წონის მხრივ; უცვლელად სტოვებს
215 სიცოცხლის ნიშატ გრძნობისა და სითბოის გარდა.
მაშ, სული ჩვენი მცირე თესლებს შეუდგენიათ
რბილსა და ძარღვში, შიგნეულში რომ განფენილა.
მიტომაც არის, რა განაგდებს ის ჩვენს გვამს სრულად,
უცვლელი რჩება ასოების მოყვანილობა,
220 მასთანვე წონას ოდნავადაც არ მოაკლდება.
როს სუნოვნება დაეკარგვის ბახუსის ცვარსა,
ან როცა სუნი გაუქრება ზეთს საამური,
ანდა სხვას რასმე, რას აკლდება სრულიად გემო,
როდი შევნიშნავთ ჩვენ თვალდათვალ ამგვარ დაკლებას,
225 რადგანაც ამით არ მოიკლებს იმისი წონა.
არც საკვირველი არის ეგე, რადგან სხეულში
მცირე საწყისი შობს გემოს და სურნელებასა.
კიდევ და კიდევ იმას ვიტყვი: გონი და სული
მცირის უმცირეს თესლებისგან შედგენილია,
230 მიტომ მის გაცლით არ აკლდება წონას არარა.

მაგრამ როდი გვიჩნს ესდენ სადად ბუნება მისი.
მომაკვდავ სხეულს სტოვებს სუნთქვა სითბოს ზიარი,
ხოლო სითბო კი გაიყოლებს თანვე ჰაერსაც,
არც რამ სითბოა ჰაერისა გაურეველად;
235 რაკი არსობა სითბოისა არის უმკვრივო,
ჭარბად საწყისნი იქ ჰაერის ხამს მოძრაობდეს.
მაშ, გამოირკვა სამფერობა გონის ბუნების,
მაგრამ ეს გრძნობის წარმოშობას მთლად ვეღარ არკვევს,
მართლაც როდია დასაჯერი ამათგან იშვას
240 რამ მოძრაობა გრძნობიერი—აზრს რომ წარმართავს;
ხამს მიემატოს იმას კიდევ ფერი მეოთხე,
რომელს სახელი სრულებითაც არ გააჩნია.
იმის უსწრაფეს და უწვრილეს არრა არის რა,
არცა საწყისი მასზე მცირე, მასზე მსუბუქი,

245 გრძნობად ძრაობას იგი სახსრებს პირველ ანიჭებს,
პირველ აღიძვრის, რადგან მცირე ნაკვთებს შეიცავს,
მას მოსდევს სითბო, შემდეგ ძალა უხილავ ქარის,
უკან ჰაერიც და სულ ბოლოს იძვრის ერთობლივ,
იფეთქებს სისხლიც და მთელ სხეულს დაუვლის გრძნობა
250 და საბოლოოდ ატანს იგი ძვალსა და ტვინში
ანუ სიამის, ან მძაფრ ვნების აღმაგზნებარედ.
იმგვარ სიღრმემდე ვერ მიატანს განცდა ტანჯვისა,
ვაება მწვავე ვერ აღბორგავს სხეულს იქამდე,
რომ მან სიცოცხლე სულ შესწყვიტოს და გააქარწყლოს
255 და მიმოფანტოს სხეულიდან ნაწილნი სულის.
ამგვარ შერყევას უდებს საზღვარს სხეულის კიდე
და ამის გამო ვინარჩუნებთ სიცოცხლის უნარს.

ჩემს დიდ სურვილსა წვრილად ავხსნა ძალნი ურთიერთს
მწყობრ მოქმედებად რარიგ ერთვის, რარიგ წარმართავს—
260 ლათინურ ენის უხეშობა აბრკოლებს ფრიად.
მაინც ვეცდები, როგორც შევძლებ, ვთქვა რამ ამაზე.
საგანთ საწყისნი ისე სრბიან ერთურთისადმი,
ვერას დიდებით ვეღარ შესძლებ რამენაირად—
მანძილი რამე იმათ შორის რომ დაადგინო;
265 თითქოს შეკრბაო ერთ სხეულად ძალა მრავალი,
ისევე, როგორც შეგინიშნავს, ყოველგვარ ცხოველს
გემო და სუნი, ანუ ფერი აქვს ბევრდაგვარი,
შეერთებისას შექმნის მაინც ერთობლივ სხეულს.
ასევე სითბო და ჰაერი, ქარის ბრმა ძალა
270 შეერთებისას შობენ ერთ არსს, მასთან იმ ძალას
მამოძრავებელს, იმ ნიშატის მიმნიჭებელსა,
სადით აღიძვრის ჩვენს სხეულში პირველი გრძნობა.
ის დაფარულა ჩვენ ბუნების უშორეს წიაღს,
იმის ულრმესად არრა არის რამ ჩვენ სხეულში;
275 მიტომაც იგი სულის სულად ხამს მივიჩნიოთ.
ამისდაგვარად ჩვენ სხეულში, მის ასოებში,
ძალა გონის და სულის ძალა დაფარულია,
მცირის უმცირეს სხეულთაგან რაკი შექმნილან.
ისევე როგორც უსახელო ძალა შემქმნელი

280 მცირე ნაწილით სულის სული ღრმად დაფარული,
სრულად სხეულის გამგებელად მოვლინებული.

ამისდაგვარად, უცილოა ქარიც, ჰაერიც,
სითბოც სხეულში ძალას უნდა ერთად ავლენდეს
ერთი მეორის დაცილება მიახლოვებით,
285 მაგრამ ისე კი—მრავალისაგან ერთი მივიღოთ.
სხვაგვარ ჰაერიც, სითბო-ქროლვის ძალაც ცალცალკე
ერთურთს მოსპობენ და გათიშვით დაშლიან გრძნობას.
ვლინდება ხოლმე გონის სითბო მრისხანების ჟამს,
როს ჩვენს თვალებში მწვავე განცდა აელვარდება.
290 ზოგჯერ სიცივეც, შიშის მაცნე, მეღავნდება ხოლმე,
რაიც ჩვენ სხეულს და სახსრებსაც მოჰგვრის ჟრჟოლასა.
არის აგრეთვე რამ სიმშვიდე, ჰაერის დგომა,
გულდამშვიდების და წყნარ სახის შესაფერისი.
სიფიცხე სჭარბობს ზოგს, რომელთაც სჭირთ დიდგულობა.
295 აზრიც ერევათ, მათ გულს რისხვა ადვილად იპყრობს.
ასეთი ზნე სჭირთ პირველ ყოვლის მძვინვარე ლომთა,
სასტიკ ღრიალით და ღმუილით გულს რომ იმღვრევენ,
მღელვარე რისხვის დაოკების ვერ შემძლებელნი.
ხოლო ირმებს კი ნიავისებრ გრილი აქვთ აზრი.
300 რა ქროლვა გრილი იმათ სხეულს აღძრავს ანაზდად,
მაშინ ერთობლივ მის ასოებს მოიცავს თრთოლა.
ხართა ბუნება მ'ძვიდ ჰაერით გაღვიძებულა,
არ ამღელვარებს იმათ რისხვის მგზნებარე ალი
თვალთმხედველობის შაებურუსით დამბნელებელი,
305 არცა ისარნი ციცი შიშის შეაკრთობთ იმათ—
მძვინვარე ლომს და ირმებს ზორის იჭერენ ადგილს.
აგრე კაცთ მოდგმაც. მიანიჭა ცოდნამ, ვთქვათ, პეწი
ზოგიერთ ვისმე, სულერთია იგივე რჩება
ბუნება მისი წარუ'ხლელად სულის კვალისა.
310 თანდაყოლილი ავი რამ ზნე როდი გაქრება:
ამას არ ძალუძს მძაფრ რისხვიდან თავის დაღწევა,
და ვერასოდეს ის, მეორე, შიშს განერიდოს,
ის მესამე კი—ხვდება ყოველს ერთგვარ სიმშვიდით.
მრავალნაირად ერთურთისგან განსხვავებულა

315 კაცთა ბუნება, თანმიმყოლი ზნე-ჩვეულებაც.
ვითლა შეეიძლებ მე ამოხსნას ფარულ მიზეზთა
იდუმალების, სახელდებას მრავალსახოვან
საწყისებისა, რაც ქმნის საგანთ ესდენ სიჭრელეს.
ესე ყოველი ჩვენ იმ აზრსა განგვიმტკიცებდა;
320 ისე მცირეა ჩვენში კვალი პირველ ბუნების,
რაიც ვერ ძალუძს გადალახოს ჩვენს გონებასა,
რომ არრა გვიშლის ღმერთთა ბადლად გვეცხოვრა ქვეყნად.

მაშასადამე, სხეულია შემცველი სულის,
თვით კი მას იცავს, უნარჩუნებს ჯანის სიმრთელეს;
325 საერთო ძირებს ისე მტკიცედ შეუკრავს ორთავ,
მოუსპობელად არ იქნება მათი გათიშვა.
ვით ამბრის მარცელის სურნელების განცალკევება
შეუძლო არის მის ბუნების მოუსპობელად,
ასევე გონის, თანვე სულის ტანით მოწყვეტა
330 არის შეუძლო დაურღვევლად მთლიან სხეულის,
და საწყისებიც პირველ შობით ესრეთ ნაერთნი
ერთიერთმანეთს ერთ არსებად გადაჭდობიან.
ძალა არ შესწევთ, როგორც ეხედავთ, არც სულს, არც სხეულს
უერთმანეთოდ ეზიაროონ რაიმე განცდას.
335 და როს ორივე აღიგზნება ერთ მოძრაობით,
უმალ აანთებს ჩვენს სხეულში განცდასა რასმე.
სხეულს არ ძალუძს წარმოშობა თავისდათავად
არც სიკვდილს შემდეგ გაგრძელება არსებობისა.
ისე კი არა, რომ აკლდება, ვთქვათ, სითბო წყალსა,
340 და ამ მიზეზით არ შეიცვლის თავის ბუნებას,
რჩება რაც იყო, კვლავად ვიტყვი, არ ძალუძს სხეულს
სულს განაშორსა ეგრერიგად კვლავ იარსებოს,
არამედ სრულად მოისპობა და გაიხრწნება.
და თვით სიცოცხლის დასაბამით სულიც, სხეულიც
345 შეგუებიან საარსებო იმ მოძრაობას,
რომელს ჩვეულან წიაღისგან დედის საშოის,
მიტომ გათიშვა უეჭველად ღუპავს ორივეს.
მა'ბ, თუ მიზეზი მათ სიმრთელის არის საერთო,
შეთანხმებულა მაშინ სრულად მათი ბუნებაც.
350 ვინც კი უარჰყოფს, რომ აქვს სხეულს გრძნობის უნარი
და მიაჩნია, თითქოს სული სხეულს ნარევი

ქმნის მოძრაობას, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ გრძნობას,
იგი ცხად საქმეს და ჭეშმარიტს შებრძოლებია.
კიდევ რა უნდა მის ცხადყოფას, რომ გრძნობს სხეული,
355 როს თვით მოვლენა მას გვასწავებს, საქმით გვიმტკიცებს?
„მაგრამ ხომ ჰკარგავს სულთან ერთად სხეული გრძნობას“.
ჰკარგავს კი, მაგრამ არა მხოლოდ იმის კუთვნილსა,
სხვასაც მის გარდა—როს სიცოცხლე განშორებია.

ძნელია მის თქმა, თითქოს თვალი ვერას ხედვიდეს,
360 ვით ღია კარით სჭვრეტდეს სული მათ მეშვეობით.
განა თვით გრძნობა წინააღმდეგს არ გვიდასტურებს?
გრძნობა იზიდავს საგნებს, ხოლო გუგა მათ არჩევს,
მიტომ არ ძალგვიძს დავინახოთ ბრწყინვალე რამე,
რადგან—ნათელით თვალისჩინი დაბრკოლებულა.
365 ხოლო კარებთან სხვაგვარ ხდება, როს ვიცქირებით—
ღია საგდული არ აბრკოლებს ჩვენ მხედველობას.
ჩვენი თვალები, თუ კარია მხოლოდღა მაშინ,
მაშინ უთვალოდ უნდა უკეთ ვიყურებოდეთ,
რადგანაც გონი უკეთ განჭვრეტს, ჩარჩო რომ მოვხსნათ.

370 ამ საქმეებში ნუ აჰყვები იმ მოსაზრებას,
რომელსაც მისდევს წმინდა აზრი დემოკრიტესი:
გონის, სხეულის საწყისები თითქოს ერთურთის
თანმიმდევრობით მიწყობილი აერთებს სახსრებს.
მართლაცდა, გონის ნაწილები უფრო მცირეა
375 ვიდრე, რომელნიც ჰქმნიან სხეულს ან კიდევ კუნთებს.
უფრო მცირეა მათი რიცხვიც მიმოფანტული
მთლიან სხეულში, მის მიხედვით ძალგიძს დაასკვნა:
იმდენად მცირე შუალედია გრძნობად სხეულის
ნაწილთა შორის მოძრაობის გამომწვეველი,
380 რა შუალედიც გონის საწყისთ მოეპოვებათ.
აკი ველარ ვგრძნობთ ჩვენ ხომ ხშირად, თუ სხეულს მტვერი
როგორ მიეკვრის, ვით აჯდება ტანს ფიფქი ცარცის,
ვერც ღამით ნისლსა, ვერც გზად გაბმულ ობობას ქსელსა
ველარ შევნიშნავთ გზადმიმავალს როგორ გვეხვევა.

385 თუნდაც დაგვეცეს თავს ნაფლეთი ობობას ბუდის,
ან ღინღლი რამე, პაპისწვერას მფრინვალე თესლი,
მეტ სიმსუბუქით ქვემოთ ძლივს-ღა რომ ეშვებიან,
ვერცა ანაზდად მცოცავს მცირე არსებას რასმე
ჩვენ ველარ ვიგრძნობთ, ვერც ბუზანკლის რამ კვალს შევამჩნევთ,
390 ანდა კოღოსი ჩვენს სხეულზე რომ გაუვლია.
ხომ იმ ზომამდე ხამს აღიძრას ჩვენში ყოველი,
ვიდრე შეიგრძნობს ამას ჩვენი გონის საწყისთა
ოგი თესლები ყოველ სხეულს რომ გააჩნია,
ბოლოს ერთმანეთს მინამთხვევი კვლავ გაითიშვის,
395 თავის პირვანდელ მშვიდსა ყოფას დაუბრუნდება.

ხომ გონი იცავს უმთავრესად სიცოცხლის ბურჯსა,
ოგი ბრძანებლობს ცხოვრებაზე სულის უმეტეს.
რადგან აზრის და გულის გარე სულის ნასახიც
მცირე ჟამსაც კი სხეულს შიგნით ველარ დარჩება
400 და ცდომილიეით მასთან ერთად ჰაერში ქრება,
ცივ გვამს სიკვდილის ეუფლება ხელი მსახვრალი,
ხოლო კვლავ ცოცხლობს, ვისაც ახლავს გონიც და სულიც.
თუ გინდ სხეულის ნაწილები სრულად მოეკრათ,
თან გაჰყოლოდა იმათ სულიც, ნამორად შთენილს,
405 მაინც ცოცხალსა ძალუძს სუნთქვა მსუბუქ ეთერის.
თუ არ მიჰხდია სული სრულად, სულ მცირედიღა
თუ შერჩენია, მაინც კიდევ ებრძვის სიცოცხლეს.
ისე ვით სრულად დაჭრილ თვალის გუგაც თუ დარჩა,
მაინც ცოცხალა, მხედველობის უნარიც ახლავს,
410 ვიდრე სრულიად არ მოაშთობ სინათლის წყაროს
და არ ამოსჭრი ერთობლივად თვალს, ბაიასაც,
ვერ დააბრმავებ—მათ ორივეს მოუსპობელად;
ხოლო თუ თვალის მოიშალა შუა ნაწილი,
ქრება ნათელი და წყვდიადი დაისადგურებს.
415 სხვამხრივ თუ გინდა გამოსჩანდეს თვალი უვნებლად,
ესდენ მტკიცეა გონისა და სულის კავშირი.

თუ როგორ იშვის, როგორ კვდება ყოველ სულდგმულთა
გონი და სული—ეს ყოველი თუ გსურს შეიტყო,
მონაპოვარი საამო და ხანგრძლივი შრომით,

420 შენდა საკადრის ლექსით ამას ამოვთქვამ სრულად.
უნდა ორივე ერთ სახელით წარმოიდგინო,
როცა მე ვამბობ სულისათვის მოკვდავიათქო,
უნდა გონზედაც გაავრცელო იგივ ნათქვამი,
რადგან ორთავე ერთ მოვლენას წარმოადგენენ.
425 მცირის უმცირეს ნაწილს რაკი შეუდგენია
არსება მათი, უმცირესობს მისი საწყისი,
ვიდრე საწყისნი წყალთა სითხის შემქმნელ-მშობელნი,
ან კიდევ ნისლის, თუგინდ კვამლის, რადგან სისწრაფით
სჭარბობენ დიდად—შორს გასტყორცნის მცირე რამ ბიძგიც,
430 ოდენ აჩრდილი ნისლის, კვამლის შესძლებს მათ დაძვრას.
ძილს მიცემული როცა ვხედავთ სამსხვერპლო კვარცხლბეკს
რა რიგად ასდის კვამლი მაღლა ცად მიმავალი,
ეჭვი არ არის, რომ აჩრდილნი იძვრიან ჩვენს წინ.
მაშ, როცა ვხედავთ როგორ გასდის გატეხილ ჭურჭელს
435 ყოველის მხრიდან სითხე სწრაფად და ქრება ბოლოს,
და თუკი კვამლიც ანდა ნისლი ქრება ჰაერში,
უნდა ირწმუნო, რომ გაქრება სული უმალვე
და უსწრაფესად გარდიქმნება პირველსაწყისად,
რაკი ერთხელვე კაცთა სხეულს დასტოვებს იგი.
440 მაშ, თუკი სხეულს, რაც სულისთვის იყო ჭურჭელი,
უკვე დარღვეულს აღარ ძალუძს სულის დაჭერა,
რაკი გათხელდა მისი სისხლი, ძარღვს განაშორი,
ვითღა დაიჭერს მას ჰაერი, რა სათქმელია?
რადგან ჰაერი ხომ სუსტია სხეულზე მეტად.

445 გარდა ამისა, იბადება სხეულთან ერთად
აგრეთვე გონი, იზრდება და მასთან ბერდება.
და როგორც ბავშვნი უსუსურნი სუსტი სხეულით
ძლივსღა დადიან, ეგრე სუსტობს გონიც და სულიც.
და ოდეს აღზრდის მტკიცე ძალით მათ ხნოვანება,
450 იზრდება მათში გონის ძალაც, სულის მხნეობაც.
მას შემდეგ, როცა წელთსიმრავლით სუსტობს სხეული,
სხეულთან ერთად მოაკლდებათ ასოებს ძალა,
სუსტდება ნიჭიც, ენაც ებრკვის, ჩლუნგობს გონება,
ყველას აკლდება, ერთობლივად განადგურდება—

455 მას შემდეგ გონიც უნდა გაქრეს და დაიშალოს,
ისე ვით კვამლი, შეუერთდეს ჰაერთა სივრცეს.
მაშ, როგორც ვხედავთ, სხეულთანვე იბადვის სული,
ერთად იზრდება, ხნით ძლეული ქრება მასთანვე.

აქვე დავურთავ, როგორც სხეულს შეიპყრობს ზოგჯერ
460 მეტად მძიმე რამ სნეულება, ტკივილი მწველი,
აგრეთვე გონსაც იპყრობს ზრუნვა, ვაება, შიში
და ამიტომაც მიემთხვევა სიკვდილსაც იგი.
და კიდევ მეტი, ოდეს სენი სხეულს მოიცავს,
გონიც ხომ ბორგავს, შფოთვას იწყებს, არეულს ამბობს,
465 ზოგჯერ მოიცავს მას ხანგრძლივად საღათას ძილი,
თვალთმხედველობა დაეკარგვის, გაშეშებულა
და აღარ ესმის უნდომს რამ ხმა, ცნობა მიხდილსა,
ვერ ხედავს თვისთა შემოკრებილთ მის გარეშემო,
მას რომ უხმობენ ცრემლით ღაწვებს, სხეულს ულტობენ.
470 ხამს ვაღიაროთ, რომ იშლება აგრეთვე გონი,
იმის არსების სიღრმით სენი თუკი შეიჭრა.
რადგან ტკივილიც, სენიც ორთავ იწვევენ სიკვდილს,
როგორც მრავალთა აღსასრული ამას გვასწავებს.
475 ბოლოს რად ხდება, როცა კაცში ღვინის მძლე ძალა
ცეცხლად გზნებული მთელ არსებას მისას მოიცავს,
დაუმძიმდება ამის შემდეგ სულ მთლად სახსრები,
ფეხი ეშლება, ენა ებმის, ჩლუნგდება აზრი,
480 თვალი ერევა, სლოკინს იწყებს, ღრიალებს, ბორგავს,
ბევრ უმსგავსობას სჩადის იგი ამისდაგვარსა,
სწორედ იმიტომ, რომ ძლიერმა ღვინის სიმაგრემ
სრულად აღბორგა სული მისი სხეულის სიღრმით.
და იგი რაც კი აირევა, განიცდის ზიანს,
485 უეჭველია უფრო ძლიერ ძალთა მიზეზით
ცხოვრების სახსარს მოკლებული ისპობა სრულად.

ზოგჯერ უეცრად სნეულებით პყრობილი ვინმე
ჩვენ თვალთ წინაშე დაცემულა მეხნაკრავივით,
პირზედ დორბლი სდის, მძიმედ კვნესის, სხეული უთრთის,
490 გონებამიხდილს იპყრობს კრუნჩხვა, სუნთქვა შეეკვრის
და ესდენ ქენჯნა-ბრძოლის შემდეგ მთლად მიღწეულა.

ცხადია, რადგან სნეულების ძალით რღვეული
სული მღელვარებს ჩვენს სხეულში, ისე ვით ტალღა
აღბორგებული უტეხ ქარის მძვინვარე ძალით,
495 და აღმოხდება კვნესაც მიტომ, რადგან მოიცავს
სხეულს ტკივილი, მაშინ თესლნი მწველი ვაების
ამოდის პირით, ერთობლივად მიეჩურება
სწორედ იმ გეზით, რომლითაც სვლას არის ჩვეული.
ჭკვის დაბნელება შედეგია გონის და სულის
500 მთლად აღრევისა და, როგორც ვთქვი, ერთურთისაგან
გაიყრებიან გათიშულნი იმავე ‘ძხამით.
თავი მიზეზი იმავ სენის კვლავ თუ პირს იქცევს,
ტანის მგესლავი სითხე იგი უკანვე წავა.
მთვრალი კაცივით ავადმყოფი კვლავ წამოდგება,
505 მოუბრუნდება ისევ გრძნობა, სულიც იღვიძებს.
თუ სნეულება ჩვენ სხეულში დაბუდებული
ეგრე საზარლად აღაჩფოთებს ჩვენს გონს და სულსა
ვითარ შესძლებდა უსხეულოდ, ღია ჰაერზე—
მძვინვარ ქართ გვერდით მაინც კიდევ არსებულიყო?

510 თუ იკურნება ჩვენი გონი სხეულის მსგავსად
და ნათლად ვამჩნევთ, რომ წამალი მოქმედებს მასზე,
ესეც გვიმტკიცებს—ნამდვილ ცოცხლობს მოკვდავი გონი.
უნდა რაიმე მიუმატოს, წყობა უცვალოს,
ან კიდევ მთელსა სულ მცირედი ჩამოაშოროს,
515 ვინც ისურვებდა გონის შეცვლას, სხვაგვარ გარდაქმნას
ანდა სხვა საგნის შეცვალებას განიზრახავდა.
უკვდავ არსებას როდი ფერობს რისამე მირთვა,
ანუ მოკლება, მის ნაწილთა გადანაცვლება,
რადგან ყოველი, რაც იცვლება და საზღვარს სტოვებს,
520 დაუყოვნებლივ სიკვდილს ნიშნავს იმის, რაც იყო.
თუ სენი იპყრობს სულს ანაზდად, წამალი ჰკურნავს,
ეს ნიშანია, როგორცა ვთქვი, მის მოკვდაობის
და ჭეშმარიტი სწავლა იგი ყალბს წარმოაჩენს,
სწორი მსჯელობით აღუკვეთავს გზას თავდასაღწევს
525 და ორივ მხრიდან თავშემოვლილს ტყუილში იჭერს.

აკი გვინახავს, რომ თანდათან თავდება კაცი,
სიცოცხლის გრძნობა მოაკლდება ასოთი ასოს,

თავდაპირველად ულურჯდება ფეხის ფრჩხილ-თითი,
შემდეგ ცივდება ტერფი, წვივი, ბოლოს სხვა სახსრებს
530 დაეუფლება ულმობელი სიკვდილის კვალი.
ამასთანავე, სულის რღვევა თუმც კი არ ხდება
ერთსდაიმავდროს, ჩაითვლება მაინც მოკვდავად.
თუ წარმოიდგენ—კიდეც შესძლოს სულმა სახსრებში
ერთად თავმოყრა ყველა თავის ნაწილებითურთ
535 და ამნაირად სულ მიჰხადოს სახსრებს რამ გრძნობა,
ადგილი იგი, ამდენ სულის შესაკრებელი,
წარმოაჩენდეს მაშინ უნდა უმეტეს გრძნობას.
არ იპოება, როგორცა ვთქვი, მსგავსი ადგილი
და დაფლეთილი სულ გაქრება, ისპობა სული.
540 თუ კიდევ მაინც ყალბ მოძღვრებას გავიზიარებთ
და თუ დავუშვებთ—იკუმშება სული სხეულში,
რა კაცს ნათელი მოაკლდება, ნელნელა კვდება,
სულ ერთი არის—მოკვდაობა სულის უნდა ვსცნოთ.
ჩვენთვის ერთია, ქრება სული ჰაერს რეული,
545 ან ერთ ადგილას თავმოყრილი ის გაშეშდება,
თუკი რომ კაცი ჰკარგავს გრძნობას თანდათანობით
და სასიცოცხლო ნიშანწყალი ნელნელ ეცლება.

და რაკი აზრი არს ნაწილი ადამიანის
ადგილიცა აქვს მიჩნეული, როგორც ყურს ან თვალს
550 ანუ სხვა გრძნობას ჩვენი ყოფის განმაგებელსა
და იმის ბადლად ხელი, თვალი თუ ნესტოები
ჩვენგან გამდგარნი ვერც რას გრძნობენ, ვერც არსებობენ
და მცირე ხანში დალპებიან, გაიხრწნებიან,
აგრეთვე სულიც სხეულის და კაცის გარეშე
555 ვერ იარსებებს. იგი არის მისთვის ჭურჭელი
და რაღაც მეტი, თუკი ჰპოებ კავშირს უმტკიცესს
რადგან შერთვია სულს სხეული ძალიან მჭიდროდ.

ბოლოს, სხეულის თანვე გონის სიცოცხლის ძალას
მჭიდრო კავშირი ერთურთშორის გააძლიერებს.
560 ხომ უსხეულოდ სასიცოცხლო რამ მოძრაობას
ვეღარ წარმოშობს თავისთავად მარტოღა გონი,

ტანიც უსულოდ ვერრას იგრძნობს, ვერც იარსებებს.
იმისდაგვარად, როგორც ბუდით ამოჭრილ თვალსა,
სხეულს მოწყვეტილს, სულ არ ძალუძს რისამე ხილვა—
565 ვერც რას შეიძლებს თავისთავად გონი და სული.
ცხადია, რადგან შენაერთი ხრტილსა და კუნთებს
ძარღვით და ძვალით, მთელ სხეულით გარემოცულა,
მიტომ მის საწყისთ აღარ ძალუძთ ერთურთისაგან
რომ გაითიშონ შორ მანძილით, ერთად შეყრილი
570 ქმნის მოძრაობას გრძნობისეულს, და სხეულს მილმა,
ჰაერთა სივრცეს თუ გასტყორცნის იმათ სიკვდილი,
უმალ მათ შორის დაირღვევა კვლავ მთლიანობა.
სულდგმულ სხეულად გარდიქმნოდა მაშინ ჰაერიც,
შეითავსებდა რაკი სულსაც, მოძრაობასაც,
575 რომელიც წინათ მოქმედებდა ძარღვს და სხეულში.
და ისევ ვამბობ, თუ დაირღვა სხეულის გარსი,
და თუ განვიდა სასიცოცხლო იმისგან სუნთქვა,
ხამს აღიარო—გონის გრძნობის, სულის გაქრობაც,
ერთი მიზეზით რაკი ორთავ შეერთებულა.

580 ბოლოს, თუ სხეულს მეტად უმძიმს გონის მოწყვეტა
და უმალ კვდება საზიზღ სუნით აყროლებული,
კვლავ რა ექვი გაქვს შუაგულ სიღრმით წარმომართული—
გაიფანტება კვამლის მსგავსად ძალა სულისა
და ამის გამო ლპობით ესდენ შეცვლილსა სხეულს
585 ელის დარღვევა, დაშლილობა ძირფესვიანად,
მას შემდეგ, რაკი გაქრა სული, განშორდა სახსრებს,
ყოველ იმ ნაკვთსა, რაც კი სხეულს მოეპოვება.
აი, ამაში შენ მრავალგზის ძალგიძს დარწმუნდე,
რომ ნაწილ-ნაწილ სტოვებს სხეულს ბუნება სულის
590 და იწყებს რღვევას თვით სხეულში ყოფნისთანავე,
ვიდრე სხეულით გამოსული ჰაერს მიერთვის.

და კიდევ მეტიც, თვით სიცოცხლის საზღვარში მყოფსა
ვხედავთ ზოგჯერაც აღრეულსა რაღაც მიზეზით;
ეპირებაო თითქოს სული სხეულით გასვლას,
595 ფერი ეცვლება კაცს სრულიად, ეშლება სახე,
მთლად მიღწეული, სისხლგამშრალი გდია სხეული.

ასეთ შემთხვევას „გულის წასვლას“ ეტყვიან ხოლმე,
ან „გულის წუხილს“, მაშინ ყველა ფუსფუსებს ირგვლივ,
რომ სიცოცხლესთან მოუბრუნონ ისევ კავშირი.
600 მაშინ სრულიად აღირევა ჭკვაც, სულის ძალაც
და ლამის არის, რომ სხეულთან თითონვე გაქრნენ,
ოდნავად მეტი ყოფილიყო იმ დარტყმის ძალა.
განა კვლავ ეჭვობ, განაშორი სხეულის ფარგალს
ღონემიხდილი, თავის ბუდით ამოვარდნილი
605 შესძლებდა იგი გამაგრებას მარადჟამიერ?
ის კი არა და მცირე ხანსაც ვერ დარჩებოდა.
მაშასადამე, აღარ ძალუძს მომაკვდავს იგრძნოს
როგორ ეცლება მთელ სხეულით სული ერთობლივ,
ვიდრე ის უმალ არ დასტოვებს ყელსა და ბაგეს.
610 ჩანს, რომ ის კვდება იმავ ადგილს, საცა თვით იყო,
ვით სხვა გრძნობები თვის სამყოფელს დაიშლებიან
და თუ რომ გონი ყოფილიყო მართლაც უკვდავი,
არ დაიწყებდა იგი ჩივილს ჟამს აღსასრულის
და დასტოვებდა თვის სამყოფელს, ვით გველი ტყავს».

615 ბოლოს, რად არის, აზრი, სული, ანუ შეგნება
არ წარმოიშვის არცა თავში, ხელსა თუ ფეხში,
არამედ ერთსა და განსაზღვრულ ადგილს მდებარებს,
თუ არ იმისთვის, რომ შობილი გარკვეულ ადგილს
ხამს გაძლიერდეს და იზარდოს შესაფერისად?
620 ასევე შეჰფერს მრავალგვარსა ნაწილს სხეულის,
რომ გარკვეულსა წესს და წყობას დაემორჩილოს.
მიტომ სრბის მწყობრად მოვლენები, ალს ვერ წარმოშობს
წყალთმდინარება და ვერც იშვას ყინვა ცეცხლისგან.

თუ მაინც ფიქრობ უკვდავია ბუნება სულის
625 და ძალუძს განცდა განშორებულს ჩვენი სხეულით,
ხამს მიაწერო მას უნარი ხუთივე გრძნობის,
რადგან სხვაგვარად აღარ ძალგვიძს წარმოვიდგინოთ
სული მძრწოლვარე აქერონტის უღრან სიღრმეში.
»წორედ ასევე გარდასულ დროს მწერალთ, მხატვართა

630 ესახებოდათ სული მარად განცდების მქონედ,
მაგრამ თვინიერ სხეულისა არა აქვს სულსა
არც თვალი, ცხვირი, ფეხი, ენა, არცა ყურები
და თავისთავად ველარ შესძლებს გრძნობას, არსობას.

და თუ განვიცდით ჩვენ სრულიად მთელი სხეულით,
635 სიცოცხლის განცდა თუ მთელ სხეულს ასულოვანებს,
თუ უცაბედი სწრაფი დარტყმით რაიმე ძალა
შუაგულს დაშლის და მთელს გაჰყოფს თანაბარ წილად,
უეჭველია სულის ძალაც მაშინ აგრეთვე
სხეულთან ერთად ნაწილებად დაიშლებოდა.
640 და რაც იშლება, ნაწილებად დაიყოფება,
უკვდავ ბუნების მქონედ იმას დიახ ვერ ჩავთვლით.
იტყვიან ხოლმე ჰკვეთსო სხეულს მცელავი ეტლი,
როცა იწყება მწვავე ბრძოლა და შეტაკება,
ესდენ სისწრაფით, რომ მოკვეთილ ასოთ ნაწილნი
645 მიწაზე ფეთქს და კაცის აზრს კი ვერ მოუსწრია
ტკივილის განცდა სწრაფი დარტყმით მიყენებული.
რა შეპყრობილა ყველას აზრი ბრძოლაზე ფიქრით,
დაჭრილ-კოდილნი ბრძოლასა და ომში ისწრაფვენ,
ველარასა გრძნობს დამკარგველი მარცხენა ხელის,
650 მას, ფარის მჭერელს, ათრევს ცხენი ბორბალ-ცელებში;
ის—ზემოთ უტევს ვერმგრძნობელი მოჭრილ მარჯვენის;
აგერ, ეს ლამობს რომ დაეყრდნოს მოკვეთილ ფეხსა,
რომლის თითები სიკვდილის წინ კვლავ მოძრაობენ;
თავი მოჭრილი თბილ სხეულით, მიწას გდებული,
655 კვლავ იყურება, ინარჩუნებს სიცოცხლის ნიშატს,
ვიდრეღა გონის შერჩებოდეს რამე ნასახი.
ან გველს, რომელიც ასავსავებს ენას გაშვერილს,
კუდი რომ ზემოთ უჭირავს და წაგრძელებულა,
თუკი დავჩეხავთ რამდენიმე წვრილ ნაწილებად,
660 ვნახავთ, რომ ყოველ იმის ნაწილს, მწვავე ჭრილობით
შეძრწუნებულსა და დაკლაკნილს, სდის შავი სისხლი.
წინა ნაწილსა ცეცხლმოდებულს, სიმწარისაგან
სურს კუდის კბენით გაიყრუოს მწარე ტკივილი.
უნდა დავასკვნათ, რომ ჰქონია თვითეულ ნაწილს

665 თავისი სულდგმა? ამას მოსდევს აღიარება:
მაშ, გააჩნია ერთ სულდგმულსა მრავალი სული,
თუკი იყოფა სულდგმა სხეულს შემტკიცებული,
ხამს ვაღიაროთ მოკვდავია ორივ თანაბრად,
რადგან ორივე მრავალწილად ძალგვიძს დავკუწოთ.

670 და თუ უკვდავი არის მართლაც ბუნება გონის,
თუკი თავსდება ის შობის დროს არსთა სხეულში,
მაშ, რად არ ძალგვიძს მოვიგონოთ წარსულნი დრონი,
ანდა ბარდასულ ჟამთა კვალსა რატომ ვერ ვარჩევთ?
მაშ, რაკი ძალა გონის ცვლისა ესდენ დიდია,
675 რომ წარსულ საქმეთ მოგონება ეკარგვის სრულად,
არა მგონია, რომ ის მეტად შორავდეს სიკვდილს.
ხამს ვაღიაროთ ამიტომაც, ყოფილა სული,
სრულად გამქრალა, რაც არსებობს—ახლად შობილა.

გარდა ამისა, მზა სხეულში თუ გვისახლდება
680 ჩვეულებრივად გონის ძალა ცხოველმყოფელი,
რაწამს ვიბადვით, ვეახლებით სიცოცხლის ნაპირს,
ის ვერ შესძლებდა, რომ სხეულის სახსრებთან ერთად
მოთავსებული, იმის სისხლში ამოზრდილიყო,
მას თავისთავად, ვით გალიას ჩამწყვდეულს რასმე
685 უნდა ეცხოვრა ყოვლის მგრძნობელს სხეულისათვის.
აი, ეს არის რომ გვასწავებს, ვერც დაბადებას
და ვერც სიკვდილის კანონს სული თავს ვერ დააღწევს.
მეტად ძნელია დაჯერება, ვითარ ძალ-ედვას
გარედან მოსულს ესდენ მჭიდროდ სხეულში შესვლა.
690 საქმე გვიჩვენებს, ყოველივე პირუკუ ხდება:
რადგანაც ისე მტკიცედ არის გადაჯაჭვული
სული ძვალ-რბილთან და ძარღვებთან, რომ კბილიც კი გრძნობს—
ტკივილს იწვევს ხომ ცივი წყალი, ან ქვა, რომელსაც
პურის ჭამის დროს ჩვენი კბილი მწარედ მოხვდება.
695 თუკი ესოდენ შერწყმულია სული სხეულთან
იგი უვნებლად მისგან წასვლას ვეღარ შეიძლებს,
ვერ გაეცლება ძარღვებს, ძვალსა ანდა ასოებს,
თუკი შენ ფიქრობ—ერთვის სული სხეულს გარედან,
მიმოიღვრება შემდეგ იგი ყველა ასოში,

700 მაშ, ამ დაღვრის დროს უსათუოდ უნდა მოისპოს.
რაც კი იღვრება ცხადი არის—იშლება, კვდება.
ის ხომ დაუვლის მთელ სხეულის ყოველ ხვეულსა,
როგორც საკვები ყოველ ასოს რომ მიმოივლის
და დაიშლება წარმომშობი სულ სხვა ბუნების.
705 აგრეთვე გონი ანუ სული რაც უნდა მრთელად
ეელინებოდეს ჩვენსა სხეულს—უნდა დაირღვევს,
ვიდრე განვლიდეს ყოველ ხვეულს ჩვენთა ასოთა,
რომ ამით შექმნას ის ბუნება ჩვენი გონისა,
რაიც ამჟამად ფლობს ჩვენ სხეულს წარმონაშობი
710 იმ სულისაგან, რაც გამქრალა ასოთა შორის.
და ამიტომაც ვერ წავართმევთ სულის ბუნებას
ვერც დაბადების, ვერც სიკვდილის დრო-ჟამის ცვლასა.

და ამის გარდა თესლნი სულდგმის რჩება თუ არა
უსულო სხეულს? თუკი რჩება და იქვე არის,
715 არ გვაქვს უფლება, რომ ჩავთვალოთ სული უკვდავად,
რადგან მოაკლდა მას წასვლისას რამე ნაწილი.
თუ ასოთაგან ერთნაირად მიილტვის იგი
და თუ სხეულში არრა ნაწილს თვისას არ სტოვებს,
ცხედარს გახრწნისას ჭიაღუა სადით უჩნდება?
720 სადითღა ჩნდება სულიერთა უსისხლ-უძვლოთა
ესდენ სიმრავლე მსივან სახსარს რომ მოსდებია?
თუკი მიიჩნევ, რომ იმ ჭიებს სული გარედან
მოვლინებია და თვითეულს ცალკე მიერთვის,
არ გსურს შეიტყო ბევრათასი სხვადასხვა სული
725 რად იკრიბება იმავ ადგილს, სად ერთი გაჰქრა?
აი, ეს არის საკითხავი და თავსატეხი;
სულნი იბრძვიან ბოლოს-ბოლოს ყოველ თესლისთვის
ამ ჭიებისა, რომ თვით შექმნან თვისი სადგური,
ან თუ შედიან უკვე სრულად მზა სხეულებში?
730 რად იქცევიან ეგრერიგად, რისთვის იღწვიან
თქმა საძნელოა, რაკი დარჩნენ სულ უსხეულოდ
ველარას აკლებს მათ გვემა თუ სიმშილ-სიცივე.
ვნება, ტკივილი შეაძრწუნებს სხეულს უმეტეს
და მასთან გონიც მრავალ ტანჯვის არის მტვირთველი.

735 ვთქვათ, საჭიროა იმ სულთათვის სხეულის შექმნა,
იქ მოთავსება, ვერ შევიტყობთ ეს როგორ ხდება,
მაშ, აღარ ქმნიან, ჩანს, სულები სხეულს და სახსრებს,
და არცა ძალუძთ მოთავსება მზა სხეულებში,
რადგან კავშირის გაბმას მასთან ვეღარ შესძლებენ,
740 და ამდაგვარად, ვერც შექმნიან საერთო გრძნობას.

ბოლოს, რად ახლავს მძვინვარება ლომების მოდგმას,
მელების ჯილაგს—ვერაგობა, ირმებს კი—შიში.
მამიდან მოსდგამს, მამათ შიში სულს აღუშფოთებს,
მაშ, სხვად რად ახლავს ასეთივე სხვა თვისებანი
745 ყველა სახსრებში ოდიდანვე გადმოცემული,
თუ არ იმიტომ, ყოველ თესლში, ყოველ მოდგმაში
არს ძალა გონის, რომ იზრდება სხეულთან ერთად?
სულს უკვდავება რომ ახლავდეს, მარად შესცვლიდა
სხეულზე სხეულს და სულდგმულნიც ზნეს იცვალებდნენ.
750 ჰირკანის თესლით ნაშობ ძაღლებს მაშინ იფრენდნენ
ხშირრქებიანი წინ ირემნი, ათრთოლდებოდა
მიმინო ცაში, მტრედის შიშით გადიკარგვოდა.
კაცთა—სიბრიყვე, ჭკუა—მხეცებს მიემატოდა.
ამრიგად, ცრუა ის მტკიცება, როცა ამბობენ
755 უკვდავი იყოს თითქოს სული, სხეულს იცვლიდეს.
რაც კი იცვლება, დაირღვევა, ისპობა სრულად.
სულის ნაწილნი აღრეულნი, ბუდით ნასხეტნი
უნდა სავსებით დაიშალოს ცალკე სახსრებში,
რომ ბოლოს სრულად დაიღუპოს სხეულთან ერთად.
760 კაცთა სხეულში გადადისო, იქნებ სთქვას ვინმემ,
კაცთა სულები, ვკითხოთ მაშინ რატომ აკლდება
აზრიანს გონი? რატომ ვერ ბრძნობს ბალღი პატარა?
764 კვიცს რად არა აქვს, აბა, ცხენის მიხვედრილობა?
765 მიტომ, იქნებ სთქვან, რომ სუსტია სულიო თითქოს
სუსტსავ სხეულში. თუ ასეა, ხამს აღიარო
სული მოკვდავად, მით უმეტეს, თუკი სხეულში
იცვლება ისე, რომ ეკარგვის გრძნობაც, ცხოვრებაც.
რა რიგ შესძლებდა მაშ სხვაგვარად სხეულთან ერთად
770 გაძლიერებას და მიღწევას სრულ გაფურჩქვნამდე
ძალა გონისა—შობიდანვე მას არ მირთვოდა.

რატომ ისწრაფვის ის გაქცევას ბებერ ასოდან?
ან იქნებ შიშობს, რომ არ დარჩეს მიხრწნილ სხეულში?
და წელთსიმრავლით ნგრევის ჟამსა ის შიგ არ მოჰყვეს,
775 მაგრამ არსებობს განა საფრთხე უკვდავისათვის?

..

არ არის განა სასაცილო ვენუსის გრძნობას,
ცხოველთაშობას, სულნი იქვე დარაჯად უდგნენ?
სულნი უკვდავნი მოკვდავ სხეულს ელოდებოდნენ,
ურიცხვ სიმრავლით ისწრაფვოდნენ, ერთურთს უსწრებდნენ
780 როგორმე შესძლონ, სხვებს დაასწრონ პირველად შესვლა?
ან იქნებ იყოს სულთა შორის მტკიცე კანონი,
პირველ ის შედის, ვინც პირველად მოფრინდა ადგილს
და აღარ იყოს მათში მცირე დავა-ჭიდილიც?

მართლაც, არ არის ხე ეთერში, არცთუ ღრუბელნი
785 ცურვენ ზღვის უფსკრულს, არცა თევზნი—გაშლილ მდელოზე,
არ აქვს ხეს სისხლი, არც წვენი რამ გაუვა ქვებსა;
განსაზღვრულ ადგილს ფერობს ყოველს ზრდაცა და ყოფნაც.
გონის ბუნება აღარ იშვის სხეულის გარეთ.
უსისხლ-უძარღვოდ ვერ შეიძლებს ის არსებობას.
790 ეს რომ შესაძლო იყოს, მაშინ ძალა გონისა
მოთავსდებოდა თავსა, მხრებში, ფეხის თითებში
ანდა რაგინდრა რამ ნაწილში იარსებებდა,
ვერ დააღწევდა თავს ხომ მაინც კაცის სხეულსა.
თუ ჩვენს სხეულში დადგენილი არის სადგური,
795 იქ, სადაც ძალუძს გონს და სულსა თავისდათავად
ზრდა-არსებობა, მით უმეტეს უარსაყოფია
თითქოს შეეძლოს შობა და ზრდა სხეულის გარეთ.
ამად, სხეული ოდეს კვდება, ხამს აღიარო,
ისპობა სულიც, განფენილი სრულად სხეულში.
800 მიტომ ცხადია, შეერთება უკვდავ-მოკვდავის,
მიჩნევა ვითომც ერთად ძალუძთ გრძნობა, ქმედება—
სიბრიყვე არის. რა იქნება უფრო სხვადასხვა
ან მასზე უფრო გათიშული, დაშორებული,
ვიდრე მოკვდავი უკვდავისგან, მარადულისგან,
805 როდესაც მძაფრი ქარიხალი მათ ეკეთება.
გარდა ამისა, მიჩნეულსა სამარადჟამოდ

უნდა სხეულიც მყარი ჰქონდეს—ბიძგებს გაუძლოს,
რომ არ დაუშვას თავის შიგნით რისამე შეჭრა
დასარღვეველად მკვრივ ნაწილთა, ასეთი არის,
810 როგორცა ვთქვით, მატერიის სხეულთ ბუნება;
ან იქნებ მარად ახერხებდეს ძალის შენახვას,
რაკი გაურბის დარტყმას მსგავსად სიცალიერის,
და რჩება იგი შეუხები, ბიძგის ამრიდე,
რადგან არ არის მის გარშემო ადგილი რამე,
815 რომ შესძლებოდა რასმე სხლტომა, ანუ გაქრობა.
რაკი ყოველი მარადია, აღარ არსებობს
თავდასაღწევი რამ ადგილი, არცა სხეული,
უეცარ დარტყმით შემძლებელი მისი დამხობის.
და თუ ჩვენ სულსა ვიგულვებდით მაინც უკვდავად
820 სიცოცხლის ძალას ვითომც მტკიცედ შემოეფარგლოს,
ანდა ყოველგვარ სენისაგან იყოს დახსნილი,
ან იმის გამო რაკი ყოველ შეტევას უძლებს—
და უმალ ჩვენ თავს დაგვატყდება მისგან ზიანი—
823 ესე ყოველი ჩვენი სულის ბუნებას შორავს.
გარდა იმისა, რომ სხეულთან ერთად სნეულობს,
825 ზოგჯერაც სტანჯავს წინათგრძნობა რამე სიავის,
შიშით მძრწოლვარეს მძიმე ზრუნვა ქანცს გამოაცლის,
სინდისის ქენჯნა—ძველი ცოდვით გამოწვეული.
ამას დაურთე გაგიჟება, გულმავიწყობა,
საღათას ძილი—ბნელ ბურუსით სულის მომცველი.

830 სიკვდილი ჩვენთვის სრულად არად ჩასაგდებია,
რაკი ბუნება ჩვენი გონის არის მოკვდავი.
და ვით გარდასულ ჟამთ სრბოლაში დარდი არ გვქონდა,
როს პუნელთ ჯარი ყოველის მხრივ შემოგვიტევდა,
მთელი ქვეყანა ომის გრგვინვით შერყეულიყო,
835 შიშის ზარხდომა მოსდებოდა სრულად ცის ქვეშეთს,
ყოველი კაცი ეჭვს შეეპყრო თუ ამ ორთაგან
ვის დარჩებოდა მბრძანებლობა ზღვასა და ხმელზე.
როს არ ვიქნებით, განეშორვის ერთიმეორეს
გონიც, სხეულიც, ერთარსებად ჩვენი შემქმნელი,
840 ჩვენდა, ვითარცა არსებობა-მოკლებულთათვის,
შეუძლო არის ვიგრძნოთ რამე ან განვიცადოთ,

თუ გინდ ერთურთსა შეელეწოს ზღვა, ცა და მიწა.
რომ გრძნობდეს კიდეც ჩვენ სხეულით განშორებული
გონის ბუნება და მასთანვე ძალა სულისა,
845 მაინც ეს ჩვენთვის არრას ნიშნავს, რადგანაც სულთან
ჩვენი სხეული ესდენ მტკიცედ გადაჯაჭვულა.
სიკვდილის შემდეგ თუნდაც კვლავად ჩვენი სხეული
დრომ შეაერთოს, დაგვიბრუნოს ჩვეული სახე,
სიცოცხლის სხივი თუ გინდ ისევ გამოგვინათდეს—
850 მაინც მას ჩვენთვის მნიშვნელობა არ ექნებოდა,
დაცილებული თუ ვიქნებით წარსულის ხსოვნას.
ისევე როგორც ჩვენ არ ვიცით თუ რა ეიყავით,
და საზრუნავი მაშინდელი არ შეგვაშფოთებს,
რადგანაც თუკი წარმოიდგენ გარდასულ დროთა
855 უსაზღვრო სივრცეს, მატერიის მოძრაობათა
მრავალგვარობას, მაშინ შესძლებ შენ დამერწმუნო,
რომ ის თესლები, რომლებითაც ვართ ჩვენ შექმნილნი,
865 იმავ რიგისა იყო წინათ, ვით ეხლა არის.
858 თუმც მოგონებას გარდასულის ჩვენ ვერ შევიძლებთ,
რადგან ცხოვრების შუალედმა ძველს, ახალს შუა
860 სრულად მოსწყვიტა მოძრაობა ჩვენ გრძნობათაგან.
და თუკი ვისმე ელის მაინც ხვედრი საზარი,
იგი ყოველთვის უნდა იყოს მზად უბედობის
შესახვედრელად, რაკი მოსპობს იმას სიკვდილი,
864 ვინც უკვე იყო განამზადი სატანჯველისთვის,
866 ხამს ვაღიაროთ არარა აქვს სიკვდილს საშიში,
რადგან ვაება, უბედობა მკვდარს ვერრას აკლებს,
მისთვის ერთია თუნდ ამქვეყნად არ შობილიყო—
უკვდავ სიკვდილით თუ მოკვდავი გაჰქრა სიცოცხლე.

870 თუ ვისმე ხედავ შენს წინაშე ბედის მომდურავს,
რაკი მოელის მას დალპობა სიკვდილის შემდეგ,
ან ცეცხლით დაწვა, ანდა შთანთქმა ველურ მხეცთაგან,
უნდა ვიცოდეთ სულ არ არის იგი გულწრფელი,
გულს დაფარული აქვს ეჭვი რამ—მიუხედავად
875 მისი მტკიცების—რას ვიგრძნობო სიკვდილის შემდეგ.
თავის ნათქვამის, ჩემის აზრით, თითონ არ სჯერა,
ძირფესვიანად სიცოცხლისგან მოწყვეტა არ სურს,

იმედობს კიდეც, რომ როგორმე შემდეგშიც დარჩეს,
ცოცხალი, როცა წარმოიდგენს, რომ სიკვდილს შემდეგ
880 მის სხეულს მხეცნი და ფრინველნი როგორ დაფლეთენ,
შებრალებია თავის თავი, თუმც აღარ ძალუძს
გაშოტილ სხეულს განერიდოს და გაეთიშოს
საკუთარ გრძნობებს მას მიაწერს, ვითომც ის იწვეს;
მიტომაც ჩივის, რატომ იშვა იგი მოკვდავად,
885 არ იცის, მართალ სიკვდილის დროს არვინ იქნება,
რომ თავი თვისი დაიტიროს თითონ ცოცხალმა,
მნახველმა, იმის ცხედარს როგორ გლეჯენ და სწვავენ.
თუკი ცუდია, რომ დაგლიჯოს მკვდარი მხეცების
ბასრმა კბილებმა, რატომ არის ნაკლებად მწვავე
890 კოცონს დაიწვეს ალმურ ცეცხლის სიმხურვალეში,
თაფლში დაიხრჩოს, გაიყინოს სიცივისაგან,
ან ცივ საფლავის ქვებზე იგი განისვენებდეს,
ან მძიმე მიწით დაფარული იდოს სამარეს?

„კვლავ ვეღარ ნახავ სახლს მხიარულს და ვერც ძვირფასი
895 შენი მეუღლე ვერ შეგხვდება, შენთა შობილთა
ხვევნა და კოცნა ნეტარებით გულს ვერ აგივსებს
და აღარ ძალგიძს შენ სახლობის აღორძინება,
არც მფარველობა, „უბედურო“,—იტყვიან მაშინ—
„სრულად მიგხადა ამ ერთმა დღემ ყოვლი სიკეთე“
900 ხოლო არავინ არ მიურთავს „სამაგიეროდ
გადაგეყარა დარდი, ზრუნვა ამიერიდან“,
რომ მოახერხონ აზრით მისწვდნენ, სიტყვით გამოთქვან,
გონება მათი შიშს და ზრუნვას თავს დააღწევდა.
„სიკვდილის ძილით ხარ, იქნები შენ შეპყრობილი,
905 მარადჟამიერ ტანჯვა-სევდას განაშორები,
ჩვენ კი საზარელ კოცონის წინ ის შენი ფერფლი
გულამომჯდართა დავიტირეთ და მარადიულს
სევდას ერთ დღითაც ვერ ავიცდენთ ტანჯულ გულიდან“.
ვინც ასე ფიქრობს უნდა ჰკითხო: „რა სამწუხარო
910 არის თუკი მას მართლაც ძილი, მშვიდობა ელის,
რა საჭიროა მარად ტანჯვას, სევდას მიეცე?!

ხდება ზოგჯერაც, როცა კაცთა ზეიმზე—ლხინად
უპყრიათ თასნი და გვირგვინით თავი მოურთავთ,
გულის სიღრმიდან აღმოხდებათ: „კაცთა სიამე
915 აბა რა არის, ხარ და აღარ იქნები შემდეგ“.
სიკვდილის უკან თითქოს ისღა რჩებათ საგლოვად,
დასწვავთ წყურვილი მათ საბრალოთ, სიცხე მოაშთობს,
ანდა ტკივილი შეაძრწუნებს სხვადასხვაგვარი.
ამგვარ საჩივარს ვინღა იტყვის თვის ცხოვრებაზე,
920 ოდეს გონება და სხეული ძილს მიეცემა.
და ვურიგდებით, რომ ეს ძილი მუდმივი იყოს,
არც რამ სურვილი არაფრისა გვამღელვარებდეს,
და მაინც კიდევ სახსრებშიგან ჩვენი სხეულის
კვლავ საწყისები მოძრაობენ გრძნობის შემცველნი,
925 რა კაცი ძილსა თავს გაართმევს, ამოქმედდება.
მიტომ სიკვდილი სულ შორსმყოფად დაგვესახება,
იმდენად შორს, რომ ძალგვიძს იგი არრად ჩავთვალოთ;
სრულად ირღვევა მატერია სიკვდილის შემდეგ
და დაიშლება, გაღვიძება ვერვინ ვერ შესძლოს,
930 როს ცივი ბოლო კაცთა ყოფას დაუდებს საზღვარს.

წარმოვიდგინოთ, ბუნებამაც ხმა ამოიღო,
მიმართა უცებ ვინმე ჩვენგანს ამ საყვედურით:
„რა მოგვიდა, სთქვი მოკვდაო, რად მისცემიხარ
მძიმე კაეშანს, სიკვდილისად რად სტირ და ოხრავ?
935 შენი ცხოვრება შენს გემოზედ გიტარებია,
თუკი ყოველი უსარგებლოდ და უშედეგოდ
ისე არ გაჰქრა, როგორც გასდის ჭურჭელს გაბზარულს,
რად არ მიდიხარ კმაყოფილი ვით სტუმარს ფერობს,
მშვიდ მოსვენებას, შე სულელო, რად არ ეძლევი?
940 თუკი სიამე რაც კი გქონდა, გაგიქრა სრულად,
სიცოცხლეც გიმძიმს, რაღად გინდა კვლავ მიემატოს,
თუ უნაყოფოდ დაგეკარგვის სრულად ყოველი?
განა არ გიჯობს დაასრულო ზრუნვაც, ცხოვრებაც.
არაფერი მაქვს მოსაგონი ამის უმჯობეს
945 შენდა საამოდ, ყოველივე რჩება რაც იყო.
ვთქვათ, წელთ სიმრავლემ შენ სახსრები ვერ მოგიდუნა,
ვერც შეგისუსტა, როგორც იყავ, დარჩი ისევე,

ვთქვათ, რომ სიცოცხლით კაცთა მოდგმას გადააჭარბე
და კიდევ მეტიც, დაგივიწყა სიკვდილმა სრულად“.
950 რა გაქვს სათქმელი, ჩვენ ბუნებამ წარმოგვიდგინა
თავის სარჩელი დასაცავად ჭეშმარიტ საქმის?

955 თუ წელთ სიმრავლით მიხწეული მოხუცი ჩივის
952 და მეტისმეტად თავს გვაბრალებს სიკვდილის მლოდე,
ახი არ არის, რომ შეჰყვიროს იმას ბუნებამ:
„შესწყვიტე ცრემლი, ყბედო გლახავ, მოეშვი წუწუნს,
956 სიცოცხლის სიტკბო ხომ იგემე, ეხლა დავარდნილს,
ის გენატრება რაც არ არის? აწმყო შეგზარდა?
უქმად გაგიქრა დღენი შენი წარსულ ცხოვრების?
აი, უეცრად თავს წაგადგა უკვე სიკვდილი,
960 ვიდრე შესძლებდი კმაყოფილი ცხოვრებით წასვლას.
რაც კი არ ფერობს შენს ასაკსა თავი ანებე,
მშვიდად დაუთმო შთამომავალს ადგილი გიჯობს“.
სამართლიანად გლანძღავს, გათრევს—ვფიქრობ ბუნება,
ძველი ემხობა, მარად ახალს უთმობს ის ადგილს,
965 ერთიმეორით კვლავ აღდგება უცილობელად,
არრა იკარგვის წყვდიადოვან ტარტარის უფსკრულს.
საზრდოდ სჭირდება მატერია მოდგმასა ახალს,
ოდეს ცხოვრება მათი განვლის, შენ მოგყვებიან,
ვით შენ დაეცი, კვლავ ისინიც წაიქცევიან.
970 ასე იქმნება ყოველივე ერთი მეორით,
ერთს არ ეკუთვნის ეს ცხოვრება, არამედ ბევრსა.
აბა, განსჭვრიტე მარადიულ ჟამთა სრბოლაში
თუ რა მცირედ ჩანს ჩვენ შობამდე დრო გარდასული.
ამით ბუნება ვით სარკეში ისე გვისახავს
975 იმ მომავალსა, რაც ჩვენ სიკვდილს შემდეგ მოჰყვება.
შიშის აღმძვრელი, სამწუხარო რა გესახება,
თუ სიწყნარეა ძილზე მეტად დამამშვიდები?
და ის ყოველი ღრმა უფსკრულში აქერონტისა,
რაც კი გეგულვის—აქ არსებობს ჩვენს ცხოვრებაში.
980 ნუ გჯერა თქმულის, თითქოს დიდ ქვას ჰაერს კიდებულს
შესაცქერსო ტანტალ საცოდავად ‘ნ’ით პყრობილი,
მოკვდავებს მეტად ფუჭი ‘ნ’ი ღმერთთა წინაზე
უფრთხობს სიმშვიდეს და თავზარი ბედისწერისა.

არცა ტიტიოსს გლეჯს ფრინველი აქერონტს გდებულს—
985 თუნდაც ვეება იმის მკერდში მართლა და მართლა
მარადჟამიერ ვით შესძლებენ ჰპოვონ საგლეჯი,
მისი სხეული განუზომლად დიდიც რომ იყოს
და ცხრა იუგერის სივრცის ნაცვლად მის ტანის ნაწილთ,
რომ დაეჭირა დედამიწის მთელი ფართობი,
990 ვით შეიძლებდა მარადიულ ტანჯვის ატანას,
ან თვის სხეულით მათ მარადჟამ გამოკვებასა?
ტიტიოს აქვე, ჩვენთან არის—ის ტრფიალია,
მგლეჯი ფრინველნი—ეჭვი, სევდა შემაძრწუნები,
სხვა საზრუნავი და ვნებანი გულის მომწყლველნი.
995 ჩვენ ოვალწინ არის ცხოვრებაში თითონ სიზიფეც,
იგი სარბადა ხალხს სთხოვს ჩუგლუგს, ლიქტორის კონას,
შემდეგ ძლეული, ნაღვლიანად ბრუნდება უკან,
რადგან ვინც ელტვის მბრძანებლობას ფუჭს, არრის მომცემს,
ცხადია, იგი მარად მძიმე შრომას დაითმენს.
1000 ეს იმასა ჰგავს, ჭაპანწყვეტით მთასა მაღალსა
ქვა აიტანო, ის კი ისევ მის მწვერვალიდან
დაქანებული, გაშლილ ველზე უკან დაგორდეს.
ჩვენი ბუნების სულუხვობას, გაუმაძღრობას,
ვეღარ ავავსებთ, ვერ მოვპირავთ იმ სიკეთითა,
1005 რასაც გვიმზადებს წლისა დროთა ცვალებადობა,
ყოველ ბრუნვისას ამო ნაყოფს რომ გვაწვდის ულევს
და მაინც კიდევ არა ვჯერვართ ცხოვრების ჯილდოს.
ეს იმასა ჰგავს, რომ იტყვიან ნორჩ ასულებზე
წყალსა ასხმენო უძიროსა რაღაც ჭურჭელში,
1010 რომლის ავსება მათ არასგზით აღარ ძალუძთო,
ხოლო ცერბერი, ფურიები, ბნელით მოსილი
ტარტარი, პირით საზარ ცეცხლის აღმომტევები,
არც არასოდეს არ ყოფილა, არც როს იქნება.
შიში კი არის სასჯელისა ბოროტ საქმისთვის,
1015 რადგან ყოველგვარ დანაშაულს მოჰყვება დასჯა,
ციხე, ან კლდიდან საზარელი ქვედანარცხება,
ცემა, წამება, ფისი, ორმო და ცხელი რკინა.
თუ ეს არ არის—წარმოდგენა საზარ საქმეთა
ისეც შიშში მყოფს ტანჯვას ურთავს და ამათრახებს;
1020 ვერ დამნახველთა უბედობის დასასრულისა
ფიქრიც არ ძალუძთ, რომ ექნება ბოლო წამებას,

ამის შიშიც აქვთ—სიკვდილს შემდეგ ტანჯვა იმატებს.
სიცოცხლე ბრიყვებს აქერონტად გარდაქცევიათ.

საკუთარ თავსა, გარგებს ზოგჯერ, ასე მიმართო:
„თვალთა სინათლე დაუბნელდა ხომ თვით ანკუსსაც
და განა იგი შენზე ბევრად კარგი არ იყო?
გარდა ამისა სხვაც მრავალი მეფე, მპყრობელი
და მბრძანებელი მრავალ ტომთა არ დამხობილა?
და თვით მასაც კი, ვინც ვრცელ ზღვისა გზა უსიერი
დაიპყრო, მისცა ლეგიონებს სასვლელად სიღრმე,
მლაშე ზედაპირს შეასწავლა ფეხდაფეხ გასვლა,
ვინც მღელვარ ზღვაზე თვის ბედაურს აჯირითებდა,
ნათელს მოაკლდა, მოკვდავ ტანით გავარდა სული.
სციპიონს, ომის ელვას, რისხვას კართაგენისა
მიწა უფარავს ძვლებს ისე ვით უბრალო მონას.
დასძინე: დიდნი მეცნიერნი თუ ხელოვანნი,
ან თანამგზავრნი ჰელიკონის, მათგან ჰომეროსს—
ერთს ეპყრა კვერთხი, ისიც სხვებთან მშვიდ ძილს მოუცავს,
თვით დემოკრიტემ, როცა უკვე ღრმა მოხუცობამ
ცხადად ანიჭნა შესუსტება აზრის და ხსოვნის,
თავის ხელითვე თავსა თვისსა მოუღო ბოლო.
და ეპიკურემ, რა მოვლო გზა ნათელ ცხოვრების,
თითონ განვიდა—ნიჭით მჯობი კაცთა მოდგმისა
ისევე, როგორც ვარსკლავს მეტობს მზე ამოსული,
შენ კი ყოყმანობ და არ გინდა ცხოვრებას მოსწყდე,
ცოცხლად მკვდარი ხარ, თუმცა ცხოვრობ, თვალებს აცეცებ,
რადგანაც ძილში შენ ცხოვრების მეტ დროს ატარებ,
ცხადლივად ხვრინავ და სიზმრების ნახვას განაგრძობ,
ცრუ შიშში მყოფსა მარად ძრწოლა აზრს გირევს სრულად.
ხშირად არ ძალგიძს გამოიცნო შენს თავს რა მოსდის,
მარად ზრუნვაში ხარ ჩაფლული, შე საცოდავო,
გარყვევს, გაღელვებს გზას ამცდარი გონება შენი“.

რომ შესძლებოდა ადამიანს მის გამოცნობა,
რა მძიმე ტვირთსა აკისრებენ თავიანთ გონსა,
თუ სადით მოდის მათი ტანჯვის თავი-მიზეზი

მძიმე ლოდივით სევდად გულზე რომ მოსწოლია,
ეხლა რომ ვხედავთ ასე რიგად არ იცხოვრებდნენ.
საკუთარ ლტოლვის უმეცარნი, მარად მძებნელნი
ახალ სადგურთა მძიმე ტანჯვის თავასარიდად.
1060 დიდ სრა სასახლეს სტოვებს ზოგჯერ კაცი, რომელსაც
მობეზრებია თვის სახლკარი, თუმც კვლავ ბრუნდება
ველარ მპოვნელი სხვათა კარზე უმჯობესისა,
ცხენს მიაგელვებს გამალებით ზოგჯერ სოფლისკენ,
თითქოს ჩქარობდეს ალმოდებულ სახლის საშველად;
1065 მთქნარება მოსდის, რა მიატანს სახლის მიჯნაზე,
ან კიდევ ძილად დავარდება თავდავიწყებით,
და შემდეგ ისევ ქალაქისკენ მიეშურება.
ასე ყოველი საკუთარ თავს ცდილობს გაექცეს,
რომ ვერ ახერხებს, თავის თავი შესძაგებია.
1070 ვერ გამგებელი თავის სენის ნამდვილ მიზეზის.
მას რომ ხედვიდეს, ყველაფერზე ხელს აიღებდა.
თავდაპირველად მისწვდებოდა საგანთ ბუნებას
სამარადჟამოს, არა მოკლე დროის შესახებს
სადავო კითხვას; თუ რა ბედი მოელის მოკვდავთ
1075 სიკვდილის შემდეგ საუკუნო განსასვენებელს.

ბოლოს ესოდენ ეჭვის, შიშის, საფრთხის განცდასა
რა გვაიძულებს, ეს სიცოცხლე რამ შეგვაყვარა?
ხომ გარკვეული აქვს საზღვარი კაცთა ცხოვრებას,
უეჭველ სიკვდილს ვერრა კაცი ველარ ასცდება.
1080 გარდა ამისა, ხომ იმავე წრეში ვართ ისევ,
ხანგრძლივ სიცოცხლით ვერ განვიცდით ახალ სიამეს.
როს არ გვაქვს რამე, ჩვენს სურვილსა გვინდა ვეწიოთ,
ოდეს მივაღწევთ, მაშინ კიდევ სხვისკენ ვისწრაფით,
მიტომ ვერ ვიკლავთ ვერასოდეს ცხოვრების წყურვილს;
1085 იმის დარდში ვართ, რას გვიმზადებს ჩვენ ბედისწერა,

რა ბედსა შეგვყრის, რაგვარ ბოლოს წინაშე ვდგევართ?
რა ძალა შეგვწევს ამ ცხოვრების გახანგრძლივებით
სიკვდილს წავართვათ სულ მცირედი ჟამის ნაწილიც,
რომ უფრო ნაკლებ ხანსა დავჰყოთ არარაობას.
1090 რამდენსაც გინდა მოდგმას სძლიო ხანგრძლივ ცხოვრებით,
მარად სიკვდილსა ვერასოდეს თავს ვერ წაართმევ.
არყოფნა ყველას ერთნაირად მოგველის მაინც,
ვინც დაასრულა თვის ცხოვრება დღევანდელ დღესა,
ან თვით და წლებით ჩვენზე ადრე მიცვალებულა.

წიგნი
პირველი



ზიერიდების შევდგომივარ გზას გაუთელავს,
პირველად მინდა დავეწაფო მის უკვდავ წყაროს,
იქ არნახული ყვავილები დავეტრიფო მდელოს,
თავი შევიმკო იმ საოცარ ყვავილთ გვირგვინით,
5 რომლითაც მუზას ჩემს უადრეს არვინ მოურთავს,
რადგან, ჯერ ერთი, ვარკვევ საკითხს საგანთ არსისა,
რომ ვიხსნა სული რელიგიის ბორკილებისგან,
შემდეგ, ბნელ საგანს ულამაზეს ლექსით გამოვთქვამ,
ავალიკლივებ ერთიანად მუზათა ეშხით.
10 ვფიქრობ, ეს ხერხი რომ ჭეშმარიტთან ახლოა მეტად;
ოდეს მკურნალი აძლევს ბავშვებს საზარ აბზინდას,
ფიალას პირის გარეშემო წაუსვამს ხოლმე
ყვითელი თაფლის საამურს და უტკბილეს სითხეს,
ბავშვის ასაკი მიამიტი სწრაფად ტყუვდება
15 და მისი ბაგე სიტკბოს რომ გრძნობს, დაეწაფება
მწარე აბზინდას საზიზღ სითხეს და შეცდომის გზით,
ასე, ამრიგად, ჯანმრთელობა კვლავ უბრუნდება.
აი, მეც ასე: ჩემი სწავლა მოეჩვენებათ
საქმის არ მცოდნეთ მეტად მძიმედ; უბრალოთათვის
20 საძულველია და მიტომაც მე მოვისურვე
პიერიდების ნაზი ენით გაუწყო სწავლა,
რომ შევანელო იგი უტკბეს მუზათა თაფლით,
და ვგონებ ამ გზით მაინც შევძლებ, რომ მოვიზიდო
ლექსებისადმი შენი სმენა, ვიდრე შეიტყობ
25 საგანთ ბუნებას, და ამ ცოდნის სარგებლობასაც.

რაკი განვმარტე რა რიგია არსი გონისა
და ჩვენ სხეულთან შენაერთი ვითარ იზრდება,

ან ვით სცილდება, უბრუნდება პირვანდელ საწყისს,
ახლა გიამბობ, რაც მას მჭიდროდ უკავშირდება, —
30 ჩვენ ვუწოდებდით იმას აჩრდილს საგნის თუ არსის,
საგნის ზედაპირს თხელ გარსივით რომ მოსხლეტიან,
იქეთ და აქეთ მიმოქრიან ჰაერთ სივრცეში
ის სახებანი, ჩვენ გონების წინ მოვლენილნი
გვაფრთხობენ ცხადლივ თუ სიზმარში, ოდეს საკვირველს
35 ვხედავთ ანარეკლს ჩვენებათა სპივმოკლებულთა,
რომელნიც ხშირად საშიშ სიზმრით გასავათებულს
ძილს დაგვიფრთხობენ, შეუძლოა თუმც აქერონტით
ილტვოდნენ სულნი, ცოცხალთ შორის ქროდნენ აჩრდილად,
ან დარჩეს რამე ჩვენგან ჩვენი სიკვდილის შემდეგ,
40 რაკი სხეულსა სულთან ერთად მოეღო ბოლო
და თვის დაშლისას საწყისებად დაიყო იგი.
ამგვარად, ვამბობ, რომ ასხლტება საგანს სულ თხელი
სახება რამე ანარეკლი ზედაპირისგან.
ბრიყვებისთვისაც ცხადი უნდა იყოს ეს აზრი.

45 რაკი გაუწყე სრულად საგნის საწყისთ წარმოქმნა,
თუ როგორ ხდება, ვითარ ქრიან საწყისნი მრავალ
სახეთა მქონე თავისთავად, მუდმივად მსრბოლნი,
ვითარ იქმნება მათგან საგნის მრავალგვარობა,
ეხლა მოგითხრობ, რაც მას მტკიცედ უკავშირდება,
50 რასაც ვუწოდებთ ჩვენ სახებას რაიმე საგნის.
იგია საგნის ზედა გარსი, თუ ქერქი რაღაც,
რადგანაც სრულად ფერს და სახეს ის ინარჩუნებს
იმ საგნის, სადით ანარეკლი გარემიმოსრბის.
ჯერ მას აღვნიშნავ, რომ სცილდება თვალდასანახად
55 ზოგიერთ საგანს თვის ნაწილნი, განიფანტება.
ვთქვათ, შეშას კვამლი ასდის ხოლმე, ცეცხლს კიდევ სითბო,
ან თუგინდ სხვა რამ მაგარი და შენივთებული,
ვთქვათ, კუტკალიას ის სამოსი ზაფხულს რომ იცვლის,
ანდა ის ბუდე სხეულიდან რომ მოეცლება
60 ხბოს ახალშობილს, თუნდა ტყავი სრიალა გველის,
დატოვებული ბასრ ეკალზე, ხშირად გვინახავს
ის სიფრიფანა ნარის ბუჩქზე რომ დაფარფატებს.
თუ ეს ასეა, მაშ სცილდება, ეჭვს გარეშეა,

საგანთ სხეულის ზედაპირსა სახება მათი,
65 და რად აკლდება სხეულს მეტად ის, რაც მცირეა
და უფრო თხელი — ამის დასტურს ვერვინ ვერ მოგვცემს.
თუმც უნდა ითქვას, რაკი საგანს ზემო სხეულნი
მეტად წვრილი აქვს, არის მაინც იმავ რიგისა,
რაც საგანია, თვის სახების შენარჩუნებით
70 დაუბრკოლებლივ უფრო სწრაფად აიშლებიან,
სიმცირის გამო პირველ ადგილს უმალ იჭერენ;
აკი ბევრს რასმე ვხედავთ — ნაწილთ გაფანტვის შემძლეს
არათუ მარტო თვის სიღრმიდან, როგორც წინათ ვთქვი,
განაკიდიდან — ვით საგანი ირეკლავს ფერსა.
75 ეს მაშინ ხდება იისფერსა, წითელ-ყვითელსა
ფარდას როდესაც გაჰკიდებენ ვრცელი თეატრის
ბოძს და ლარძაყინს — ფრიალს იწყებს კიდითკიდემდე
და იქ მჯდომარე მოქალაქეთ, სცენის სამკაულს,
სრულად ყოველსა, სენატორთა, ქალთ მორთულობას
80 თვის ფერის სხივთა ტალღას მოჰფენს და მიმოაფრქვევს.
და რაოდენად დიდი არის თეატრის ირგვლივ
კედელთ სიმაღლე, მით უმეტეს უნაზეს ღიმად
იღვრება ფერი დღის სინათლის მიმქრალ სხივებზე.
და თუკი ფერი ირეკლება ფარდის პირიდან,
85 უნდა მოაკლდეს მაშინ ყოველს საგანს ხომ რამე,
რაკი იფანტვის ზედაპირით ფერიც, სახებაც.
მაშ, უეჭველად არის კვალი საგანთ სახე·ის
ყველგან მფრინვალე სიფრიფანა ქსოვილებისებრ,
თუმც ვერ შეიძლებ დაინახო არეკვლის კვალი.

90 ყოველნაირი სუნი, კვამლი, სიცხე, ან სხვა რამ
მსგავსი გვარისა განფენილა ცალკცალკე რადგან,
ფარულ ადგილას წარმოშობილთ, სიღრმით მომავალთ,
დაკლაკნილ გზებზე განფანტულთა არ აქვთ გზახსნილი,
გასაელისაკენ ერთობლივად რომ მიეშურონ,
95 და წინაალმდეგ: თხელი გარსი გარეგან ფერის
რა ირეკლება, ვერრა შესძლებს იმის დაფლეთას,
რადგან წინადგილს არის იგი მოთავსებული.
მიტომაც ლანდი, წყალსა, სარკეს, ან სხვა ბრწყინვალე
რამე საგანში ანარეკლი, უეჭველია —

100 რადგანაც არის იმავ საგნის ფერისებური —
იმ საგნის მსგავსიც უნდა იყოს, სადით მოსულა.
104 მაშასადამე, ყოველ საგანს აქვს თხელი გარსი,
105 ან მსგავსი რაღაც, რაიც ცალკე უხილავია,
თუმცაღა უწყვეტ და მუდმივი არეკვლისაგან
ხილული ხდება ანასხლეტი სარკისებრ პირით,
ჩანს, რომ დარჩენას ვერ შესძლებენ ისინი სხვაგვარ,
თუ არ არეკლეს ყოველ საგნის ნაირფერობა.

110 ეხლა შეიგნე რა წმინდაა მისი სახება,
ჯერ ის გასინჯე, თუ რაოდენ დაშორებიან
საგანთსაწყისნი ჩვენი გრძნობის მიწვდომის ფარგალს,
სიმცირის გამო არც კი ძალგვიძს თვალის შესწრება.
და რომ დარწმუნდე უფრო მეტად, ჯერ მოისმინე
115 საგანთსაწყისნი რაოდენად წმინდა ყოფილან.
ჯერ ერთი, მეტად დიდი არის რიცხვი სულდგმულთა,
რომელთა წილსა. მესამედსაც ჩვენ ვერ შევნიშნავთ,
რანაირი აქვთ შინაგანი წყობა სხეულის?
გულის თუ თვალის? სხვა ნაწილთა? ანუ სახსრები
120 რაოდენ მცირე? ან ცალკ-ცალკე თვითეულს საწყისს
სიდან მიეცა ის თვისება გონის და სულის?
ნუთუ ვერ ხედავ რა წმინდაა, რაოდენ წვრილი?
გარდა ამისა, თვის სხეულით მწარე აბზინდა,
ან პანაცეა, სუნს რომ უშვებს მეტად საზარელს,
125 თუნდა თავცეცხლა, ვარდკანაფა მათ რომ შეეხო,
ოდნავადაც კი გაეკარო სრულად შემთხვევით,
126ა თითებს დარჩება საზარელი — მწარე რამ სუნი.

* * *

სჯობს მიხვდე, დაჰქრის მრავალგვარი სახება საგნის
ძალაზე სუსტი და გრძნობისთვის მიუწვდომელი.
არკი გეგონოს ვითომც სრბოდეს სახება იგი,
130 მხოლოდღა საგანს რომელსამე რომ აურეკლავს;
არიან ზოგნი თავისთავად წარმოშობილნი
სულ მაღლა მყოფნი — ცაში, რომელს ჰაერს ვუწოდებთ;
135 სახე შეცვლილნი მრავალრიგად — დაჰქრიან წიაღს.

133 როგორც ღრუბელთა, ვხედავთ ზოგჯერ, ცაზე შეგროვილთ,
რომ აბნელებენ ცისა ტატნობს ლაჟვარდოვანსა,
136 ჰაერს იპყრობენ ზოგჯერ გიგანტს დამსგავსებულნი,
ლაღად მისცურვენ ბნელ აჩრდილთა გადმომფენელნი,
ხან ვითომ მთებით მოსხლეტილნი ვეება ქვებად
მთის მწვერვალიდან დაეშვენნო, მზეს აბნელებენ,
140 უკან კი სდევენ სხვა ღრუბელნი ურჩხულთა მსგავსნი.
მას უკან სახეს შეიცვლიან, გათხელდებიან,
გარდიქმნებიან მრავალგზისი ფერისცვალებით
168 და ხან კი სრულად მოწმენდილი ცათა წიაღი
უეცრად ქუფრად შეიცვლება, გაპირქუშდება,
170 თითქოს წყვდიადმა — აქერონტით მოვლინებულმა —
სრულად მოიცვა თაღი ცისა კიდით კიდემდე.
აი, რაოდენს ღრუბლით ქმნილი შავბნელი ღამე
საშინელებას მოგვალანდებს უკუნით შობილს.
და თუ რამდენად მცირე არის ამ ღრუბლის სახე
175 იმის გამოთქმას სიტყვით ვერვინ ვერ შეიძლებდა.

ეხლა შეიტყვე, რა ადვილად და რა სისწრაფით
იშვის სახება მარად მსრბოლი, საგნით ნასხლეტი,
144 ჩემმა ნათქვამმა ეჭვი რამე რომ არ აღგიძრას.
145 მარად ეცლება ყოველ სხეულს ზედაპირიდან,
რასაც ის ირეკლს, რა ნასხლეტი სხვა სხეულს ხვდება
უმალ განვლის, ვთქვათ, ქსოვილს რასმე, ხოლო თუ ქვა ან
მასალა ხისა გადეღობა — მაშინ უმალვე
განიფანტება და სახებას დაჰკარგავს კიდეც.
150 და რაც ბრწყინვალე იმის გზაზე აღიმართება,
მაგარიც იყოს, ვთქვათ, თუნდ სარკე მაშინ სულ სხვაა,
თუმც კი ვერ გავა ვით ქსოვილში, არც დაიშლება,
რადგან სისწორე ზედაპირის დაიცავს იმას,
მიტომ მოსული მისგან სახე აღწევს ჩვენამდე.
155 რაგინდ სისწრაფით, რა დროსაც კი შენ დადგამ საგანს
სარკის პირდაპირ — სახე მისი შიგ გამოჩნდება.
უწყვეტად ჰქრიან, როგორც ხედავ, სხეულისაგან
საგანთ სახების თხელი გარსის თხელი აჩრდილნი,
დროის სულ მცირე რამ მანძილზე წარმოშობილნი,
160 და ამიტომაც ძალგვიძს რომ ვთქვათ — მსწრაფულ იქმნებიან;

ვით დროის მცირე რამ მანძილზე მზე ნათელს აფრქვევს
მის გარეშემო უტეხ სივრცის აღსავსებელად,
სწორედ ასევე საგნებიდან ხამს აირეკლოს
ელვის სისწრაფით საგანთ სახე შეუწყვეტელად
165 და მრავალგვარად ყოველ მხარეს ეშურებოდეს,
რადგანაც სარკე რომელ მხარეს არ მოაბრუნო,
საგნებს ასახავს იმავ ფორმით და ფეროვნებით.

176 ახლა გასინჯე, რა სწრაფია და რა მოძრავი
საგანთ სახება, როცა იგი ჰაერს გაივლის,
ვით გადალახავს მოკლე დროში უსიერ სივრცეს
და აღწევს ადგილს რაღაც ძალით წაქეზებული,
180 გრძელ სიტყვის ნაცვლად ამას გამცნებ საამო ლექსით.
გედის გალობა, თუმც მოკლეა, სჯობს წეროს კიჟინს,
ავსტრით მორეკილ ღრუბელთ შორის მაღლით რომ ისმის.
ჯერ ერთი, შეჰფერს მსუბუქ საგანთ, შედგენილს მცირე
სხეულებისგან, სხვებზე უფრო მეტი სისწრაფე;
185 მათ გვარს ეკუთვნის მზისა სხივი, აგრეთვე სიცხეც,
რადგან შესდგება მეტად მცირე საწყისებისგან,
ისინი ერთურთს ეხლებიან ჰაერთ სივრცეში,
მსწრაფლ მიილტვიან უწყვეტ დარტყმით აჩქარებულნი
და სხივი სხივსა მისდევს უმალ, შეუჩერებლივ,
190 ერთიმეორის ჯიბრით მიჰქრის ელვაზე ელვა
და აჩრდილებსაც უცილობლად ამდაგვარადვე
ძალუძთ მანძილი გადალახონ თვალუწვდენელი
სულ მცირე დროში, რადგან მცირე რამე მიზეზიც
საკმაო არის მას უბიძგოს და წინ გასტყორცნოს
195 თუკი ისედაც სწრაფი ფრენით ეშურებიან,
ბოლოს რადგანაც ქსოვილისებრ — თხელი აქვთ გარსი
ადვილად განვლის ყოველ საგანს დაუბრკოლებლივ,
ჰაერთა სივრცის ვრცელ მანძილთა გადამლახველნი.
თუკი სხეულნი უმცირესნი იდუმალ სიღრმით
200 აღმომავალნი, როგორცა ვთქვი, ილტვიან ისე,
ვითა მზის სხივი, ანდა სიცხე სრულად რომ ავსებს
ჩვენ თვალწინ ცათა უტეხ ტატნობს კიდით კიდემდე,
ზღვის და ხმელეთის, ცათაკიდის სხივთა მფრქვეველი.
მაშინ რა ითქმის მასზე, რაიც სულ წინ წამდგარა,

205 რომ გაიტყორცნის და მის ლტოლვას ვერრა აბრკოლებს?
განა ვერ ხედავ რა უსწრაფეს და რაოდენჯერ
უშორეს მანძილს გადიქროლებს იგი იმავ დროს,
ვიდრე მზის სხივი ცის კამარას გარდაუვლიდეს.
კიდევ საბუთი თვალსაჩინო ამის დასტურად,
210 თუ რა სისწრაფით მოძრაობენ საგანთ აჩრდილნი:
წყლის ზედაპირის სარკეს რა წამს ცისქვეშ გაიტან,
უმალვე წყალში გამოჩნდება სახება იგი,
ნათელ ვარსკვლავთა მოლივლივე ცათა წიაღში.
ნუთუ ვერ ხედავ რა სისწრაფით აღწევს საზღვართა
215 ამა ქვეყნისა მაღალ ზეცით ნასხლეტი სახე?

ხამს ამის გამო აღიარო, სრბიან სხეულნი,
მიემთხვევიან ჩვენთა თვალთა, იხილვებიან;
შეუწყვეტელად მოდის სუნი ზოგ საგნებიდან
ვით სუსხი — წყლისგან, მზისგან — სითბო, ზვირთცემა — ზღვათა
220 მლაშე ტალღისგან, ჯებირთ კედელს ირგვლივ რომ არღვევს,
ბევრგვარი ხმაც ჰქრის განუწყვეტლივ ჰაერთ სივრცეში,
და ზოგჯერ პირში მლაშე სითხე ჩაგვივარდება,
როცა დავდივართ ზღვის ნაპირას და ვგრძნობთ სიმწარეს
თავცეცხლას სითხეს ჩვენს მახლობლად როს აზავებენ.
225 ასე გამოდის განუწყვეტლად ყოველ საგნიდან
მის ანარეკლი და ყოველმხრივ მიედინება;
და ამ დინებას არ აქვს მიჯნა, არც შესვენება,
რაკი მუდმივად ვგრძნობთ ჩვენ რასმე, მარადჟამიერ
ვხედავთ ჩვენს ირგვლივ, ძალგვიძს ყნოსვა და ხმის მოსმენა.

230 გარდა ამისა, რა ვეხებით ჩვენის ხელებით
ბნელში რამ საგანს, გამოვიცნობთ მას იმგვარადვე,
ვით გაბრწყინვებულ დღის ნათელზე, რადგან, ცხადია,
მსგავსი მიზეზით აღიძრება ხედვაც, შეხებაც.
როს ჩვენ კვადრატსა შევეხებით და იგი ჩვენზე
235 გავლენას ახდენს სიბნელეშიც, მაშ დღის ნათელზე
სხვა რა მოვლენა გვამცნევს კვადრატს ანარეკლს გარდა?
მაშ, უნდა იყოს ანარეკლში მიზეზი ხილვის
ურომლისოდაც ვერრა საგანს ვერ დავინახავთ.

მე რომ ვიგულვებ საგანთ სახე ყოველის მხრიდან
240 მოედინება და მიილტვის სხვადასხვა მხარეს.
და რაკი ძალგვიძს მხედველობა მხოლოდ თვალებით,
ამის გამოა ჩვენსა ხედვას სითაც მივაპყრობთ,
იქიდან მოგვდის როგორც სახე, აგრეთვე ფერი.
და რაც არ უნდა სულ შორს იყოს საგანი ჩვენგან,
245 მას ანარეკლი დაგვანახვებს, შეგვაცნობინებს.
რადგანაც საგნით გამოსული მსწრაფლ სდევნის ჰაერს
და ერეკება მოთავსებულს მას და თვალს შორის,
იგი ამგვარად განვლის სრულად ჩვენს მხედველობას,
გუგასაც აღწევს, თვის მსვლელობას განაგრძობს ისევ.
251 მიტომაც არის, რომ ჩვენ ვხედავთ საგანს შორს მყოფსა.
250 და რამდენადაც წინ ისწრაფვის ჰაერის სრბოლა,
რამდენად უფრო გრძელი ხედება ჩვენს თვალს ნაკადი,
იმდენად უფრო შორეულად გვიჩანს საგანი.
ესე ყოველი განუზომელ სისწრაფით ხდება,
255 მიტომაც არის, ვხედავთ საგანს თუგინდ შორს მყოფსაც.
არ უნდა იყოს შენთვის სრულად გასაკვირველი,
რატომ არის, რომ იმ სახებას, თვალს რომ ემთხვევა,
ცალკე ვერ ვამჩნევთ დამნახველნი მხოლოდღა საგნის.
როცა ძლიერი დაგვბერს ქარი, თანაც მსუსხავი
261 გვთოშავს სიცივე, ჩვეულებრივ ხომ ვერ ვგრძნობთ მაშინ
260 ცალკ-ცალკე ნაწილს ქარით ანდა სიცივით აღძრულს,
არამედ უმალ ერთიანად განიცდის იმ დროს
ჩვენი სხეული დარტყმას რასმე, თითქოს საგანი
გვცემდეს და თანაც თავის სხეულს გვაგრძნობინებდეს;
265 და ამის გარდა, როცა ქვაზე შემოვკრავთ თითსა
მხოლოდ ზედაპირს, ფერს გარეგანს რა შევეხებით,
ამ შეხებისას მას კი არ ვგრძნობთ, არამედ უმალ
იმ კლდის სიმაგრეს — თვით სიღრმეში მოთავსებულსა.

ახლა შეიტყე სარკის უკან რად ჩანს სახება,
270 რად გვეჩვენება მის სიღრმე'ში გადატანილად?
ეს იმასა ჰგავს გარეთ კარზე რომ გავიხედოთ,
თუკი ღიაა კარი და ჩანს სრული სიცხადით
მრავალი რამე ჩვენ სახლიდან შესანიშნავი.

ორმაგ ჰაერით იქნებოდა ის დასანახი,
275 გამოჩნდებოდა ჯერედ კარის ირგვლივ ჰაერი,
შემდეგ კარების დარაბები — მარჯვენ-მარცხენა,
თვალს მოხვდებოდა შემოსული გარედან სხივი,
კვლავად ჰაერი და კარს იქით რაც კი რამ მოჩანს.
ასევე სახე, როს პირველად მას სარკე არეკლს,
280 ვიდრე ჩვენს თვალებს მოაღწევდეს, წინ ერეკება
ჰაერს, რომელიც იმ სახეს და ჩვენ თვალს შუაა,
და ხდება ისე, უმალ მას ვგრძნობთ ვიდრეღა სარკეს,
ხოლო როგორც კი დავინახავთ სარკეს, მაშინვე
ჩვენგან მისდამი მიდის სახე დაუყოვნებლივ
285 და არეკლილი ისევ ჩვენს თვალს დაუბრუნდება.
შემდეგ კვლავ ჰაერს ერეკება თავის წინ მყოფსა
ამას ისე იქმს, რომ უმალვე ვხედავთ ჩვენ სარკეს
თითონ სახიდან რამდენადმე დაშორებულსა.
და ამას კვლავად გეტყვი, შენ კი ნუ გაიკვირვებ,
290 მოჩანს სახება ანასხლეტი სარკის ზედაპირს.
რადგან საგანი ირეკლება ორმაგ ჰაერით,
სხეულის ასო მარჯვნივ თუა მოთავსებული,
სარკეში იგი გამოჩნდება მარცხენა მხარეს.
რა სარკის სიბრტყეს მიემთხვევა სახება იგი,
295 ვერ დაბრუნდება შეუცვლელი, არამედ უკან
აირეკლება ვით ნიღაბი თიხით შექმნილი,
ჯერ კიდევ სველი ბოძს ან სვეტსა რომ მიახალო,
თუკი ნიღაბი თვის ხატებას შეინარჩუნებს
323 უხდა შებრუნდეს მაშინ მისი ყველა მაწილი.

ისე გამოვა, რომ მარჯვენა თვალი მარცხენის
325 ადგილს დაიჭერს და მარცხენა კი—მარჯვენისას.
ამგვარად, სახე სარკით სარკეს გადაცემული
ხუთგზის ან ექვსგზის ანარეკლსა წარმოგვიდგენდა.
თუნდ, სარკის უკან დამალული იყოს საგანი,
და რაც არ უნდა შორს კუნჭულში შეფარებული,
330 მაინც შეიძლებს ბევრ ხვეულის გადამლახველი
მრავალი სარკე იმის პოვნას ოთახის კუნჭულს.
ასე, ამგვარად, სარკე სარკით სახებას ირეკლს,
იგი, რაც იყო მარცხნივ, მარჯვნივ გადაინაცვლებს

და შემდეგ ისევ უბრუნდება პირვანდელ ადგილს.
335 არის ხომ კიდევ სარკეები გვერდებმოხრილი,
რომელთ მხარენი ჩვენ გვერდისკენ მიქცეულია,
მიტომ სწორია არეკლილი მათგან სახება,
ან იმის გამო სარკით სარკეს ემთხვევა სახე,
ანდა ორჯერვე ანასხლეტი კვლავ ჩვენკენ ილტვის,
340 ან როს ტრიალებს იგი ირგვლივ დაბრუნებისას
ორმაგად მოხრილ სარკეებ'ი აირეკლება,
გვგონია, მოგვდევს ჩვენ ფეხდაფეხ ჩვენივ სახება.
და მიბაძავსო თითქოს სრულად ჩვენს მოძრაობას,
შემდეგ კი სარკის ის ნაწილი, რომელს გავცდებით
345 უმალვე შესწყვეტს სახებათა თვისგან არეკვლას;
აკი წესად აქვს ყოველ საგანს ბუნებისაგან,
რომ აირეკლოს რა კუთხითაც ის სარკეს ხვდება.

299 ხომ უფრთხის თვალი და ემალვის ბრწყინვალებასა
300 და მზეც გვაბრმავებს, თუ დაუწყებ პირდაპირ ცქერას.
მართლაც, დიდია მისი ძალა, იმ სიმაღლიდან
მზის სახებანი რა მოჰქრიან სუფთა ჰაერით,
აზიანებენ თვალის ქსოვილს ნაზსა და სათუთს.
მეტად მავნეა ბრწყინვალება თვალებისათვის,
305 რადგანაც მრავლად არის მასში ცეცხლის თესლები,
რომელნიც თვალზე მოხვედრისას ტკივილს იწვევენ.
გარდა ამისა, ყვითლად უჩანს სულ ყოველივე
სიყვითლით სნეულს, რადგან მოჰქრის მისი სხეულით
ყვითელი თესლი საგანთ სახის შესახვედრელად,
310 და მრავლად არის შერეული იმის თვალებ'ი,
რაც ყოველ საგანს ხეხვედრისას მკრთალ ფერს ანიჭებს.

და კარგად ვხედავთ ჩვენ წყვდიადში ნათელ საგნებსა,
თუმცკი სიბნელე ახლოს მყოფი ჰაერთ ტალღების
ჩვენს ღია თვალებს უსწრაფესად დაიმორჩილებს,
315 მაგრამ მის შემდეგ მომდინარე მნათი ჰაერი
სულ გასწმენდს ხედვას, საობს ჰაერში წყვდიად აჩრდილსა,
რადგან სინათლე კიდევ უფრო სწრაფად მოძრაობს,
უფრო თხელია, მასთან ერთად უფრო ძლიერიც.

რაწამს ნათელით თვალთა ხედვას ამოავსებენ
320 და დაიჭერენ იმავ ადგილს, ბნელს რომ მოეცვა,
უმალ მოჰყვებათ უკან იმათ საგანთ სახებაც
ნათელმოსილი და ჩვენ თვალებს აუხსნის ხედვას.
348 ხოლო ნათელით ვერ შევიძლებთ წყვდიადში ხედვას,
რადგან გარშემო შემოგვრტყმია ბნელი ჰაერი,
350 სქელია იგი, თანაც ავსებს ყოველ გასასვლელს,
ჩვენ თვალთა ხედვას გზას შეუკრავს, ვერავითარი
საგანთ სახება ვერ გახდება ამდროს ხილული.

ქალაქის ზღუდის ოთხკუთხ კოშკებს შორით რომ ვხედავთ
დაგვესახება ჩვენ ისინი მრგვალად იმიტომ,
355 რადგან შორიდან ბლაგვად მოჩანს კუთხე ყოველი,
ან შეიძლება შეუმჩნევი დარჩეს ის სრულად
რადგან იკარგვის მისი ბიძგი, ჩვენ თვალს ვერ აღწევს,
რა ჰაერთ სივრცეს განვლის სრულად საგანთ სახება,
ხშირი დარტყმისგან დააჩლუნგებს იმას ჰაერი.
360 მიტომ ჩვენს გრძნობას კუთხე იგი უსხლტება სრულად,
თითქოს საჭრისით ქვის შენობა შემოერგვალოთ.
არცთუ საკსებით ნამდვილ მრგვალსა ჰგავს ის შენობა,
მაგრამ ისე ჩანს თითქოს ამგვარს ემსგავსებოდეს.

ჩვენი აჩრდილი მზეზე თითქოს ჩვენს გვერდით მოდის
365 ჩვენ კვალს მიჰყვება და მიბაძავს ჩვენს მოძრაობას.
ნუთუ ირწმუნებ, რომ ძალედვას ჰაერს უსხიეოს
ჩვენებრ იაროს და ჰბაძვიდეს კაცთ მოძრაობას?
ბოლოს რა არის ის აჩრდილი, თუ არ ჰაერი,
რომელს მოაკლდა სხივი, მზისა ჩვენივ მიზეზით?
370 მართლაც ეცლება მიწას სხივი, როს ადგილს რასმე
ჩვენ გადაუვლით და ამ სვლის დროს მზეს ვეფარებით,
და კვლავ ბრუნდება, იმავ ადგილს რა გავეცლებით,
მიტომ გვგონია სხეულისგან ქმნილი აჩრდილი
ვითომც მოგვდევდეს კვალდაკვალად შეუჩერებლივ.
375 მარად ეშვება მზით ნასხლეტი ახალი სხივი
წინა კი — ქრება, ცეცხლს მიცემულ შალის ძაფივით,
მიტომ ეცლება მიწას სხივი ესდენ ადვილად,
კვლავ ემატება — ბნელ აჩრდილის გასაფანტავად.

შეუძლო არის აქ ოდნავ რომ თვალმა გვიმტყუნოს,
380 ხომ თვალით ვარჩევთ, თუ სად დაჯდა სხივი ან ჩრდილი.
ხოლო ნათელი იგივეა თუ სრულად სხვაა,
ან კიდევ ჩრდილი იგივეა, ადგილს რომ იცვლის,
თუ ყოველივე ისე ხდება, როგორც წინათ ვთქვი, —
აი, ეს კითხვა ჭკვა-გონებამ უნდა გადასჭრას,
385 თვალს ველარ ძალუძს გამოცნობა საგანთ ბუნების.
მიტომ გონების ხარვეზს რასმე თვალს ნუ მიაწერ.
ჩვენ რომ მივყევართ, ნავი იგი უძრავად გვიჩანს,
ნავსადგურს მდგარი — თითქოს წინ-წინ მიიმართოდეს,
მოგვეჩვენება რომ კიჩოსკენ სრბიან ტყე-ველნი,
390 რომელთა გვერდით მიჰქრის გემი გაშლილ იალქნით.
ვარსკვლავნი გვიჩანს ზეცის თაღზე მიმაგრებულად,
თუმცკი ისინი მოძრაობენ შეუსვენებლივ,
და რა ამოვლენ — ისწრაფვიან შორს დასავლისკენ,
ნათელ სხეულით ცის წიაღის გადამლახველნი.
395 მზეც არ იძვრისო, გვეჩვენება, და მთვარეც თითქოს
ერთ ადგილს დგასო, ნამდვილად კი სრბიან მუდმივად.
ზღვის უფსკრულიდან აღმართული მთანი მაღალნი,
რომელთა ზორის გემებისთვის გზახსნილი არის,
მთლიან კუნძულად შორ მანძილით დაგვესახება.
400 თითქოს ტრიალებს ატრიუმი, მიმოდიანო
ირგვლივ სვეტები — ეჩვენება ბავშვს მის შემდეგაც,
როცა შესწყვიტა მან ტრიალი, ვერც დააჯერებ,
რომ არ მოელის მაღალ ჭერის თავზე დამხობა.
ოდეს ბუნება მაღალ მთების მწვერვალთა ზედან
405 ააკიაფებს მოელვარე მზის სხივთა კონას,
ისე ჩანს თითქოს, რომ მზეს მთებით ამომავალსა
მგზნებარე ცეცხლით დაეფაროს გარემო სრულად.
ორი ათასი ისრის ტყორცნას ძლივსღა თუ შორავს
ჩვენგან ის მთები, ანდა ხუთას შუბის ნასროლსა.
410 ხოლო მზესა და იმ მთას შორის ულევი ზღვაა,
გადაჭიმული უსასრულო ეთერის ქვეშე.
განვრცობილია ბევრზე-ბევრი უცხო ქვეყანაც,
ურიცხვ კაცთ მოდგმა რომ ბინადრობს, მოდგმა მხეცების.
ან ერთი თითის დადებაზე დამდგარსა წყალში
415 გზის ქვაფენილზე შუა ქუჩაში რომ დაგროვილა,
წარმოგვიდგება მიწის ქვეშე იგივ მანძილი,

რა მანძილითაც მიწა შორავს უსიერ ცასა.
და მოჩანს თითქოს იყოს მასში ცაც და ღრუბელნიც,
გაოცებულნი ცის სხეულთა ვეკვრეტთ მიწის ქვემოთ.
420 ბოლოს, თუ ცხენი შუა ჩქერში გაგვიჯიუტდა,
მის მდინარებას მაშინ თვალი რომ გავაყოლოთ,
მოგვეჩვენება ჰქროდეს ცხენი მდინარის გასწვრივ
და მთელი ძალით ჩქერის აღმა ეშურებოდეს;
რასაც კი მოჰკრავთ მაშინ თვალსა სულყოველსავე
425 იმდაგვარადვე ჩქერის აღმა მსრბოლად მიიჩნევთ.
თავით ბოლომდე თუმც თანაბრად გასდევს ტალანი,
დამყარებული სულ ერთ ზომის სვეტთა წყობაზე,
მაგრამ ერთბაშად რომ გავხედოთ, მოგვეჩვენება,
თითქოს თანდათან მთავრდებაო ვიწრო კონუსით,
430 უერთდებაო ბანი მიწას, მარცხენა მარჯვენს,
ვიდრე სულ ბოლოს ბნელ მწვერვალად გამოჩნდებოდეს,
ზღვაზე მენავეთ ეჩვენებათ თითქოს ამოდის
მზე ტალღებიდან, კვლავ ტალღებში ეწვება ისევ,
რადგან სხვას ვერრას ვეღარ ხედვენ ზღვის და ცის გარდა.
435 ნუ კი იფიქრებ თითქოს გრძნობა სულ მარცხდებოდეს.
თუმც ზღვის უნახავს ეჩვენება ნავთსაყუდელში
გემები თითქოს კოჭლად იდგნენ, კიჩო მოშლოდეთ.
მართლაც, ნიჩაბთა ის ნაწილი, წყლის ზემოთ რომ ჩანს,
სწორია სრულად, თანვე საჭის ზემო ნაწილიც,
440 ის, რაც კი წყალთა ქვემოთ რჩება — გადატეხილი,
ზეაზნექილი, ისე რიგად აკეცილი ჩანს,
თითქოს ისინი სცურავენო წყლის ზედაპირზე.
ღამის წყვდიადში მეჩხერ ღრუბლებს რომ ერეკება
ქარი ცის ტატნობს, გვეჩვენება, მნათნი ვარსკვლავნი
445 თითქოს ილტვოდეს ღრუბლის ზემოთ, ეშურებოდეს
სრულად სხვა მხარეს, ვიდრე ნამდვილ მიისწრაფვიან.
ან თუ ქვემოდან თვალს შემთხვევით დავაჭერთ ხელსა,
მაშინ რატომღაც, რასაც კი ვეკვრეტთ, მოგვეჩვენება
თითქოს ორმაგი, ორი არსით შედგენილიყოს.
450 ნათელ შუქურას სხივიც მაშინ გაორმაგდება,
გაგვიორდება ბინას მდგარი ყველა ავეჯიც,
და ორად გვიჩანს კაცის სახეც, მისი სხეულიც.
ან როს სახსრებსა ტკბილი ძილი მოიცავს სრულად
მთელი სხეულით სრულ სიმშვიდეს რა მივეცემით,

455 მაინც გვგონია თითქოს გვღვიძავს, ვმოძრაობთ კიდეც,
და ღამის ბნელსა, ქუფრ წყვდიადში მოგვეჩვენება
თითქოს ვხედავთო დღის ნათელსა, მზის ელვარებას.
ჩაკეტილში ვართ და თითქოს ცა, ზღვა, მთა, მდინარე
ჩვენ წინ იცვლება და ვრცელ ველზე ვითომც ვაბიჯებთ,
460 ანდა ხმაც გვესმის სამარისებრ მდუმარე ღამით,
ანდა ვმეტყველებთ, მაშინ როცა მდუმარებს ბაგე.
სხვას ამდაგვარსა მრავალს ვნახავთ უფრო საკვირველს,
რომელნიც თითქოს გრძნობის რწმენას სრულად გვიკარგვენ,
მაგრამ ამაოდ, უმეტესად ამ შეცდომისთვის
465 გონის ვარაუდს, ჩვენგან შექმნილს, მიუძღვის ბრალი,
მას წარმოიდგენს, რაც გრძნობისთვის უჩინარქმნილა,
რადგან ძნელია ნამდვილ საგნის ყალბით გარჩევა,
რასაც გონება ჩვენი ზოგჯერ მიურთავს ხოლმე.

თუ ვინმე უარჰყოფს — რისმე ცოდნის შესაძლებლობას,
470 ეს სიდან იცის, თუ უარჰყოფს ცოდნის არსებას.
მე ასეთებთან საუბარსაც არ ვისურვებდი,
რომლებიც თვისვე ნაკვალევზე თავით აბიჯებს.
ვთქვათ, დავიჯერე რომ ეს იცის, მაშ სით შეიტყო,
თუ ვერ ჰპოვებდა ის საგნებში რამ სინამდვილეს,
475 რას წარმოადგენს რისმე ცოდნა, ანდა არ ცოდნა,
რამ დაანახვა ნამდვილი თუ ყალბი საგანი,
ან საეჭველი უეჭველით ვით გაარჩია?
ეხლა მიხვდები გრძნობისაგან წარმოშობილა
სიმართლის ცნობა; არრას ძალუძს გრძნობის უარყოფა,
480 რადგან უმეტეს რწმენის ღირსი იგია სწორედ,
რაც თავისთავად, თვის სიმართლით სძლევს სიყალბესა.
რას უნდა ვენდოთ სხვას გრძნობაზე უფრო უმეტეს?
და იმავ გრძნობით აღძრულ აზრსა სად შეუძლია
მის უკუგდება, საიდანაც თვითვე შობილა?
485 და თუ ყალბია გრძნობა — მაშინ ხომ სტყუის აზრიც.
სად შეუძლია ყურმა თვალებს არ დაუჯეროს,
შეხებამ — სმენას? გემოვნება უარჰყოფს შეხებას?
ან კიდევ ყნოსვა თვალით ხილულს უკუაგდებდა?
ეს არ მოხდება, ყოველ გრძნობას განცალკევებით

490 განკუთვნილი აქვს თვისი ძალა. უცილობელად
რაც კი რბილია, ცხელი, ცივი, ვიგებთ ყოველსა,
განცალკევებით საგანთ ფერის ძალგვიძს შეგრძნება
და ცალკე ფერის გამორჩევაც მრავალფერთაგან.
აქვს გემოვნებას თვისი ძალა, აგრეთვე — ყნოსვას,
495 თავისებურად იშვის ხმაცა, მიტომ გჭირდება,
რათა ერთურთის ვეღარ შესძლონ მათ უკუგდება,
ხოლო თავისთავს თვით ისინი ვერ უარყოფენ,
მიტომაც სრული ნდობა გვმართებს მათდამი მარად
და რაც ოდესმე მათ აღუქვამთ — სინამდვილეა.
500 და თუ გონებას აღარ ძალუძს ახსნას მიზეზი
ის, რაც კვადრატი იყო ახლოს, შორს წრედ რადა ჩანს,
მაინც ვარჩევდი, რაკი სუსტობს გონება ჩვენი,
შემცდარი ახსნა მისცემოდა ამ მოვლენებსა,
ვიდრე სრულებით დანახულზე აგვეღო ხელი,
505 სათავე რწმენის შეგვებღალა, მოგვესპო ფუძე,
საყრდენი კაცთა ცხოვრების და ბედნიერების.
და განა მაშინ მხოლოდ აზრი დაირღვევოდა?
მოისპობოდა თვით სიცოცხლე თუ რწმენა გრძნობის
არ გვექნებოდა, შეგვაკრთობდა ის სიძნელენი,
510 რომელთაც უნდა შეებრძოლო, თავი გაართვა.
მიტომ ერიდე ფუჭ სიტყვების კორიანტელსა,
რომლითაც გრძნობის წინააღმდეგ ბრძოლას ლამობენ.
ბოლოს თუ შეგცდა შენების დროს საფუძნი ზომა,
თუკი გონიო ყალბია და სწორ ხაზს არ გასდევს,
515 თარაზოც ოდნავ ერთი მხრიდან მაინც თუ კოჭლობს,
მაშინ შენობაც დახრილი და ცალგვერდა მოვა,
წაფერდებული, აბრუნდული, გადაზნექილი,
თითქოს ეს არის აპირებსო იგი წაქცევას,
ინგრევა კიდეც თუ თავიდან მცდარად დაგეგმეს.
520 ასევე აზრიც იქნებოდა ყალბი და მცდარი,
თუ იმთავითვე ყალბსა გრძნობას დაეყრდნობოდა.

იმის შეტყობა—ვით ვლინდება სხვადასხვა გრძნობა,

აღარ იქნება ამის შემდეგ სრულიად ძნელი.
თავდაპირველად გვესმის ბგერა, ხმა მრავალგვარი,
525 ყურსმოხვედრილი თვის სხეულით იგი გრძნობას ჩვენსას ეხება,
რადგან, ცხადია, აქვს სხეული ბგერას და ხმასა,

რაკი მათ ძალუძთ ჩვენს გრძნობებზე ზემოქმედება.
აკი ეხება ხმა ჩვენს ყელსა და ხშირად ხდება,
როს აღმოხდება ყელს ყვირილი, ტკივილს ვგრძნობთ ხოლმე,
530 რადგანაც ვიწრო გასავლელით დიდი სიმრავლე
ერთად შეკრებილ ხმის საწყისთა მიეშურება
და ამიტომაც გზა ხმით სავსე გაიხეხება.
ეჰვი არ არის, ხმაც და სიტყვაც შედგენილია
სხეულებრივი საწყისისგან, რაკი ვგრძნობთ ტკივილს.
535 შენც კარგად იცი, თუ რაოდენს ავნებს ჩვენს სხეულს,
დააზიანებს კაცის ნერვებს და მიჰხდის ძალას
შეუწყვეტელი მეტყველება დილის აისის
პირველი სხივით — ვიდრე გვიან დაღამებამდე,
თუ, მით უმეტეს, მაღალ ხმაზე ვილაპარაკებთ.
540 მა'მ, სხეულებრივ საწყისთაგან ხმა შედგენილა,
რაკი აკლდება ჩვენ სხეულსა ბევრ ლაპარაკით,
551 ხმის უხეშობა წარმოიშვის უხეშ საწყისით,
საამურ ხმასა — თვით სათავეც აქვს საამური.
542 არა ერთგვარი საწყისები სწვევია ჩვენს ყურს,
როს ბარბაროსულ საყვირს სცემენ, მისი ღმუილი
ყრუ და საზარი გულამზრზენად შესძრავს გარემოს,
545 ან როს ჰელიკონს ნაკადულთა ამო წკრიალში
გაისმის გედის კაეშნიან გალობის ჰანგი.

და ამის გარდა, როცა ჩვენგან ხმა აღმოხდება,
რომელსაც პირით ამოსვლისას გზას ვუხსნით ხოლმე.
უმალვე ენა — ხელოვანი — სიტყვებად დაჰყოფს,
550 და შემდეგ ბაგე საბოლოოდ გამოჰკვეთს ნათლად.
553 და თუ სასვლელი გზა არა აქვს ძალიან დიდი,
მაშინ უცილოდ იმ ნათქვამის ყოველი სიტყვა
555 ჩვენამდე აღწევს გარკვეულად, სრული სიცხადით.
რაკი არ ჰკარგავს ხმა თვის სახეს, თავის ბუნებას
და თუ მანძილი მეტისმეტად დაშორებულა,
სიტყვებმა უნდა გადალახოს ჰაერთ სიმრავლე,
ხმაც შეიშალოს, ვიდრე სმენად მისვლას მოასწრებს.
560 და მაშინ, თუმცა ხმას მოისმენ, ვერ კი შეიძლებ
იმის გაგებას თითონ სიტყვებს თუ რა აზრი აქვთ,
ისე ბუნდოვნად, არეულად აღწევს ხმა სმენას.

გარდა ამისა, ერთი სიტყვაც გზირის ბაგიდან
აღტევებული მთელი კრების სმენამდე აღწევს.
565 უმალ იშლება ის ერთი ხმა ბევრ ნაწილებად,
ასე ცალკცალკე თვითეულის ყურს ეშურება
და იქ მისვლისას კვლავ აღიდგენს სიტყვის ღღერასა.
ნაწილი ხმისა, რაც კი სმენამ ვერ დაიჭირა,
გვერდზე ჩაივლის და ჰაერში განიფანტება.
570 ხმის სხვა ნაწილი, ანარეკლი გზად დამხვდურ სხეულს
ჩვენ ყურს აცდუნებს სიტყვის მაგვარ რაღაც ხმაურით.
თუ ეს ყოველი შეგიტყვია, შესძლებ გაიგო,
სხვასაც აუხსნა, როგორ ხდება ტიალ ადგილზე
კლდენი სიტყვებსა იმავ სახით რომ არეკლავენ,
575 როცა დაბნეულს თანამგზავრებს მთის ვიწროებში
ვეძებთ, ვეძახით გამყინავ ხმით — ჩამორჩენილებს.
ისეთ ადგილის ვარ მნახველი, ერთ დაძახილსა
ექვსჯერ და შვიდჯერ გადასცემდა სერიდან სერი,
იმავე სიტყვის ერთურთისა შეპასუხებით.
580 ბინა დაუდევთ იქ ნიმფებსო, თხისფეხა სატირთ,
მასთანვე ფავნებს, ვით გვამცნობენ მეზობლად მკვიდრნი:
ისინი ღამით მართავენო ცეკვა-თამაშსა,
მათი ხმაური დაარღვევსო ირგვლივ სიჩუმეს,
ნაზი ჩივილი მოისმისო მკვნესარე სიმის,
585 რომელს გამოსცემს სალამური დამკვრელის თითქვეშ,
შორით უხილავს სოფლის ხალხსა, რომ თითონ პანი
ვით მოირთავსო რქებიან თავს ფიჭვის გვირგვინით,
მოღრეცილ ტუჩებს ლერწმის ღეროს მიაყოლებსო,
რომ ტყეთა მუზამ იმის დუდუკს არ უღალატოს!
590 სხვასაც ბევრს რასმე იგონებენ საშიშს, საოცარს,
რომ არ იფიქრონ ტიალ ადგილს სტოვებსო ღმერთი,
მიტომაც თხზავენ საკვირველს და უცნაურ ამბებს,
იქნებ მის გამო იქცევიან ასეთნაირად,
რადგანაც უყვარს კაცთა მოდგმას ამო ამბავი.

595 გარდა ამისა, როდი არის გასაკვირველი,
რომ იმ ადგილას, საგნის ხილვა სადით არ ძალგვიძს,
ხმა ნათლად მოდის და მოაღწევს ჩვენს ყურთა სმენას.

გვესმის ხომ ზოგჯერ საუბარი დახშული კარით,
რადგან ხმა იგი მიმოხრილსა ჭუჭრუტანებში
600 გასვლას რომ შესძლებს, იქ ვერ გავა საგანთ სახება.
ხმაც დაიშლება, თუ ხვრეტილი არ არის სწორე,
როგორც მინაში განვლის ხოლმე სახე ყოველი.
გარდა ამისა,. ხომ იფანტვის ხმა ყოველ მხარეს,
რადგანაც ხმები ერთურთისგან წარმოიშვიან,
605 რა გავარდება ერთი რამ ხმა — მრავლად იშლება,
ვით ხშირად ცეცხლი თვის გარშემო ფანტავს ნაპერწკლებს.
აღვსილან ხმებით საიდუმლო ადგილ-სამყოფნი
და თავის ირგვლივ აღვიძებენ სრულად გარემოს.
საგანთ სახება ეშურება მხოლოდ სწორი გზით,
610 რომლით ერთხელვე წარმართულა და არვის ძალუძს
იხილოს რამე კედლის მიღმა, ხმას კი — მოისმენ.
თუმცაღა ხმაც კი, რა მოგვესმის დახშული კარით,
ბუნდოვანდება და ყურამდე ძლივსღა თუ აღწევს,
ასე რომ გვესმის უმალ ხმა და არა სიტყვები.

615 როგორ შევიგრძნობთ გემოს ენით ანდა სასითა,
არ უნდა იყოს ამის ცოდნა ჩვენთვის საძნელო.
პირველად გემოს ვიგრძნობთ პირში, როცა საზრდელსა
ღეჭვის დროს ვწუწნით, როგორც ღრუბელს წყლით გაჟღენთილსა,
ხელს თუ მოვუჭერთ, შეგვიძლია სულ გამოვწუროთ.
620 შემდეგ ამისა, სასის ღარებს მიჰყვება საზრდო
დასვრეტილ ენის მიმოხვეულ ზედაპირისკენ.
თუ მსუბუქ სხეულთ საზრდოს წვენი შეუდგენია
საამოდ ბწკენენ, საამოდვე შეეხებიან
წყლიანსა ენას და პირის ღრუს ნერწყვის გამომცემს;
625 და წინააღმდეგ, მწვავედ ბასვრენ ჩვენთა გრძნობათა,
რაც უფრო მეტად წვეტიანი, მიმოხრილია.
და გემოვნებას საზღვარს უდებს პირის მიდამო,
თუკი საზრდელი პირის ფარგალს გასცდა სრულიად,
სიამოვნება ეკარგება სახსარს გადასულს.
630 და სულერთია, თუ სხეული რით იკვებება,
ოღონდ სახსრებში დაიაროს საზრდომ ნახარშმა
და თვით სტომაქსა არ მოაკლდეს ნაზავი სითხე.

ვარკვევ რად ხდება, რომ ერთს მოსწონს ერთი საჭმელი,
ზოგისთვის სრულად უგემური, შესაზარისი,
635 ზოგს საამურად, გემრიელად მიუჩნევია.
ასე დიდია განსხვავება გემოვნებისა.
რაც რომ ზოგისთვის საზრდელია — ზოგს სწამლავს კიდეც.
მართლაცდა, გველსა თუ შეეხო ნერწყვი კაცისა —
უმალ იღუპვის, თავს დაიკბენს და ისე კვდება.
640 და აპუნდრაკი საწამლავი არის ხომ ჩვენთვის,
თხებსა და მწყერებს გასაოცრად ასუქებს ხოლმე.
და ამ მოვლენის ძალგიძს მისწედე გამომწვევ მიზეზს,
თუ გაიხსენებ, რაც ამაზე გითხარი წინათ,
რომ საგნებს თესლი მრავალგვარად აქვთ არეული.
645 და ხომ სულდგმული ყოველგვარი საზრდოს რომ იღებს,
რაკი სხვაობენ ერთურთისგან გარეგნობითაც,
თავის სხეულის ნაკვთებითაც, მოყვანილობით,
მაშ, შედგენილან სხვადასხვაგვარ თესლებისაგან,
მიტომაც, თუ აქვთ მათ თესლები განსხვავებული,
650 მაშ, შუალედიც სხვა აქვთ და გზაც, რომელს სვრეტს ვეტყვით,
მოთავსებულსა მთელ სხეულში, პირში, სასაზე,
ზოგს უნდა ჰქონდეს იგი მცირე, ზოგს კიდევ დიდი,
ზოგსა — სამკუთხა, ანდა ზოგსა კვადრატისებრი,
ზოგის — მრგვალია, ზოგის — მრავალწახნაგოვანი,
655 როგორც მოითხოვს საწყისთ წყობა და მოძრაობა.
მაშინ სვრეტებიც უნდა ჰქონდეს სხვადასხვა სახის,
გზებიც სხვაგვარი და ქსოვილის აგებულებაც,
და რაც ზოგისთვის ტკბილი არის, ზოგს ემწარება;
ვის ეტკბილება, ცხადი არის, მეტად მსუბუქი
660 უნდა შეეხოს იმის სასას საგანთ საწყისი,
და წინააღმდეგ, ვისთვის იგივ მწარეა მეტად,
მწვავე საწყისი შეხებია მის ყელს და ბაგეს.
თუ ეს გაიგე, დანარჩენიც არ არის ძნელი.
ნაღველის მოსვლა თუკი იწვევს ციებცხელებას,
665 ან სხვა მიზეზი საბაბია სხვა რამე სენის,
მაშინ სრულიად შეეფოთდება ჩვენი სხეული
და დაირღვევა განლაგება საგანთ საწყისთა.
და რაც მანამდე ჩვენს გრძნობისთვის იყო საამო,
მოგვეჩვენება უამურად — სხვას მოვისურვებთ,

670 რაც კი მანამდე ჩვენსა გრძნობას მწვედ განბასრავდა.
ორივე გემოს ნარევია თაფლში შესული,
როგორც ამაზე წინათ მქონდა მე საუბარი.

გაუწყებ ეხლა, ნესტოს სუნი თუ როგორ აღწევს:
ჯერ უნდა იყოს მრავალნაირ საგანთ სიმრავლე,
675 სადით გამოვა მდინარება მრავალგვარ სუნთა
და წამოსული ყოველ მხარეს მოეფინება.
სუნი სხვაგვარი სხვაგვარ სულდგმულს შეეფერება
სახეთ სხვაობით განსაზღვრული, საამო ქროლვა
თაფლის სუნისა ფუტკარს შორით მოედინება,
680 ქორს კი — მძორისა. ნადირთაგან დანატოვარი
კვალი ჩლიქისა ძაღლს წაიყვანს სწორი გზისაკენ.
უმალ დაუკრავს შორიდანვე კაცების სუნი
რომულის ძეთა ციხე-ბურჯის დამცველ თეთრ ბატებს.
სხვადასხვა არსთა აქვთ ხომ ყნოსვაც სხვადასხვაგვარი,
685 მას რომ იზიდავს საზრდოსაკენ და განარიდებს
მომწყვლელ შხამისგან — დასახსნელად ნადირთა მოდგმის.

მაშასადამე, სუნი ნესტოს რომ შეეხება,
ზოგი გაივლის მოკლე მანძილს, ზოგიც შორს აღწევს,
მაგრამ იმათგან არც ერთს ძალუძს განვლოს რამ სივრცე
690 ხმის ან სიტყვისა შორ მანძილით ჩვენთან მოსულის,
რომ არა ვთქვათ-რა მასზე, რაც კი ხვდება თვალს, ხედვას.
ნელა და ზლაზვნით მოდის სუნი და დაინთქმება
თანდათანობით, ქართა ქროლვით მიმოფანტული,
რადგან, ჯერ ერთი, საგნის სიღრმით ძნელად ამოდის,
695 რაკი ყოველთვის საგანს სუნი ასდის შიგნიდან,
ცხადია, რაკი გატეხილი სუნს მეტად უშვებს,
როგორც ყოველი დასრესილი, ცეცხლში დამწვარი.
მეტ საწყისთაგან შექმნილია, იცოდე, სუნი,
ვიდრე ხმა, ბგერა; ხომ ვერ განელის სუნი კედელსა,
700 ქვისაგან შექმნილს, გადალახავს მას ხმაც და ბგერაც.
მიტომ ძნელდება, რაც სუნს უშვებს, ვით შეგინიშნავს,
იმის მიკვლევა, თუ სად არის მოთავსებული.

ცივდება სუნი რა ჰაერში დაყოვნებულა,
როდი აღწევენ ცხლად ჩვენ გრძნობას საგნის მაცნენი,
705 მიტომაც არის, რომ ძაღლები კვალს ჰკარგვენ ხოლმე.

და არა მხოლოდ სუნს და გემოს აქვს ეს თვისება,
საგანთა სახე მათი ფერიც არა ყოველთვის
შეეფერება ყოველ არსის განცდას და გრძნობებს,
ზოგ რამის ხილვა ბევრსა მეტად სამძიმოდ უჩანს.
710 თუნდაც მამალი ღამით ფრთასა ფრთას რომ შემოჰკრავს
და გამყივან ხმით მოუწოდებს დილის აისსა,
მძვინვარე ლომნი მის დანახვას ვეღარ უძლებენ,
რა თვალს დაჰკრავენ იმათ სადმე — უმალ გარბიან.
ცხადია, რომ აქვს მამლის სხეულს რაღაც საწყისი,
715 რა ხვდება იგი ლომის თვალსა დაუყოვნებლივ,
მის თვალთა გუგას ბასრვენ ხოლმე მწვავე ტკივილით
და იმ სიმწარით მათი რისხვაც კი დაძლეულა,
ხოლო ჩვენ თვალსა ის საწყისი ვერ აზიანებს.
ან ვერ აღწევენ ჩვენს გუგამდე, ან თუ აღწევენ
720 უმალ იქედან მიილტვიან ან თუ რჩებიან,
ვნება არ ძალუძთ ჩვენთა თვალთა ნათელისათვის.

მოკლედ გიამბობ რა აღვიძებს ჩვენსა გონებას,
იმავ გონებას სადით მოსდის აზრად რაიმე.
პირველ ყოვლისა ამას ვიტყვი: ირგვლივ რხეული,
725 მრავლად ნაერთი, თხელი გარსი საგანთ სახების
ჰაერთ ქროლვაში ერთდებიან ისე ადვილად
როგორც ობობას ქსელი, ანდა ოქროს ლივლივა.
მეტად თხელი აქვთ აღნაგობა იმ სახებათა,
რომლებიც ხვდება ჩვენსა თვალებს და ხედვას იწვევს,
730 ჩვენი სხეულის ვიწრო ხვეულს რა გასცდებიან
იმ ჩვენი გონის თხელი არსის გრძნობის აღმძვრელად.
ვხედავთ ჩვენებას კენტავრების, საზარელ სკილას
და ცერბერისებრ ძაღლთა ხროვას, ანდა აჩრდილებს
აწ გარდაცვლილთა, რომელთ ძვლები მიწას ჩაუკრაეს...
735 ხომ ყოველ მხარეს ჰქრიან მარად მოჩვენებანი,
ზოგი მათგანი თავისთავად იშვის სივრცეში,
ზოგიც სხვადასხვა სხეულთაგან აირეკლება,

ან შეიქმნება მრავალ სახის შეერთებისგან.
ცოცხალ კენტავრით სახე მისი კი არ იქმნება,
740 რადგანაც ქვეყნად აღარ არის მსგავსი არსება,
და თუ ანაზდად კაცის სახე ცხენისას შეხვდა
დაუყოვნებლივ ერთდებიან, როგორც ვთქვით წინათ,
რაკი თხელი და მსუბუქია სახეთ ბუნება.
ამისდაგვარად სხვაც მსგავსი რამ იქმნება ხოლმე.
745 ყოვლის უსწრაფეს და მსუბუქად რაკი დაჰქრიან,
როგორც უკვე ვთქვი, საკმაოა ერთი ბიძგიც კი,
რაგინდ რა სახე აღიბეჭდოს ჩვენს გონებაში;
მეტად მახვილი, მოძრავია ისედაც გონი.

ეს რომ ასეა, სულ ადვილად ძალგიძს დარწმუნდე.
750 მართლაც, თუ არის რამ მსგავსება რასაც ვეჭვეტთ აზრით
და თვალით ვხედავთ, მაშინ ფუძე მსგავსი ჰქონიათ.
ვთქვათ, მაგალითად, ჩვენ რომ ლომი წარმოვიდგინოთ
საგანთ სახების მეოხებით ჩვენს თვალს რომ აღძრავს,
მაშინ გონებაც ხამს თანაბრად 'რომ ამოძრავდეს
755 ლომის სახებით, კიდევ მეტიც, იგი შენიშნავს
თვალზე უმეტეს უფრო ზუსტად, უფრო მახვილად.
ასედაც არის, როცა ძილით ვართ შეპყრობილი,
აზრს და გონებას ღვიძავს მაინც და აჩრდილები
ისე აშფოთებს ჩვენს გონებას როგორც სიცხადით,
760 წარმოგვიდგება ნათლად თვალწინ სახება მათი,
ვინც ამ ცხოვრებით გარდასულა, მიცვალებულა.
ასეთ ჩვენებას თვით ბუნება თავს მიტომ გვახვევს,
რაკი სხეულსა გრძნობა სრულად მიყუჩებია,
ტყვილის დაძლევა აღარ ძალუძს ურყევ სიმართლით.
765 ჩვენ ხომ ძილის დროს გვისუსტდება მეხსიერება,
ვერ ფხიზლობს აზრი, ვეღარ საზღვრავს, მკვდარია იგი,
ჩვენს წარმოდგენას ვინც კი ცოცხლად მოვლინებია.
ძალუძთ აჩრდილებს, როგორცა სჩანს, რომ იმოძრაონ,
აამოქმედონ ხელი, ფეხი, სხვა რამ ასონი.
770 როგორც ძილის დროს სჩადის ხოლმე ამას ჩვენება.
რაღა თქმა უნდა, რაწამს ერთი სახება ქრება,
მოსდევს მეორე, კვლავ პირველი მოჰყვება ისევ.
ამასთანავე მოძრაობენ დიდი სისწრაფით:

ესდენ სწრაფია და მრავალი საგანთ სახება,
775 თუმცკი უთვალავ ნაწილებად ეშურებიან,
დროის სულ მცირე რამ ნაკვეთში ძალგვიძს შევიგრძნოთ.
ბევრია კიდევ ამის გარდა გამოსაკვლევი,
თუკი გვსურს, საგანს რომ მოვფინოთ სრულად ნათელი.
თავდაპირველად ის ვიკითხოთ, სურვილის უმალ,
780 დაუყოვნებლივ, გონი მასვე რად წარმოიდგენს?
განა აჩრდილნი არ მისდევენ ჩვენს ნებისყოფას,
სურვილისამებრ განა უმალ არ მოვა სახე,
რა გულს გავიელებთ ზღვას, თუ ხმელსა, ან კიდევ ზეცას?
კაცთა ყრილობას, ზეიმს, ლხინსა თუ ბრძოლა-ომსა,
785 განა თქმის უმალ არ გვისახავს ბუნება სრულად?
და აი თუგინდ ერთ ადგილს მყოფ ხალხის კრებულში
ხომ თითოეულს ფიქრად მოსდის სულ სხვადასხვა რამ.
კვლავ რა ვთქვა კიდევ, როცა ვხედავთ ღამით, სიზმარში
მწყობრად დადიან აჩრდილები და ტანს არხევენ,
790 ხელებსაც ნაზად მიმოხრიან აქეთ თუ იქეთ,
და ჩვენ თვალთა წინ ხელებს ფეხსაც შეუხამებენ.
დიდი ჰქონიათ, მაშ, აჩრდილებს დახელოვნება,
თუ ძალუძთ ღამით ესდენ მწყობრი თამაშა მორთონ?
იქნებ ის იყოს უფრო სწორი, დროის ერთნაკვთსა,
795 ჩვენ რომ განვიცდით ხმის ერთ ბგერის აღმოტევებას,
ბევრი აქვს ჟამი, რომელს ეწვდებით მხოლოდღა აზრით,
ამის გამოა ყოველ დროის რამ მონაკვეთში,
რა გინდ რა ადგილს, ბევრდაგვარი არის სახება.
ესდენ დიდია სახეთ სწრაფვა, სახეთ სიმრავლე!
800 რაწამს პირველი ქრება — უმალ სხვა წარმოიშვის
და შემდეგ თითქოს კვლავ პირველი მოჰყვება ისევ.
რადგან თხელია და არ დგება სახე ერთ ადგილს,
გონს აღარ ძალუძს გაარჩიოს ყველა მათგანი
და ჰვრეტს მას მხოლოდ, რომლის ხილვად განმზადებულა.
805 რა დაიგულვებს სამერმისოდ იმის შეტყობას,
თუ რა მოელის საგანს რასმე — გაიგებს კიდეც.
ხომ შეგინიშნავს, როცა თვალს სურს წვრილი რამ ნახოს
809 განსაკუთრებით ამისათვის განემზადება,
810 რადგან სხვაგვარად ის ეერარას ვერ გაარჩევდა?

ცხადად დასანახ საგანსაც კი თუ თვალს არიდებ,
და არ მიაპყრობ იმას სრულად შენსა. გონებას,
ისიც კი მაშინ შორეულად მოგეჩვენება.
მაშ რაღად გიკვირს; უკუაგდებს გონი ყოველსა,
815 რისთვისაც იგი თვით არ არის განმზადებული?
და რა გვენიშვნის მცირე რამე, მას ვაზვიადებთ,
რომ თვით გავებათ ტყვილის მახეს, ჩვენგან დაგებულს.

მოხდება ხოლმე, შეიცვლება სახე სხვაგვარად,
რაც უმალ გვიჩნდა ქალის სახედ ხელში პყრობილი —
820 ანაზდეულად კაცის სახედ გარდაიქმნება,
ანდა იცვლება როგორც სახე, ისე ასაკიც;
826 გულმავიწყობას და ძილს უდევს ამაში ბრალი.

822 ამ საგნის კვლევას თანვე ახლავს ერთი რამ საფრთხე,
822 ა მთელი ძალღონით ჩვენც როგორმე უნდა ვეცადოთ
შეცდომისაგან რაიმე გზით თავის დაღწევას,
რომ არ ირწმუნო თითქოს თვალებს ჰქონდეთ რამ სხივი,
825 რომ შეგვძლებოდა ხილვა, ანდა გადასადგმელად
827 გაშლილ ნაბიჯის მისცემოდეს წვივსა თუ თეძოს
იმის უნარი, რომ მოხაროს ფეხი სახსრებში,
ან თითქოს ხელნი მაგარ მხრებზე იმიტომ გვესხას,
830 რომ ხელის მტევანს შესძლებოდა ჩვენ სამსახურად
მის მოპოვება, რაც გვჭირდება სიცოცხლისათვის.
ან კიდევ სხვა რამ ამის მსგავსად განმარტებული,
საგანზე შექმნის სულ უკულმართ, მცდარ წარმოდგენას.
არც რა იქმნება ჩვენ სხეულში გამოყენებად,
835 რადგან რაც იშვის — თვითვე იწვევს გამოყენებაა,
თვალის შექმნამდე ხომ არ იყო ჯერ მხედველობა,
არც მეტყველება — ვიდრე ენა შეიქმნებოდა,
დიდი ხნით ადრე იყო ენა, ვიდრე სიტყვები,
დიდი ხნით ადრე იყო ყურიც, ვიდრეღა სმენა,
840 სხვა დანარჩენი ყველა ასო ადამიანის
ადრე შეიქმნა, ვიდრე მისი გამოყენება.
ვერრას შექმნიდა ის მიზეზი გამოყენების.
და წინააღმდეგ — შეჯახება, ხელდახელ ბრძოლა,
ასოთა გლეჯა და სისხლისღვრა შეუბრალები

845 უადრეს იყო, ვიდრე ლახვრის თუ ისრის ქროლვა.
ჭრილობისაგან თავდაღწევა უადრეს იწყეს,
ვიდრე შესძლებდნენ მტკიცე ფარით თავის დაფარვას.
უეჭველია, დასვენება დაღლილ სხეულის
უფრო ძველია, ვიდრე წოლა ლბილ სარეცელზე,
850 წყურვილის მოკვლაც ადრე იყო, ვიდრეღა თასი.
რაც კაცის ხელით გამოვიდა, უნდა ვირწმუნოთ —
შექმნილი არის თვით ცხოვრების მოთხოვნილებით.
სულ სხვა საქმეა, როცა იშვა მანამდე რამე,
ვიდრე ჩვენ იმის მოხმარებას შევისწავლიდით.
855 გრძნობას და ასოს ენიჭება აქ პირველობა;
კიდევ და კიდევ შორს გეჭიროს იმ რწმენისაგან,
თითქოს მიზეზი მისი შექმნის სარგებლობაა.

არც ის არ არის გასაკვირი, რომ თვით ბუნება
საზრდელის ძებნად მოუწოდებს ყოველგვარ სულდგმულს.
860 როგორც აღვნიშნე, ყოველ მხრიდან მრავალ სხეულებს
ჰკარგავს საგანი, სულდგმული კი ყოვლის უმეტესს.
ჯერ მოძრაობა ხომ ბევრს ართმევს, დიდი ნაწილი
პირიდან მოჰქრის, როცა მძიმედ სუნთქვა უხდება,
ზოგიც ოფლს მიაქვს წამოსულსა სხეულის სიღრმით,
865 თანდათანობით ამის გამო იკლებს სხეული,
ლამის დაეცეს მიღწეული მთელი არსებით.
მიტომაც სხეულს აღსადგენად სჭირდება საზრდო,
რომ შეემატოს ძალა ასოს, მიმოიაროს
ყოველი ძარღვი, ამოყოროს უძღები კუჭი.
870 სითხე იქ მიდის, საცა სხეულს სჭირდება იგი,
იმ ადგილისკენ ეშურება, სად მცხუნვარება
ჩვენი სტომაქის შიგნით ჭარბად დაგროვებულა,
სითხე მას აქრობს და ანელებს, რომ მწვავე ცეცხლმა
თვის მხურვალებით არ მოაშთოს სხეული სრულად.
875 ამრიგად, ვიკლავთ ჩვენ წყურვილსა შემაძრწუნებელს,
ასევე შიმშილს — უმოწყალო ტანჯვის მომგვრელსა.

ახლა ვიკვლიოთ, მოძრაობა როგორ სწარმოებს,
სურვილისამებრ ჩვენს ასოებს ვით ვამოძრავებთ,
ის რა ძალაა ჩვენ მძიმე ტანს წინ რომ უბიძგებს?

880 ამაზე გეტყვი, შენ კი ნათქვამს ათხოვე ყური.
თავდაპირველად იშვის სახე მოძრაობისა,
და აღძრავს იგი ჩვენს გონებას, როგორც ვთქვი წინათ,
მას ნებისყოფა მისდევს შემდეგ, ხომ ვერვინ შესძლებს
დაიწყოს საქმე, ვიდრე აზრი იმას ვერ განსჭვრეტს
885 და რასაც განსჭვრეტს, ის იქნება საგანთ სახება.
აქ ჩვენი გონიც აღიძვრება სვლის მისწრაფებით,
მაშინ მთელ სხეულს აიტაცებს იგი სურვილი,
დაუვლის სახსრებს და ასოებს ძალა სულისა.
ეს არც ძნელია, როს მთელ სხეულს სული თან ახლავს.
890 შემდეგ სხეულიც მას აჰყვება და ამნაირად
მთელი სიდიდე ამ ბიძგისგან დაიძვრის კიდეც-
აი, თხელდება თვით სხეული თანდათანობით,
როგორც შეფერის იმას მუდმივ მოძრაობისას —
შემდეგ, ჰაერი ჭარბად შედის ღია სივრცეში,
895 გაიფანტება, აღწევს ტანის უმცირეს ნაწილთ,
ორმაგი ძალის გავლენის ქვეშ ის მოქცეულა,
ვითარცა ნავი მიჰყავს ხოფის და ქარის ძალას.
გასაკვირველი, მართლაც აბა, რა უნდა იყოს,
ამოდენ სხეულს ესდენ მცირე რამ საწყისები
900 ეგრე ადვილად რომ დასძვრენ და მიმოაქცევენ, -
ქარის სხეულიც თუმც თხელია, მეტად მსუბუქი —
გარეკს და მიჰყავს მეტისმეტად დიდი ხომალდი,
მხოლოდღა ხელი ერთადერთი მართავს მის სრბოლას,
ერთი საჭითლა სითაც უნდა. იქ მიაბრუნებს.
905 ხომ ბორბლითა და ჯალამბარით მძიმე ტვირთიც კი
დაუბრკოლებლივ აუზიდავს ამწევ მანქანას.

ახლა კი ძილი ვით მოიცავს სიმშვიდით სხეულს,
ფიქრსა და ზრუნვას ჩვენი გულით რარიგ გვიქარვებს,
სულ ცოტა, მაგრამ ტკბილი ლექსით მინდა გიამბო,
910 მოკლე სიმღერა გედის სჯობნის წეროს ყრანტალსა,
მაღალ ეთერით რომ გაისმის ღრუბელთა შორის.
შენ კი მომაპყარ სმენა, გონი გაიმახვილე,
რომ არ უარჰყო რასაც გეტყვი, არ უკუაგდო,
ალალი სიტყვა შენ გულისყურს არ განერიდოს,

915 ბრალად არ დაგდონ თვით ასცდაო ჭეშმარიტ გზასა.
ძილი იქ მიდის, საცა სხეულს დაუვლის სრულად
ძალა სულისა. სტოვებს სხეულს მისი ნაწილი,
ნაწილი კიდევ შენივთდება, სიღრმეში მიდის,
სრულად დუნდება და რბილდება მაშინ სხეული.
920 უეჭველია, სულით იძვრის სხეულის გრძნობა,
და როცა ძილით წყდება სრულად გავლენა სულის,
მბორგავი არის მაშინ სული გასული ტანით;
უნდა ვიფიქროთ, რომ ნაწილი მაინც კი რჩება,
თუ არა სხეულს მოიცავდა ცივი სიკვდილი.
925 მცირეოდენი რამ ნაწილი ხომ უნდა დარჩეს
ჩვენს ასოებში, ვით ნაცარში ცეცხლის ნასახი,
სადით შეიძლებს სხვაგვარ გრძნობა კვლავ აღორძინდეს,
ვით ცეცხლის ალი ნაპერწკალით გაღვივებული?

საიდან არის ეს ცვლილება გასაოცარი
930 ბორგვა სულისა, შესუსტება ჩვენი სხეულის,
ამას გაგირკვევ — შენ კი ნათქვამს ქარს ნუ გაატან.
თავდაპირველად ყოველ არსის გარეგან სხეულს,
რაკი მას აკრავს გარეშემო ჰაერის ტალღა,
ხშირად დაითმენს იგი დარტყმას ბევრგვარ ბიძგისა
935 და ამიტომაც ყოველს ტანზე ასხია ქურქი,
ნაჭუჭი ანდა ტყავი, გარსი რამე ამგვარი.
ხოლო სულდგმულთა შიგა ნაწილს ხვდება ჰაერი,
როცა სწარმოებს ჩასუნთქვა თუ კვლავ ამოსუნთქვა.
რაკი სხეულსა ხვდება დარტყმა ორივე მხრიდან
940 და დარტყმა იგი განვლის ტანის უმცირეს სვრეტებს,
მიაღწევს კიდეც უპირველეს, ძირითად საწყისთ,
და ბოლოს ლამის დაიშალოს სხეული სრულად.
ირღვევა მაშინ სულის, გონის საწყისთა წყობა,
განიდევნება სხეულიდან ნაწილი სულის,
945 ნაწილი კიდევ ტანის სიღრმეს მიეშურება
და სხვა დანარჩენს, ასოთ შორის მიმოფანტულსა
არ შეუძლია იმოძრაოს შეთანხმებულად,
რადგან ბუნება გზას უღობავს შეერთებისთვის,
და სრბის სიღრმეში მოძრაობას მიხდილი გრძნობა.
950 რაკი სხეულის ხსნად არარა მოგვევლინება,
სუსტდება იგი, მოდუნდება ყოველი არსი,

მოწყდება სული და წამწამიც აღარ მოძრაობს,
მუხლთ ეკვეთება და უღონოდ ვარდება ძილად.
აგრეთვე ჭამას ძილი მოსდევს და ჰაერისებრ
955 მოქმედებს საზრდო, რა ძარღვებში დაივლის იგი,
მაშინ ღრმა ძილი მთელ სხეულსა მოიცავს სრულად,
რა დანაყრდება ან იღლება, რადგანაც ამ დროს
უმძიმეს შრომით აღრეულა საწყისთ სიმრავლე,
იმავ მიზეზით სიღრმეს ილტვის სულის ნაწილნი;
960 და გასავლისკენ დიდ ნაკადად მისწრაფებულნი,
მცირის უმცირეს ნაწილებად განიფანტვიან.

თუ რამე საქმით არის ვინმე გატაცებული
და თუ ხანგრძლივ დროს ჩვენ სულ იმას ვეტანებოდით,
თუ მხოლოდ მისკენ იყო ჩვენი გული და სული,
965 მაშინ ძილშიაც ხშირად იგივ დაგვეზმანება;
მსაჯულს გამოაქვს განაჩენი, კანონებს ადგენს,
მთავარსარდალნი ფიცხელ ომს და ბრძოლას ჩაბმულან,
უმკლავდებიან ქარს მძვინვარეს მეზღვაურები,
მე ხომ იმაავ საგანთ საწყისთ კვლევას განვაგრძობ,
970 თითქოს მათ ამბავს მოუთხრობდე ჩემთა ნათესავთ.
და სხვა მრავალსა რამ ხელობას ძილში, სიზმარად
ყალბი ჩვენებით კაცთ გონება წარუტაცნია.
თუ ვინმე იყო შეუწყვეტლივ, რამდენსამე დღეს
ცირკის თამაშის გატაცებულ მაყურებელად,
975 თუნდ რომ დამთავრდეს მის გავლენა გრძნობაზე სრულად,
მაინც კი რჩება გონებაში ის ღია გზები,
რომლითაც ძალუძთ იმ მოვლენის სახებას შესვლა.
და კიდევ დიდხანს უდგას თვალწინ იგივ თამაში,
ცხადლივ ხედვიდეს თითქოს ისევ იმავ სახებათ,
980 თუ როგორ ხტიან, რონინებენ ტანის ნაზ რხევით,
თან ყურში უდგას სიმთა ჟღერა, კითარის ჰანგი,
თითქოს წინ უდგას იმ ზეიმთა მაყურებელიც,
შემკული სცენაც — მორთულობით გაბრწყინვებული.
აი, რაოდენ დიდი ძალა აქვს მისწრაფებას
985 უკვე ერთხელვე შეგუებულ მოვლენისადმი,
მარტო კაცთათვის კი არა და, ცხოველთათვისაც.

ხომ დაგინახავს დამშვიდებით მწოლარე ცხენებს
ძილში მოსვლიათ ზოგჯერ ოფლი, მძიმედ სუნთქავენ,
თითქოს მოედანს შეჯიბრებად გამოსულანო,
990 აი, ხაზიდან მოწყვეტილნი მიჰქრიან თითქოს.
999 და მონადირე ძაღლს, მთვლემარეს, ძილმორეულსა
991 რაღაც მოუვლის, წამოხტება, დაიყეფს კიდეც,
თან ნესტოები ებერება, ჰაერს იყნოსავს —
თითქოს მხეცის კვალს მიაგნოო ანაზდეულად,
ან კიდევ ზოგჯერ ძილში, სიზმრად ვითომც ძაღლები
995 მოჩვენებითსა ირმის კვალსა მისდევნებიან..
თვალის გახელა ამ შეცდომით დაგვიხსნის მხოლოდ.
და სახლის კარზე შემოჩვეულ ბუნჩულა ლეკვებს
ხან აებურძგვნით ტანზე ბეწვი, უნდა წამოდგნენ,
1004 თითქოს ხედვიდნენ მათთვის უცნობ, უცხო სახეებს,
1005 და რაოდენად ბასრ საწყისით არსი შექმნილა,
ძილშიც იმდენად მეტ სიშმაგეს გაშოავლინებს.
ზოგჯერ ფრინველნი უეცარი ფრთების აქნევით
წმინდა ხეივნის მყუდროებას არღვევენ ღამით,
რა ფრთხილ ძილის დროს ეჩვენებათ საშიში ქორი,
1010 უტევდეს მაღლით, შესაჭმელად ემუქრებოდეს.
ბოლოს თვით კაცნი, დიდი საქმით გულშემსვალულნი
იმავ საგანზე სიზმარშიაც ილწვიან ხშირად:
იმარჯვებს მეფე, ხან მარცხდება, ბრძოლას აპირებს,
ღრიალებს — თითქოს ეს-ეს არის გამოსჭრეს ყელი.
1015 მტერს იგერიებს ზოგიც ვითომც, ცივ ხმით გაჰკივის,
ეს ვითომც ლომსა ან სასტიკ ჯიქს პირში მოეგდოს,
მძაფრი ბღავილით მთლად გარემოს შეაზრიალებს.
ზოგსაც ძილის დროს საიდუმლო თვისი გაუთქვამს,
ზოგს ბოროტება მისგან ქმნილი წამოსცდენია.
1020 ზოგიც თვით ხედავს თავის სიკვდილს, ზოგიც მაღალ მთით
ქვე ენარცხება დედამიწას მთელი სხეულით,
ველარ ერკვევა ღრმა ძილისგან, ძლივს გონზე მოდის,
ესდენ ძლიერსა მღელვარებას მოუცავს იგი.
მწყურვალს ჰგონია, წყაროს პირას პირდაყოფილსა
1025 ეპირებოდეს ნაკადულის სულ მთლად დაშრობას,
ბავშვნი ჰგონებენ ძილში ორმოს ახლოს არიან
ანდა ჭურჭელთან დგანან თითქოს პერანგაწევით,

და ღვრიან სრულად სითხეს ტანში შეგროვებულსა,
და ასველებენ ბაბილონის ძვირფას ქსოვილებს.
1030 რა ჭაბუკობის მგზნებარ ჟამსა აღიძვრის თესლი
იმ დღეს, როდესაც მომწიფდება იგი ასოში,
ილტვიან მაშინ სახებანი სხეულებისა,
მაუწყებელნი თვალწარმტაცი მშვენიერების,
აღაგზნებს თესლით სავსე ასოს იგი ჩვენება.
1035 თითქოს სრულ იქნა წესისამებრ სულ ყოველივე,
იფეთქებს თესლი ნაკადულად და სამოსს გვისვრის.

იგზნება თესლი ჩვენს სხეულში, როგორც უკვე ვთქვი,
როს სიჭაბუკის ჟამს ასონი მოგვიმწიფდება,
რადგანაც ყოველს საკუთარი აქვს რამ მიზეზი,
1040 მიტომაც თესლსა აღძრავს ჩვენში ჩვენივე მსგავსი.
რაკი ერთხელვე თავის ადგილს იგი დასტოვებს,
დაივლის სრულად ჩვენი ტანის ასოს და სახსრებს,
შეიკრიბება ის ძარღვებში დადგენილ ადგილს,
რომ ბოლოს აღძრას თავის ძალით ასო შემქმნელი,
1045 აიდრიკება, წარმოიშვის ძლიერი ნდომა,
იქ ტყორცნის თესლსა, სად ძალუმი იზიდავს ვნება,
1048 ელტვის იმ სხეულს, რომლით თითონ ტრფობით გვემულა.
აკი დაჭრილი დამჭრელისკენ მიეზიდება,
1050 სისხლიც მჩქეფარებს იქეთ, სადით დარტყმა მიიღო
და თუ ახლოს ვართ, მტარვალთ სისხლით თვით ვიღებებით,
ასევე მოსდის დაკოდილსა ვენუსის ისრით.
დაკოდა იგი, ეთქვათ, ყმაწვილმა, ქალივით ნაზმა,
ანდა თვით ქალმა მთელ სხეულით ტრფობით რომ სუნთქავს,
1055 რითაც დაჭრილა, იქეთ ილტვის, რომ შეუერთდეს
და მიარეკოს სითხე სხეულს, სხეულის აღმგზნებს,
რადგან უტყვ ვნებას ნეტარება აღუთქვამს მწველი.

ამას ვუწოდებთ ჩვენ ვენუსსა, ეს არის ტრფობა,
ამით სჩქეფს გულით იმ ვენუსის ნდომა უტკბესი,
1060 წვეთ-წვეთ მდინარე, ცივი ზრუნვა თან რომ მოჰყვება.
რაგინდ შორს იყოს ჩვენგან ჩვენი ტრფობის საგანი,
სულ თვალწინ გვიდგას მისი სახე, ყურში — სახელი.
ხამს გავურბოდეთ ამ ოცნებას, საზრდო არ მივცეთ
ტრფობას ამგვარსა, ჩვენ გონებას განვარიდებდეთ;

1065 რაგინდ რა სხეულს ჩავუნერგოთ სითხის მარაგი,
რომ არ დავზოგოთ ის ერთადერთ სიყვარულისთვის,
და არ გადავდვათ თავი ნამდვილ სატანჯველისთვის.
ძველი იარა გაგვეზრდება, გაზვიადდება,
დღედღეზე გვმატებს გახელებას, სევდა-კაეშანს,
1070 თუ ახალ ლტოლვით არ დავიცხრობთ ძველ ჭრილობასა,
თუ არ განვკურნავთ იმ იარას უდარდო ტრფობით,
ანდა სხვა მხარეს არ წარვმართავთ ჩვენს გონებასა.

ტრფობის მომრიდეს არ აკლია ვენუსის სიტკბო,
რადგან მას რჩევობს უტანჯველად, რაც ენიჭება.
1075 გიჟის სიამე მძიმე არის, საღის — მსუბუქი,
რადგან ტრფობის ჟამს შეპყრობილსა მგზნებარე ვნებით
გამოურკვევი მღელვარება თავბრუს დაახვევს,
გონს ვერ მოსულა — რას აამოს, თვალსა თუ ხელებს.
თავის საყვარელს გულში იკვრენ, ტკივილს მიჰგვრიან,
1080 კბილით ჩაკბეჩენ იმის ტუჩებს, ზედ ეკონვიან.
ეს როდი არის რამ სიამე მსუბუქ-ნათელი,
იდუმალ სურვილს თავსა თვისსა თვით უმსხვერპლებენ,
სადით შობილა გახელება ენით უთქმელი;
მაგრამ უმალ სწყვეტს ვენუს ტრფობის ამ სატანჯველსა
1085 და შეანელებს კბენის ტკივილს ნაზი სიამით.
რადგანაც ცოცხლობს კვლავ იმედი, სადით სჩქეფს ცეცხლი,
იმავ სხეულით ჩაქრებაო ალი მგზნებარე.
მაგრამ აქარწყლებს ამ იმედსა ბუნება სრულად;
ერთი რამ არის აქ აშკარა: რაც უფრო მეტს ვფლობთ,
1090 მით უფრო ძლიერ დაიგზნება გულს ტრფობის ალი.
რაკი საზრდელი და სასმელი შედის სხეულში
და იჭერს ადგილს იმთავითვე მისთვის განკუთვნილს,
მიტომ ადვილად ვიკლავთ ხოლმე წყურვილ-სიმშილსა.
ხოლო ტრფიალის სახითა თუ უნაზეს ფერით
1095 ჩვენ სხეულს სრულად არრა რჩება სახების გარდა,
რასაც ადვილად წარიტაცებს ნიავის ქროლვა,
როგორც სიზმარში კაცს წყურვილით შეჭირვებულსა
ვერ უპოვია ვერსად წყალი — მოჰკლავს წყურვილი,
სულ უქმად ლამობს, რომ შეიპყრას წყაროს სახება,

1100 შესულა კიდეც მდინარეში, პირს ჰყოფს და ვერ სვამს,
ვენუსიც ასე, ტრფიალს ართობს მხოლოდ სახებით,
ველარ ამშვიდებს შეყვარებულთ ერთურთის ხილვა,
ვერც თუ ხელებით ძალუძს სატრფოს ტანს რამ მოაკლოს,
ბევრიც რომ უსვას ხელი იმის უნაზეს სხეულს.
1105 რა სიჭაბუკით გაღვიძებულ, ფურჩქვნილი ტანით
შეყვარებულნი უწყვეტ სიტკბოს ეწაფებიან,
უმალ იფარვის ქალის წიაღს ვენუსის ნერგი,
მიეტმასნება ტანი ტანსა და ბაგეს ბაგე,
სუნთქვა ერთდება და ჩაკბეჩით ერთურთს კოცნიან.
1110 მაგრამ ამაოდ, არრა ძალუძთ სხეულს დააკლონ,
ვერ შემძლებელთა ერთ სხეულად შეკავშირების,
თუმც კი ჰგონიათ ეს-ეს არის ერთ არსად იქცნენ;
ვიდრე ვენუსის მაცდურ ბადეს გაეხვევოდნენ,
აქ კი მოიდმობს იმათ სხეულს ტრფობის ალმური,
1115 ბოლოს ძარღვთაგან დაგროვილი იფეთქებს ვნება,
წყდება მცირე ხნით აქ ალმური ტრფიალებისა.
შემდეგ კი ცეცხლი გახელების იელვებს კვლავად,
განმეორებით მიაშურებს რა ტრფობის საგანს,
არა აქვთ ღონე რომ ცდუნებას გაართვან თავი;
1120 ესდენ ძლიერად ბრმა სურვილსა ემონებიან.

აკლდება ძალა ამ მომქანცველ ჯაფისგან ტრფიალს,
მისი ცხოვრება სხვის სურვილზე დამყარებულა.
სარჩო-საბადი ბაბილონის ქსოვილს უნდება,
ვალები აღრჩობს, შებღალვია კარგი სახელი,
1125 მოვლილ ფეხს ჰმოსავს ფეხსაცმელი სიკიონური,
თითს ოქროს ბეჭდით მოკიაფე ზურმუხტი უმკობს,
და ზღვისფერ სამოსს იმის ტანის დამამშვენებელს,
ვენუსის ოფლის სუნი რომ სდის, პეწი შეშლია.
მამათა ღვაწლით შენაძენი მემკვიდრეობა
1130 ზიზილ-პიპილებს, ნელსაცხებელს მონდომებია.
სულო და გულო, იმათ ნადიმს რა არ ამშვენებს?
სმა და ღრეობა, გვირგვინები, სურნელთა კმევა...
ფუჭია ყველა, იმ სიამეს და იმ ყვავილებს
სამსალა ახლავს გულმომწყველი, სუნთქვის დამხშობი;

1135 ან იქნებ მიტომ, გულს უღრღნიდეს იმის შეგნება,
რომ სიჭაბუკე გაქრა მისი უქმად-უსაგნოდ;
ან იქნებ მიტომ, ორაზროვნად ლამაზის თქმული
გულს ჩაუვარდა ჩაუქრობელ ცეცხლის აღმგზნებად;
ანდა იმიტომ, სხვას ხედავსო მოწყალე თვალით
1140 და ეჩვენება მის ცქერაში დაცინვის კვალი.

•

და თუ ბედნიერ ტრფიალებას ვერ ასცდეს ავი,
რა უნდა ითქვას უიმედო, ყალბ სიყვარულზე?
იქ ურიცხვ ბოროტს დაინახავს თვალდახუჭულიც,
და ამიტომაც თავიდანვე სჯობს ფრთხილად იყო,
1145 რომ განერიდო, როგორცა ვთქვი, მის მაცდურ ბადეს.
რადგან იმ ბადის თავდაღწევა არ არის ძნელი,
უფრო ძნელია თავს უშველოს შიგ მოხვედრილმა,
ვენუსის მაგარ ბორკილების გაწყვეტა შესძლოს.
ვთქვათ, მოჰყევ ბადეს, კვლავ შეიძლებ იმის გაგლეჯას,
1150 თუ შენ თითონვე შენს თავდახსნას არ დააბრკოლებ,
თუ თვალს დახუჭავ და ვინც შენ გსურს, ვინც ასე მიგწონს.
იმას სხეულის ანდა სულის ნაკლს არ შენიშნავ.
ძლიერ სურვილით დაბრმავებულ კაცთ ასე მოსდით,
და კარგ თვისებას იქა ხედვენ, საცა არ არის.
1155 ყოვლად უგვანო, პირად ნასი ზოგს მოსწონს კიდეც,
ეტრფის, ევლება, ანებივრებს, დიდ პატივში ჰყავს;
ზოგჯერ სხვებს სცინის — გაებაო ვენუსის ბადეს —
და სამარცხვინო რამ სიამეს მისცემიაო,
მას კი ვერ ამჩნევს, უბედური, თვით რა დღეშია.
1160 შავი უჩნს შახად, ჭუჭყიანი — მეტად უბრალოდ,
ჭროლა თვალება — თვით პალადად, გამხდარი — ციკნად,
ჯუჯა და ძღინკი — ცუგრუმელად, კოპწიად, კოხტად,
ზორბა, დგვლაფუნა — დარბაისლად, ღირსებით სავსედ;
ბლუ მიაჩნია — მოჟღრუტულედ, მუნჯი კი — მორცხვად,
1165 ენაგრძელი და ჭარტალა ხომ — ცეცხლებრ დამწველად,
კდემამოსილად — სუსტი, ღობეს გადასაკიდი,
სულზედ უტკბესად, ჭიჭაღორა, სულზე მიმდგარი,

ძუძუებსქელი კი — ცერერად — ბახუსს რომ ჰკვებავს,
ცხვირა — სილენად, დრუნჩიანი — ტკბილ საკოცნელად,
1170 და სხვა ამგვარსა ვინღა მოსთვლის კიდევ ბევრის ბევრს.

და თუნდაც ჰქონდეს გარეგნობა თვალისმომჭრელი,
თუნდ სილამაზით თითონ ვენუსს ედარებოდეს,
არიან სხვებიც, ხომ უმისოდ ვცხოვრობდით წინათ;
მასვე რომ ჩადის, კარგად ვიცით, რასაც ცუდები,
1175 და საცოდავი ხომ ავრცელებს თითონ მყრალ სუნსა,
მას გაურბიან მსახურებიც, ჩუმად სცინიან,
და ატირებულ ტრფიალს მასთან რომ არ უშვებენ
ვარდყვავილებით, გვირგვინებით ნატერფალს უმკობს,
თავშავას უსვამს იმის კარებს, ამბორით ფარავს;
1180 შინ რომ შეეშვათ, ცხვირს დაჰკრავდა ისეთი სუნი,
წამს წასვლის მიზეზს საპატიოს გამოსძებნიდა,
უკუაგდებდა სათხოვარსა მადამოშლილი,
თავს დასახავდა ენით უთქმელ სულელად, ბრიყვად,
მოკვდავზე მეტი რომ თვისება მას მიაწერა.
1185 იმ ჩვენ ვენუსებს ეს ყოველი მშვენივრად ესმით,
მით უფრო მალვენ თვის ცხოვრების იდუმალ მხარეს,
მისგან ვინც კი სურთ, რომ გახვიონ ტრფობის ბადეში,
უქმად ჩაუვლის, რადგან ძალგიძს დღის სინათლეზე
მისი ოინი უბადრუკი გამოიტანო;
1190 და თუკი მართლაც თვალადია, კეთილი ზნისა,
მაშინ ზოგ ნაკლსაც აპატიებ ადამიანურს.

ქალი ყოველთვის როდი სუნთქავს ყალბ ტრფიალებით,
როცა სხეულით ვაჟის სხეულს შეერთებული,
შეწებებია ბაგე ბაგეს უმწვავეს კოცნით.
1195 მთელი არსებით მისცემია ურთიერთ ლტოლვას,
რომ სიყვარულის მძლე სიამე გაიზიაროს.
ეს რომ არ იყოს, არც ფრთოსანნი, არცა ოთხფეხნი
თავს არ მისცემდა თვისთა კუროთ, არ მოუშვებდა,
რომ არ აღძრავდეს მათში ცეცხლსა უნებათა ღელვის,
1200 თითონ ბუნება ვენუსისკენ რომ მოუწოდებს.
ხომ დაგინახავს, თუ სურვილმა როგორ შეჰყარა,

ტრფობის ბორკილით. როგორ მტკიცედ შეჰკრა-შესჯაჭვა,
გზაჯვარედინზე ის ძაღლები, გათიშვა რომ სურთ,
1210 და მთელ ძალღონით აქეთ-იქეთ ეზიდებიან,
1204 მით უფრო მაგრად, ებმებიან ვენუსის ბადეს!
1205 მას არ იქმოდნენ, რომ არ იყოს ურთიერთ ტრფობა,
მიზეზი მათი ცდუნებისა და ბორკილების.
მაშ, ვიმეორებ: ტრფობის ნდომა საერთო არის.

და თუ შემთხვევით, რა ერთმანეთს ერევა თესლი,
ვაჟის ძალასა ქალის ძალა გადააჭარბებს,
1211 დედის თესლიდან დედის მსგავსი წარმოიშობა,
მამის თესლით კი შეიქმნება ძეც მამის მსგავსი,
და თუ ორთავეს გარეგნობით მიემსგავსება,
მამის სხეულით, დედის სისხლით წარმოშობილა.
1215 ვენუსის ვნებით რა აღიძვრის სხეულში თესლი
და შეერთდება აღგზნებული ორმხრივი ნდომით,
მაშინ არც ერთი არც მარცხდება და არც იმარჯვებს.
ზოგჯერაც ხდება, რომ შვილები პაპებსა ჰგვანან,
ან გარეგნობას წინაპართა წარმოგვიდგენენ,
1220 რადგან საწყისნი შერეულნი მრავალნაირად,
ჩვენი მშობლების სხეულებში მოთავსებული,
მამათ მამებსა ოდიდანვე გადმოუციათ;
ასე შობს ვენუს მრავალ სახის ცვალებადობას,
კვლავად აღადგენს წინაპართა სახეს, თმას, ხმასა
1225 და სხვა რამ ასო წარმოიშვის ხომ ერთგვარ თესლით,
ისე ვით სახე, ან ნაწილი ჩვენი სხეულის.
ვით ვაჟის თესლით წარმოიშვის მოდგმა ქალისა,
ისე ქალისგან ვაჟთა გვარი წარმოიშობა.
რადგან შობისთვის საჭიროა ორგვარი თესლი,
1230 მიტომ ნაყოფი ემსგავსება უმეტეს იმას,
ვისიც ნაწილი უმეტესი შერეულია,
იქნება იგი ქალისა თუ ვაჟის გვარისა.

ღვთის ნებით კი არ დაუკარგავს ზოგის თესლს ძალა,
უტკბეს ძეთაგან რომ არ ესმის მამის სახელი,
1235 მარად შთენილთა უნაყოფო, ბერწ სიყვარულით;
ასე ჰგონებენ ზოგიერთნი და გულმოკლულნი

სისხლს აპკურებენ საკურთხეველს, ბევრ ძღვენს შესწირვენ,
რომ იმათ ცოლებს მიანიჭოს თესლმა ძეობა.
ტყუილუბრალოდ შესჩივიან ღმერთებს, მათ ქურუმთ,
1240 უნაყოფოა მათი თესლი ჭარბ სისქის გამო,
ან კიდევ მიტომ წყალ-წყალა და ძალზე თხელია,
რაკი ვერ შესძლებს შეჩერებას თესლი ადგილზე,
ვერრას ჩასახავს და უმალვე უკან იღვრება,
ხოლო სქელი კი, რაკი მდორედ მოედინება
1245 და ვერ ახერხებს წინ წასვლასა ერთგვარ სისწრაფით,
ძნელადღა შესძლებს მიაღწიოს განკუთვნილ ადგილს,
ან თუ მიაღწევს, ქალის თესლსა ძლივს შეერევა,
სჩანს სიყვარულში ჰარმონიას დიდი აქვს ძალა —
ზოგი კაცისგან ზოგი ქალი დაფეხმძიმდება;
1250 სხვებს აორსულებს სხვა კაცები უფრო ადვილად,
თუ ზოგსა წინათ ქორწინება ჰქონდათ უძეო,
ბოლოს შეჰყრიან ისეთ ქმრებსა, რომელთაგანაც
უგრძვნიათ კიდეც სიხარული შვილიერების.
თუ ზოგს ოჯახში უნაყოფო ჰყავდათ ცოლები,
1255 ბოლოს კი მაინც შესაფერი გამოუნახავთ,
თავის სიბერე რომ შვილებით უზრუნველეყოთ.
მეტად დიდი აქვს მნიშვნელობა თესლთა შერევას,
შეერთებისას რომ ნაყოფი მით ჩაისახოს,
მიტომ სქელს თხელი და თხელს სქელი ხამს შეუერთდეს.
1260 ხომ თვით საზრდოსაც, რა თქმა უნდა, აქვს მნიშვნელობა;
ზოგი საკვები ძალას აძლევს სხეულში თესლსა,
და ზოგიც კიდევ დააწვრილებს და გააწყალებს.
თუ ვით სრულდება ვნებათ-ღელვის საქმე საამო,
ამას ჰქონია მნიშვნელობა, რადგან ფიქრობენ,
1265 რომ ოთხფეხთ წესით ქალნი ზოგჯერ ფეხმძიმდებიან,
უმალ აღწევსო თესლი თავის დანიშნულ ადგილს,
თუკი გულმკერდი ქვემოთ არის, წელი კი — ზემოთ.
არც სჭირდებაო ვნებიერი ცოლს მოძრაობა.
აბრკოლებენო ამით ქალნი ჩასახვის საქმეს,
1270 როცა გვერდების ქანაობით კაცს აღელვებენ
და მოდუნებულ ასოთაგან მჩქეფარებს თესლი,
ამგვარი წესი სახნისს სწორ გზით აახვევინებს,
თესლის ნაკადიც თავის ადგილს ასცდება მაშინ.
უზნეო ქალნი მიმართავენ ამ მოძრაობას,

1275 რომ ალარ აჰყვეთ ფეხმძიმობა, არ დაორსულდნენ —
და ამავე დროს თავის ტრფიალთ აამოენ მეტად;
აბა, ჩვენ ცოლებს ამგვარი რამ რაში სჭირდებათ.

არცა ღვთის ნების, არც ვენუსის ისრის ბრალია,
როდესაც ზოგჯერ გონჯ ქალსაც კი შეიყვარებენ,
1280 რადგანაც კარგი ყოფაქცევით, კარგი თვისებით,
მშვიდ ხასიათით, ტანის, პირის ფაქიზი მოვლით
ადვილად შესძლებს შეგაჩვიოს მასთან ცხოვრებას.
და საბოლოოდ, ჩვეულება ზრდის სიყვარულსა,
რადგანაც ყოველს თუნდ მსუბუქად რომ ვურტყათ ხანგრძლივ,
1285 ბოლოს შედრკება და ნელნელა იშლება სრულად.
ხომ დაგინახავს, რომ წყლის წვეთსა ხანგრძლივ დაცემით
კლდეთა ბორძალიც უმტკიცესი დაურღვევია?

ԸՍԵՐԸ ԱՅՐԱՑ

ინღა ამოთქვას მძლე სიმღერა განიერ მკერდით
ამ აღმოჩენის ღირსეულად შემამკობელი?
ვინ არის იგი, რომლის სიტყვას შესწევდეს ძალი
ხოტბა შეასხას შესაფერი, ვინც დიად სულით
5 მოპოვებული გვიანდერძა განძი ცოდნისა?
ამას ვერ შესძლებს ვეღარც ერთი მოკვდავთაგანი.
ვინც დიად საქმეს შეუწონა აზრიც ნათელი,
ღირსო მემიუს, ის ღვთაებად ჩასათვლელია!
იგია თავი გამომცნობი ყოფის აზრისა,
10 რაიც ჩვენს მიერ წოდებულა ჭეშმარიტ სიბრძნედ;
მარად ღელვილი კაცთ ცხოვრება, ბნელით მოცული
დააშოშმინა, ნათელ შუქით განასხივოსნა.
აბა, სად მოვა მასთან ღმერთთა სასწაულები.
უთქვამთ, ცერერამ ასწავლაო მოკვდავთ ხვნა-თესვა,
15 ხოლო ლიბერმა—დაწურვაო ყურძის მტევანის,
ხომ უმისოდაც შეიძლებდნენ კაცნი ცხოვრებას,
როგორც კვლავ ცხოვრობს დღევანდლამდე ტომი მრავალი.
ალალი გული დასტკბეს მხოლოდ მართალ ცხოვრებით!
და ამიტომაც ღმერთად უნდა ის ჩაითვალოს,
20 რომლის მოძღვრებამ დამარხულმა მრავალ ხალხთ შორის
სულს მიანიჭა სიტკბოება ალალ სიცოცხლის.
და თუ გმირობა ჰერკულესის მეტად დასახე,
მაშინ, მემიუს, დამერწმუნე სწორ გზას ამცდარხარ.
ვის შეაშინებს ღია ხახა ნემურ ლომისა,
25 ან არკადიის ულრან ტყეთა საზარო ტახი?
ან კრეტის ხარი, გველეშაპი—ლერნული ჰიდრა,
რომელს გარს ერტყმის ზხამიანი, საძიში გველნი?
ან სამმკერდიან გერიონის ძალა სამკეცი?

ან დიომედეს ცეცხლის მქშენი ელვარე რაშნი
31 ბისტონიისა ველს რომ სრბიან, ისმარის ქედებს?
30 ან რას დაგვაკლებს ჩვენ ფრინველნი სტიმფალიისა?
32 ან ჰესპერიდეს ოქროს ვაშლთა ციმციმ ბრწყინვალეთ,
გველი სასტიკი რომ დარაჯობს საშიშ სხეულით,
შემოხვეული ხის გარშემო, რას დაგვაკლებდა
35 იქ, მომქუხარე ატლანტოსის ნაპირს რომ ჰგიებს,
სად ვერ შებედავს ვერც ჩვენგანი, ვერც ბარბაროსი?
და სხვა ამგვარი აწ მოსრილი ურჩხულ-ვეშაპნი,
რომ იყვნენ კიდეც, შესძლებენ კი რაიმე ვნებას?
ვგონებ რომ ვერა: მიწა მხეცებს ეხლაც წარმოშობს
40 და აღსავსეა თავზარდამცემ უეცარ ელდით
ჭალა და მთები და სიღრმენი ულრან ტყე-ღრეთა;
ხომ ჩვენ ხელთ არის განრიდება ამგვარ საფრთხისგან,
ხოლო თუ გული არ გაქვს წმინდა, აბა მაშინ კი,
ეჰ, რა თავზარი, შიში ზენდა განმზადებულა!
45 სევდა-ვარამი რა სიმწვავით მოგიდმობს გულსა
რადარა ზრუნვა და რა შიში ანაზდეული,
თავგასულობა ქედმაღლური, სიძუნწე, შური
და კაეშანი მოვლენილი ფუჭი განცხრომით.
და, ამიტომაც, ვინც სიავე დაამხო სრულად
50 არა მახვილით—მტკიცე სიტყვის მძლეთამძლეობით,
ნუთუ არ არის იგი ღირსი ღვთიურ დიდების?
თუ ამის გარდა შეპყრობილსა ღვთაებრივ გრძნებით
ბევრი რამ უთქვამს უკვდავ ღმერთთა შესაფერისი
საგანთ ბუნების სრულ სიცხადით ნათელსაყოფად.

55 მეც შევდგომივარ იმის კვალსა, მის გზას განვაგრძობ,
მინდა გაუწყო, რა წესი აქვს საგანთა შობას
და როგორ მისდევს ყოფის რიგი, მართებულება
მტკიცე კანონსა მარადიულ ჟამთმდინარების.
სხეულებრივი არს ბუნება ჩვენი გონისა
60 და მოკვდავია, ვით ყოველი დაბადებული,
მიტომ ვერ შესძლებს, რომ მარადჟამს დარჩეს უცვლელი,
მხოლოდ სახება ჩვენ ძილის დროს გვაბრიყვებს ზოგჯერ,
როცა სიზმარში ვხედავთ აჩრდილს აწ გარდაცვლილთა,
ეხლა კი დროა, რომ ვიმსჯელოთ იმის შესახებ,

65 ვით წარმოიშვა ეს ქვეყანა მოკვდავ სხეულით,
ანდა შობილი რაგვარ წესსა დაემორჩილა;
როგორ მოხდა, რომ მატერიის შეერთებისგან
შეიქმნა მიწა, მზე და მთვარე, ცა, ზღვა, ვარსკვლავნი,
შემდეგ რაგვარი ქმნილებანი იშვნენ ამ ქვეყნად,
70 ანდა რა იყო, რაც არ ოდეს აღარ შობილა;
სხვადასხვა ენით კაცთა მოდგმამ როგორ დაიწყო
ერთმანეთს შორის საუბარი, საგანთ აღნიშვნა,
ვით ჩაისახა იმის გულში ღმერთების შიში,
რამაც განავრცო კიდით კიდეს მთელ ქვეყანაზე
75 ტაძარ-ჭალაკნი, ტბანი, ხატნი და სამსხვერპლონი.
გარდა ამისა მზის მოქცევას, აღვსებას მთვარის,
მე განგიმარტავ, თუ რა რიგად მართავს ბუნება,
რომ არ თქვან, თითქოს მიწასა და ზეცათა შორის
სრბიან მარადის თავისთავად მიტანებული,
80 რომ გაიხაროს მიწის ნერგმა, ცხოველთა მოდგმამ,
ან არ იფიქრონ, ღმერთის ძალით მოქმედებენო.
ვინც კარგად იცის, რომ ღმერთები უქმად არიან
და უკვირს ქვეყნად ყოველივე როგორღა იშვის,
რასაც კი ვხედავთ ჩვენს გარშემო საგანთ სიმრავლეს,
85 განსაკუთრებით რაც ზემოთ სჩანს, ეთერის წიაღს,
ლამის ძველ რწმენას, რელიგიას კვლავ დაუბრუნდეს
და აღიაროს არსებობა მკაცრ მბრძანებელის,
სჯერა უბედურს, თითქოს იყვნენ ყოვლისშემძლენი,
იმის არ მცოდნეს, რა საზღვარი აქვს ყოველ საგანს
90 გარდაუვალი და ვითარი ელის მას ბოლო.

თავს არ შეგაწყენ ამის მეტად დაპირებებით.
აბა, მიხედე, ო, მემიუს, ცას, ზღვას და ხმელეთს;
ბუნება მათი სამგვარია, სხეულიც სამი,
ამ განსხვავებულ სამ სახებას, სამგვაროვნებას
95 დღე დაუდგება აღსასრულის, წელთა სიმრავლით
მტკიცედ ნაფუძარს, უდიადესს დამხობა ელის,
თავს არ ვიტყუებ, განაცვიფრებს ყველას ეს თქმული
ცისა და მიწის დანგრევასა და მოსპობაზე.
გამიძნელდება ცხად სიტყვებით ამის გამოთქმა;
100 ასეა, როცა ჩვენ ყურს აღწევს უცხო ამბავი,

რომლის არ ძალგვიძს არცა ხილვა, არცა შეხება,
ეს ხომ ყველაზე საიმედო და მოკლე გზაა,
რომ კაცის გული მას დაენდოს, აზრმაც ირწმუნოს.
და მაინც ვიტყვი, ნათქვამს საქმეც დამიდასტურებს:
105 ოდეს შეარყევს დედამიწას ძვრა შესაზარი,
ნახავ თუ უმალ ყოველივე ვით დაემხობა.
ღმერთმა გვაშოროს განსაცდელი ჩვენ ამდაგვარი,
სჯობს აზრით მივწვდეთ, ვიდრე საქმემ ჩვენ დაგვანახოს
საშინელ ნგრევით სრულად ქვეყნის გაცამტვერება.

110 ხოლო ჯერ, ვიდრე დავიწყებდე წინასწარ თქმასა,
უფრო უწმინდესს და სარწმუნოს პითიას თქმულზე,
რაიც გაისმის დაფნით შემკულ თებეს სამფეხით,
ბევრს საიმედოს სიბრძნით ნათქვამს შეგატყობინებ.
რომ რელიგიით შებოჭვილმა არ დაიჯერო,
115 ცა, დედამიწა, მზე და მთვარე, ვარსკვლავთ კრებული—
თითქოს ღვთაებრივ სხეულისა—მარად დარჩება,
ფიქრად არ მოგდის, გიგანტთაებრ დასასჯელია,
უმკაცრეს ტანჯვით მსოფლიოში ესდენ ცოდვილი,
მოსურნე სრულად ამა ქვეყნის გაცამტვერების,
120 თანაც ჩაქრობის ცის ტატნობზე მგზნებარე მზისა—
ამ უკვდავების მოკვდავ სიტყვით შეურაცხმყოფი.
ესე ყოველი მეტად შორავს ღვთიურ არსებას,
ღირსი არ არის ჩაირიცხოს ღვთაებათ შორის,
რადგანაც იგი ისე რიგად წარმოგვიდგება,
125 თითქოს მიხდოდეს მოძრაობის, გრძნობის უნარი.
რადგანაც სრულად შეუძლია რაგინდრა სხეულს
ჰქონდეს ბუნება გონივრული, უნარი ფიქრის.
როგორც არ არის ხე ეთერში, არც თუ ღრუბელნი
ცურავენ ზღვის უფსკრულს, არცა თევზნი გაშლილ მდელოზე,
130 არ აქვს ხეს სისხლი, არც წვენი რამ გაუვა ქვასა.
განსაზღვრულ ადგილს ფერობს ყოველს ზრდაცა და ყოფნაც.
გონის ბუნება აღარ იშვის სხეულის გარეთ,
უსისხლ-უძარღვოდ ვერ შეიძლებს ის არსებობას.
ეს რომ შესაძლო იყოს, მაშინ ძალა გონისა
135 მოთავსდებოდა თავსა, მხრებში, ფეხის თითებში,
ანდა რაგინდრა სხვა ნაწილში იარსებებდა,

ვერ დააღწევდა თავს ხომ მაინც კაცის სხეულსა.
თუ ჩვენს სხეულში დადგენილი არის ადგილი,
სად შეუძლიათ გონს და სულსა თავისდათავად
140 ზრდა-არსებობა, მით უმეტეს უარსაყოფია,
თითქოს შეეძლოს შობა და ზრდა სხეულის გარეთ,
მიწის ბელტებში ანუ ცეცხლში მგზნებარე მზისა,
ან კიდევ წყალში, ან ეთერის უსიერ წიაღს.
მაშ, არ ჰქონია გრძნობა იგი ღვთაებრივობის,
145 რაკი სუნთქვასა ცხოველმყოფელს ის მოჰკლებია.

სრულად არ არის დასაჯერი, რომ თითქოს სადმე
იპოებოდეს ქვეყნად ღმერთთა წმინდა სავანე.
ღმერთის ბუნება ისე წვრილი, შორეულია,
ვერც ჩვენი გონი, ვერცა გრძნობა მას ვერ მისწვდება;
150 რომ შეგვძლებოდა ჩვენ კიდევაც ხელით შეხება,
შეხება იგი შეუგრძნობი დარჩება მაინც,
რადგან ვერ იგრძნობს ხომ შეხებას თვით ხელუხლები.
მიტომ არა ჰგავს კაცთა ბინას ღმერთთა სავანე,
ხომ მეტად წვრილი უნდა იყოს, როგორც თვით ღმერთნი.
155 ამის შესახებ მე გიამბობ შემდეგ უფრო ვრცლად.

ხოლო იმის თქმა, კაცთ საამოდ შექმნეს ღმერთებმა
ეს დედამიწა შემკობილი ყოველ სიკეთით,
ამიტომ უნდა ღმერთთა საქმეს ვამკობდეთ ქებით,
და თითქოს იყოს ის უკვდავი, მარადიული
160 და არ ჯერარსო, ძველთაგანვე უფლის განგებით,
რაც კი შექმნილა კაცთ მოდგმისთვის სამარადჟამოდ,
შევარყიოთო, რწმენას ფუძე გამოვუთხაროთ,
და ეს ყოველი მახვილ ენით ქვე დავანარცხოთ,
რაში გვჭირდება, ო, მემიუს, ეს აბდაუბდა?
165 აბა, თითონ თქვი, რა სარფა აქვთ ნეტარ უკვდავთა,
ან რაში არგებთ იმათ ჩვენი მადლიერება,
ჩვენი გულისთვის მათ რომ რამე მოიმოქმედონ?
ან რა სიახლე მოხიბლავდა სრულად უზრუნველთ,
რომ მოესურვათ შეცვლა ჩვეულ ყოფა-ცხოვრების?
170 სიახლისაკენ ის ისწრაფვის ძველი სძაგს რომელს,

ვისაც კი წყენა იმ ძველ დროში არ შეხვედრია
და თავის დღენი სიამეში უტარებია,
რაღას უქადის იმას ლტოლვა სიახლისადმი?
175 წყვდიადით, სევდით მოსილ იყო მათი ცხოვრება,
176 ვიდრე სათავე საგანთ შობის ნათელს ნახავდა?
174 ან უშობლობა რა სიავეს შეგვყრიდა მაინც?
177 ყოველ შობილსა ეღვიძება სწრაფვა სიცოცხლის,
როცა აღუძრავს მას სურვილსა ვნებათაღელვა,
ვინც ვერ ეღირსა სიყვარულსა, სათვალავს ასცდა,
180 დააკლდებოდა რამე სრულად არ შობილიყო?
სადით აღეძრათ თითონ ღმერთებს ამ ქვეყნის გეგმა,
ან წარმოდგენა კაცთ შესახებ რამ ჩაუსახა?
რომ მათ აღძვროდათ რისმე შექმნის სურვილი რამე,
რა გზით შეიტყვეს იმათ ძალა საწყისებისა,
185 რარიგ შესძლებდნენ ერთმანეთთან შეკავშირებას,
თუ თვით ბუნებამ მათ არ მისცა შექმნის ნიმუში?
რადგან მრავალგზის შენაერთნი—საგანთ საწყისნი,
როს მოძრაობდნენ ოდიდანვე უწყვეტი ბიძგით,
მარად მიმსრბოლნი, თავის წონით იძულებულნი,
190 მრავალგვარ კავშირს შენამთხვევნი, ბევრის დამთმენნი,
რას არ შექმნიდნენ ერთმანეთთან შეერთებისას?
და როდი არის საკვირველი, ესრეთ ლტოლვილნი
დაბოლოს მოხვდნენ ისეთნაირ ვითარებაში,
რომ ცვალებადი ეს ქვეყანა შეიქმნა მისგან.

195 საგანთ საწყისი სულ უცნობი რომ იყოს ჩემთვის,
ცის მიხედვიდაც გავბედავდი, აგრეთვე სხვათა
მრავალ მოვლენის საფუძველზე მის დამტკიცებას,
რომ არცა ჩვენთვის, არც ღმრთის ნებით არის შექმნილი
ქვეყნის ბუნება: იმდენია მასში ნაკლი რამ.

200 პირველყოვლისა ცის ქვეშეთში რაც კი რამ არის,
მეტი უპყრია მთას, ტყეს, სავსეს გარეულ მხეცით.
სხვა კი—კლდე-ღრესა, ჭაობს, ზღვასა თვალმიუწვდომელს,
რომელს საზღვარნი ქვეყნისანი შემოუფარგლავს.
მარადი ყინვა, მძაფრი სიცხე ფლობს სხვა ორ წილსა,

205 მუხთალმა ბედმა რომ მიხადა საბრალო მოკვდავთ.
სახნავ-სათესი, რაც კი დარჩა ბუნების ძალით,
სულ ერთიანად ნარ-ეკალით დაიფარვოდა,
რომ ადამიანს არსებობის გადასარჩენად
აღარ დაეწყო თოხნა, გუთანს არ დასწოლოდა.
210 იმ მსუყე ბელტებს თუ სახნისი არ ააბრუნებს,
არ განვამზადებთ მიწას თესლის აღმოცენებად,
თავისდათავად მზის ნათელზე არრა ამოვა.
ზოგჯერ რა შრომით, დიდი ღვაწლით მიაღწევ კიდეც,
მწვანე ჯეჯილით რომ ღაღანებს ყანა საამოდ,
215 მაგრამ ანაზდათ დაუდაგავს იგი მზეწვიას,
ან ხშირსა წვიმას ჩაულპია, მოუწვავს ჭირხლსა,
ან გაშმაგებულ ქარს მიწაზე დაუფენია.
გარდა ამისა, მხეცთა მოდგმა მოკვდავთა ელდად
რად შვა ბუნებამ, ზღვას და ხმელზე რომ ზრდის და ჰკვებავს?
220 ტაროსის ცვლასთან რად სრავს სენი კაცთა ნათესავს?
ანდა სიკვდილი ნაადრევი რაღად მძვინვარებს?
ანდა ყრმას ჩვილსა, ვით მეზღვაურს ტალღით ნატყორცნსა,
ვხედავთ სულ შიშვლად მიწას გდებულს, სრულად უმწეოს;
აგერ პირველად რომ უხილავს ნათელი დღისა
225 დედის საშოთი ბუნებისგან ტანჯვით შობილსა,
მისი ტირილი გულმომკვლელი აყრუებს სმენას,
მართლაც, ვინ იცის ცხოვრებაში რას არ დაითმენს?
წვრილი თუ მსხვილი საქონელი, მხეციც იზრდება—
და არ სჭირდება სათამაშო, არც თავზე დგომა,
230 არცა ტიკტიკი გადიების ენამოტეხით,
არცა სამოსი მრავალგვარი, დროის საფერი,
არც უნდათ ხმალი, ციხე-კოშკი თავდასაცავად,
რადგან საზრდელი მიანიჭა იმას გულუხვად
თვით დედამიწამ და ბუნებამ ყოვლისმოქმედმა.

235 პირველ ყოვლისა რაკი სითხე, მიწის სხეულიც
მსუბუქი სუნთქვა გრილ ნიავის, მგზნებარე სიცხეც,
რითაც საგანთა ეს სიმრავლე შედგენილია,
თუ ეს ყოველი წარმოიშვის მოკვდავ სხეულით,
სრულად სამყაროს, მაშ, ბუნებაც მსგავსი ჰქონია.
240 და თუკი ვიცით ნაწილთა და ასოთ შესახებ,—

მისი სხეულნი იბადვიან, შემდეგ კვდებიან,
შობად-მოკვდავი ყოფილაო სხეული, ვასკვნით,
და თუ სამყაროს ნაწილებიც დიდისგან დიდი,
როგორც ჩვენ ვხედავთ, ილუპება, კვლავ წარმოიშვის,
245 უნდა ვიცოდეთ, ცას და მიწას სწორედ ასევე
ოდით ჰქონია შობის ჟამი, დაღუპვაც ელის.

არ კი გეგონოს აჩქარებით მომსვლოდეს თითქოს
მიწის და ცეცხლის მოკვდავ არსად გამოცხადება,
უეჭვოდ მიჩანს, რომ ილუპვის წყალი, ჰაერიც
250 და რომ ისევე წარმოიშვის და აღივსება.
ვთქვათ, რამ მცირედსა მიწის ნაწილს, მზით განაფიცხსა,
რაკი ფეხებით მრავალთაგან გაითელება,
მას უკან იმას მტვრის ღრუბელად გადაქცეულსა
ძალუმი ქარი მიმოფანტავს ჰაერში სრულად.
255 ან ბელტის ნაწილს ხშირად წვიმა სითხედ გარდაქმნის
მდინარის ნაპირს ჩამორეცხავს ხომ ზოგჯერ წყალი,
თუ ერთს აკლდება რამ ნაწილი, სხვას ემატება
და ამიტომაც საეჭველი არ უნდა იყოს—
მიწით შობილი მიწაზივე ჰპოებს სამარეს;
260 მაშასადამე, იკლებს მიწა, ისევ მატულობს.

ნიადაგ ავსებს წყალი ზღვასა, მდინარეს, წყაროს.
წყალთა ნაკადი იმჩქეფარებს შეუწყვეტელად,
რალა თქმა უნდა, წყალი ილტვის სულ ყოველ მხარეს,
მაგრამ რაც უნდა მიედინოს, სულერთი არის,
265 იმის სიჭარბე საგრძნობელი სულ არ იქნება.
მართლაც, ნაწილსა ამღელვარებს ქართ ძლიერება,
ნაწილს აორთქლებს მზე, ეთერით სხივთა მფრქვეველი,
ნაწილი კიდევ დაინთქმება მიწის წიაღში,
საცა გაჟონავს მიწის სიღრმეს, მარილს იქ ტოვებს
270 და ისევ უკან ნაკადულად მობრუნებული,

ბოლოს მიწისპირს იგი მტკნარად მოედინება,
სად ტალღებისთვის გზას გაიკვლევს მომდინარ სრბოლით.

ეხლა ჰაერზე მოვახსენებთ, იგი თვის სხეულს
მრავალჯერ იცვლის დროის მცირე რამ მონაკვეთში;
275 რაც სხეულთაგან შეუწყვეტლად მოედინება,
განიფანტება განუსაზღვრელ ჰაერის ზღვაში
და რაც კი სხეულს მოაკლდება—ჰაერს არ ევსო—
მაშინ ჰაერად ყოველივე გარდიქმნებოდა;
საგნიდან მიდის ჯერ ჰაერში, კვლავ უბრუნდება,
280 რადგან ყოველი მარადიულ დინებაშია.

უხვ სხივთა წყაროც—მზე-მნათობი ეთეროვანი
მოაფენს ზეცით მარად უწყვეტ სხივთ ელვარებას
და მოსდევს სხივი სხივსა მუდმივ უწყვეტი სრბოლით
რა ქრება ერთი, იმას უკან მეორე დაჰკრავს.
285 ეს რომ ასეა, დარწმუნდები მაშინვე სრულად,
რა წამს ღრუბლები დაჰფარავენ ჩვენგან მზის წრესა,
მაშინვე სწყვეტენ მისგან მოსულ სინათლის ძალას,
ქვედა ნაწილი სხივებისა გაქრება სრულად.
და იჩრდილება მიწა, საცა განვლის ღრუბელი;
290 ცხადია, საგანს სულ ახალი სჭირდება სხივი,
რა დაეცემა სხივი, უმალ გაქრება კიდეც
და ვერ იხილავ საგანს მზისგან გასხივოსნებულს,
თუ შუქი მზისა მას უწყვეტად არ ეფინება.
ან მიწიერი ნათურები, ღამით სხივთ მფრქვევნი,
295 ლამპარ-სანთელნი მოკიაფედ მანათობელნი,
თუ ჟინჟღილები რომ ბოლავენ მურით და კვამლით,
სწორედ ასევე ისწრაფვიან, ალს აუშვებენ,
სულ ახალ სხივებს მოაფრქვევენ ცეცხლის კიაფით,
მიტომ არ წყდება მათ გარშემო სინათლის წყარო.
300 იმგვარ ისწრაფვის ცეცხლის ძალა, რომ დანაკლისი
უმალ ივსება ახალ ალის აღმოტევებით.
უნდა ვიფიქროთ, ასე თვით მზე, მთვარეც, ვარსკვლავნიც
ახლად და ახლად წარმოშობილ სხივებს სტყორცნიან,

და ჰკარგავენ შუქსა მისგან წინათ გამონაწონსა;
305 მიტომ ნუ გჯერა, დაუშრეტი ჰქონდეთ მათ ძალი.

ბოლოს ხომ ქვებიც დალეულა ულმობელ დროით,
კოშკიც მოშლილა, შერყეულა კლდეთა ბორძალი,
ლმერთთა ტაძარსაც, სამსხვერპლოსაც სიძველე დაშლის
და ბედის საზღვარს ვერ დაუსხლტეს, მათი სიწმინდეც,
310 რომ შეარყიოს გარდუვალი ბუნების წესი:
გმირთა ქანდაკთა ქვედამხობილთ როცა შესცქერი,
ხომ გჯერა მაშინ რომ სიბერეს ვერ გაექცევი?
და რომ მოსხლტება მთის კლდეთაგან ბორძალი რამე
დამარცხებული გარდაუვალ დრო-ჟამის ძალით,
315 სხვაგვარ უეცრად სიმაღლიდან არ მოწყდებოდა
ის, რაც უხსოვარ დროისაგან უძრავად იდგა
თავდაღწეული მძლე დრო-ჟამის მსახვრალ კვეთებას.

თვალი მოავლე გარეშემო მიწას სრულიად,
რაკი ყოველი შეუქმნია თავის თავიდან,
320 როგორც ფიქრობენ, და რაც კვდება, მასაც ითვისებს,
მაშ, შედგენილა იგი შობად და მოკვდავ არსით,
რადგან ყოველი, რაც ზრდის, ჰკვებავს სხვა არსებათა,
უნდა შემცირდეს, რომ შემდეგში განახლდეს ისევ.

და თუ შობის დღე არ ჰქონია ცას და ქვეყანას,
325 თუ ოდიდანვე არსებულან მარადჟამიერ,
თებეს ომამდე ანდა ტროას გამოგლოვამდე,
რად არ დამღერდნენ პოეტები მაშ სხვა თქმულებას?
რაზედ დანთქმულა ესოდენი ღვაწლი ვაჟკაცთა
და რად არ ჰყვავის დაუჭკნობელ, მარად ქმნილებით?
330 არა, მე ვფიქრობ, ახალია სამყაროს წყობა
და თვით ბუნებაც ამა ქვეყნის ახლად შობილა,
მიტომ არის, რომ ხელოვნებას დღესაც ემატვის,
ბევრად წინ მიდის ზღვაოსნობა, გემთმშენებლობა,
თვით სიმღერასაც ემატება ახალი ჰანგი.
335 ბოლოს, ეხლახან გამოირკვა საგანთ ბუნებაც,

და მე პირველმა შევძელ ახსნა პირველთა შორის
და ყოველივეს გადმოცემა მშობლიურ ენით.
ხოლო თუ გჯერა, რომ ყოველი იყო წინათაც,
ძველ კაცთა მოდგმა დაუნთქავსო უმძაფრეს ცეცხლსა,
340 ან დაჯახებამ მსოფლიოთა მოსპო ქალაქნი,
ან შეუწყვეტელ წვიმის ღვარცოფს აღბორგებულსა
წაულეკია სრულად მიწით დაბა-სოფელნი,
ხამს დაუთმო და აღიარო უცილობელად
ცისა და ქვეყნის აღსასრული მოსალოდნელი.
345 და თუ საგანთა თავს დაატყდა ამგვარი რისხვა,
ან რამ შემთხვევამ უმძაფრესმა იგი იმსხვერპლა,
მაშინ მოელის მას სრულიად განადგურება
და ამიტომაც ჩავრიცხულვართ მოკვდავთა შორის,
რადგან იგივე სენი გვიდმობს და გვანადგურებს,
350 რომელს მანამდე სხვათ სიცოცხლე წარუტაცნია.

გარდა ამისა, მიჩნეულსა სამარადჟამოდ
უნდა სხეულიც მყარი ჰქონდეს, დარტყმას გაუძლოს,
რომ არ დაუშვას თავის შიგნით რისამე შეჭრა
დასარღვეველად მის ნაწილთა. ასეთი არის,
355 და როგორცა ვთქვით, მატერიის სხეულთ ბუნება,
სამარადჟამოდ შემძლებელნი ძალის ზენახვის,
თავს არიდებენ დარტყმას, მსგავსად სიცალიერის,
და რჩება იგი შეუხები, ბიძგის ამრიდე,
რაკი არ არის მის გარშემო ადგილი რამე,
360 რომ შესძლებოდა საგანს სხლტომა ანუ გაქრობა.
რაკი ყოველი მარადია, აღარ არსებობს
თავდასაღწევი რამ ადგილი, არცა სხეული,
უეცარ დარტყმით შემძლებელი მისი დამხობის;
არ აქვს სამყაროს, როგორცა ვთქვი, მკვრივი სხეული,
365 სიცალიერე რაკი საგანს გამორღვია,
მაგრამ სხეული სჯარბობს მაინც სიცალიერეს,
საკმაო არის სხეულები იმად, რომ ზეკრბენ,
დაუსაბამო ძალით ნასხლეტ გრიგალთ კვეთებით,
ფუძე უშალონ სამყაროსა, ან ქვე დაამხონ,
370 საკმაო არის იმ ადგილთა განფენილობა,
სად შესაძლოა ჩაჰვავება ქვეყნის ზღუდეთა,

ანდა სხვა ძალის შემოტევით დამხობა ქვეყნის.
თუმც აღსასრულის კარი როდი დახშულა სრულად,
მზის, ცის, მიწისთვის, ანუ ზღვათა ვრცელ ტალღებისთვის
375 ღიაა მისი უმაძღარი, ვეება ხახა.
მიტომაც უნდა ვაღიაროთ, რომ ის შობილა;
მისი სხეული თუკი კვდება, ცხადია ისიც,
ვერ შეიძლებდა გამკლავებას უზომო ძალის,
უხსოვარ დროით მის დამხობას რომ ეშურება.

380 ბოლოს მსოფლიოს სტიქიონთა სასტიკსა ბრძოლას,
რომლითაც სრულად შეპყრობილა მათი არსება,
უნდა დაიდვას ხომ ოდესმე რაღაც სახღვარი?
ვთქვათ, მაგალითად, მზემ და სიცხემ შეერთებულად
დასძლია წყალსა, შესძლო კიდეც მისი დაშრობა?
385 დიაღ ცდილობენ, მაგრამ მიზანს ვერ კი აღწევენ;
ამხედრებულან წყალთ ღვართქაფნი და ზღვის ტალღები
ნაპირს ამცდარნი იქადნიან ყოვლის წალეკვას,
მაგრამ ამაოდ, ტალღას მოჰკვეთს ძლიერი ქარი,
ეთეროვანი მზე სხივებით მოაუძლურებს,
390 თან იმუქრება—ყოველივე გააშროს სრულად,
ვიდრეღა წყალი მიაღწევდეს დასახულ მიზანს.
ამგვარ იბრძვიან, აქვთ ცილობა, უწყვეტი ომი,
უნდათ დაპყრობა დედამიწის, იქ ბატონობა,
მომხდარა ერთხელ, რომ ცეცხლს სრულად გაუმარჯვნია
395 ერთხელაც, უთქვამთ, მეფობდაო ხმელეთზე წყალი.

ცეცხლმა იმარჯვა და ალს მისცა ქვეყნის ნაწილი,
რა გაიტაცეს ფაეტონი რაშებმა მზისა,
ცას და ქვეყანას უგზო-უკვლოდ შემოატარეს.
ყოვლადძლიერმა მაშინ მამამ, რისხვით პყრობილმა,
400 უეცარ ელვით ფაეტონი ის გულზვიადი
ქვე დაანარცხა რაშებიდან დედამიწაზე;
ხელი მოაელო მზემ ჩირაღდანს, ქვეყნის მნათობსა,
მიმოფანტულნი შიშისაგან რაშნი შეჰკრიბა,
და კვლავ წარმართა იმ ძველი გზით წინანდებურად,
405 როგორც ძველ ბერძენთ პოეტები ამას უმღერდნენ,

თუმცკი სიმართლეს მეტისმეტად დაშორებულან.
ცეცხლი კი ჯობნას მაწინ შესძლებს, თუ იმთავითვე
მისი სხეულის საწყისები მრავლად შეკრბება,
შემდეგ აკლდება ძლიერება რაღაც მიზეზით
410 ან კიდევ ყოველს უტეხ ცეცხლით მთლად გადაბუგავს.
ოდესღაც წყალმა, წამოსულმა შეერთებულად,
უთქვამთ, შთანთქაო ხალხმრავალი დაბა-ქალაქი.
უკუგდებულა შემდეგ მაინც იმისი ძალა,
რაც ოდიდანვე თანისთანად შეკრებილიყო,
415 წვიმაც შემწყდარა, მოჰკლებია მდინარეს ღონე.

ხოლო რა რიგმა შეერთებამ მატერიისა
შექმნა ქვეყანა, სივრცე ზღვისა, ცისა ტატნობი,
მზისა და მთვარის მიმოქცევა—ამას განვმარტავ.
გაუმიზნავად, ცხადი არის, საგანთ საწყისნი
420 წარიმართვიან მაინც რაღაც აზრის მიხედვით,
თვინიერ რამე წინასწარი შეთანხმებისა,
თანაც მრავალგვარ და მრავალგზის სახეცვალებით
რომ მოძრაობენ ოდიდანვე უწყვეტი ბიძგით;
თან ამავე დროს დაზიდულნი საკუთარ წონით,
425 ყოველგვარ კავშირს გამოვლილნი, ბევრის დამთმენნი,
რას არ შექმნიან ერთმანეთთან შეერთებისას?
მიტომაც ხდება, რომ შეუწყვეტ მიმოქროლვისას
როს შეასრულეს მოძრაობაც, ბევრი კავშირი,
ბოლოს შეუღლდნენ ისეთ კავშირ-ურთიერთობით,
430 რომ ხშირად შობენ დიდ საგანთა ძირველსაწყისებს:
ზღვის და ხმელეთის, ცის და სულდგმულ არსთა მოდგმისა.

ჯერ აღარ ჩანდა არც მზის დისკო მანათობელი,
არც დიად ქვეყნის სხვა მნათობნი იპოვებოდა,
არცა ზღვა იყო, არც ჰაერი, არც ცა და მიწა,
435 არცა სხვა ნივთი ჩვენ საგნებთან შემსგავსებული,
ჯერ არნახული მოცულობის, რაოდენობის,
440 მსწრაფლ აღჩნდა მრავალ საწყისთ სახე, რომელთ სხვაობა
შუალედისა, გზის, კავშირის, წონის, ბიძგისა,
შეკრების, ძვრისა—უტეხ ბრძოლად იმათ აღძრავდა,

რადგან საწყისნი ფორმით, სახით ერთურთს არ გავდა,
არღა ძალედვათ შეხვედრისას ერთად დარჩენა,
445 არც წარმოშობა შემაერთი მოძრაობისა.
337 მიტომაც იწყეს ნაწილებმა ცალკე გათიშვა,
მსგავსი მიერთო თავის მსგავსსა, მსოფლიო იძრა
და დარღვეული დაიშალა დიდ ნაწილებად.
446 და განეთვისა მაშინ მიწას ზეცა მაღალი,
ზღვა განცალკევდა, გაითიშა წყალი ხმელისგან,
ელვარე ცეცხლი გამოეყო შორეულ ეთერს.

თავდაპირველად ცალკეული სხეული მიწის,
450 რაოდენადაც მძიმე იყო, გადახლართული,
შუაგულისკენ და სულ ქვემოთ მიისწრაფვოდა;
რაც უფრო მეტად ერთმანეთსა გადაჯაჭვოდნენ,
მით უმეტესად ყოფდნენ ნაწილს, რომლით შეიქმნა
ზღვა, ცა, ვარსკვლავნი, მზე და მთვარე, ზღუდენი ქვეყნის:
455 და შედგენილან უფრო მსუბუქ, მრგვალ თესლებისგან,
რომლებიც მიწის საწყისებზე უფროა მცირე,
სწორედ ამიტომ მიწის ვიწრო ხვრელებისაგან
პირველად მოსხლტა ცეცხლოვანი, სწრაფი ეთერი
და წარიტაცა თან ნაწილნი მსუბუქ ცეცხლისა,
460 სწორედ ისევე, როგორც ხშირად გვინახავს კიდეც,
აისზე ბალახს დაფარულსა ალმასებრ ნამით
მზე თვის სხივებით ოდეს წითლად ააელვარებს,
ჩანს დანისლული ტბაც, მდინარეც მარად მჩქეფარე
და გეგონება დედამიწა თითქოს ბოლავსო;
465 ესე ყოველი როცა ზემოთ წარიმართება,
მაშინ ღრუბელი ცას გაეკვრის მყარ სხეულისებრ.
ამდაგვარადვე თვით ეთერი მსუბუქად მქროლი,
როცა სამყაროს შემოეკრა—გადაიზნიქა,
განივრცო ფართოდ სულ ყოველგვარ და ყოველ მხარეს,
470 სრულად ყოველი უძღებ გულ'ში ხარბად ჩაიკრა.
ამას თან მოჰყვა წარმოშობა მზისა და მთვარის,
რომელთ ბორბალნი, ჰაერთ სივრცეს მიმოქცეულნი,
ვერ მიიზიდა ვერცა მიწამ, ვერცა ეთერმა,
არც იყვნენ მძიმე, ქვედაშვება რომ შესძლებოდათ,
475 არც თუ მსუბუქი, რომ გასცლოდნენ ამ ქვეყნის ზღუდეს

ცისა და მიწის შუა მყოფნი, ვითა ცოცხალნი,
მთლიან სამყაროს ერთგვარ ნაწილს წარმოადგენენ;
ხომ ამგვარს რასმე ჩვენს სხეულშიც შევნიშნავთ ხოლმე:
უძრავად არის ზოგი ასო, ზოგიც – მოძრაობს.
480 უმალვე, რაკი მოსწყდა მიწას ის ნაწილები,
რომლებიც ახლა ზღვის ლაჟვარდით დაფარულია.
ჩაშვავდა სილრმეს, ზედ დაადგა ზღვის უსიერი.
მცხუნვარ ეთერის მწველი ძალა დღითიდღე მზარდი,
სხივებიც მზისა დედამიწის გარშემომწერნი,
485 რა შეუპოვრად ეკვეთოდნენ მიწის კიდეგანს,
თანდათანობით შუაგულისკენ ამჭიდროვებდნენ
და ოხშივარი, მიწის გულით აღტევებული,
ტალღათ სამრაველად მიერთვოდა ზღვას და მდინარეს.
ამასთანავე განილტვოდა მისთა ბჭეთაგან
490 სითბოს ნაწილნი მიმართულნი ზეცის წიაღად
და იმ შორეულ მანათობელთ განამტკიცებდა.
აღჩდნენ ველებიც, აღიზარდნენ მთანი მაღალნი,
ხომ ვერ შესძლებდნენ კლდენი ვაკედ დაქვეითებას
და დედამიწაც თანაბარად ვერ დაჯდებოდა.

495 ესრეთ განმტკიცდა დედამიწის მძიმე სხეული
და თითქოს შლამი მთელი ქვეყნით შემოკრებილი
უკუნ სილრმეში ქვე ჩაეშვა ნალექისამებრ;
ხოლო ჰაერი, ზღვა, ეთერიც, ცეცხლმოელვარე
სიმჩატის გამო დარჩა სრულად შეურეველი.
500 ამ მსუბუქთაგან უმჩატესად მქროლი ეთერი
მოედინება ჰაერთ ტალღის უზეშთაესად;
რომ იმის ქროლვას დაუდეგარს გამოეთიშოს,
ის არ აბრკოლებს ძლიერ ქართა მშფოთვარ დინებას,
არცა ქარიშხლის უეცარად მოვლინებასა,
505 საკუთარ ცეცხლთა თანაბარად მიმომქროლვარე.

ეთერს რომ ძალუძს ერთობლივად, თანაბრად სრბოლა,
მას გვიდასტურებს ზღვა პონტოსი ნარნარ დინებით,
მარად ერთ მხარეს წარმართული გეზშეუცვლელად.

ახლა მიზეზთა ვარსკვლავთ სრბოლის შევასხათ ხოტბა.
510 და თუკი ბრუნავს დიად ცისა იგი ბორბალი,
ხამს ვაღიაროთ, მისი ღერძის ორსავე კიდეს
აკრავს ჰაერი ორთავ მხრიდან მისი ჩამკეტი,
ხოლო მის ზემოთ მდინარება ჰქრის სხვა ტალღისა,
სად სრბის ციალით მარად ქვეყნის მნათობთ კრებული,
515 ანდა სხვა მხარეს ატრიალებს ქროლვა ქვეყნის წრეს,
როგორც მდინარე ააბრუნებს წისქვილის ბორბალს.
შესაძლო არის, რომ უძრავად იყოს ცის თაღი
და მიილტვოდნენ სრბოლით ოდენ მნათობნი ცისა;
ან იმის გამო შებორკილა ეთერის გზნება,
520 ეძებს გზახსნილსა, გარეშემო მიმოიქცევა
და თავის ცეცხლთა სუმან წიაღს მიმოატარებს,
ანდა ჰაერი, წამოსული სრულად სხვა მხრიდან,
ცეცხლს ერეკება, ანდა სრბოლა თვით ძალუძს იქეთ,
საცა იზიდავს, წარიტაცებს იმას საზრდელი,
525 რომლითაც სხეულს ის ცეცხლოვანს თვისას აღიდგენს.
ხოლო მათ შორის რა მიზეზი მოქმედებს ქვეყნად,
ძნელია მის თქმა. მაგრამ ყველგან რაც კი რამ ხდება
მსოფლიოს კუთხეს ბევრდაგვარად, მრავალფეროვნად,
მას განკიმარტავ და გაუწყებ სხვადასხვა მიზეზს,
530 რომლითაც სრბიან უტეხ სივრცეს მანათობელნი.
ამ მიზეზთაგან უეჭველად მოქმედებს ერთი
და აღძრავს ვარსკვლავთ სამოძრაოდ, მაგრამ რომელი,
ამას ვერ მოთხოვ—მიმდევრობით ვინც იკვლევს ყოველს.

მსოფლიოს შუაგულს დედამიწა რომ განეფინოს,
535 თანდათანობით რომ შემცირდეს და შემსუბუქდეს,
მაზინ სხვაგვარი მას ბუნება უნდა ჰქონოდა.
მაგრამ ოდითვე მტკიცედ, მკვიდრად შექმნილ-ნაგები
მსოფლიოს ჰაერთ ნაწილებთან წეთეისებულა.
მიტომაც მიწა არც ამძიმებს ჰაერს, არც ტვირთავს,

540 ისე, ვით კაცსა თვის სხეული არ ემძიმება,
ან როგორც თავი კისრისათვის არ არის მძიმე,
ან—ვერ ვგრძნობთ ფეხებს ტანის წონა როგორ ეყრდნობა
და თუ სიმძიმე გარეგანი ჩვენ დაგვემატა,
გვაწუხებს ფრიად, ჩვენ სხეულზე მჩატეც რომ იყოს,
545 მიტომ ყოველი ყოველსავე ხამს შეეთანხმოს,
საალალბედოდ დედამიწა არ შემოჭრილა,
არცთუ ჰაერი მას შერთვია ანაზდეულად,
არამედ მასთან წარმოიშვა ქვეყნის შექმნიდან
როგორც ნაწილი გარკვეული, ვით ჩვენდა—ასო.
550 რა უეცარად შესძრავს მიწას ჭექა-ქუხილი,
სრულად ყოველი, რაც მასზეა, უნდა შეიძრას,
არ მოხდებოდა ეს აროდეს, რომ დედამიწა
ცასა და ჰაერს არ მირთვოდა სამარადჟამოდ;
რადგან საერთო ძირებიდან აღორძინებულთ
555 აერთიანებს ოდიდანვე ერთი სათავე.
განა ვერ ამჩნევ, ჩვენი ტანის ესდენ სიმძიმეს
იჭერს სავსებით სიფრიფანა ძალა სულისა,
რადგან მთლიანად ერთარსებად შეერთებულან?
და ბოლოს ხტომით ვით შევძლებდით ტანის აზიდვას
560 თუ არა ძალით იმ სულისა ჩვენ ტანს რომ მართავს?
ნუთუ ვერ ხედავ თხელს არსებას რა შესძლებია,
როცა სხეულსა, თუგინდ მძიმეს, შეუერთდება,
ვით ქროლვა მიწას, სულის ძალა—იმ ჩვენ სხეულსა?

სწორედ ის არის მზის ბორბალი და მცხუნვარება,
565 რა რიგად იგი ჩვენთა გრძნობათ მიუჩნევია.
მიტომ ერთია, რა მანძილით გვაფრქვიოს ცეცხლმა
სითბო და სხივი, ცხუნვა ტანმაც ჭარბად მიიღოს,
სულ ერთი არის, ცეცხლის სხეულს არრა აკლდება,
არცთუ სიშორე დააკნინებს ცეცხლის ცხუნვასა.
573 თუ სითბო მზისა, ანდა კიდევ იმისი სხივი
570 ჩვენს გრძნობას აღწევს, გარემოსაც მიმოაშუქებს;
მაშ მზის სხეული, როგორც ეხედავთ, იმდაგვარია
და არ ეგების მეტ-ნაკლებად მისი მიჩნევა.
575 ანდა თვით მთვარე, თუნდ სხვის შუქსა აირეკვლიდეს,
ან თუნდ საკუთარ სხეულიდან ჰფენდეს ნათელსა,

სულ ერთი არის, მოცულობა არ უნდა ჰქონდეს
იმაზე მეტი, ვიდრე ჩვენგან შეინიშნება.
რადგან ყოველი ჰაერთ მიღმა, შორით რასაც ვეკრეტთ,
580 მოგვეჩვენება ბუნდოვანად და არა მცირედ,
სწორედ იგივე უნდა ითქვას მთვარის შესახებ,
რაკი სიცხადით ვხედავთ მთვარეს, მის სახებასა,
იმის კიდე-განს, ნაკვთობასა, მოყვანილობას,
სწორედ იმგვარსა, ცის წიაღით რომ გვეჩვენება.
585 გარდა ამისა, შორით რომ ვეკრეტთ ეთერის ცეცხლებს,
594 უნდა იცოდე, შეიძლება იყოს უმცირეს,
595 ან ოდნავ მეტი, ვიდრე ჩვენ თვალს წარმოუდგება,
586 სწორედ ისევე, როცა ვხედავთ მიწიერ ცეცხლსა,
ლაპლაპებს იგი სრულ სიცხადით, როს ახლოს მოჩანს
და სულ ოდნავად სახეშეცვლით მოგვეჩვენება
იმის მიხედვით, თუ რამდენად შორს არის ჩვენგან.

590 არ უნდა იყოს ამიტომაც გასაკვირველი,
სხივთა სიმრავლეს სადით მოჰფენს მზე ესდენ მცირე,
რომ მით აღავსოს ზღვა და მიწა, ლაჟვარდი ცისა
593 და მცხუნვარება თვის გარშემო ჭარბად აფრქვიოს.
597 შესაძლო არის, მთელ მსოფლიოს ეს ერთი ჰქონდეს
წყარო სხივთ ტყორცნად და სინათლის მიმომფენელად.
სრულად სამყაროს ის თვსლები მცხუნვარებისა,
600 იქ შეკრებილა ყოველ მხრიდან, შეჯერებულა,
რომ ერთ სათავით გზნება იგი გადმოიღვაროს.
ხომ დაგინახავს მცირე ნაკადს თუ ვრცელი ველი
ვით დაუფარავს, წაულეკავს კიდით კიდემდე,
ასევე ძალუძს მზის მცირედსა, ცეცხლისებრ ძალას
605 ფიცხ მცხუნვარებით რომ დააგზნოს ჰაერთა სივრცე;
რაკი ჰაერი ისერიგად ითვისებს ცეცხლსა,
რომ მყის ალდება მცირე ცხუნვის მიკარებითაც,
სწორედ იმგვარად, როგორც ზოგჯერ ჩალას ან ბზესა
ცეცხლი ედება დაგზნებული მცირე ნაპერწკლით.
610 ან შესაძლოა მაღლით მნათსა, მზეს ვარდისფერსა,
ახლდეს გარშემო უხილავი სიმრავლე ცეცხლთა,
რაიც სრულიად არ ანიჭებს მას ელვარებას
და იმის სხივებს მცხუნვარებას უმატებს მხოლოდ.

ნამდვილად სანდო რამ საბაბსა ვერ აღმოაჩენს
615 თხის რქის საზღვარით წამოსული მზე ვით გასცდება
კირჩხიბის საზღვარს და არდადეგს დაუბრუნდება,
ან კიდევ მთვარე თუ ერთ თვეში იმ გზას ვით განვლის,
რომლის დაძლევას მზე ანდომებს ერთ წელიწადსა.
620 მარტივ მიზეზით ამ მოვლენებს სულაც ვერ ახსნი.
შესაძლო არის ყოველივე ხდებოდეს ისე,
ვით დემოკრიტეს წმინდა აზრი ამას გვაუწყებს.
მნათობნი მიწას რამდენადაც უახლოვდება,
იმდენად ნაკლებ ცის გრიგალი დაუფლებია,
625 რადგან ქვემოთკენ იკლებს ძალაც, მასთან სისწრაფეც
მიტომ არისო ნელნელა და თანისთანობით
უკან რჩებაო მზე ვარსკვლავთა შორის მსრბოლვარე,
რაკი დაბლაა ის მგზნებარე ვარსკვლავთ კრებულის,
მით უმეტესად მთვარეს, რომლის გზა სასრბოლელი
630 შორავს ცის სიღრმეს, დედამიწას უახლოვდება,
მით უფრო ნაკლებ ძალუძს მიჰყვეს იმ ცის ნიშნებსა;
და რამდენადაც სუსტსა ქროლვას წარუტაცნია
მთვარე მზის ქვემოთ, მით უსწრაფეს ნიშანნი ცისა
მას თავს უსწრებენ მის გარშემო სრბოლით ლტოლვილნი.
635 მიტომაც გვიჩანს, მთვარე ნიშნებს მსწრაფლ უბრუნდება,
მაშინ როდესაც თვით ნიშნები უსწრებენ მთვარეს.
ან იქნებ ქვეყნის უკიდურეს განაპირთაგან
ილტვის ჰაერი თანაბარ დროს ორმხრივ ნაკადად
და მზეს აშორებს ციურ ნიშნებს მცხუნვარ ზაფხულის
640 იმ დრომდე, ვიდრე ზამთრის სუსხი მობრუნდებოდეს,
შემდეგ აშორებს ისევ ჩრდილებს სუსხყინულოვანს,
ზაფხულის ნიშანს საალქატოს რომ შეხვდეს კვლავად.
მთვარეც, ვარსკვლავნიც მოძრაობენ, საფიქრელია,
დიდთა ნიშანთა საზღვართ შორის იმ დიდ წელიწადს,
645 ჰაერთა ქროლვით ორთავ მხარეს მიტევებულნი.
რომ დაგინახავს ცისა ღრუბელთ აღმა და დაღმა
ანაზდეულად ქართა ქროლვა ვით ერეკება?
მათზე ნაკლებად ძალუძთ მნათობთ ეთერის სივრცეს
გრიგალთ ქროლვიდან მიეტანონ აღმა თუ დაღმა?

650 ქვეყნებს შემოსავს ბნელ წყვდიადით ღამე უკუნი,
ან მაშინ ოდეს მზე ცის კიდეს მიატანს სრბოლით

და აღმოატევს მოდუნებულ თვის მცხუნვარებას,
დაოკებულსა ვრცელი გზით და ჰაერთა სივრცით,
ან კიდევ მიტომ, ქვეყნის ქვემოთ მას ეზიდება
655 იგივე ძალა, რაც ქვეყნის წრეს შემოატარებს.

და გარკვეულ დროს დილის სხივი რატომ აშუქებს
ვარდისფერს აისს მთლად ეთერზე სხივთა მფენელად,
თუ არ იმიტომ, მზემ—ამ ქვეყნის გარსშემომვლელმა,
თავი დაუსწროს ცას—სხივებით ცეცხლი წაჰკიდოს,
660 ან იქნებ მიტომ, შემოკრბიან დიდი სიმრავლით
მცხუნვარების და ცეცხლის თესლნი დროს დადგენილსა.
მზის ელვარება რომ წარმოშვან ახალ-ახალი.
ამბობენ იდეს მწვერვალიდან იხილვებაო
გათენების წინ ცეცხლთა ფრქვევა სხივმოკიაფე,
665 შემდეგ კი ერთად შემოკრბიან გორგალ ბურთისებრ.
არ უნდა იყოს ჩვენთვის სრულად გასაკვირველი,
რომ დროს დადგენილს ძალუძთ ცეცხლის თესლებს შეკრება
მზის ნათელ სხივთა სიელვარის წარმოსაშობად.
ხომ შეგინიშნავს მრავალი რამ ერთ დროს რომ ხდება
670 და ხეივანიც ყვავილდება გარკვეულ დროში,
დრო მოვა—ისევ ყვავილთაგან განიძარცვება.
გარკვეულ ასაკს კბილთაცვევნა შეეფერება,
ჭაბუკიც აკი თავის დროზე აიყრის ღინღლსა
და რბილი წვერის სამოსელი ლოყას შეუმკობს.
675 შემდეგ, ხომ ელვაც, წვიმა, თოვლი, ქარი, ღრუბელი,
არანაკლებად ეხამება წლის დროს განსაზღვრულს.
რაკი საწყისთა ამგვარია თავი მიზეზი
და რა საგნები ქვეყნის შექმნით ამგვარად მოდის,
მიტომ, ცხადია, პირველ სახეს აღიდგენს კვლავად.

680 ასევე ფერობს დღეს მატება, დაცხრობა ღამეს,
ანდა დღის ნათელს შემოკლება გრძელი ღამის დროს,
ეს ხდება იქნებ, როცა მიწის ზემოთ თუ ქვემოთ
მზე, ეთერს მსრბოლი, რა უსწორო წრეს შემოუვლის,
თავის მსელელობის გზასაც გაჰყოფს უთანაბაროდ.
685 და რაც ერთ ნაწილს ჩამოაკლო—მეორეს ურთავს,

როცა კვლავ უკან დაბრუნდება ისევ იმ გზაზე,
ვიდრე ცის ნიშანთ არ მიატანს, საცა წლის ნასკვი
დღისა სინათლეს ღამის წყვდიადს გაუთანაბრებს.
რადგან შუაგზით, აქვილოს და ავსტროს ქართ შორის
690 თავის მოსახვევს მზე თანაბრად დაშორებია,
სად ზოდიაქოს წრეს უჭირავს იგი ადგილი,
იქ ხომ ასრულებს მზე მოქცევას წლით მინიჭებულს,
ცას და ქვეყანას რომ ანათებს ირიბ სხივებით,
როგორც ჩვენ ამას გვასწავებენ ცათა გამყოფნი,
695 რომელთ ნიშანი დაუდვიათ ცის ყოველ ნაწილს,
ან კიდევ მიტომ, რომ სქელია ზოგან ჰაერი
და მზის სხივები მიწის ქვემოთ ამომავალი,
ასე ადვილად მის დაძლევას ველარ ახერხებს.
მიტომაც არის, რომ გრძელდება ზამთრობით ღამე,
700 ვიდრე მოატანს დღის ნათელი გათენებისას.
ან კიდევ მიტომ, რომ წლის დროთა ცვალებადობით
ნელა ან სწრაფად მზის ცეცხლები აღინთებიან,
704 მიტომ, მართალი უნდა ეთქვას, ვინც განაცხადა,
703 რომ მზე გარკვეულ ადგილიდან გვეელინებაო,
704ა სადით ყოველდღე ახალ სხივებს გვტყორცნისო მარად.

705 მთვარის ნათელი მოვლენილა მზის სხივებისგან,
იგი დღედღეზე სახეს თვისას მოაქცევს ჩვენკენ,
ამასთანავე სულ შორდება მზის წრეს იმ დრომდე,
ვიდრე პირისპირ სრულ ნათელით აღივსებოდეს
და ჟამს ამოსვლის იხილვიდეს იმის ჩასვლასა.
710 შემდეგ თანისთან თითქო სხივთა მალვიდეს მთვარე
უფროდაუფრო მზის ცეცხლთაგან დაშორებული,
წრეს შემოუვლის ცის ნიშანთა მეორე მხრიდან,
ასე ფიქრობენ, ვინც თვლის მთვარეს ბურთისებურად
და გზაც სასრბოლი მზის უმდაბლეს უგულვებია.

715 ან იქნებ მთვარე, გამომცემი საკუთარ სხივთა,
მიმოიქცევა სახეშეცვლით შუქთა მომფენი,
რადგან მას გვერდით სხვა სხეულიც ასდევნებოდეს
მრავალდაგვარად თავს დამსწრები, გზის გადამლობი,

მიფარებული ჩვენ თვალთაგან სიბნელის გამო.
720 ან იქნებ მთვარე მოძრაობდეს გორგალ ბურთისებრ,
ნათელ სხივთაგან შემოსილი მხოლოდ ცალგვერდად,
მიტომაც ბევრგვარ სახოვნებით გვევლინებოდეს,
ვიდრე იმ ნაწილს, რაც სხივებით გაბრწყინვებულა,
ჩვენდა საჭვრეტად თვალთა ხედვას გადაუშლიდეს;
725 ზოგჯერ თანისთან გვცილდებოდეს შებრუნებული.
თავის ბურთისებრ ტანის სხივთა სხვადმიქცეული,
ვით ქალდეველნი ბაბილონით მას გვასწავებენ
ბერძენთა ვარსკვლავთმრიცხველების უარსაყოფლად,
თითქოს არ იყოს ეს ორთავე შესაძლებელი,
730 ვითომც ერთ მათგანს ჰქონდეს რამე უპირატესი.
ᲛᲔᲝᲥᲚᲔᲑᲔᲚᲘ არის განა მუდამ ახალი
შეიქმნას მთვარე, წესისამებრ სახე იცვალოს,
ყოველდღიურად გაქრეს ისევ ახლად ნაშობი,
რომ ძველის ადგილს კვლავ ახალი წარმოიქმნოდეს.
735 ამის მტკიცება თუ უარყოფა ძნელი იქნება,
რადგან წესისებრ ხომ ბევრი რამ წარმოიშობა.
აი, ვენუს და გაზაფხული ეშურებიან,
წინ უძღვის ზეფირ—ფრთაშესხმული ვენუსის მაცნე—
მის კვალს სდევს ფლორა—ღვიძლი დედა—და გზად ფენს ყვავილს
740 ფერთა მშვენებით, ნაზ სურნელით ყოვლის აღმავსე.
და ამის შემდეგ სიცხის ბული, მასთან ცერერა
სულ მთლად მტვრიანი, აქვილოცა ცხუნვით მჭროლვარე,
მერე დადგება შემოდეგი ბახუსის სტვირით,
მოჰყვება ამას სხვა ქართ ქროლვა, სულ სხვა ავდრები,
745 გრგვინვათ მქუხარე ვოლტურნიუს, მოელვე ავსტრიც.
ᲨᲔᲛᲓᲔᲒ იწყება თოვლი, მოდის ბოროტი სუსხი,
ზამთარი დგება—სიცივისგან კბილს აკაწკაწებს.
რა გასაკვირი უნდა იყოს, თუ დროს განსაზღვრულს
იშვის მთვარე და კვლავად ქრება ისევე დროით,
750 რადგან დრო ხომ შობს წესისამებრ მრავალგვარ საგანს.

მზის დაბნელება და ჩაქრობა მთვარის ნათელის,
უნდა ვიფიქროთ, ბევრგვარ მიზეზს მიეწერება.
თუ მთვარეს ძალუძს მიწას სხივი აშოროს მზისა
რა აღიმართვის იგი შორის მზისა და მიწის,

755 თავის ბნელ მხარეს მზის ელვარე სხივთ შემახვედრი;
განა იგივე ვერ შეიძლოს სხვა რამ სხეულმა,
სრულად მიხდილმა თვის საკუთარ სხივთელვარებას?
ან რომ ჰკარგვიდეს მზე თვის ცეცხლთა დროგამოშვები.
კვლავ აღიდგენდეს, განა ესე შეუძლო არის,
760 რა განვლის ადგილს, სად ჰაერი ვნებს იმის სხივთა
მისდა ჩამთქმელად, მოსაწთობად გამზადებული?
ან კიდევ, თუკი დედამიწა ართმევს სხივს მთვარეს,
რა მეტისმეტად დაუჩრდილებს მზის სხივოსნობას,
მწყრალად აშუქებს მაწინ მთვარე ნამგლისებრ მნათი.
765 განა იმავ დროს ვერ დაუშვებთ, რომ მთვარის ქვემოთ,
ან მზის ზემოდან სრბის ანაზდად რაღაც სხეული,
რაიც წყვეტს სხივებს და აღკვეთაეს ნათელთ დინებას?
და თუგინდ მთვარე ანათებდეს საკუთარ სხივით,
რად ვერ შესძლებდა ჩამქრალიყო ქვეყნის რამ მხარეს,
770 რაკი განვლიდა მის სხივთათვის სავნებელ ადგილს?

772 რაკი შეიტყვე დიად ქვეყნის დიად ლაჟვარდზე
ვითარ სწარმოებს ყოველივე. რა რიგ სრულდება,
რა წესით ხდება მოძრაობა მზისა და მთვარის,
775 ძალგვიძს ვიმსჯელოთ, რა მიზეზი, რა ძალა აღძრავს,
ან რანაირად გაჰქრებიან სხივმოკლებულნი,
ანაზდეულად მთელ ქვეყანას წყვდიადით მოსვენ,
თითქოს თვალები დაგვხუჭოდეს, გაგვეღოს ისევ,
ისევ გვეხილოს სულ ყოველი ნათლით მოსილი;
780 კვლავ ვუბრუნდები მიწის სიყრმეს, ჟამს ველთ ნედლობის,
როცა პირველად დღის ნათელზე აღჩნდა ყლორტი რამ
ცვალებად ქართა სიმძაფრისთვის მისანდობელად.

თავდაპირველად ბალახით და ყოველგვარ მწვანით
დაფარა მიწამ მთლად გარემო, მთები და ველი,
785 აბრწყინდა ჭალად ზურმუხტისებრ ნაზი ხავერდი
და ლაღ ჰაერზე ხეთ ჯიშები მრავალნაირი
ერთიმეორეს უტეხ ზრდაში ეჯიბრებოდნენ;
და როგორც ღინღლით ანდა თმებით, ან კიდევ ჯაგრით
დაიფარება ოთხფეხთ ტანი, ან ფრთით ფრინველნი,

790 ისევე მიწამ, ჯერ ბალახთა, ბუჩქთა აღმზრდელმა,
შემდეგღა მოდგმა მოკვდავ არსთა აღმოაცენა—
მრავალდაგვარად და მრავალგზით მოვლინებულნი;
რადგან ცხოველნი ზეცით ხომ არ ჩამოცვივოდა,
ვერცა ზღვის უბე მიწის ცხოველთ ვერ წარმოშობდა.
795 სწორედ მიტომაც უწოდებენ მიწას დედასა,
რადგან ყოველი მის წიაღით წარმოშობილა.
ეხლაც მრავალგზის იბადვიან მიწით სულდგმულნი,
წვიმის სინესტით, მზისა ცხუნვით ნაშობ-შექმნილნი;
რა გასაკვირი იქნებოდა, რომ უდიდესიც,
800 რიცხვითაც მეტი ეშვა იმ დროს მიწას და ეთერს.
პირველყოვლისა სხვადასხვაგვარ ფრინველთა მოდგმა
კვერცხებს დასდებდა, გაზაფხულის სჩეკდა მათ სითბო,
როგორც ციკადა ზაფხულობით თვისდათავადა
ძვრება პარკუჭით სიცოცხლის და საზრდოს მწყურველი.
805 აქ უკვე მიწამ მოგვცა წყება პირველ მოკვდავთა,
რაკი ჭარბობდა მინდორ-ველად სითბო-სინესტე.
მის გამო საცა შესაფერი იყო ადგილი,
იზარდა საშო, ფესვით მიწის სიღრმეს ჩასული,
ხოლო დრო-ჯამით, რა ნაყოფნი მომწიფდა სრულად,
810 ბალღნი, საშოს წყალს დანასხლეტნი, ჰაერს ილტვოდნენ.
ბუნებაც უმალ თვისთა ნასვრეტს მათ მიუშვერდა,
რომ მის ჯიგრიდან გულგახსნილად გადმოღვრილიყო
წვენი რამ საზრდო რძის მაგვარი, როგორც დედათა
ძეობის ჟამსა მოაწვება ჩვეულებრივად
815 რძე უტკბილესი და ძუძუებს აუვსებს უმალ.
ჭარბად აწვდიდა მიწა საკვებს, სითბო ემოსა,
ბალახიც საგებს ფიანდაზად გადაუშლიდა,
ქვეყანას ახალს არ სჩვევოდა მსუსხავი ყინვა,
დამწველი სიცხე ანუ ძრწოლა ქარიშხალისა,
820 მიტომ ყოველი იზრდებოდა, ძლიერდებოდა.

მართლად უწოდეს, ვამბობ, მიწას სახელად „დედა“,
რადგან კაცთმოდგმა მის წიაღით წარმოშობილა;
ხომ მანვე შექმნა თავის დროზე მოდგმა მხეცების
მთათა მწვერვალებს რომ შესძრავენ ზათქით და სრბოლით.

825 მან დააფრინა სირთა ჯიშიც მრავალდაგვარი.
და რაკი შობას სადმე ბოლო უნდა ჰქონოდა,
გაბერწდა ქალებრ ჟამთ სიმრავლით ქანცმილეული.
რაკი სცვლის სრულად დრო ბუნებას ამა ქვეყნისა:
ერთი რამ სახე გარდიქმნება კვალად სხვა სახედ.
830 არრა დარჩება შეუცვლელი, წარმავლობს ყველა.
ბუნება შესცვლის ყოველსავე, სრულად აბრუნებს,
ერთი კნინდება წელთ სიმრავლით, აკლდება ძალი,
სხვა კი იზრდება წინათ მცირე, შეუმჩნეველი.
ასე დრო-ჟამი სცვლის ბუნებას მთელი ქვეყნისა
835 და დედამიწა ერთ ყოფიდან სხვაში გადადის:
რომ ქმნიდა, იმას ვეღარ შექმნის—ქმნის სრულად ახალს.

მრავალ არსებას წარმოშობდა მიწა იმ დროში,
გასაოცარსა გარეგნობით, ხილვად საზარელს,
ქალ-კაცთა მსგავსებს, მოკლებულთა რაიმე სქესსა,
840 უფეხო არსთა, ან უხელო რაღაც სულდგმულთა,
თან უცხვირპირო, უენოთა, ბრმა ქმნილებათა,
ანდა არსებათ, სრულად ასოგარდარეულთა,
არაფრის მოქმედთ, ვეღარ ზემძლეთ წასვლა-მოსვლისა,
რათა გასცლოდნენ ცუდსა რასმე, კარგს მისდგომოდნენ.
845 სხვებსაც ამდაგვარს წარმოშობდა საზარ ურჩხულთა
სრულად ამაოდ, არ მიიღო იგი ბუნებამ,
აღარ ძალედვათ მიეღწიათ სრულ გაფურჩქვნამდე,
საზრდო ეშოვათ, შეყრილიყვნენ ტრფიალებისთვის.
ბევრი პირობა უნდა იყოს შეხამებული,
850 რომ წარმოიშვას მოდგმა რამე, გამრავლდეს კიდეც-
ჯერ უნდა საზრდო, შემდეგ ასო ის გასავალი,
რომლით სხვა სხეულს უნდა მოხვდეს თესლი სადგამო;
და რომ აღეძრას დედალ-მამალს შეყრის სურვილი,
ასო სჭირდებათ ერთურთისთვის საამებელი.

855 მაშინ მოისპო ცოცხალ არსთა მრავალი მოდგმა,
ვერ შემძლებელთა შთამომავლის აღორძინების
და ვისაც ხედავ, მაცოცხლებელ ჰაერს რომ სუნთქვენ
ან რამ ოინით, ანუ ძალით, ანდა სისწრაფით

შესძლეს თვის მოდგმის შობიდანვე შენარჩუნება.
860 ბევრი სულდგმული ჩვენდა სარგოდ ვაშინაურეთ,
კაცთა საფარქვეშ უვნებელად გარდარჩენილან.
მძვინვარ ლომთა გვარს, სხვა მტაცებელთ სიფიცხე არჩენს,
მელას—ოინი, ხოლო ირემს—ფეხის სიმარდე.
ფხიზლად მძინარე ძაღლთა მოდგმა დიდად ერთგული,
865 მუშა პირუტყვი მრავალგვარი უღლის მტვირთველი,
რბილბეწვიანი ჯოგი ცხვრისა, ჯოგიც ზროხათა—
ყველანი კაცთა საფარქვეშე ცხოვრობს, მემიუს.
ტყვილად ცდილობდნენ, რომ გასცლოდნენ საშიშ მტაცებელთ
და უზრუნველად მოეპოვათ იგი საზრდელი,
870 რასაც ჩვენ ვაწვდით ჩვენდა მოგვრილ სარგებლობისთვის.
[illegible]ც ბუნებამ ეს უნარი მიხადა სრულად,
ვერც თავს ირჩენდნენ, არც ძალედვათ კაცთათვის რგება,
რომ მის სანაცვლოდ უზრუნველთა ჩვენ საფარქვეშე
საზრდოც მიეღოთ, მოდგმა თვისი გადაერჩინათ.
875 ამის ვერ შემძლე მალე გახდა სხვათა საკბილო,
საალალბედო ბორკილებით მტკიცედ შეკრული,
ვიდრე ბუნებამ მისი გვარი მოიდმო სრულად.

არცა ყოფილან არაოდეს არცა კენტავრნი,
არცთუ რამ არსნი ორბუნება—ორმაგ სხეულით,
880 სხვადასხვაგვარი ნაწილებით შექმნილ-ნაშობნი,
რომ ყოველ ნაწილს საკუთარი ჰქონოდეს ძალი.
სულ დამთხვეულიც შესძლებს ვგონებ ამის მიხვედრას.
უკვე სამ წელზე ცხენი თითქმის მთავრდება სრულად,
ბალღი კი არა, იგი ძუძუს კვლავ ეტანება,
885 რძით დამძიმებულ დედის მკერდსა დაეძებს ძილში.
შემდეგ, როდესაც ცხენს სიბერით აკლდება ღონე
და დროთა სრბოლა შეუსუსტებს სხეულის ძალას,
ყრმათათვის სწორედ მაშინ მოდის გაფურჩქვნის ჟამი
და ნაზი ღინღლი მის ლოყებზე აღმოცენდება.
890 მიტომ ნუ გჯერა კაცის, ცხენის თესლთა არევით
რომ შექმნილიყოს კენტავრთ მოდგმა გასაოცარი,
არც თევზთა მსგავსი შმაგი ძაღლებით გარშემორტყმული
არსებობს სკილა, ანდა კიდევ სხვა ამდაგვარი,
რომელთ სხეულნი უთანაბრო, სხვაგვარი ჰქონდეს;

895 ველარ შესძლებდნენ ხომ გაფურჩქვნას, ძალთა მოკრებას,
და ვერც თანაბრად დამთავრებას, ვერც დაბერებას,
ვერც აღიძვროდნენ ვენუსისთვის, სხეულთ სხვაობა
საზრდელს მოითხოვს სხვადასხვაგვარს თვითეულისთვის.
მათოთისაგან ხომ სუქდება წვერება თხები,
900 ხოლო კაცთათვის საწამლავზე უარესია.
თუ ცეცხლის ალი სწვავს ლომებსაც ყვითლად მბზვინვარეს.
ისევე როგორც სხვა სხეულსა ცოცხალთა მოდგმის,
რაც კი ამ ქვეყნად სისხლით, ხორცით შემოსილია,
როგორ შეეძლო სამსახოვანს ერთი სხეულით,
905 იმ ლომის თავას, გველის კუდას, ქიმერას ტანად—
პირგაღებულსა სხეულისგან ცეცხლი ეფრქვია?
ვინც კი იგონებს, ცას და მიწას ახლად შექმნილსა
ამგვარ არსების წარმოშობა თითქოს შეეძლო,
ის ფუჭ სიახლის სახელს ოდენ დამყარებული,
910 კიდევ მრავალგვარ სისულელეს წამოაბოდებს;
თითქოს ოქროსი მჩქეფარებდა მაწინ მდინარე,
ანდა ხეები ყვავოდაო ბრწყვიალა თვლებით,
კაცი იმოდენ ბუმბერაზად იბადვოდაო,
ულრმესთა ზღვათა ფეხდაფეხად გადამლახველი,
915 რომ თავისუფლად ცათა ტატნობს შესძრავდა ხელით.
მიწის წიაღში მრავლად იყო საგანთ თესლები,
როს იმის პირზე სულ პირველად ინერგნენ ცხოველნი,
მაინც არ არის რამ ნიშანი, თითქოს იმ დროში
ნარევ სხეულით არსებანი წარმოქმნილიყვნენ,
920 რადგან ეხლაც კი დედამიწით ჰარბად იზრდება
მცენარეთ ჯიში, ბევრდაგვარი ხეცა, ბუჩქებიც
და მაინც კიდევ ერთმანეთსა არ ‘ერევიან.
სულ ყოველივე თავის ჯიშით აღმოცენდება
და წესს ბუნების თვითეული იცავს ურყევად.

925 თვით კაცთა მოდგმა გაშლილ ველზე რომ ბინადრობდა,
მაგარი იყო, მაგარ მიწით წარმონა‘ობი.
ძვლებიც მაგარი, მტკიცე ჰქონდათ—უფრო მოზრდილიც,
კუნთებიც მკვრივი და ძარღვებიც მტკიცედ შეკრული;
მათ არ აკრთობდა ზამთრის სუსხი, ზაფხულის სიცხე,
930 ანდა რამ საზრდო შეუჩვევი, სხეულის სენი.

ბევრჯერ მობრუნდა ცის ტატნობზე ბორბალი მზისა,
კაცი კი მხეცებრ აღმა-დაღმა ეხეტებოდა,
ნაცადი ხელით მოხრილ სახნისს არვინ მართავდა,
არვინ იცოდა რკინით მიწის დამუშავება,
935 არც ნორჩ ხეხილთა გაშენება, დარგვა თუ მოვლა,
არც ვინ აცლიდა ხეს სასხლევით გამხმარ ტოტებსა.
მზისა და წვიმის შემწეობით რაც მოდიოდა,
ან თითონ მიწა რასაც ზრდიდა, მას სჯერდებოდნენ.
ხშირად რკოიან მუხის ძირას შიმშილს იკლავდნენ,
940 და რაც ამჟამად ზამთრის პირად სიმწიფეს იწყებს
წითლად ღაჟღაჟა დახუნძული ხე უნაბისა,
დიდიც და ჭარბად მსხმოიარე იყო იმ დროსა.
სიჭაბუკის ჟამს მიწა ჭარბად აწვდიდა საზრდოს,
თუმცკი ხენეშსა, იმ უბადრუკ მოკვდავთა მოდგმას.
945 წყაროთა წყალნი, მდინარენი უკლავდნენ წყურვილს,
მაღალ მთებიდან მომჩქეფარე წყალვარდნილები
ნადირთა ჯოგებს მოწყურებულს თვისთან იკრებდნენ.
ტყე-ტყედ სრბოლის დროს აწყდებოდნენ ნიმფათა ბომონხ,
ეგულვებოდათ იმისაგან გამომდინარე
950 ანკარა წყარო, კლდეს ნამიანს გარს რომ უვლიდა,
იქ, სიპის ხავსზე დაჯდებოდა ნაწილი ცვარად,
ხოლო ნაწილიც დაბლობისკენ ეშურებოდა.
ცეცხლის მოხმარა არ იცოდნენ, არც მისი რიგი,
არცა სხეულზე მიფარება ნადირთა ტყავის,
955 ტყეთა თუ მთების ქვაბს, ან ჭალას თავს აფარებდნენ,
ხეთა ტოტებით იმალავდნენ დაკორძილ ტანსა
წვიმის, ქარის და ავდარისგან თავდასაღწევად.
არრა იცოდნენ რა. საერთო კეთილდღეობის,
არცა მისდევდნენ რჩევას რასმე, არცა კანონებს.
960 და რასაც ბედი დავლას რასმე ხელთ ჩაუგდებდა,
მას სჯერდებოდნენ თავისთავზე მხოლოდ მზრუნველნი.
და ვენუს ტყეში ტრფიალთ სხეულს შეაერთებდა.
ქალს ტრფიალებად საპასუხო აღძრავდა გრძნობა,
ანდა ვაჟკაცის ძალა, ნდომა სრულად უძლევი,
965 ან საჩუქარი, რკო, თუნდ მსხალი ან სხვა რამ ხილი.
ხელის და ფეხის უტეხ ძალას დანდობილები
სდევნიდნენ ტყეში დაბუდებულ გარეულ მხეცებს.
975 სატყორცნი ქვებით და კეტებით თავს დაესხმოდნენ,

968 ზოგსა ხოცვიდნენ და ზოგს თვითვე ემალებოდნენ,
უხეშ სხეულით ტახს ჯაგრიანს მიმსგავსებულნი,
970 ღამის შემსწრენი შიშვლად მიწას დაეყრებოდნენ,
ტანს იფარვიდნენ ფოთლებით და ხეთა ტოტებით.
როდი უხმობდნენ მზეს და ნათელს ძალუმ ღრიალით,
ღამის წყვდიადში უტეხ შიშით შეშფოთებულნი,
არამედ მშვიდად მძინარენი ელოდებოდნენ,
976 ვიდრე მზის სხივი ცას ვარდისფრად გააშუქებდა.
ბავშობიდანვე იმ აზრს კარგად შეჩვეულიყვნენ,
რომ თავის დროზე ბნელს ნათელი შეენაცვლება
და ამიტომაც არც ეშვობდნენ, არც შიში ჰქონდათ,
980 რომ ეს ქვეყანა არ მოეცვა ბნელს მარადიულს
და მზეს როგორმე სხივოსნობა არ მოჰკლებოდა.
იმ საცოდავთა ისღა ჰქონდათ დიდ საზრუნავად,
ველურნი მხეცნი მყუდროებას ხშირად უფრთხობდნენ,
სადგომს სტოვებდნენ, ქვაბისაგან გარბოდნენ სწრაფად,
985 თუ დალანდავდნენ მძვინვარ ლომს ან ტახს გახელებულს
და უკუნ ღამეს შენაძრწოლი სტოვებდნენ უმალ,
ფოთლების საწოლს შმაგ სტუმრების საიავაროდ.

არა-უხშირეს, ვიდრე ახლა, მოკვდავთა მოდგმა
ცხოვრების ნათელს გლოვა-სევდით ეთხოვებოდა,
990 თუმცაღა მაშინ მარტოხელა ადამიანი
მძვინვარე მხეცსა ცოცხალ კერძად უვარდებოდა,
მთასა და ტყეებს მთლად შესძრავდა მისი ღრიალი,
რა გრძნობდა ცოცხლად დაინთქმოდა ცოცხალ სამარეს,
სულ დაგლეჯილი თუ შესძლებდა თავის დაღწევას,
995 მთრთოლვარე ხელით დამფარველი საწიშ ჭრილობის,
მოთქმა-გოდებით საცოდავი ორკს მოუხმობდა,
ვიდრე სიცოცხლეს მოუღებდა მწვავე ტკივილი
სრულად უსუსურს, არ მცოდნესა წყლულთ მკურნალობის.
მაგრამ დროშის ქვეშ მდგარ ათასსა მებრძოლ ვაჟკაცსა
1000 ერთი დღე როდი მოიდმობდა, ან ზღვის ტალღები
როდი ალეწდა კლდეს დაფარულს ნავს, მეზღვაურთაც.
ყალყზე ამდგარი ზღვა სულ უქმად იფოფრებოდა
და ბოლოს რისხვას უშედეგოს შესწყვეტდა ისევ.
ალარ ძალედვა ზღვას მომბიბვლელ მაცდურებითა

1005 ვისმე შეცდენა მღიმარ ტალღის მისანდობელად,
რა ბნელს მოეცვა საიდუმლო ნაოსნობისა,
საზრდოს სიმწირე სხეულს მეტად მოადუნებდა.
ეხლა კი სხვაა—ზედმეტობა ჰკლავს ადამიანს,
არაფრის მცოდნე მიამიტად სმიდნენ საწამლავს,
1010 ეხლა კი დიდის ოსტატობით სწამლავენ სხვებსა.

რაკი ქოხები, ტყავი, ცეცხლი კაცთ მოიპოვეს,
რა ცოლი ქმარსა შეუერთდა ერთგულ მეუღლედ
1012a და სცნო ორივემ ის კანონი ქორწინებისა,
მათგან ნაშობიც დაინახეს შთამომავალი,
მაშინ პირველად კაცთა მოდგმამ იწყო მოლბობა,
1015 მცივანა გახდა კაცთა ტანი სითბოს ნაჩვევი,
აღარ შეეძლო ღია ცის ქვეშ სუსხის ატანა
ვენუსმაც ძალა შეუსუსტა, თანაც ბავშვები
ალერსით მზობლის უჯათ ზნესა შეარბილებდნენ,
თანაც მეზობლებს დაუმოყვრდნენ სიამტკბილობით,
1020 არც სხვას ჩაგვრიდნენ და არც თვითონ იჩაგრებოდნენ,
პატივისცემით ეპყრობოდნენ ქალსა და ბავშვებს,
ხელით, ყმუილით ანიშნებდნენ თავისებურად,
რომ საჭიროა სიბრალული უძლურისადმი,
ერთსულოვნებას თუმც ყოველთვის ვეღარ აღწევდნენ
1025 მაგრამ მაინც კი ამ აირობას მეტი იცავდა;
ეს რომ არა და, გაწყდებოდა კაცის ხსენება,
ვერც შეიძლებდნენ ზთამომავლის დღემდე მოყვანას.

მრავალფერობა მეტყველების ბუნებამ შექმნა,
ბუნებით არის ენა ბევრგვარ ბგერას რომ იტყვის,
საჭიროებამ მიუწოდა საგნებს სახელი,
1030 როგორც მცირე ბალღს აიძულებს უენოება
მიმართოს ხოლმე ჩვეულებრივ რამ მოძრაობას
და საგანს რასმე მის წინ მყოფსა თითით უჩვენოს.
გრძნობს ხომ ყოველი რა მხრივ უნდა წარმართოს ძალა.
თუმცაღა რქები ხბოს ჯერ კიდევ არ ამოსვლია,
1035 ის კიდევ მაინც იბღვირება, რქენას აპირებს,
სწორედ ისევე ლეკვი ლომის, გინდა ჯიქისა,

კლანჭის, ტოტების და კბილების მოხმარას ცდილობს.
ძლივს ღა აჩნია თუმცკი ჯერეთ კბილი და კლანჭი.
გარდა ამისა, ვხედავთ აკი ფრთოსანთა მოდგმას
1040 ფრთების ფრიალით როგორ ითხოვს მომეწველეთო.
სიგიჟე არის თქმა იმისა, საგნებს სახელი
ვისმე მიეცეს და ხალხს ზემდეგ მისგან ესწავლოს—
როგორ შესძლებდა ერთი ყველა სიტყვების შექმნას
გამოკვეთილსა სხვადასხვაგვარ ბგერებისაგან
1045 და სულ ვერაფერს ვერ ზეექმნიდნენ სხვები იმავ დროს.
მართლაცდა, თუკი ერთურთს ზორის არ მეტყველებდნენ,
რით იცნო კაცმა სარგებლობა სიტყვათ ხმარების,
ანდა რა ძალამ დაუსახა იმას პირველად
ის მოესურვა და სცოდნოდა, რაც სჭირდებოდა?
1050 ერთი ყოველთა იძულებას ხომ ვერ შესძლებდა,
მისგან ესწავლათ ყველა საგნის სახელწოდება.
ხომ მუნჯს ვერასგზით ვერ ასწავლი როგორ მოიქცეს,
რა ჩაიდინოს; უქმი არის სულ ყოველივე.
ვერ აიტანდა, რომ მის ყურებს ტყუილუბრალოდ
1055 ხმა გაუგონი, სრულად უქმი დაძალებოდა.
ანდა რა არის აქ ესოდენ გასაკვირველი,
თუ კაცთა მოდგმამ ხმას და ენას მიმადლებულმა
სიტყვით აღნიშნა თვითეული საგანი, გრძნობა.
პირუტყვთა ჯიში ან თვით მხეცნი ველურად მყოფნი
1060 თუ გამოსცემენ სხვადასხვაგვარ ხმოვანებასა,
აღძრულსა შიშით თუ ტკივილით ან სიხარულით,
ვით მაგალითი სულ უბრალო მას გვიდასტურებს:
ხომ გაბრაზებულ მოლოსურ ძაღლს კბილდაკრეჭილსა
ვეება ხახით ჯერ ყმუილი ამოსდის ხოლმე,
1065 სხვა ხმა დასცდება სიბრაზისგან შეკრულ კრიჭასა,
ვიდრეღა ყეფა მთლად მიდამოს გააყრუებდეს.
ანდა, როდესაც ლეკვებს ენით ნაზად გალოკვენ,
თანაც ფეხებით აგორებენ, პირსაც ავლებენ
ვითომც კბენენო და კბილს ოდნავ თუ აკარებენ,
1070 მაშინ სხვაგვარად წკმუტუნებენ და ღავღავებენ,
ვიდრე ყმუიან, როცა მარტო შინ დარჩენილნი,
ან წკავწკავებენ ცემის შიშით მუცელსმხოხავნი.
ბოლოს, ბევრგვარად გაისმის ხომ ცხენთა ჭიხვინი,

როცა ულაყი ახალგაზდრა ჭაკთა მდევარი,
1075 ფრთოსან ღმერთისგან დეზ-ნაკრავი გაშმაგებულა,
ან როს ბრძოლის დროს ნესტოებით ქშენა ამოდის,
ან როს ჭიხვინებს მთელ სხეულით ათრთოლებული?
და ამის გარდა ფრინველთ მოდგმა მრავალნაირი,
ქორი, სონღული და ზღვის იხვნიც წყალთა სივრცეზე
1080 მიუცილებელ საზრდოს ძებნას როცა იწყებენ,
მაშინ სრულიად თავისებურ ხმას გამოსცემენ,
ვიდრე საჭმლისთვის დავის დროს თუ ბრძოლა—ომის ჟამს,
ამინდთან ერთად სცვლიან ხოლმე ხრინწიან ჩხავილს
დღეგრძელთა მოდგმა, ყვავთა გუნდი სმენად საზარო
1085 ყავყავ-ყრანტალით რომ იწყებენ საფარის ძებნას,
და წვიმა-ქარბუქს მოუხმობენ ანაზდეულად.
სხვადასხვა გრძნობა თუკი ცხოველთ იძულებულს ჰყოფს,
იმ უენოსაც, რომ გამოსცეს სხვადასხვა ხმები,
მაშინ რაოდენ უპრიანი ყოფილა კაცთა
1090 სხვადასხვა სიტყვა რომ შეარქვან სხვადასხვა საგანს!

და რომ არ დამრჩე გულნაკლული, ამასაც გეტყვი:
ელვამ მოჰგვარა მოკვდავთ ცეცხლი ამ ქვეყანაზე
და მისგან არის მგზნებარება მცხუნვარ ალისა.
ბევრს რასმე ვხედავთ ციურ ცეცხლით აელვარებულს
1095 რა დააცხრება თავზე გზნება ცით მოვლენილი.
ზოგჯერ ქარისგან შერხეული ხე ტოტგაშლილი
რა მიაწვება ერთმანეთსა, მიეჯახება
ღვივდება მაშინ ცეცხლის ძალი თანდათანობით,
უცებ იფეთქებს; მგზნებარ ალად აელვარდება
1100 ხეთა ტოტების ხანგრძლივ ხეხვით წარმონაშობი.
ამათ ორთავემ მოკვდავთ ცეცხლი მოჰგვარეს ალბათ,
მზემ შეასწავლა საჭმლის ხარშვა, ცეცხლზე მოგჩობა.
რადგან ხედავდნენ მრავალ რასმე იმ სხივთა ძალა
ველზედ ფრქვეული არბილებდა, სიცხით ალხობდა.

1105 საუმჯობესოდ სცვლიდნენ კვებით დღედღეზე ყოფას,
ახალ რისამე მოგონებით, ცეცხლის ხმარებით,
ვინც იმათ შორის ჭკუით, გონით ყველას ჭარბობდა.

იწყეს შენება ქალაქების, ციხე-კოშკების,
მტკიცედ ნაგები რომ ჰქონოდათ თავშესაფარი,
1110 გაიყვეს ჯოგი, ტყე და ველი ურთიერთ შორის,
ყველას მიაგეს გარეგნობის, ძალღონისამებრ,
რადგან ძალას და გარეგნობას დიდად სახავდნენ.
გაჩნდა სიმდიდრე, შემდეგ ოქროც აღმოაჩინეს,
რამაც დაჩრდილა სილამაზეც, ახოვანებაც.
1115 რადგანაც მდიდარს ახლავს ხოლმე მხლებლად ისინიც,
ვინც იმათ სჯარბობს სილამაზით და ძალოვნებით.
კაცი ჭეშმარიტ აზროვნების კარნახით მყოფი
სულ მცირედითაც არის სავსე, გულით მდიდარი,
სულის სიმშვიდეს ვერ დაურღვევს მას ნაკლებობა.
1120 ზოგიც ესწრაფვის სიმდიდრეს და სახელოვნებას,
რომ დაიმკვიდრონ შეურყევი ბედნიერება
და გაატარონ ეს ცხოვრება სიამტკბილობით.
ფუჭი ლტოლვაა. ვინც ესწრაფვის უმაღლეს პატიეს,
ამ ქიშპობისას გზას მოლიპულს ადგება ზოგჯერ
1125 და მაღალ მწვერვალს მიღწეულსა ელვებრ ეკვეთვის
შური და მტრობა წყვდიად უფსკრულს ჩამნარცხებელად.
1131 შურიც ელვისებრ უმეტესად მწვერვალებს ერჩის,
მას, რაც ზემოდან გადაჰყურებს თვის გარეშემოს.
1127 მიტომ ბევრად სჯობს მორჩილება, გულმშვიდად ყოფნა,
ვიდრე მეფობრივ მბრძანებლობის ლტოლვა-სურვილი.
ხედავ რა ტყვილად, ქანცმიხდილნი სისხლის ოფლს ღვრიან
1130 მედიდურობის ვიწრო ბილიკს გაჯიბრებულნი?
რაც რამ სიბრძნე აქვთ სხვათა ბაგეს დასესხებიან,
სხვისა ნათქვამის მეტად სჯერათ, ვიდრე თვის გრძნობის.
1135 დღესაც ასეა, ასე იყო, ასე იქნება.

ასეა, ოდეს ქვედასცემენ მეფეს მკვლელები,
ძირს დამხობილა მათი ჯიღა, დიდების ტახტი,
და მეფის თავის სამკაული, სისხლ'ში მოსვრილი,
ბრბოს ფეხთა ქვეშე გლოვობს წარსულს პატიედიდებას,
1140 რა გახელებით სთელვენ იმას, რაც შიშს აღძრავდა.
დიდი შფოთი და მღელვარება ჩავარდებოდა,
ყოველი კაცი იჩემებდა ძალაუფლებას.
საუმჯობესოდ სცნო არჩევა ზოგმა მთავრობის,
წესად დადგინდა, მტკიცედ დაცვა კანონებისა,

1145 რადგან კაცთ მოდგმა ძალადობით ქანცგაწყვეტილი,
გულგალეული მუდმივ მტრობით ისე გაოგნდა,
რომ თავისთავად თავი შეჰყო კანონთ ულელში.
რისხვითპყრობილი წინათ უფრო სასტიკად სჯიდა,
ვიდრე ამჟამად მას მოითხოვს კანონთ სისწორე,
1150 და ამიტომაც ხალხს შესძაგდა ძალმომრეობა.
მას აქეთ ზეამავს მსჯავრის ნიში ცხოვრების სიტკბოს.
კაცს შეჰკრავს ხოლმე ძალადობა, უსამართლობა
ვისგანაც მოდის უმეტესად მას უბრუნდება.
იგი ვერ დასტკბეს ვერასოდეს ამო ცხოვრებით,
1155 ვინც კი მშვიდობას კაცთა შორის ძალით აბრკოლებს.
კიდეც რომ ზესძლოს მოტყუება ღმერთის და კაცის,
მაინც მას მუდამ უნდა ჰქონდეს გამხელის შიში.
ან შესაძლოა ძილში დასცდეს მის უნებურად,
ან მძიმე სენით აღრეულმა ბოდვა დაიწყოს
1160 და გაამჟღავნოს მძიმე ცოდვა დიდხანს ფარული.

ახლა შეიტყვე რა მიზეზით გავრცელდა ხალხში
ღმერთთა პატივი, ან ქალაქად ბომონთ სიმრავლე,
ან ჩვეულება საზეიმო მსხვერპლთ შეწირვისა
სხვადასხვა ადგილს დროს დადგენილს რომ იმართება.
1165 ან მოკვდავთ ზიში რაჟდ ზეიყრობს ასე ძლიერად,
ან რად აღმართვენ ქვეყანაზე ახალ სალოცავს,
ან რად აწყობენ დღესასწაულს დიდებად ღმერთთა.
ძნელი არ არის ყოველივე აიხსნას სრულად.
მოკვდავთა მოდგმას იმ ძველ დროში, ზოგჯერაც ცხადლივ—
1170 ელანდებოდა ღვთის სახება გასაოცარი,
ხოლო უმეტეს ზეაკრთობდა ზმანება ღამის,
მათ მიაწერდნენ გრძნობას, უნარს მოძრაობისა,
თანვე ჰგონებდნენ, რომ მეტყველნიც იყვნენო თითქოს,
იმათ ბუმბერაზ გარეგნობის ზესაფერისად,
1175 უკვდავ არსებად მიიჩნევდნენ, რადგან ყოველთვის
ღმერთი ერთდაგვარ სახის მქონედ წარმოედგინათ,
მით უმეტესად, რომ ღმერთებსა ადამიანნი
ყოვლის უძლეველ ძალოვნებას მიაკუთვნებდნენ;
ბედკეთილობით ყოველ არსთა აღმატებულად
1180 დაიგულვებდნენ, როს სიკვდილის არ ჰქონდათ შიში;

აგრეთვე სიზმრად მრავალ უცხო რისმე მნახველნი
კაცნი ჰგონებდნენ ყოველივე ძალედვას ღმერთებს.
თანვე მხილველნი ყოველწლიურ მიმოქცევისა
და წელთა დროის შესაფერის დრო-ჟამთა ცვლისა,
1185 ალარ ‘ბეეძლოთ მისწვდომოდნენ ჭეშმარიტ მიზეზს,
ერთი გზა ჰქონდათ, რომ ეფიქრათ თითქოს ყოველი
ღმერთთა კარნახით, მათი ნებით წარმართულიყოს.
ცად იგულვებდნენ ღმერთთა ტაძარს და მათ სასახლეს
რაკი ხედვიდნენ მზეს და მთვარეს ცაზე მიმსრბოლსა,
1190 დღე-ღამის ცვლასა, მიმოქცევას ღამის მნათობთა,
ეინეღილ-ჩირაღდნის ელვისებურ სრბოლას წყვდიადში,
მზეს, ღრუბელს, ქარსა, თოვლს და წვიმას, სეტყვას, ელვასა,
თავზარდამცემსა გრგვინვა-ჭექას, მეხთა კვეთებას.

ჰოი საბრალო კაცთა მოდგმავ, რად მიაკუთვნე
1195 ესდენ უტეხი ღმერთებს ძალი, რისხვა მძვინვარე?
რა გვემა, ტანჯვა, წყლულებანი თავს მიაყენე
და შვილთაშვილსაც რა ვაება გადმოულოცე!
სასოებაა, თაეშიშველი ყველას თვალწინა
ქანდაკთან მისვლა, სამსხვერპლოს წინ მოხრა ქედისა,
1200 პირქვე დამხობა დედამიწას, ხელთა აპყრობა,
ღმერთის ქანდაკზე მიპკურება ოთხფეხთა სისხლის,
ლოცვის ლოცვაზე მიყოლება თანმიმდევრობით?
ფუჭია ეგე, სასოება—ყოვლის ცოდნაა!
რა თვალს შევავლებთ დიად ქვეყნის ცათა ტატნობსა
1205 და მოკიაფე ვარსკვლავთ მიღმა მკრთომარე ეთერს,
თან წარმოვიდგენთ მიმოქცევას მზისა და მთვარის,
ძრწოლა აქამდე დათრგუნვილი მრავალ სხვა ზრუნვით
ანაზდეულად გულის სიღრმით აიშვებს თავსა:
ხომ არ ჰგიებენ ღმერთნი, რომელთ უტეხი ძალა
1210 მბრწყინავ ვარსკვლავთა მიმოქცევას წაცამართვიდეს,
გონს შეგვიშფოთებს ჩვენი ცოდნის უსუსურობა;
ჰქონდა თუ არა ქვეყნის შობას თვისი საწყისი,
ელის თუ არა აღსასრული, ამ ქვეყნის ბჭენი
ვიდრე შესძლებენ გაუმკლავდნენ უსრულო ძვრასა,
1215 ანდა ღმერთთაგან მონიჭებულ მარად სიმტკიცით
მუდამ შესძლებენ ჟამთა სრბოლას გაუძლონ ურიცხვს,

უხსოვარ დროით მის დამხობას რომ ეშურება?
ღმერთის წინაშე ძრწოლით სუნთქვა ვის არ შეეკვრის,
ვის არ უთრთოლებს სხეულს ელდა ანაზდეულად,
1220 ოდეს საზარო ელვისაგან ზანზარებს მიწა
და მეხის ტეხა ცათა წიაღს შეაზრიალებს.
კაცთა მოდგმანი განა ძრწოლით არ ცახცახებენ,
ზვიად მეფეთა ღმერთის შიში წელში არ გასძრავთ?
ბოროტ საქმის და ავ ენისთვის ბოლოს არ დადგეს
1225 დღე განკითხვისა და უმძიმეს სასჯელის ჟამი?
უტეხი ძალით ზღვის ზედაპირს რომ დაჰკრავს ქარი
და გემთ კრებულის მეთაურსა აღმა აბრუნებს,
მის ლეგიონებს, სპილოებსაც გზა-კვალს აურევს,
განა ღმერთებსა გულმხურვალედ აღთქმას არ უდებს,
1230 შიშით პყრობილი არ სთხოვს დარსა და კეთილ ნიავს?
მაგრამ ამაოდ, სწრაფ გრიგალით მიტაცებული
უსწრაფეს ლტოლვით სიკვდილის პირს მიეშურება.
ასე ემხობა კაცთა საქმე უცნობ ძალთაგან,
დიდთა დიდებაც, ზარდამცემი ჩუგლუგიც, კონაც
1235 ქვეყნის სათრევად, სასაცილოდ, გადაქცეულა.
ბოლოს, როდესაც დედამიწა ფეხქვეშ ინძრევა,
ზოგი ქალაქი დამხობილა, ზოგიც ჯერს ელის.
რად უნდა იყოს საკვირველი, რომ მოკვდავთ მოდგმა
იმცირებს თავსა, გასაოცარ, უტეხსა ძალას
1240 მიათვლის ღმერთებს, რომელთ სახავს ყოვლის გამგებლად?

შემდეგ იპოვეს კიდეც ოქრო, სპილენძი, რკინა.
შეიცნეს მალე წონა ვერცხლის, ძალა ტყვიისა;
შემდეგ, როდესაც ცეცხლმა ტყენი ალით მოაშთო
მთის მწვერვალებზე, ან დაბუგა ელვამ ზეცათა,
1245 ან როს იბრძოდნენ ერთმანეთში ტყიურნი კაცნი,
ცეცხლს აღაგზნებდნენ მომხვდურ მტერის ზარდასაცემად.
ანდა აღძრულნი კარგ მიწებით მიისწრაფოდნენ
ნოყიერ მიწის მიმატებას, საძოვრის გაზრდას,
ან სურდათ მხეცთა ამოყლეტა, ნადავლის შოვნა,
1250 თავდაპირველად იყენებდნენ ცეცხლსა და ორმოს,
ვიდრე შესძლებდნენ ბადით, ძაღლით ნადირობასა.
რა მიზეზითაც აღძრულიყო მგზნებარე ცეცხლი,

ზარდამცემ ზათქით მაღალ ტყეებს შთანთქამდა სრულად
თხემით ფესვამდე, თან მიწასაც დაგავდა იგი,
1255 და მის ნაპრალში იღვრებოდა მდუღარ შრეებად
ოქრო-ვერცხლ-ტყვიის და სპილენძის ნაკადულები.
შემდეგ, რა კაცთა მოიხილეს მიწის ზედაპირს
რაღაც ზოდები მოელვარე მრავალ ფერებად,
იწყეს შეკრება მოხიბლულთა მათი ბრჭყვიალით.
1260 თანვე შენიშნეს, რომ ყოველი მათგანის სახე
ჰგავდა იმ ხარვეზს მათი პოვნის ადგილს რომ აჩნდა
და მოუვიდათ აზრად კაცთა, გაალხონ სიცხით
რაგინდრა სახის სურვილისებრ მისანიჭებლად.
მასუკან მისცეს სიმახვილე, პირის სიწმინდეც
1265 შესაფერისი გაკვერვის და წრთობის შედეგად,
რომ გაიჭედოს საჭურველი—ხეები მოჭრას,
მასალა თალოს და ძელები გააკოპიტოს,
ფიცარიც ბურღოს, ჭვრეთოს, თუნდა აწალაშინოს.
წინათ საქმობდნენ ოქრო-ვერცხლის ხელსაწყოებით,
1270 სანამ მაგარს და მტკიცე საილენძს მოიხმარებდნენ,
მაგრამ ამაოდ, ცუდდებოდა იმათი ძალა,
მაგარ საქმეში სპილენძისებრ როდი ვაოგობდნენ.
მიტომ სპილენძი ფასდებოდა ოქროზე ძვირად,
ოქროს ხელსაწყოს, დაჩლუნგებულს ზედ გადაჰყრიდნენ.
1275 ეხლა სპილენძი წახდა, ოქრო მეტ პატივნია.
ჟამთა სრბოლაში ცვალებადობს საგანთა ფასი,
რაც დიდ პატივში იყო წინათ არარად ხდება,
ნაცვლად ახალი—წინათ არრა—დიდებას აღწევს,
დღითიდღე ყველა მისკენ ილტვის უფროდაუფრო,
1280 მის აღმოჩენას ადიდებენ მოკვდავნი მეტად.

რკინის ბუნება ვით შეიტყვეს, ამის გაგება
შენთვის, შემიუს, უკვე ძნელი არ უნდა იყოს.
ძველად საჭურვლად ჰქონდათ ხელი, ფრჩხილი, კბილები,
ქვები და ტყეში მომტვრეული ხეთა ტოტები.
1285 ალის და ცეცხლის გამოცნობა რა შესძლეს კაცთა,
მას შემდეგ ჰპოვეს რკინის ძალა, მასთან სპილენძიც.
მაგრამ სპილენძსა რკინაზე წინ მოიხმარებდნენ,
რადგან სპილენძის არა სჭირდა კვერვაც და შოვნაც.

სპილენძი მიწას კვალს ავლებდა, შეჰყრიდა ბრძოლად
1290 მტრებსაც სპილენძი, სპილენძითვე სჩეხდნენ ერთმანეთს.
მით იტაცებდნენ ოთხფეხ საქონს, სახნავ-სათესსაც,
საჭურვლის მქონე უსაჭურვლოს სძლევდა ადვილად.
შემდეგ თანდათან წინ გაუსწრო რკინის მახვილმა,
ბოლოს სახელი მთლად გაუტყდა სპილენძის ნამგალს.
1295 რკინის სახნისით იწყეს უკვე მიწის კეთება,
ომის ცვალებად შეჯიბრშიაც რკინით იწვევდნენ.
წინათ მებრძოლი შეჭურვილი ცხენზე მჯდომარე,
თან ცხენს მართავდა, თან მარჯვენით ებრძოდა მტერსა.
შემდეგ ორცხენად შებმულ ეტლზე მდგომი იბრძოდნენ,
1300 კვლავაც იმ წყვილსა სხვა ახალი წყვილიც მიუბეს,
რათა ესრბოლა ეტლს აღჭურვილს ბასრი ცელებით.
ლუკანთ ხარებსაც საშიშ-საზართ, გველხელიანთა,
კოშკის მტვირთველთა ჰუნთ ასწავლეს წყლულთა დათმენა,
მარსის დიდ რაზმთა უმოწყალოდ დასარბეველად,
1305 ასე, ერთი რამ კვლავ მეორეს ქმნიდა შფოთს, დავას
და კაცთა მოდგმას სცემდა თავზარს ომის ფეთება,
დღითიდღე მზრდელი ომის ახალ საშინელების.

ომის საქმეში ზოგჯერ ხართა ჩაბმასაც ცდილან,
ველურ ტახებსაც გამძვინვებულს მტერს მიუსევდნენ,
1310 ხან ძლიერ ლომებს შეტევის დროს წაიმძღვარებდნენ,
უკანაც მწრთვნელნი შეჭურვილნი მისდევდნენ მხლებლად,
რომ წარემართათ მათი რისხვა ჯავშის მპყრობელთა,
მაგრამ ამაოდ, ხოცვა-ჟლეტით გაცოფებულნი
გაურჩეველად ყველას ერთად დაერეოდნენ,
1315 თავზარდამცემად აქეთ-იქით იქნევდნენ თავებს.
ღმუილით დამფრთხალ ცხენთ მხედარნი ვერ იმაგრებდნენ,
ვერ ახერხებდნენ მათ მიგდებას მტრის წინააღმდეგ,
გაწმაგებულნი ყოველ მხარეს დაძრწოდნენ ლომნი,
ვინც წინ ხვდებოდათ ყელში იმათ ეძგერებოდნენ,
1320 ზოგსაც უკნიდან თავს ესხმოდნენ მოულოდნელად,
დაჭრილთაც უმალ დედამიწას დაანარცხებდნენ,
უწყალოდ ჰკბენდნენ, დაფატრავდნენ ბასრი კლანჭებით,
ხარებიც ზოგჯერ მისიანებს ფეხით ქელავდნენ,
წვეტიან რქებით უღადრავდნენ ცხენს გვერდს და მუცელს

1325 და მიწას ბდღენიდნენ სიბრაზისგან გახელებულნი.
ბასრი ეშვებით გლეჯდნენ ტახნი თავისიანებს,
საკუთარ სისხლით ღებდნენ შმაგნი ისართ ნამსხვრევებს:
1329 გაცოფებულნი არ ზოგავდნენ ქვეითს და მხედარს.
1330 განზე ხტებოდნენ ცხენნი საშიშ კბილთა ამრიდე,
ყალყზე დგებოდნენ და ჰაერში იქნევდნენ ტორებს,
მაგრამ ამაოდ, ჩანს კბილებით ძარღვმოკვეთილნი
უმალვე მიწას რაც სიმძიმით ენარცხებოდნენ.
წინათ რომ თვლიდნენ შინაურად და თვინიერად,
1335 ჰკარგავდნენ გონსა, შმაგდებოდნენ ომის სიმძაფრით,
ზათქით, ღრიალით, ჭრილობებით ზარდაცემულნი,
ვერვინ შესძლებდა ოდნავ მაინც მათ დაოკებას.
აღმა და დაღმა მიმორბოდა ცხოველთ სიმრავლე,
ვით ცუდად დაკლულ ლიკელთ ხარნი განძვინებულნი,
1340 დაჰქრიან ხელნი, უმალ სთელენ თავისიანებს.

ვთქვათ ასე იყო. ძნელი არის თუმც დაჯერება,
კაცთ არა ჰქონდათ მის გარჩევა, იმის განჭვრეტა,
რომ ეს საერთო ჭირ-ვარამად გადიქცეოდა.
ჭკვასთან ახლოა, რომ ყოველგან ეს მომხდარიყოს
1345 სხვადასხვაგვარად სხვადასხვაგვარ ქვეყნების კიდეს,
ვიდრეღა მხოლოდ ერთ ქვეყანას გვეგულვებინა.

ასე იბრძოდნენ, თუმც არ ჰქონდათ ძლევის იმედი,
მტერს ეკვნესა და თითონ თუნდა დაღუპულიყვნენ,
ნაკლულოვანნი კაცითაც და საჭურველითაც.

1350 ქსოვილზე ადრე სამოსელად ტყავსა ხმარობდნენ.
ქსოვა რკინამ შვა, ხომ ხელსაწყოს რკინისას ქმნიდნენ.
სხვაგვარად ველარ გამართავდნენ მსუბუქ მასრასა,
მაქოს, თითისტარს, ან ჭრიჭინა საქსელე ღერძსა.
ბუნებამ უმალ ქსოვილთ შექმნა კაცს დააკისრა,
1355 ვიდრე ქალთ მოდგმას, რადგან კაცი წინ უსწრებს მეტად
ძნელად მისაკვლევ სახელოვნო ყოველგვარ დარგში;
სანამდე მხვნელნი სააუგოდ მას არ ჩათვლიდნენ

და ქალთა ხელში გადაცემას მოისურვებდნენ,
რომ შესდგომოდნენ თითონ უფრო სამძიმო საქმეს
1360 გაევარჯიშნათ უხეშ შრომით გამრჯე მარჯვენა.

თესვა-მყნობისა მაგალითის პირველმომცემი
თითონ ბუნება იყო—ყოვლის დედა-მშობელი,
რადგან ნაყოფი, თუ კაკალი, ხის ძირს ცვენილი,
დროით მიწიდან კვლავ მცენარედ აღიზრდებოდა,
1365 მიტომ აღეძრა კაცს სურვილი ძირზე დაემყნა
სხვა ხეხილთ ღერო, ახალ ნეკრით ყანა შეემკო.
ახალ-ახალი რამ მცენარე რგეს ტურფა ველზე,
ნახეს მოვლისგან რომ გაკეთდა ველური ხილი
მიწის უმჯობეს და გულდაგულ დამუშავებით.
1370 დღითიდღე ტყენი აიძულეს მთას ასულიყო
გაშლილი ველი რომ დაეთმო ნათესებისთვის;
სათიბი, საზვრე, ტბა და წყარო, სათეს-სახნავი
რომ კაცს ჰქონოდა მოსახმარად ქედსა და ველზე,
რომ ზეთისხილის სილაჟვარდეს თვალისმომჭრელსა
1375 კორდით თუ ხევით, გაშლილ ველით სხივი ეფრქვია.
როგორც დღეს ვხედავთ—ათასფერად ამღერებულან
ბაღნი ნაყოფით დახუნძულნი კაცთ საამებლად
და მის გარშემო წვრილ ხეხილის ხშირი ბუჩქნარიც.

ჩიტს მგალობელსა მიბაძავდნენ პირველად კაცნი-
1380 ვიდრე მიიღეს ხმათ შეწყობის გამოცდილება
სმენად საამო სიმღერების წარმოსაქმნელად.
ზეფირის სტვენამ კალმის გულით დაბადებულმა
მწყემსს შეასწავლა სალამურში რომ ჩაებერა,
შემდეგ თანისთან ხმა რამ ჰპოვა სევდანარევი,
1385 რომელს გამოსცემს სალამური თითის თამაშით,
ტევრიან ჭალას ან ტყის პირას აკვნესებული
იმ ნეტარ ჟამსა ღვთაებრივი უდარდელობის.
390 ასეთნაირად სულსა და გულს მაშინ ულხენდნენ,
რა ნაყრდებოდნენ—კაცი მაშინ ხარობს ყველაფრით.
ხშირად ხდებოდა ლბილ მდელოზე წამოწოლილნი,
გრილ წყაროს პირას, მაღალ ხეთა ჩრდილნარის ქვეშე

სულ მცირედითაც თავის სხეულს დაიამებდნენ,
1395 თუ, მით უმეტეს, დარიც იდგა, წლის დროც ისეთი
მწვანეთა შორის უხვად რომ ჰფენს ვარდსა და ყვავილს.
იყო თამაში, ალუბარი, სიცილ-ხარხარი
და ფრთას გაშლიდა იმათ შორის სოფლური ბუზაც;
ვარდ-ყვავილების გვირგვინებით თავს მოირთავდნენ
1400 და შეპყრობილნი სიხარულით, ატაცებულნი,
ყველანი ერთად მოჰყვებოდნენ უწესო ხტომას
და დედამიწას ფეხსა სცემდნენ თავდავიწყებით.
შემდეგ უეცრად იწყებოდა სიცილ-ხარხარი,
რადგან ყოველი იყო მათთვის გასაოცარი.
1405 ვისაც თვალთაგან ტკბილი ძილი განუკრთებოდა,
თავგასართობად გამოჰყავდა ნარნარა ხმები
გაშვერილ ბაგით ლერწმის ღეროს სულს რომ ჩაჰბერდა:
ეხლაც დარაჯნი ხარკს უხდიან ამ ჩვეულებას.
თუმც შეისწავლეს ზომის დაცვა შესაფერისად,
1410 მაინც არ ძალუძთ უფრო მეტი ჰპოვონ სიამე,
ვიდრეღა ტყიურ კაცთა მოდგმას მიწის შობილთა,
რადგან ნივთი რამ, რაც ამჟამად ჩვენ ხელთ არ არის,
უმეტეს მოგვწონს მის უმჯობესს რაკი ვერ ვხედავთ,
ხოლო საგანი უმჯობესი შემდეგ ხილული
1415 იმ ძველ განცდასა ერთიანად სცვლის, ანადგურებს.
ასე შესძაგდათ რკოს ნაყოფი, წინათ სანუკვი,
გადაიავიწყეს ის საწოლიც ფოთლით შექმნილი,
მოსძულდათ ტყავიც მხეცებისა და უკუაგდეს,
რომელიც, ვეჰვობ, შურს აღძრავდა აღმოჩენისას,
1420 ვერაგად მოჰკლეს ალბად მისი პირველჩამცმელი
და ბოლოს მაინც დაფლეთილი, სისხლში მოსვრილი
სულ აღარაფრად გამოადგა ავის მომქმედსაც.
ასე რომ, ძველად ტყავი, ეხლა სტავრა და ოქრო
ზრუნვით სწამლავენ კაცთაყოფას, ომს თავს ატეხენ.
1425 თავი მიზეზი თვით ჩვენა ვართ ჩვენივ ვაების.
სუსხი სტანჯავდა იმ ტყის კაცთა ქურქის არ მქონეთ,
ჩვენ აბა რა გვსჯის? რაღად გვინდა ჭრელი სამოსი.
ან კიდევ სტავრა ოქრო-მკედით მორთულ-შემკული,
თუკი პლებეურ ტანსაცმელით სხეულს დავფარავთ.
1430 ტყუილუბრალოდ კაცთა მოდგმა თავს იხეთქს ზრუნვით.
მის დღემოსწრებას ფუჭ ზრუნვაში ატარებს იგი,

რადგან არა აქვს ხვეპის ლტოლვას კიდე საზღვარი
და მათი ნდომა სიამისა უსასრულოა.
მიტომ შესტოპა ჩვენმა ყოფამ გაშლილ ზღვის სივრცეს,
1435 რომ მის წიაღით აეტეხა ომის გრიგალი.

ქვეყნის დარაჯნი, მბრუნავ თაღის მანათობელნი
ᲗᲖᲔ და მთოვარე, თვის გარშემო სხივთა მფრქვეველნი,
კაცთ ასწავებენ—შეცვალებას წლის დროებათა,
თუ ვით ყოველი, წარიმართვის დადგენილ წესით.

1440 მტკიცე კოშკების ზღურბლის შიგნით მშვიდად ცხოვრობენ,
მიწაც გაიყვეს, ხელი მიჰყვეს დამუშავებას,
ფერად იალქნით ააჭრელა გემებმა ზღვაცა,
კავშირსა სდებენ ქალაქები მტერთან საბრძოლად.
ამ დიად საქმეთ პოეტებმა შეასხეს ხოტბა,
1445 ომის უადრეს ხომ ანბანიც გამოიგონეს.
მიტომაც არის, აღარ ვიცით წინათ რა იყო
და ᲗᲘᲕᲡᲓᲔᲕᲗ მხოლოდ კვალს გაკაფულს ჩვენი გონებით.

მეურნეობა, გზა და ზღუდე, გემთმშენებლობა,
ფარ-ხმალ-კანონი, სამოსელი და სხვაც მრავალი
1450 სიამტკბილობით რაც კი ამკობს კაცთა ცხოვრებას:
მღერა, გალობა, შაირობა, ძერწვა და ხატვა,
ᲗᲐᲭᲘᲠᲝᲑᲐᲛ, მონდომებამ, აზრმა მახვილმა
თანისთანობით კაცს ასწავლა, დაახელოვნა.
ასე ნელნელა დრო ავლენდა იმ აღმოჩენებს,
1455 ხოლო გონება წარმართავდა ელვარებამდე,
თანდათანობით ზრდიდა კაცის გულისყურს იგი,
ᲕᲘᲓᲠᲔ სრულყოფის მაღალ მწვერვალს არ მიაღწევდა:

ՊՈՒԵՐԸ ՍԻՐԱՍ

ირველი პურის ის მარცვალი ნაყოფიერი
დიადმა ათენ მიანიჭა საბრალო მოკვდავთ.
ძალი შემატა კაცთა ყოფას, დადვა კანონი,
სიამტკბილობით ეს ცხოვრება მანვე შეამკო,
5 რადგან შვა კაცი იმზომ მცოდნე, გულისხმიერი,
რომ ყველა ახსნა შისმა ბაგემ სწორუპოვარმა.
ეღირსა მოკვდავს ცის უსიერს გატოლებოდა
იმ ძველ ღვთაებრივ ალმოჩენის სიდიადეთი.
ნახა საზრდელი, ამ ცხოვრებას რაც სჭირდებოდა,
10 სულ ყოველივე მოკვდავთათვის განმზადებულა,
რომ გაეტანა თავი კაცსა ზეძლებისგვარად.
ნახა, მდიდართა აღსავსეთა პატივ-დიდებით
მოამაყეთა ძე-ასულთა ბედ-კეთილობით,
ზრუნვა და დარდი გულისაგან ვერ გადუყრიათ.
15 და მათი სული მარად ზიზის და საფრთხის ქვეშე
დარდ· და ეჭვებს შეუწყვეტელს ვერ გაქცევია,
შეიგნო, ნაკლი თვით ჭურჭელის მიზეზით არის,
მისი სიავე ზინაგან ხრწვის სულ ყოველსავე,
რაც კი შიგ ზედის, თავისთავად კარგიც რომ იყოს.
20 ნახა ჭურჭელი გაბზარულა და გასდის კიდეც
და ვერასოდეს ვერ აღივსოს იგი ვერაფრით;
თან რაღაც საზარ რამ გემოსა ღებულობს ყველა,
რაც კი მის შიგნით—ამ ჭურჭელ'ში მოთავსებულა.
ალალი სიტყვით მან გასწმინდა კაცთა გულები,
25 ცრუ ლტოლვა-სურვილს, ზიზს და ძრწოლას მოუღო ბოლო
და კაცს უჩვენა ვით ესწრაფოს უმაღლეს კეთილს,
თან გზაც დასახა მიმავალი სრულყოფისაკენ,
რომლითაც ძალგვიძს სულ უსწრაფეს მას მივაღწიოთ,

და რა ბოროტი დაფარულა მოკვდავთ საქმეში,
30 როგორ ატყდება ადამიანს იგი ბოროტი,
შემთხვევისა თუ ბუნებისგან მოვლინებული.
რომელ კარებით უნდა დავხვდეთ ისიც გვასწავლა
და დაუმტკიცა კაცთა მოდგმას რომ სულ ამაოდ,
გულს ჩაუნერგავს უქმი შიში და ფუჭი ზრუნვა.
35 როგორც ბალღები სიბნელეში შიშს შეუპყრია,
ასევე ჩვენცა დღის ნათელზე ვუფრთხით ზოგ რასმე,
რომელთ საშიში არარა აქვთ იმის უმეტეს,
რაიც მცირე ბალღს შეაძრწოლებს ღამის წყდიადში.
აი, ეს შიში ხამს გავფანტოთ, ბნელი დავძლიოთ,
40 არა მზის სხივით, ანდა კიდევ დღისა სინათლით,
ბუნების აზრთა და კანონთა ღრმა დაუფლებით—
მიტომ გავყვები მე დაწყებულ მსჯელობის კვალსა.

რაკი დაგმოძღვრე—ელის ბოლო ამ ქვეყნის ზღუდეს
და ზეციურიც შობად სხეულს წარმოუშვია,
45 რაც მასში ხდება, ან მოხდება, ბევრიც განვმარტე,
ეხლა შეიტყე დანარჩენიც წილადობილად,
რაკი ერთხელვე ჩაჯექ ეტლში—ბოლომდე მომყევ.
მძაფრ ქარიშხალსა მოსდევს ხოლმე სრული სიმშვიდე—
რაც კი წინათვე ბობოქრობდა, სწყვეტს მძვინვარებას.
50 რასაც მოკვდავი ხედავს ირგვლივ ზეცად თუ ქვეყნად,
დამფრთხალ გონებას ხშირად შიშსა უნერგავს ხოლმე,
სულს შეუძრწუნებს ღმერთთა შიში, ქედს ახრევინებს,
და თავს მოუდრეკს დედამიწას მხოლოდ იმიტომ,
რომ არა სცნობენ ნამდვილ მიზეზს და ყოველსავე
55 ღმერთს მიაწერენ, ქვეყნის უფლად აღიარებენ.
ბევრგვარ მიზეზის გამოცანას ვერ მისწვდომია
და ფიქრობს ვითომც ღმერთი იყოს ყოვლისმოქმედი,
რადგან მასაც კი, ვინაც ღმერთებს უქმად იგულვებს,
მაინც კი უკვირს, თუ ვით ხდება ქვეყნად ყოველი,
60 რასაც რას ვხედავთ ჩვენს გარშემო საგანთ სიმრავლეს,
უსიერ ეთერს რაც კი მოსჩანს ჩვენ თავს ზემოდან—
უმალ ძველ რწმენას, ყალბ მოძღვრებას, მიიქცევიან,
სასტიკ ღმერთებსა მიიჩნევენ ქვეყნის მბრძანებლად
და ყოვლის შემძლედ, თუ რა იშვის იმის არმცოდნეთ

65 და რა არ იშვის, რა ძალა აქვს თვითეულ საგანს,
ან რა საზღვარი იმთავითვე განკუთვნებული;
და ასე რიგად თვალდამდგარნი მეტად სცდებიან.
თუკი გულიდან საბოლოოდ არ ამოიგდებ
აზრებს, რომლებიც ღმერთებისგან ასე შორსაა,
70 ღმერთთა სიწმინდის ზებღალვისთვის მკაცრად დაგსჯიან.
თუმც შეუძლია გაზმაგება იმ მაღალ ღმერთთა,
იმათი რისხვის გამოწვევა შურისძიებად,
რაკი გგონია სრულ სიმშვიდის წიაღში მყოფთა,
თითქოს რისხვათა მძაფრი ტალღა ამღელვარებდეს,
75 მაშინ გულმშვიდად ღმერთთა ტაძარს ვერ შეხვიდოდი.
ვერცა ღმერთების წმინდა სხეულთ ანარეკლებსა,
კაცთა გონებას რომ აღწევენ ღმერთთა სახებად,
ის შენი სული დამშვიდებით ვერ აღიქვამდა.
ამით გასინჯე, რა ცხოვრება გელის კელავისთვის!
80 ჩვენი შეგნება ამგვარს რასმე რომ განვარიდოთ
თუმცკი წინასწარ გავარკვიე უკვე ბევრი რამ,
მრავალი დამრჩა მწყობრ ლექსებით ამოსათქმელად:
ციურ სხეულთა მიმოქცევის კანონ-წესები,
გრიგალთა ქროლვა, მბრწყინავ ელვის სრბოლა ზეცაზე;
85 ან თვით რას ქმნიან, რა მიზეზით წარმოიშვიან.
არ აგიტანოს ზიზის ზარმა, რა ზეცას გაჰყოფ,
სით გაჩნდა ელვა და სად გაქრა მის მეთვალყურე,
როგორ შეიჭრა ის კედელ'ი განა ბოლო დროს,
რა მოახდინა იქ შესვლისას და როგორ გაქრა?
90 ამის მიზეზის გამოცნობას ვერ მისწვდომია
და ფიქრობს თითქოს ღმერთი იყოს ყოვლის მოქმედი.
შემაძლებინე სრბოლის მიზანს რომ მივატანო,
ო, კალიოპეე, დედოფალო, სიბრძნის მოყვარეე,
კაცთა სიამეე, მოსასურვო ღმერთებისთვისაც,
95 ხოტბის გვირგვინსა მივემთხვიო შენგან რჩეული.

თავდაპირველად ცის ლაჟვარდსა გრგვინვა შეარყევს,
როცა ღრუბელნი სრბიან სწრაფად ეთერის წიაღს
საპირისპირო ქართა ქროლვით დაჯახებულნი,
გრგვინვა არ იცის ხომ აროდეს უღრუბლო ცამა

100 და ამიტომაც საცა სჭარბობს ღრუბელთ სიხშირე,
ჭექა-ქუხილიც უფრო ხშირად იქ ისმის ხოლმე.
გარდა ამისა, ხომ ღრუბელი მჭიდრო არ არის,
ისე როგორც ქვა ანდა კიდევ ხის რამ ნაჭერი,
არცთუ კვამლის ან ნისლის დარად მსუბუქად მსრბოლი,
105 ჩამოცვივოდნენ სიმძიმისგან მაშინ ქვებივით,
ანდა კვამლისებრ თავდაჭერას ვერ შეიძლებდნენ,
ვერცა ცივ თოვლსა, სეტყვა-თქეშსა ვერ წარმოშობდნენ.
ქვეყნის სივრცეში ისმის ღრუბლით გრგვინვა და ჭექა,
ხმა იმის მსგავსი, ვით თეატრის სახური ტილო
110 გამოსცემს ხოლმე მოფრიალე ძელზე, ბოძებზე,
თავაზვებული ქართა ქროლვით რომ მორთავს გრიალს
და ხმას გამოსცემს, თითქოს ქაღალდს ფხრეწა გააქვსო.
მსგავს ხმას შენიშნავ გრგვინვის დროსაც ჩვეულებრივად,
როგორც სამოსელს გაკიდებულს, ქაღალდს დაფანტულს,
115 ქარი რომ უცებ აფრიალებს გრიალ-ზრიალით.
მოხდება ხოლმე, რომ ღრუბელნი კი არ ილტვიან
საპირისპიროდ ერთმანეთის, არამედ გვერდგვერდ,
ისე რომ მხოლოდ კიდეს კიდე თუ შეეხება.
მაშინ ხანგრძლივი შეგიძრწუნებს სმენას გრუხუნი,
120 ვიდრე ღრუბელი გასცდებოდეს ვიწრო გასავლელს.

მთლად დედამიწას შესძრავს ზოგჯერ საზარო გრგვინვა,
ზანზარი გააქვს, ირღვევაო თითქოს ქვეყანა,
მისი კედლები იძვრის სრულად ძირით თხემამდე,
როდესაც უცებ ქარიხალი უტეხი ძალით
125 ღრუბელს გრიგალად ეძგერება, შიგ შეიჭრება,
დატრიალდება, კიდით კიდე შეამვიდროვებს,
ისე რომ ხუაში აღმოჩნდება სივრცე ტიალი,
და რა სუსტდება კიდე ძლიერ დაწოლისაგან,
შესაზარელი გრგვინვით სკდება უმალვე იგი.
130 ბუნებრივია, მცირე ბუშტიც ჰაერით სავსე
მოულოდნელად რომ გახეთქო, დიდ ხმას გაიღებს.
ფიქრობენ, ვითომც, ღრუბელს ქარი რომ წამოუვლის,
ხმას გამოსცემსო, ვამჩნევთ აკი ცისა ტატნობზე
ღრუბელს დატოტვილს, სწრაფად მიმსრბოლს, ვეება დიდსა.
135 ასევე ქარი ხშირ ტყეს ღამით დაეძგერება

ხეთა ტოტებში და ფოთლებში შფოთის ამტეხი.
ზოგჯერ მომხდარა, რომ უეცრად ძალუმ ჯახებით
ქარი ღრუბელსა ძგერებია და გაუფანტავს.
მის ქროლვის ძალა ცხადი არის სრულიად ჩვენთვის:
140 აქაც კი, საცა შედარებით სუსტად იგრძნობა—
მაღალთა ხეთა სულ ადვილად ჰგლეჯს ძირიანად.
არის ღრუბლებშიც ხომ ტალღები, რომლებიც ზოგჯერ
მძიმე გრუხუნით ხმას გასცემენ, ისევე როგორც
ღრმა მდინარეთა ანდა ზღვათა ტალღების ცემა.
145 ხან კიდევ ელვა ერთი ღრუბლის გაჰკვეთს მეორეს
და თუ ანაზდად მოხვდა ცეცხლი ღრუბელს თქეშიანს,
საზარ ღმუილით ნადგურდება და გაქარწყლდება.
აკი შიშინებს ცხელი რკინა, ქურით რომ ვიღებთ
გავარვარებულს და ჩავუშვებთ უცებ ცივ წყალში.
150 ხოლო პირუკუ, თუ მშრალ ღრუბელს ეძგერა ცეცხლი,
ალმოდებული საზარ გრგვინვით გადიბუგება.
როგორც დაფნებით დაფარულ ტყეს დაუვლის ალი
ქარით აღძრული, უტეხ ძალით ყოველის დანმთქმელი.
დელფიოსის ფებეს დაფნის უკეთ არარა იწვის,
155 ისეთი ძლიერ და ზარდამცემ გრიალ-ზრიალით.
ბოლოს ღრუბლებში დაიმსხვრევა ზოგჯერ ყინული
და ცით ეშვება უძლიერეს ზათქით, ხმაურით.
თუ ქარი შეჰკრავს, ტყდება ღრუბლის მთათა ზვინები,
ყინულად ქცეულ წვიმა-თოვლის სეტყვას ერევა.

160 იელვებს ხოლმე, როცა ღრუბლებს თესლი ცეცხლისა
მრავლად მოსხლტება ერთმანეთთან დაჯახებისას.
ქვა ქვას რომ დავცეთ ანდა რკინას, ცეცხლის წინწკლები
დაუყოვნებლივ ნააერწკლებად აკიაფდება.
გრგვინვა ხომ სმენას უფრო გვიან მიაღწევს ხოლმე,
165 ვიდრე დაიჭერს ელვას თვალი, რადგან ყოველთვის
თვალი სწრაფია გაცილებით ყურთა სმენაზე.
ამის შეტყობა ადვილია, თუკი შორიდან
დააკვირდები ხეს რომ კაცი სჭრის ბასრი ცულით.
ჯერ დარტყმას ვხედავთ, შემდეგ აღწევს სმენას კაკუნი,
170 მიტომაც ელვას ვამჩნევთ იმის უწინარესად,
ვიდრე გრგვინვის ხმა ყურს მოაღწევს, წარმონაშობი

იმავე ჯახით, იმ მიზეზით, რამაც შვა ელვა.

ზოგჯერ მიდამო მსრბოლ ღრუბლებსა ძალუძთ შეღებონ
მთრთოლვარე სხივით ქარიშხალი როცა მძვინვარებს,
175 თუკი ღრუბლებში შეიკრება ქარი მბრუნავი,
როგორც ვთქვით წინათ, რა მის კიდეს შიგნიდან დაჰბერს
უმძაფრეს ქროლვით ქარიშხალი გაალებული,
აკი სწვავს ყოველს მოძრაობა, ვით ტყვიის ბურთი
ხანგრძლივი სრბოლით განატაცი გადნება ხოლმე.
180 და რა გაარღვევს ის შავ ღრუბლებს გაალებული,
უეცარ ძალით იფანტება ცეცხლთა თესლები
და მოციმციმე ელვარ ალად გადაიქცევა.
ხმაც გავარდნილი მასთან ერთად ყურს გვიან აღწევს,
ხოლო თვალნი კი სხივთა უმალ შენიშვნენ ხოლმე,
185 ეს ხდება, როცა ცას დაფარავს შავი ღრუბელი
და მძიმე ზვავად დააწვება ერთიმეორეს.
ის ნუ შეგაცდენს, რომ ქვემოდან გაწლილად მოჩანს,
რაც კი ზემოდან აღმართულა უტეხ ზვინებად.
ხომ დაგინახავს მთისოდენა ჩაქუფრულ ღრუბლებს
190 როგორ იტაცებს ქართა ქროლვა ჰაერთა შორის,
ან დაუკვირდი მაღალ მთებს რომ თავს დაადგება
ერთურთის ზემოთ დიდ გუნდებად დაჯარებული,
სრულად უძრავნი რაკი ქარნი მიძინებულან.
მაშინ შეიტყობ, რაოდენი ჰქონიათ ძალა,
195 შენიშნავ ქვაბთა, თითქოს ზექმნილს კიდულ კლდეთაგან,
რომელთაც ქარნი, გრიგალის ჟამს აღბორგებულნი,
ზათქით და ზარით აღავსებენ, შიგ ემწყვდევიან,
ყმუილს იწყებენ იმ ქვაბებში ველურ მხეცთაებრ;
რა გავარდება ღრუბელთ შორის ხმა იმ ღრიალის,
200 ტრიალს დაიწყებს გზის ძებნისას, ძგერა-შეხლასა,
მაშინ ღრუბლისგან ცეცხლთა თესლი თავს იჩენს მრავლად.
ალი ედება მგზნებარ კერას ყოველის მხრიდან,
ვიდრე დასხლტება ღრუბელთაგან ელვად ქცეული.

ამავ მიზეზით ხდება ხოლმე, ზოგჯერ ზეციდან
205 დასხლტება ქვეყნად ელვარება ოქროსფერ ცეცხლის.

როცა ღრუბლებში ჭარბად არის თესლი ცეცხლისა
და ამავე დროს აღარა აქვთ სინესტე სრულად,
მაშინ ისინი ცეცხლის ფერად აენთებიან.
ცხადია, მზისგან ნათელს ჭარბად დაისესხებენ,
210 კარგად აალდნენ, ელვარებად რომ აკიაფდნენ.
რა იმათ ქარი ეძგერება, ერთურთს მიახლის
ერთად შეჯრილთა, დასხლტებიან იქიდან თესლნი,
რომლებიც ქმნიან ელვათ კიაფს, ცეცხლოვან ალსა.
მაშინაც ელავს, ცას ღრუბელი როცა თხელდება,
215 რადგანაც ქარი თუკი დაჰბერს ღრუბელს მიმავალს
და გაჰგლეჯს კიდეც, მაშინ ღრუბლით მოულოდნელად
გამოვარდება თესლი ცეცხლის, მაგრამ ამავ დროს
აღარ მოისმის გრგვინვა, მხოლოდ ნათელი მოჩანს.

•

რაც შეეხება ელვის არსსა—მას გამოაჩენს
220 მისივე დარტყმა, ცხუნვარება ალით შექმნილი,
ნაშთი დამწვრისა—მეტად მძიმე გოგირდის სუნი.
ცეცხლი ქმნის ამას—არცა ქარი და არცა წვიმა.
ხომ ელვა ხშირად სახლთ სახურავს ცეცხლს დასცემს ხოლმე,
თვით შენობაშიც იგი ძლიერ სწრაფად ვრცელდება.
225 ბუნებამ შექმნა ცეცხლი იგი ყველა ცეცხლთ შორის
ისეთ უწვრილეს და უსწრაფეს სხეულებისგან,
რომ მის შეზღუდვას ვეღარ შესძლებს სრულად ვერარა.
სახლის კედელსაც გადალახავს ელვა მძვინვარე,
როგორც ხმას—ყვირილს ვერ აკავებს კლდე თუ სპილენძი
230 და წამსვე ადნობს, რაც დახვდება სპილენძს თუ ოქროს.
მისგან ორთქლდება უცებ ღვინო ჭურჭლის უვნებლად,
რადგან იმისთვის სრულიადაც არ არის ძნელი
გააფართოვოს, დააწვრილოს ჭურჭლის კედლები,
ცეცხლით ახურვოს, შემდეგ იმის შიგნით შეიჭრას,
235 სწრაფად არღვიოს და დაშალოს ღვინის საწყისნი;
ხოლო მზის ბუღი თავის დღეში ვერ შესძლებს ამას,
რაგინდ ძლიერად აალებდეს თვის მცხუნვარებას;
ესოდენ სწრაფობს, გარდამეტობს ძალა ელვისა.

ეხლა თუ ელვა სადით იშვის ესდენ ძლიერი,
240 როგორ არის, რომ ძალუძს კოშკნი ქვე დაანარცხოს,

სახლნი ანგრიოს, მიწას დასცეს მორი და ლარტყი,
ქანდაკებანი შეარყიოს, მილეწ-მოლეწოს,
კაციც იმსხვერპლოს, საქონელიც გაანადგუროს,
სხვას ამგვარს რასმე რა ძალით და როგორლა სჩადის,
245 ამას გაგირკვევ, დიდხანს მოცდა რომ არ დაგჭირდეს.

ელვა იშობა მაღლით, უსქეს ღრუბელთ გროვაში.
ხოლო მოწშენდილ ცით ან მსუბუქ ღრუბლებისაგან
არ შესწრებია არაოდეს ვინმე მის ხილვას.
ეჭვი არ არის, თავისთავად გვიჩვენებს საქმე,
250 ცა და ჰაერი ღრუბლით უნდა იყოს შეკრული,
ისე რომ, თითქოს აქერონტის პირქუშსა წყვდიადს,
უფსკრულით ნასხლეტს, მთლად აევსოს თაღნი ზეცისა:
აი, ამგვარსა უკუნ ღამეს ქმნიან ღრუბელნი,
როცა ზემოდან შესაზარად გადმოგვყურებენ,
255 ვიდრე ავდარი მოვიდოდეს, ელვაც დაჰკრავდეს.
ხშირად არის, რომ ზღვით აღჩნდება ქუფრი ღრუბელი.
ვით კუპრის შავი მდინარება ცით წამოსული,
და დააცხრება ზღვისა ტალღებს, ბნელით მოიცავს,
ელვა-ქუხილსა, პირქუშ ავდარს თან წამოიტანს,
260 მძვინვარე ცეცხლით, ხორშაკ ქარით დამძიმებული,
შიში მოიცავს მაშინ ყველას, საფარს დაეძებს.
ცხადია, მაღლა—ჩვენ თავს ზემოთ— დგება ავდარი,
სხვაგვარ ღრუბელი მიწას ბნელით ვერ მოიცავდა,
ისე—არ იყოს სართულებად შეჯარებული,
265 რომ მზის ნათელიც დააბნელოს თავის სიხშირით.
ვერც დაუშვებდა იგი ძლიერ წვიმას და თქეშსა
მოსადიდებლად მდინარეთა, ველთ წასალეკად,
უსიერ ეთერს რომ შეჭრილი არ ყოფილიყო.
მაშ, იქ ყოველი აღვსებულა ქარით და ცეცხლით
270 და ამიტომაც ყველგან ქმნიან ელვა-ქუხილსა,
რადგან, როგორც ვთქვი, იქ ცალიერ ღრუბელთ სივრცეში
ცეცხლის თესლები მრავლის მრავლად გროვდება ხოლმე.
ბევრიც მზის სხივს და მცხუნვარებას მიუმატია.
და აი, როცა ღრუბლებს ქარი შეჰყრის ერთ ადგილს,
275 ძალუმი ქროლვით ცეცხლთა თესლებს მათში აალებს,
მასთანვე ცეცხლსაც ზედ მიურთავს—აღმაგზნებარეს;

ქარიშხალივით შეიჭრება ღრუბელთა სიღრმეს,
მის ცხელ კერაში გააჩაღებს საშინელ ელვას,
ასე, რომ, ორგვარ მიზეზისგან ალდება იგი:
ან მოძრაობით, ანდა ცეცხლის მიახლოებით.
შემდეგ როდესაც ქარის ძალა გაამცხუნვარებს,
ან გზნება ცეცხლის—ელვა თითქოს მომწიფებული
უეცრად გაგლეჯს ღრუბელთ სისქეს, ალად ნასხლეტი
სულმთლად მიდამოს მოკიაფე ნათლად დაეკვრის.
გრგვინვაც მოჰყვება საშინელი, თითქოს რამ გასკდა
და ზეცის თაღი ერთიანად ჩამოინგრაო.
ზრიალი გააქვს დედამიწას, თანვე მაღლიდან
ჭექა-ქუხილი შესძრავს ცასა, რადგან ამავ დროს
თავსხმა, ავდარი ავარდება ზარდამცემ ზათქით,
ამ დარტყმას მოსდევს მძლავრი თქეში, თავსხმა უსწორო,
თითქოს ღვარცოფად გადიქცაო ეთერი სრულად
და დედამიწას ახალ წარღვნით ემუქრებაო;
ისეთი ღვარი მოდის ღრუბლით, ქარიც მძვინვარებს,
გრგვინავს და ჭექავს, ელვა სცრავს უკუნ წყვდიადსა.
ახალი ძალით ეჯახება კვლავ ქარი ღრუბელს,
რომელიც თითქოს ჩამონგრევას ეპირებოდეს;
და რა წამს გაგლეჯს, ღრუბელს წყდება გრიგალი ცეცხლის,
რომელსაც ვეტყვით ჩვეულებრივ სახელად ელვას.
ეს ხდება ყველგან, სადაც ქარი შეუტევს ხოლმე.
ზოგჯერაც ხდება—მოვარდნილი უცეცხლოდ ქარი
აკიაფდება მაინც ხანგრძლივ მოძრაობისგან,
რადგან სრბოლის დროს ჰკარგავს ხოლმე იმ დიდ ნაწილებს,
რომელთ არ ძალუძთ გაატანონ ჰაერთ სივრცეში,
სამაგიეროდ სტაცებს მასვე სხვა მცირე ნაწილთ,
რომელნიც ქმნიან ძალუმ ცეცხლსა ქართან შერევით.
ამდაგვარადვე ტყვიის ბურთი ჰაერს ტყორცნილი
ხურდება ხოლმე მეტისმეტად, რადგან სრბოლის დროს
ჩამოიშორებს ცივ სხეულებს, ცხელს კი—იმატებს.
მოხდება ზოგჯერ დარტყმის ძალა წარმოშობს ცეცხლსა,
როდესაც დაჰკრავს ცივი ქარი თუგინდ უცეცხლო.
არც საკვირველი არის, თუკი დარტყმა მძლავრია,
სითბოს საწყისნი თავისთავად რომ წარმოიშვას
თუგინდ იმისგან, რასაც დარტყმა იგი ეძგერა.
აკი გაჰკვეესავს ცეცხლი, როცა რკინას ქვას დაჰკრავ,

315 თუმცა ცივია რკინის ძალი, მაინც დარტყმისგან
თესლი მხურვალე ნაპერწკლისა წარმოიშობა,
მაშასადამე, ელვით უნდა დაინთქას ყველა,
თუკი საგანზე აქვს ცეცხლის ალს რამე გავლენა.
შეუძლო არის ქარის ძალი იყოს სულ ცივი
320 ესდენ სიმძლავრით წამოსული იმ სიმაღლიდან.
თუნდაც სრბოლის დროს ვეღარ შეძლოს მან აალება,
მაინც მცხუნვარე. აგზნებული ჩამოვა ქვემოთ.

ელვის სისწრაფე, დარტყმის ძალა სწორუპოვარი,
სწრაფვა უტეხი, რითაც ელვა მოეშურება,
325 იქედან არის, რომ ის ძალას იკრებს ღრუბლებში,
ვიდრე მაღლიდან დასხლტებოდეს გამალებული,
რადგან ღრუბელი ვეღარ უძლებს მის მძლავრ შეტევას,
ისეთ საოცარ, უტეხ ძალით წამოვა იგი,
როგორც უმძლავრეს მანქანიდან ნასხლეტი ჭურვი.
330 რაკი მცირეა და მსუბუქი ელვის ნაწილნი,
მეტად ძნელია დაბრკოლება ამგვარ მოვლენის,
შიგ შუაგულში შეიჭრება, სიმეჩხრეს დასძლევს,
ვერარა ძალა ვეღარ შესძლებს მის შენელებას,
მიტომაც არის მისი სწრაფვა ესდენ უტეხი.
335 ხომ ბუნებრივად სიმძიმე რამ ქვემოთ მიილტვის,
თუ იმას კიდევ უცაბედი დარტყმაც დაერთო,
გაორმაგდება მაშინ სწრაფვაც, დაცემის ძალაც.
მაშ რა სისწრაფით და რა ძალით წასულა ელვა,
თუ თავის გზაზე ამსხვრევს ყოველს და წინ ისწრაფვის.
340 ბოლოს შეტევა თუმც კი შორით აღიძვრის ხოლმე,
თანაც სრბოლის დროს ემატება უფრო და უფრო,
მიტომ დაცემაც ძალუმია, ზათქიც საზარო.
ისე ხდება, რომ ყველა თესლი ელვის აღმძვრელი
ერთს ადგილს რასმე მიისწრაფვის შეერთებულად,
345 ბრუნვა-ტრიალით იმისაკენ გატაცებული.
იქნებ ჰაერით იტაცებდეს ელვა სხეულებს,
რომელნიც იმის მოძრაობას ცეცხლს უკიდებენ.
ბევრ საგანს განვლის რამე ვნების მიუყენებლად,
რადგან მსრბოლ ცეცხლად ვიწრო ხვრელებს გაცდება ხოლმე,
350 ზოგჯერაც ამსხვრევს ბევრგვარ რასმე ელვის სხეული,

თუკი წეეხო საგნის კვანძებს, კავშირის ადგილს.
ელვა ადვილად ადნობს სპილენძს, ალხობს ოქროსაც,
რადგან მის ძალა შედგენილა წვრილ სხეულთაგან,
რომლის საწყისნი მეტისმეტი სიმსუბუქისგან
355 სულ ყოველ მხარეს თავისუფლად შეიჭრებიან,
მიტომ შეჭრილნი საგნის შიგნით კვანძს, კავშირს გლეჯენ.

შემოდგომისას ელვა შესძრავს მიწასაც, ცასაც
გაბრწყინვებულსა მოკიაფე ვარსკვლავთა გუნდით,
მაშინაც მძლავრობს, გაზაფხული როს აყვავდება.
360 ზამთრობით იკლებს ცეცხლი, ზაფხულს არ ახლავს ქარი,
არცთუ ღრუბელთა სიმჭიდროვე არის საკმაო.
მაშასადამე, შუალედებში სიცხე-სიცივის
შეკრბიან ხოლმე ის მიზეზნი ელვის აღმძვრელნი.
ტაროსის შეცვლა რაკი აღრეეს სითბო-სიცივეს,
365 ორივ სპირდება, რათა ღრუბლით შეიქმნას ელვა,
სასტიკ ამბოხით რომ აჯანყდეს ჰაერთა ძალა
ქარის და ცეცხლის დაჯახებით გამძვინებული.
პირველ დათბობის წინ რომ სუსხი მოიქნევს კუდსა,
დადგება სუნი გაზაფხულის; მიტომაც მაშინ
370 საპირისპირო მოვლენების ჯახი მოხდება.
ბოლო სითბოსი თუ ეკვეთა პირველ სიცივეს
ჩვენ ვიტყვით მაშინ—შემოდგომის დადგაო ჟამი.
ებრძვის ხომ ზაფხულს ის ზამთარი ავსუსხიანი
და ამ ცვლილებას ჩვენ ეუწოდებთ წლის დროთა ბრძოლას,
375 არც საკვირველი არის ეგე—აღბორგებული
ელვა და გრგვინვა არეულ ცას ხშირად რომ დაჰკრავს,
რადგან ორ მხრიდან მძიმე ბრძოლით ეჯახებიან:
აქედან ცეცხლი—იქეთ ქარი წვიმა ნარევი.

ელვის ბუნებას ცეცხლოვანსა ეს დაგვანახვებს,
380 ნათლად გვიჩვენებს ყოველივე თუ როგორ ხდება,
ნული ენდობი ეტრურიულ სამისნო წიგნებს,
თითქოს ღმრთის ძალით შეიძლებდე მის გამოცნობას,
თუ ელვის ძალა საოცარი სით წარმოიშვის,
როგორ გაჰკვეთავს ერთ რამ ნაწილს, კვლავ დაბრუნდება,

385 რაკი სავსებით შეისრულებს თავის საწადელს.
ან თუ რარიგ ვნებს ელვა ზეცით მოვლინებული,
თუ იუპიტერ და სხვა ღმერთნი მაღლით ელვარე
საზარო გრგვინვით შეარყევენ ცის დიად ბჭეთა
და ცეცხლს სტყორცნიან თვის საკუთარ სურვილისამებრ,
390 რატომ არ სჯიან უსაშინლეს ბოროტმოქმედთა,
რად არ განგმირვენ ცეცხლის ალით მათ ცოდვილ გულსა,
რა არის დარჩეს, მოკვდავთათვის სამაგალითოდ.
ან ვისაც სინდისს არ უმძიმებს ცოდვა სრულიად,
რად იწვის მაინც დაბუგული მძვინვარ გზნებისგან
395 ანაზდეულად ზეცით ნასხლეტ ცეცხლით ვნებული?
უდაბურ ადგილს რად ეძებენ, თავს რად ისჯიან?
განა იმიტომ—ავარჯიშონ ხელი და ღონე?
მამის ისრები რად ცუდდება მიწაზე ტყვილად?
ამას რად სჩადის, მტრებისათვის რად არ ინახავს?
400 მოწშენდილ ციდან რად არ სტყორცნის ელვას იუპიტერ
და დედამიწას ძალუმ გრგვინვით რატომ არ შესძრავს?
იქნებ მოელის იგი ღრუბლებს, მათზე შემდგარმა
მეტი სიზუსტით დაჰკრას მიწას ელვა და მეხი?
რის გულისათვის ეჯახება, აბა, ზღვის სივრცეს?
405 რა დაუშავა ტალღამ, წყალმა ველად გაშლილმა?
ელვის კვეთებით განრიდება ჩვენი რომ სურდეს,
იმ დარტყმის ხილვის უნარს კიდეც მოგვანიჭებდა.
თუ სურდა ცეცხლით დავებუგეთ არრის მცოდნენი,
მაღლით რად სტეხდა ჭექა-ქუხილს, თავს რომ ვუშველოთ?
410 რაზედ ქმნის წყვდიადს, რაღად უნდა გრგვინვა-ქუხილი?
ვინ დაიჯერებს ყოველ მხარეს შესძლოს მან გრგვინვა?
ვინღა გაბედავს ნათელ საქმის უარისყოფას,
ერთს და იმავ დროს ელვა ბევრგან რომ ავარდება?
ბევრჯერაც ხდება, უნდა კიდეც მოხდეს უცილოდ,
415 ისე ვით ბევრგან მოდის წვიმა და დაჰკრავს თქეში,
ელვაც იმავ დროს ბევრ ადგილას აკიაფდება.
ბოლოს რად ამსხვრევს წმინდა ტაძრებს მაღალთა ღმერთთა,
ანდა საკუთარ დიად საყდარს რატომ არ ინდობს?
უცხოდ ნახელავს ღმერთთა ქანდაკს რად მიმოამსხვრევს,
420 ან თვის სახების სიდიადეს დარტყმით რად ბილწავს?

რატომღა ერჩის უმეტესად მაღალ ადგილებს,
მთათა მწვერვალებს ცეცხლის კვალი რად დაჩნევია?

კიდევ რაც დამრჩა, მის შეტყობა არ არის ძნელი,
პრესტერი ჰქვია მას ბერძნულად—ჩვენ გრიგალს ვეტყვით,
ვრცელ ზღვათა სივრცეს უეცრად რომ თავს წაადგება,
თითქოს ზეციდან ზღვაზე სვეტი ჩამოუშვიათ
და მის გარშემო ადუღდება ტალღა პირქუში,
რა დაჰკრავს ქარი, მძაფრი ქროლვით აღბორგებული.
და თუ მოხვდება იმ მორევში ნავთა კრებული,
დატრიალდება ჩავარდნილი საშინელ საფრთხეს,
ეს ხდება მაშინ, როცა ქარი ვეღარ ახერხებს,
რომ დააღწიოს თავი ღრუბელთ, ქვევით აწვება;
მაშინ ზღვას სვეტად დააცხრება ცით მოვლენილი,
თითქოს ვიღაცას მძლავრად ჯიღი დაერტყას ზღვაზე.
შემდეგ იქედან ამაღლდება თანდათან ტალღა
და როცა იგი დაეცემა, ქარი ნასხლეტი
ზღვას ეძგერება, ააღუღებს ტალღებს ყალყზე მდგარს.
რაკი გრიგალი სულ თანდათან ქვემოთ ეშვება,
მასთანვე ერთად წარიტაცებს ღრუბელთა სისქეს,
რა დააჯახებს ზღვის ზედაპირს ესდენ სიმძიმეს,
უმალ დაინთქმის ზღვის უფსკრულში, მთლად ააღუღებს,
ზათქით, ღრიალით კვლავ ზედაპირს ამოვარდება.

ზოგჯერ გრიგალი სქელ ღრუბლებით გარშემორტყმული
კვლავ ღრუბლის თესლებს შემოიკრებს ჰაერში მყოფთა,
პრესტერის მსგავსად ციდან ქვემოთ მოემართება,
რა დედამიწას დაეშვება, იფეთქებს უცებ,
უტეხი ძალის ქარიშხალად გადაქცეული.
ამგვარსა რასმე მთების გამო ხმელზე ვერ ვამჩნევთ,
სამაგიეროდ კარგად შევძლებთ იმის დანახვას
გაშლილ ზღვის სივრცეს ცის წიაღით თავდახურულსა.
ღრუბელნი უმალ გროვდებიან ცათა წიაღში,
იქ, საცა მქისე სხეულების დაჰკრის სიმრავლე,
თუმცაკი უნარსა შეერთების ვერ ამჟღავნებენ,
მაინც კავშირი ერთურთს შორის არცთუ სუსტი აქვთ;

455 ჯერედ ისინი ღრუბლის მცირე ჯგუფებსა ქმნიან,
განა ბოლო დროს გროვდებიან თანდათან ერთად,
უფრო და უფრო იზრდებიან ქარით დევნილნი,
ვიდრე უწმაგეს ქარიშხალად გადიქცეოდნენ.
რაც უფრო მაღლა ცას მეზობლობს მწვერვალი მთისა,
460 მით უმეტესად იმოსება ჯანყით, ბურუსით,
მუქი ღრუბლებიც მის გარშემო შემოკრბებიან;
ეს ხდება მიტომ, რომ ახლახან შეკრებილ ღრუბელს
ვიდრე შეასწრებ თვალს მათ სხეულს, იმის უსწრაფეს
ძალუმნი ქარნი მიიტანენ მთათა მწვერვალზე.
465 მაშინღა მხოლოდ დიდ გუნდებად შენამჭიდრონი,
ჩვენ თვალთა ხედვის მისაწვდომად ანაზვირთები
მთათა თხემიდან მაღალ ეთერს მიემართვიან.
განცდაც და საქმეც დაგვანახვებს, რა მთაზე ავალთ,
რომ ქარისათვის გახსნილია მთათა მწვერვალნი.

470 ზღვის ვრცელ ზედაპირს ასულ მრავალ წვიმის სხეულთა
ბუნებას გვირკვევს ტანთსაცმელი ზღვისპირს კიდული,
როცა სინესტე მასში ჭარბად გაჯდება ხოლმე.
ახლა გასინჯე, რამდენს შეჰკრებს ღრუბელი ზღვიდან,
როცა მის სივრცეს მოძრაობა დაეუფლება,
475 სითხის ბუნება ნათესავობს რაკი ერთმანეთს.
გარდა ამისა, მდინარესაც, ზოგჯერ მიწასაც,
ხშირად შენიშნავთ, ასდის ხოლმე ნისლი თუ ჯანყი,
სუნთქვისებრ მქროლნი, ჰაერთ სივრცეს მიტანებულნი,
ზოგჯერ ცას სრულად ბნელ წყვდიადით შემოსვენ ხოლმე,
480 თანდათანობით უსქეს ღრუბლად გადაქცეულნი.
თანაც აწვება ვარსკვლავიან ეთერის ცხუნვა,
მიტომ შეკუმშულ ღრუბელთ სისქე მოსავს ლაჟვარდსა;
ან კიდევ მორით მოაღწევენ ჩვენ ცათა წიაღს
იგი სხეულნი ღრუბელთ ჯანყის წარმოსაშობად.
485 ურიცხვ სიმრავლედ ისწრაფვიან ეს სხეულები
უსიერ სივრცეს ყოველ მხრიდან მიტანებულნი,
აღვნიშნე კიდეც ის სისწრაფე, რომლით ისინი
განვლიან ხოლმე ამ მანძილსა უზომ-უძიროს,
მიტომ არ არის საკვირველი, რომ სულ მცირე დროს
490 ცას მოეკიდოს ესდენ მრავლად ჯანყი, ღრუბელი,

რომ ერთიანად ზღვაც და მიწაც დაიფარეოდეს,
თუკი ყოველმხრივ ვრცელ ეთერის ნაპრალთა შორის
და ამ მსოფლიოს უტეხ სივრცის ყოველ სასულეს
შესვლა-გამოსვლა შეუძლია ყოველ სხეულსა.

495 ახლა შევიტყოთ ნამი ღრუბლად როგორ იქცევა,
რომ დედამიწას მოევლინოს წვიმად და თქეშად.
პირველყოვლისა დაგიმტკიცებ—თესლები წყლისა
ღრუბელთან ერთად მრავალ საგანს თან ახლავს ხოლმე,
ამად მატულობს თვით ღრუბელიც და მასთან წყალიც,
500 რომელიც შიგნით, თვით ღრუბელში შემოკრებილა.
ჩვენი სხეულის ზრდასთან ერთად სისხლიც გვემატვის
მასთანვე ოფლიც, თანაც სითხე სხეულში მყოფი;
მეტად ზრდის ხოლმე სითხე ზღვისა აგრეთვე ღრუბელს,
როგორც ზღვის ნაპირს დაკიდებულ საწმისის მატყლსა.
505 თუ ღრუბელს ქარი ზღვათა სივრცეს მიერეკება.
ამგვარად, ყოველ მდინარითა, ყოველ ჩანჩქერით
რა შეემატვის ღრუბელს ნამი და თესლი წყალთა
მრავალნაირად და მრავალმხრივ შემონაკრები—
ჩქარობს ღრუბელი წვიმად მოსვლას ორმაგ მიზეზით:
510 ერთიმეორეს მათ აჯახებს ჯერ ძალა ქარის,
მერე კი ერთად შეკრებილსა ღრუბელთ სიმრავლეს
ზედ დააწვება, აიძულებს წვიმად წამოსვლას,
ან შეთხელდება, იფანტება ქარით ღრუბელი,
ან სულ იშლება თუკი დაჰკრავს მზის მცხუნვარება,
515 ან ჟინჟვლას იწყებს და წამოვა ჟუჟუნა წვიმად,
მხურვალე ცეცხლით გადადნობილ სანთლისებურად.
ღვართქაფი დაჰკრავს, როცა ღრუბლებს მეტიდროდ შეყრილთა
თავს დააცხრება ქარის ძალა ზეუბოვარი.
ხოლო გაბმული და ხანგრძლივი წვიმა იქ მოდის,
520 საცა გროვდება მეტად ჭარბად თესლები წყლისა
და ყოველმხიდან ემატება ღრუბელს ღრუბელი
ერთიმეორეს რიგრიგობით მიყოლებული.
მიწაც მთლიანად ბურუს-ჯანყით მოსილა მაშინ,
თუ ამ ავდარში გამოკრთება ღრუბელს მზის სხივი

525 საპირისპიროდ ჩამოდენილ წვიმის კედლისა,
მაშინ შავ ღრუბლებს ცისარტყელა გადაევლება.

სხვა რაც კი ზევით არის ხოლმე ზრდა-მატებაში,
სულ ყოველივე, რაც ღრუბლებში წარმოიშობა,
თოვლი და ქარი, სეტყვა, ნამი და ჭირხლის სუსხი,
530 ან ყინვის ძალა-წყლის ბორკილი ყოვლადძლიერი
დიდთა მდინარეთ რომ უღობავს გზას სადენელსა,
სულ ადვილია ამის ახსნა, აზრით მიწვდომა,
თუ რა ძალისგან წარმოსდგება ან რა მიზეზით,
თუ შეგიტყვია თვისებანი საწყისებისა.

535 ახლა გავსინჯოთ, თუ მიწისძვრას რა აქვს მიზეზად.
პირველყოვლისა კარგად ნახე, რომ მის სიღრმეში
თუ მის ზედაპირს ქარით სავსე ქვაბია ყველგან,
ტბებიც მრავალი, უფსკრულებიც უზომ-უძირო,
ამოროხილი დიდ ლოდებით, ციცაბო კლდითა;
540 წყალთ მდინარებაც ბევრი არის მიწის სიღრმეში,
დაფარულ ლოდებს ძალუმ ტალღით რომ მოაქანებს.
საქმე გვიჩვენებს—ერთგვარია მიწა ყოველგან
და ეს ყოველი მის წიაღში თუკი თავსდება,
უნდა შეირყეს პირი მიწის იმ ნგრევისაგან,
545 როს დრო ქვე დასცემს იმის სიღრმით დაფარულ ქვაბთა;
პირქვე დაამხობს მაშინ მთებსაც, მიდამოს შესძრავს
თავზარდამცემი ნგრევა-ლეწვის გაბმული გრგვინვა.
აბა რა გიკვირს, თუკი ეტლი, თუნდაც მსუბუქი,
როცა ჩაუვლის სახლს მახლობლად—ხმაურობს მეტად,
550 კედლებსაც არყევს, ქვიან კიდეს მოკირწყლულ ქუჩის,
რკინით ნაჭედი ის ბორბალი რომ ეჯახება.
ზოგჯერაც ხდება, როს ზემოდან ჩამოშვავდება
წყალთა სიღრმეში მონასხლეტი დიდი მეწყერი;
წყალთა დაწოლით შეირყევა მაშინაც მიწა,

555 ისევე როგორც აღარ ძალუძს ჭურჭელს დადგომა,
თუ იმოძრავებს მასში სითხე შეუჩერებლივ.

. გარდა ამისა, მიწის ქვეშა ქვაბს თუ ჯურღმულში
თავს იყრის ქარი უტეხ ძალით აღბორგებული,
დაეჯახება ერთი მხრიდან იმ ქვაბთა კედლებს,
560 გვერდზე გადაზნექს მაშინ მიწას იმ ქარის ძალა.
და რაც კი არის მიწის ზემოთ მდგარი შენობა
განსაკუთრებით მაღლა ცისკენ რომ აღმართულა,
იქით დაცემას ეპირება. სად მიწა იქცა,
სახლის თავსენიც აგერ-აგერ ბუდეს დასცდება.
565 მაშინ შეიპყრობს ყველას შიში თავზარდამცემი,
მთელი ქვეყნისა დამდგარაო ჟამი დაღუძვის,
როცა ხედავენ დასამხობად დახრილსა მიწას.
ქარს არ სჭიროდეს სულის მოთქმად ცოტა რამ ხანი,
ვერარა ძალა მაშინ საგნებს ვერ დაიხსნიდა.
570 მართლაც, შესდგება ზოგჯერ ქარი, ზოგჯერ მძვინვარებს,
შემდეგ დაცხრება და კვლავ ძალას მოიკრებს ისევ.
მიტომაც ზოგჯერ მიწას ელის თითქოს დამხობა
და გადახრილი ეს-ეს არის უნდა ჩაიქცეს,
მაგრამ თავს იჭერს, ინარჩუნებს წონასწორობას,
575 მიტომაც არის, რომ ირყევა მაშინ შენობა—
ზევით უმეტეს, წელში ნაკლებ, ძირში კი მცირედ.

აი, მიზეზი კიდევ ერთი დიდ მიწისძვრისა;
უეცრად შეკრბის ძალუმ ქარად ჰაერთ სიმრავლე,
ან მიწის გარეთ, ან მის ზიგნით წარმონაშობი;
580 დაეძგერება დედამიწის ცალიერ ნაარალთ,
ღმუის და დაძრწის დიდთა ქვაბთა ჯურღმულთ სიღრმეში
მძვინვარ გრიგალად, ქარიშხალად გადაქცეული,
დატრიალდება, გაგლეჯს მიწას, ზე ამოხეთქავს,
დაღადრავს მიწას უშველებელ, უფსკრულ ნაარალით.
585 ასურელთ სიდონს და დორიელთ ეგინას მოხდა—
სწორედ ასევე ამოხეთქილ ჰაერის ძალამ
სრულად დაამხო ეს ქალაქნი, მიწაც დახეთქა.
ბევრჯერ რღვეულა მიწისძვრისგან კედელ-ბურჯები,

ან ზღვის უფსკრულში, თუ მის სიღრმეს დანთქმულან ბევრჯერ
590 ვრცელნი ქალაქნი სრულად მისი მობინადრენით.
და ვერც ჰაერი, ვერცა ქარის უტეხი ძალა
ვერ ამოხეთქავს—მიწის ხვრელებს დაუვლის მაინც,
ვით ციებიანს აუტეხავს ცახცახს და კანკალს.
ასე ციება ჩვენს ძვალ-რბილსა როცა შეუტევს,
595 სხეულის ყოველ სახსარს იპყრობს მაშინ ცახცახი.
ორმაგი შიშით დაბნედილან ქალაქს მცხოვრებნი,
ზემოთ სახურავს უცქერს ძრწოლით, შიში აქვს მიწის
—არ გაირღვესო დედამიწა ანაზდეულად,
პირი არ ქნასო განუზომელ სიგრძე-სიგანით,
600 ღია უფსკრულნი თვის ნამსხვრევით არ ამოავსოს.
რაც უნდა თავი დააჯერო—სამარადჟამოდ
ცაც, დედამიწაც უვნებელად დარჩებიანო,
მაინც ის ძალა მოსალოდნელ უბედურების
შიშის და ძრწოლის მწვავე ისრით კაცს გულს უმსვალავს—
605 ფერხთით დამცდარი მიწა უფსკრულს არ ჩაიქცესო,
საგანთ კავშირი არ დაირღვეს ძირით ფესვამდე,
სრულად ქვეყანა არ გადიქცეს ნანგრევთა გროვად.

ჯერ კაცს აცვიფრებს მატებაში ზღვა რომ არ არის.
თუმცკი შეერთვის იმას მრავლად წყალთა ნაკადი
610 ყოველის მხრიდან მასში შესულ მდინარეთაგან;
გარდამავალი წვიმა, თქეში, ქარში ნარევი,
ზღვას და ქვეყანას ერთიანად წყლით რომ მორწყავენ,
ამას მიურთე ზღვის წყარონი, მაგრამ თვით ზღვასთან
დანართი იგი სულ ერთ წვეთად ძლივს ჩაითვლება.
615 მაშ, რაღად გიკვირს ზღვა რომ სრულად აღარ მატულობს?
ისიც უნდა ვთქვათ, რომ მზის ცხუნვა ბევრ წყალს აორთქლებს;
ხომ შეგინიშნავს ტანთსაცმელი წყლით დანამული
მზეს თვის სხივებით გაუშვრია დაუყოვნებლივ.
ზღვის ზედაპირიც ხომ უსიერ სივრცეს გაშლილა.
620 ვრცელი ზღვის ყოველ ადგილიდან მზემ რომ აიღოს
ნამის ნაწილი თუნდ სულ მცირე, სულ უმნიშვნელო,
ამოდენ სივრცეს მაინც ბევრი დააკლდებოდა.
ამასთან ერთად ქარის ქროლვა ზღვას რომ აღელვებს,
სინესტეს მრავლად წარიტაცებს მის ტალღებიდან.

625 ხომ გაუშვრია ერთი ღამით ქარის ქროლვასა
სველი გზა, ქერქით დაუფარავს ლაფი, ტალახი.
გარდა ამისა, მე ვთქვი კიდეც, მრავალ სინესტეს
ხშირად ღრუბელნი ზღვისპირიდან წარიტაცებენ;
მთელ დედამიწას ედებიან, ერთბაშად მორწყვენ,
630 წვიმა-თქეშის დროს ღრუბლებს ქარი რომ ერეკება.
დაბოლოს, რადგან უმკვრივობა სჩემობს მიწასა,
ზღვას გარს რომ აკრავს, მის ნაპირებს გარემოიცავს;
მიტომ წყლის ნამი ზღვას მიწიდან ჩაედინება,
ან მლაშე ზღვიდან ჩაეშვება ისევ მიწაში;
635 რაკი მიწიდან ზღვას გაეონავს წყალთა ნაწილი,
დაუბრუნდება შემდეგ ზღვიდან მიწას კვლავ წყალი,
მტკნარ ნაკადებად გარდაქმნილი ამოდის მიწით,
იქ, სადაც წყალი ს

ისეთ სიმწარით ასტკივდება, რომ თვალსაც აღწევს.
660 არის ღვთის ცეცხლიც, მწველ-მდაგველი, რომელიც ზოგჯერ
რაკი გაჯდება ერთ ასოში, დაუვლის ძარღვებს;
ნუ გაგაკვირვებს, ხომ ბევრია საგანთ საწყისნი,
განა ზეციდან ცოტა მოდის საგანთა თესლი
საშინელ სენთა ქვეყანაზე გასავრცელებლად?
665 უნდა ვიფიქროთ, მთლად ცისათვის, სრულად ქვეყნისთვის
უსასრულოდან მოდის მრავლად სულ ყოველივე,
მოულოდნელად დედამიწის შემარყეველი,
ზღვასა და ხმელსა გრიგალ ქარმა გადაუაროს,
გადმოიღვაროს ეტნით ცეცხლი, იდაგოს ზეცაც.
670 ხომ ხდება ზოგჯერ—ცეცხლს მოიდებს ზეცის წიაღი
გაავდარდება და ღვართქაფი დაუშვებს უცებ,
თუკი შემთხვევით მრავლად შეკრბა თესლები წყლისა,
„მეტად ძლიერი ჩანს ხანძარის ეს მძვინვარება“,
სწორია, მაგრამ ნაკადულიც დიდად ეჩვენოს,
675 ვისიც თვალს მეტი თავის დღეში არრა უხილავს,
ედიდოს თვალში იქნებ კაციც, ხეც ან კიდევ სხვა რამ,
სანამ არ ნახავს მის უმეტესს, მის უდიდესსა.
თუმცკი ყოველი ცისა, ზღვისა, თუ დედამიწის
არრად გამოჩნდეს შედარებით მთელ მსოფლიოსთან.

680 ახლა აგიხსნი, თუ რა რიგად ცეცხლი მრისხანე
ეტნის საზარო პირისაგან აღმოატევებს.
ჯერ ის შეიტყვე—მთის შუაგული ცალიერია,
დამყარებული ერთიანად კაჟის თაღებზე.
აი ამ ქვაბში ქარს და ჰაერს დაუდევს ბინა,
685 ქარიც იქ ჩნდება, საცა ჰაერს აქვს საძრაობა,
რა გახურდება, გახელებით ლოდსა და მიწას
დაეძგერება უმძაფრესად, გაავარვარებს
და აღმოდებულ მძვინვარ ცეცხლად ამოვარდება
იმის საზინელ, ციცაბ ხახით მაღლით ნატყორცნი,
690 სულ მაღლა, მაღლა ადის ცხუნვა, ფერფლიც მოჰყვება
და შავბნელ კვამლით იბურება გარემო სრულად.
თანაც საოცარ იმ სიდიდე ქვებს ამოისვრის.
მაშ, ქარის ძალა რა ყოფილა ხომ გჯერა ეხლა!
გარდა ამისა, დიდ სივრცეზე მთის ძირის გასწვრივ

695 ზღვა ამსხვრევს ტალღებს, რომელს შთანთქავს ნაკადი ისევ.
იმ მთის ძირიდან თვით თხემამდე მიიმართება
ფარული ქვაბი; ამ ქვაბისკენ, უნდა ვიფიქროთ,
697 მიეტანება შერეული ტალღებთან ქარი,
მიილტვის ზემოთ, წამოსული ზღვის სიღრმეთაგან,
ბოლოს გააპობს გასასვლელსა, ალს აღმოაქშენს,
700 ქვებსაც ამოგლეჯს, სილას ფანტავს ღრუბლისებურად.
და მთის მწვერვალზე გამოჩნდება მაშინ „კრატერი“,
ჩვენ რომ ვუწოდებთ ჩვეულებრივ ნაპრალს თუ ყელსა.

ზოგიერთ საგანს ვერ მიაწერ ერთ მიზეზს რასმე,
ბევრი უნდა სთქვა—მათგან ერთი იქნება სწორი.
705 ვთქვათ, აგერ ვხედავთ კაცის ცხედარს ველზე დაგდებულს,
მისი სიკვდილი ძალგიძს ახსნა ბევრვარ მიზეზით,
მაგრამ ნამდვილი მათგან მხოლოდ ერთი იქნება;
ვერ დაამტკიცებ ხმლით მოიკლა, თუ ყინვა-სუსხით,
სენმა მოიდმო, თუ რამ ზხამმა მოუღო ბოლო,
710 ის ვიცით მხოლოდ, რომ ამათგან ერთი მოჰკლავდა.
ჩვენც ამგვარადვე მოგვიხდება ბევრგან მსჯელობა.

მოდიდებული ნილოს ფარავს ზაფხულში ველებს,
ის ერთადერთი ქვეყანაზე ეგვიპტის წყალი.
რწყავს იგი სწორედ შუა სიცხეში მთელ ეგვიპტესა,
715 რადგან შესართავს ზაფხულობით დაჰკრავს აქვილონ,
წლის სწორედ იმ დროს, როცა ამის ჟამი დადგება;
პირისპირ მქროლი დააბრკოლებს ნილოსის სვლასა,
ტალღას აყენებს, უკუაგდებს, უმატებს სიღრმეს.
ეჭვი არ არის, რომ მდინარის აღმა მქროლვარეს
720 გამოუვლია ცივ ჩრდილეთის ვარსკვლავთ კრებული.
ხოლო ნილოსი სდის სამხრეთის იმ ცხელი ქვეყნით,
საცა დამწვარან კაცნი სიცხით, ჩაშავებულან,
იმ შორეულსა მზიურ მხარეს—სათავის მქონე.
ან კიდევ იქნებ—გამოჰქონდეს ძალუმსა ტალღას
725 დიდძალი სილა, შესართავში უყრიდეს თავსა,
როცა ზღვის ტალღებს მოამდოვრებს ქროლვა ქარისა,
ამით მდინარეს ის გზახსნილი გადაღობვია

და შემაღლებულ კალაპოტზე ეშვება ნელად.
იქნებ სათავეს მდინარისას სწორედ იმ დროსა
730 დაასხამს წვიმა, მრავლის მრავალს, რაკი აქვილონ
იქ მოაქუჩებს ყოველ მხრიდან შეგროვილ ღრუბელს,
ან კიდევ, როცა ის ღრუბლები მზიურ ქვეყანას
ერთად შეყრილი მაღალ მთებზე შეჩერდებიან,
მაშინ ძლიერად ერთმანეთსა ეკვრიან ხოლმე.
735 იქნებ ავსებს მას ეთიოპელთ მთანი მაღალნი,
სადით ქვემოთკენ დაეშვება ველზე თეთრ თოვლად
მზის ყველგან მნათობ სხივთა ძალით გამდნარ-ნალხობი.

ახლა შეიტყვე იმ ავერნის ტბის რამ ამბავი,
რაგვარ ბუნების არის, ანუ რაგვარი ზნისა.
740 პირველყოვლისა ავერნული მიტომ უწოდეს,
რადგან ყოველგვარ ფრინველთათვის მავნეა მეტად.
თუკი მოუხდათ მათ გაფრენა იმ ადგილებზე,
მსწრაფლ დუნდებიან, ვერ იქნეენ ფრთათა იალქნებს,
თავქვე მოდიან საწყალობლად ყელმოგრეხილნი,
745 თუ მიწა დახვდათ, ეცემიან, არა და წყალში
ჩაცვივდებიან იმ ავერნის ტბათა წიაღსა.
გოგირდის კვამლი ასდის კუმის მახლობელ მთებსა
და მათ გარშემო ცხელი წყლების სჩქეფს ნაკადული,
ათენის კედელს, ციხე-ბურჯის მაღალ მწვერვალსა,
750 იმ ტრიტონიდე მწყალობელის პალადის ტაძარს,
არის ადგილი—ვერ გარდუვლის ყვავი ჩხავილით,
თუნდ ასდიოდეს იქ სამსხვერპლოს ზვარაკის კვამლი.
პალადის რისხვას იგი სრულად არ დაუფრთხია
მსტოვრობისათვის, როგორც უთქვამთ ბერძენ პოეტებს.
755 თითონ ბუნება იმ ადგილის აფრთხობს იმ ფრინველთ.
ამგვარ ადგილებს სირიაშიც ასახელებენ.
ოთხფეხი ბიჯის გადადგმასაც ძლივასღა ასწრებს
და იგივ ძალა უმალ დასცემს დედამიწაზე;
ქვესკნელ ღმერთთათვის თითქოს უცებ შეუწირავთო.
760 ესე ყოველი ბუნების წესს დამყარებია
და ამ მიზეზის თვით სათავე ცხადია სრულად;
დე, ნურვის სჯერა ორკის კარი იყოს იმ ადგილს,
ან ქვესკნელთ ღმერთნი ვითომც სულებს მიცვალებულთა

აქერონტისა ნაპირისკენ წარიტაცებდნენ.
765 ან ვით ჰგონებენ, თითქოს ფეხმარდ ირმებს ნესტოთი
საშინელ გველთა გამოწვევა შეეძლოს მიწით.
ჭეშმარიტებას ეს ყოველი დაშორებია,
მიტომ ამაზე მინდა გითხრა სრული სიმართლე.
თავდაპირველად მასვე გეტყვი, რაც წინათ მითქვამს.

770 ყოველგვარ სახის საწყისს მიწა შეიცავს სრულად:
მრავალნი საზრდოს მომგვრელია, სასიცოცხლონი,
ბევრიც სათავე არის სენის და სიკვდილისა,
სხვადასხვა სულდგმულს ეჭირვება საზრდოც სხვადასხვა,
როგორც აღვნიშნე ამასწინათ თავის ადგილზე,
775 მათი ბუნების აღნაგობის შესაფერისად,
ანუ წყობისა—პირველსაწყისთ ბუნებისამებრ.
ვნების მომტანი ბევრგვარი რამ ყურიდან შედის,
ცხვირის ნესტოში რამ უხეში მოხვდება ზოგჯერ;
ბევრს რასმე უნდა განვარიდოთ ჩვენი შეხებაც,
780 ან მხედველობა, ზოგიც სძაგს ხომ ჩვენ გემოვნებას.

უნდა აღვნიშნოთ, მრავლად არის საგანი კაცთა
სავნები მეტად, შესაზარიც, აუტანელიც.
ზოგ ხეთა ჩრდილი არის ესდენ მავნე და ცუდი,
რომ თავის ტკივილს იწვევს ხოლმე აუტანელსა,
785 ვინც იმის ჩრდილქვეშ წამოწვება მწვანე მდელოზე.
ჰელიკონის მთის მწვერვალზედან ხე ხარობს ერთი,
რომლის ყვავილის მძიმე სუნი კაცს მოჰკლავს კიდეც.
მიწის სიღრმიდან აშკარაა მოდის ყოველი,
თუმც მრავალნაირ და მრავალგვარ საგანთა თესლნი
790 არეულია მიწის გულში—ამოდის ცალკე.
თუ ახლად ჩამქრალ საღამურის იმ სიმყრალესა
სნეულს ვასუნთქებთ პირდადორბლილს, ბნედით შეპყრობილს,
უმალვე ძილი უმძიმესი მოეკიდება.
თახვის ყაირის სუნის ძალა ქალს თვლემას მოჰგვრის,
795 გაუვარდება ხელსაქმანი ნაზ ხელებიდან,
თუკი იყნოსავს მას თვიურით განწმენდის დროსა.
ბევრი რამ არის კიდევ სხეულს რომ მოადუნებს,

ძირფესვიანად კაცის სულსა შეარყევს სრულად.
ცხელ აბანოში თუკი ძალზე დიდხანს დარჩები,
800 ან გამაძლარმა მეტისმეტად დიდხანს იბანე,
სულ ადვილია უგრძნობელად დაეცე უცებ.
ის მძიმე სუნი გაღვივებულ ნახშირის ნამწვის
წამს თავში დაგკრავს, წყლის დალევას თუ არ მოასწრებ.
თუ გიკანკალებს ზეპყრობილი ციებით ტანი,
805 ღვინის სუნიც კი მაკვდინებელს მოგგვრის დარტყმასა.
განა ვერ ამჩნევ მიწის სიღრმით მოდის გოგირდი
და შავი კუპრიც მეტად მძიმეს გამოსცემს სუნსა?
ბოლოს ის, საცა ეძიებენ ოქროს და ვერცხლსა,
სად მიწის ფარულ ღრმა წიაღში თხრიან მადანსა,
810 რა საშინელი სუნი მოდის სკაპტენსულიდან?
რა უნდა იყოს ოქროს მადნის სუნთქვაზე ცუდი,
რომელიც კაცთა სახეს სრულად უკარგავს ფერსა?
არცა გინახავს, არც გსმენია რა მოკლე დროში
და რა სისწრაფით მოაკლდება სიცოცხლის ძალას,
815 ვინც გაჭირვებით ამგვარ შრომას იძულებულა?
მაშ, ცხადი არის, მიწა უშვებს ამ ოხშივარსა
და მიმოფანტავს ცის წიაღის გაშლილ სივრცეზე.

ავერნის მხარეს ფრინველთ უნდა შეახვედრებდეს
მაკვდინებელსა ძალას მიწა ჰაერში შესულს,
820 რათა მოსწაშლოს განსაზღვრული მანძილი ცისა.
და რაწამს ფრინველს იქ მიიყვანს შემთხვევით ფრთები,
უმალ შედგება იმ უხილავ შხამით შეკრული,
თავქვე მოწყდება მიზიდული იმ ოხშივარით.
რა დაეცემა—ისევ ისე იმ ცხუნვის ძალით
825 სიცოცხლის ნიში დარჩენილი სულ გაეცლება,
თითქოს პირველად ოხშივარი აბრუებს იმას,
შემდეგ, როდესაც ჩაეშვება იმ შხამის წყაროს
თვით სიცოცხლესაც ესალმება სწორედ იმიტომ,
გადაჭარბებით რაკი მრავლობს მის ირგვლივ ავი.
830 ან კიდევ იქნებ იმ ავერნის ამონახრჩოლი
რა ფანტავს ჰაერს მიწისა და იმ ფრინველს შუა,
ამხოლოებდეს სრულად სივრცეს იქ მოთავსებულს.
და თუ იმ არეს უცაბედად მოხვდა ფრინველი,

ტყუილუბრალოდ ფრთების ქნევას დაიწყებს იგი,
835 უქმი დარჩება იმისი ცდა კამარა შეჰკრას.
რაკი აქ სირი ფრთის დასაყრდენს ველარ პოულობს,
მიტომ მიწისკენ ეზიდება სხეულის წონა,
თითქმის სრულიად უჰაერო სივრცეს განრთხმულსა
სხეულის ყოველ ნასვრეტიდან დასცდება სული.

840 უფრო ცივია ზაფხულობით ხომ ტყეში წყალი,
რადგან სითბოთი მიწა უფრო მეჩხერი ხდება
და სწრაფად უშვებს სითბოს თესლებს რაც აბადია;
და რაც მეტს ჰკარგავს, ცხადი არის, მიწა სითბოსა.
უნდა უმეტეს ცივი იყოს მიწის ქვეშ წყალი.
845 რაკი სიცივით მიწა მეტად შეიკუმშება,
თითქოს შეიკვრის, მეიდროვდება თანისთანობით,
მთელ თავის სითბოს ჭაში სტოვებს იგი სრულიად.

ჰამონის ტაძრის მახლობელად არისო წყარო,
როგორც ამბობენ, დღისით ცივი, ღამით კი—ცხელი.
850 დიდად ჰკვირობენ კაცნი ამგვარ წყაროს მხილველნი.
ამბობენ, ვითომც ჩასულ მზისგან იწყებდეს დუღილს.
როდესაც ღამე უკუნ წყვდიადს მოჰფენს ქვეყანას.
მაგრამ ეს აზრი მეტად შორავს ჭეშმარიტებას,
რადგან თუკი მზე, შიშველ წყაროს თავზე დამყურე,
855 ველარ ახერხებს მის გათბობას ზემოდან მნათი,
როდესაც მისი მცხუნვარება ესდენ დიდია,
როგორღა შესძლებს მიწის სისქეს სძლიოს ქვემოდან,
რომ მცხუნვარებით სულ აავსოს წყარო პირამდე?
თუკი ძლივასღა შეუძლიან სახლის კედლებშიც
860 თავის სხივების მცხუნვარებით რომ გაატანოს?
მაინც რა ხდება? ცხადი არის, რომ წყაროს პირას
უფრო მეჩხერობს მიწა, ვიდრე სადმე სხვა ადგილს,
და მრავლად არის იმ წყლის ახლო ცეცხლის თესლებიც.
როდესაც ღამე მიწას მოსავს ნამისებრ ნესტით,
865 უმალ ცხელდება მაშინ მიწა, შემეიდროვდება,
მიტომაც მიწა თითქოს ეისმე ხელით ნაწურსა
წყალს აძლევს რაც კი ცეცხლის თესლი მოეპოვება,

და ამად წყალი იმ წყაროსი ხელს სწვავს, ცხელდება.
რაკი სხივებით მიწას გაშლის მზე ამოსული,
870 და გაამეჩხრებს მას სიცხეში ნარევი ბულით,
თავის ძველ ბუდეს უბრუნდება ცეცხლის თესლები
და წყლიდან სითბოს ისევ უკან გაიტანს მიწა.
აი, მიტომაც წყარო დღისით ცივდება ისევ.
გარდა ამისა, მზის სხივები წყალში შეჭრილი
875 გაშუადღებისას მთრთოლვარ სიცხით გაამეჩხერებს.
მიტომაც, რაც კი გააჩნია ცეცხლის თესლები
ყველა ეცლება; ზოგჯერ წყალი, რაც რამ სუსხი აქვს,
ჰკარგავს და ყინულს ალხობს, რაკი დახსნის მის კვანძებს.

არსებობს კიდევ ცივი წყარო, რომლის ზემოდან
880 რომ მოვათავსოთ ჩვენ ჟინჟღილი, ალს მოიკიდებს.
ზოგჯერ ჟინჟღილი აინთება მის ტალღებზედაც
და ზედ მცურავი ქაჯის ქროლვით უფრო ჩაღდება.
ნუ ჰკვირობ, რადგან წყალში ბევრზე უფრო ბევრია
თესლი სითბოსი, რაკი მიწით ამოდის იგი,
885 ცეცხლის სხეულნი გავრცელდება წყაროში სრულად,
და ამავე დროს აორთქლდება, მიერთვის ჰაერს,
თუმცკი იმდენი როდი არის, წყაროც აინთოს.
გარდა ამისა, ნაწილნაწილ თუმცკი ამოდის,
მაგრამ იმავე ძალით შეკრბის წყლის ზედაპირზე.
890 არადის ზღვაში ამგვარ წყაროს ასახელებენ,
მტკნარ წყალს აჩქეფებს უკუმგდები მლაშე ტალღების.
უშეღავათებს კიდევ ბევრგან ზღვა ბევრ სხვა ადგილს
მწყურვალ მეზღვაურთ უცაბედად რომ მოჰგვრის შვებას
მლაშე ტალღებით ამო წყაროს აღმომტყორცნელი.
895 მაშ, ამდაგვარად ძალუძს თესლებს დაუსხლტნენ წყაროს,
ზე ამოვარდნენ, მოახერხონ იმ ძენძთან შერთვა,
ანდა გაფისულ ჟინჟღილს დასწვდნენ, მიეკრონ ზედვე,
უცებ ალღდნენ, მით უმეტეს თავადაც ბევრი
ცეცხლის თესლები აქვს როგორც ძენძს, ისე ჟინჟღილსა.
900 ხომ დაგინახავს. თუ საღამურს მიუახლოვებთ
ახლად ჩამქრალსა აბედს, წამსვე ინთება ისე,
ვით ჩირაღდანი, თუმცკი სანთელს არ შეხებია.
ბევრიც სხვა არის. რომ ალდება შორს ცხუნვის ძალით

ვიდრეღა ცეცხლი მას ახლოდან შეეხებოდეს.
905 სწორედ მსგავსი რამ ხდება ხოლმე იმ წყაროშიაც.

დამრჩა სათქმელად, თუ ბუნების რომელ კანონით
რკინას იზიდავს ქვა, რომელსაც ბერძენთ ენაზე
მაგნიტს ეტყვიან მის სამშობლოს სახელის დარად,
რადგანაც იგი მაგნეზიას წარმოშობილა.
910 განცვიფრებულა ხალხი ამ ქვით, რადგანაც ხშირად
ძეწკვი იქმნება რკინის რგოლთა მასზე კიდული.
ხუთი აცმა თუ ზოგჯერ მეტიც ძალგიძს იხილო,
როგორ ირხევა ნელა-ნელა ნიავის ქროლვით,
ერთიმეორის მიყოლებით დაკიდებული
915 მომდევნო რგოლი იმ ქვის ძალას წინას გადასცემს,
მიტომ მრქმედებს ძალა იგი შეუწყვეტელად.

ამგვარ საქმეში ხამს ბევრი რამ მტკიცედ განვსაზღვროთ.
ვიდრემდე საგნის ვითარებას ღრმად ჩავწვდებოდეთ:
უნდა ვიაროთ ზოგჯერ გრძელ და შემოვლილ გზებით,
920 მიტომაც ვითხოვ, რომ მომაპყრო სმენაც, გონებაც.
თავდაპირველად, ყოველ საგნით, რასაც კი ვხედავთ,
განუწყვეტელად მოდის ჩვენსკენ და იფანტება
სხეულნი, ჩვენს თვალს რომ ემთხვევა და ხედვას იწვევს.
შეუწყვეტელად მოდის სუნი ზოგ საგნებისგან,
925 წყლიდან—სიცივე, მზისგან—სითბო, წყალთ ცემა—ზღვათა
მლაშე ტალღისგან, ჯებირთ კედელს რომ სჭამს გარშემო.
შეუჩერებლივ ხმა ბევრგვარი ჰქრის ჰაერთ სივრცეს.
ზოგჯერაც პირში მლაშე სითხე ჩაგვივარდება,
როცა დავდივართ ზღვის მახლობლად; და ვგრძნობთ სიმწარეს
934 თავცეცხლას სითხეს ჩვენს მახლობლად როცა ურევენ,
935 ასე გამოდის განუწყვეტლად ყოველ საგნისგან
930 სხეულთ სიმრავლე და ყოველმხრივ განიფანტება.
და ამ დინებას არ აქვს ზღვარი, არც შესვენება,

რაკი უწყვეტად ვგრძნობთ ჩვენ რასმე მარადეამიერ,
ან ვხედავთ რასმე, ანდა ვუნოსავთ, ან ხმა რამ გვესმის.

936 კვლავ ვიმეორებ—მეჩხერია საგანთ სხეული,
პირველ სიმღერის დასაწყისში როგორც გიჩვენე,
თუმც საჭიროა ამის ცოდნა მრავალ საქმისთვის,
შაგრამ საგანი, რაც ამჟამად უნდა ვარკვიოთ,
940 სრულად ნათელი უნდა იყოს უკვე თავიდან,
რომ არ არსებობს რამ სხეული უცალიეროდ.
პირველყოვლისა იორთქლება გამოქვაბულის
კედელთა ქვები და იქიდან წვეთი ჩამოდის;
ჩვენი სხეულის ყოველ ნაწილს გასდის ხომ ოფლი,
945 იზრდება წვერი, თმით იფარვის ჩვენი სხეული,
მოეფინება მთლათ ძარღვებსა საზრდელი ყველგან,
ჰკვებს სრულად სხეულს და მიაღწევს თვით ფრჩხილებამდე.
ვგრძნობთ, როგორ ატანს სპილენძშიაც სითბო-სიცივე,
და ვგრძნობთ აგრეთვე, როგორ განვლის იგი ოქროსა,
950 გაატანს ვერცხლსაც, როცა სავსე თასი გვიპყრია.
ბოლოს გაუვლის ხმა თვით სახლსა ქვის კედლებიანს,
გაატანს მასში სუნიც, თანვე სითბო-სიცივე,
ისე ვით რკინას ცეცხლის ცხუნვა ატანს იოლად.
თან ყველგან ირგვლივ ცის აბჯარის მიუხედავად
955 ეწვევა მიწას სხეულები მაღლით მოსული.
ცითა და მიწით ავარდება ზოგჯერ ავდარი,
კვლავ უბრუნდება წესისამებრ იმ ცა და მიწას,
რაკი სიმეჩხრის უმისობა არ ფერობს სხეულს.

•

უნდა დავურთოთ, ის ყოველი, რაც ირეკლება,
960 როდია ერთი წამოსული სხვადასხვა საგნით.
არც ერთგვარ გრძნობას ის არ იწვევს, არც მსგავს განცდასა.
პირველყოვლისა მზე ხომ მიწას ახმობს, აფიცხებს,
ყინულს გააღღობს, თოვლსაც ადნობს მაღალ მთებისას,
თავის სხივების ძალუმ სხივთა სიმხურვალეთი.
965 სანთელიც დნება დადებული მის მცხუნვარ გულზე,
ცეცხლიც აგრეთვე ადნობს სპილენძს, ადნობს ოქროსაც,
კანსა და სხეულს ანაოვებს, ხრუკავს და მოღრეცს.

სითხე სიმტკიცეს აძლევს რკინას გავარვარებულს,
იგივ არბილებს კანს და სხეულს სიცხით გამხმარსა.
970 თხას წვერცანცარას ზეთისხილის ფოთოლი უყვარს,
თითქოს წვეთავდეს მისგან ნექტარ-ამბროზიოსი,
ხოლო კაცთათვის მასზე ნწარე არაფერია.
სძაგს ღორს თავშავა, სუნი ყველა ნელსაცხებელის,
რადგან ჯაგარა ღორებისთვის ნხამია იგი,
975 ჩვენ კი იქნება ზოგჯერ მისგან სულიც ჩაგვდგას.
ხოლო ტალახი ჩვენთვის ეგზომ გულის ამზრზენი,
ჩანს, საამოა ისე რიგად ღორებისათვის,
სულ მუდამ ეგდონ იმ წუმპეში, ის ურჩევნიათ.

ერთი რამ დამრჩა კვლავ სათქმელი,
980 ვიდრე ამ საკითხს დაწვრილებით შევეხებოდე.
რაკი საგანსა ნასვრეტები აქვს ბევრდაგვარი,
მიტომ ბუნებაც თვითეულის განსხვავებულა
საკუთარ გეზის, მიმართების შესაფერისად;
რაკი სხვადასხვა არის სულდგმულთ გრძნობა და განცდა.
985 თავისებურად აღიქვამენ ყოველ საგანსა.
ხმა, კარგად ვიცით, მიდის ხოლმე საკუთარ გზებით,
საქმლის გემოსაც მისი გზა აქვს, ყნოსვასაც მისი,
991 როგორც ჩანს, ზოგიც ქვების გავლას ახერხებს კიდეც,
და ზოგიც ხისა, და ზოგს კიდევ ვერ იქერს ოქროც
და ვერცა ვერცხლი, არის ზოგიც—შუშასაც დასძლევს
აქ ანარეკლი გადის, იმას—გაატანს სითბო.
995 ერთსდაიმავ გზას თვის სისწრაფით განვლის ყოველი.
მაშ, ცხადი ხდება, მრავალდაგვარ გზას ჰქნის ბუნება,
როგორც აღვნიშნეთ თავის დროზე ამის შესახებ,
990 საგანთა წყობის, აღნაგობის შესაფერისად.

998 რაკი ყოველი ახლა მტკიცედ განსაზღვრულია,
ყველა პირობაც სათანადოდ შემზადებული,
1000 სხვა დანარჩენის ადვილია მიწვდომა აზრით
და გაიხსნება ის მიზეზიც რკინის მიზიდვის.
ჯერ შეიძლება ამ ქვისაგან მოდის თესლები,
ანდა რამ სითბო ბიძგებით რომ ჰაერს მიაპობს,

რაიც იმ ქვას და რკინას შუა მოთავსებულა.
1005 რა წამს ამ შუალედს ცალიერი სივრცე აღჩნდება,
რკინის საწყისნი უმალ იმავ ადგილს ილტვიან,
რომ დაიჭირონ იგი სივრცე ცალიერქმნილი.
მასუკან რკინის რგოლიც იმას გაედევნება,
არ იპოება ხომ საგანი, რომლის საწყისნი
1010 ესდენ სიმტკიცით იყვნენ ერთურთს გადაჯაჭვულნი,
ვით რკინის ძალა და სიცივე გასაოცარი.
სულ აღარ არის საკვირველი, როგორც ვთქვი წინათ,
რკინის საწყისნი ვეღარ დადგნენ მრავლად ნასხლეტნი,
სიცალიერეს არ ისწრაფონ იმ რგოლთან ერთად;
1015 ასეც სჩადიან და ილტვიან სწორედ იმ ქვამდე,
რომ დაეკიდონ მასზე სრულად უხილავ ჯაჭვით.
ეს ხდება ყველგან, საცა არის ღია ადგილი.
დაბლა თუ ზევით ისწრაფვიან სხეულნი იქეთ,
სადაც კი ახლოს წააწყდება ცალიერ ადგილს,
1020 გარედან დარტყმა აიძულებს ასე მოიქცეს,
თავისდათავად მათ არ ძალუძთ ჰაერს ავიდნენ.
ისიც დაურთე, რომ გზაც ეხსნას, თან სწრაფიც გახდეს,
ეს მოძრაობა უწყვეტელი ამას ხელს უწყობს.
რადგან, როგორც კი რგოლის წინაჰაერის ტალღა
1025 გამხოლოვდება, დიდ მანძილზე ცალიერდება,
1033 უმალ ჰაერი იმის მიღმა მოთავსებული,
1026 თითქოს უკნიდან ეჯახება და წინ წააგდებს.
ჰაერი მუდამ ეჯახება საგანს ირგვლივ მყოფს.
და სწორედ ამ დროს ააჩქარებს იგი რკინასაც,
რადგან მის მიერ დაცლილ ადგილს იჭერს თითონვე.
1030 უნდა იცოდე, რკინის სვრეტებს დაჰბერს ჰაერი
და იმის ნაწილს უმცირესსაც დაუვლის ხოლმე,
წინ მიაქანებს როგორც ქარი—ნავს იალქნიანს.
1034 ბოლოს, ხომ საგანს ყოველსავე აქვს შიგნით ქარი,
1035 რადგან სხეული საგნებისა სვრეტოვანია,
მიტომ ჰაერი გარსაც აკრავს და შიგ იჭრება.
ასე, ამრიგად, რკინის წიალს მყოფი ჰაერი
განუწყვეტელად უნდა ბიძგებს ჰქმნიდეს თვით რგოლში,
ამოძრავებდეს მას შინაგან აღძრულ დარტყმებით.

1040 მაშასადამე, რგოლი ილტვის ერთხელ არჩეულ
მიმართულებით იმ ცალიერ სივრცეში მსრბოლი.

არის შემთხვევა, რკინა იმ ქვას შორდება კიდეც,
აედევნება, დაბრუნდება უკანვე ისევ.
მე თვით მინახავს ის ბეჭდები სამოთრაკისა
1045 სპილენძის ქვაბში როგორ ხტოდა რკინის ნახერხთან,
როცა ჭურჭლის ქვეშ მაგნიტის ქვას გაატარებდნენ,
თითქოს გაქცევას ლამობდნენო შორს ამ ქვისაგან.
სპილენძის ფენა იწვევს ხოლმე ამ ამბოხებას,
ცხადია, რადგან ჯერ ნაკადი იმ სპილენძისა
1050 რკინას წინ უსწრებს, იპყრობს ხოლმე ღია ადგილებს.
შემდეგ, ქვის სითბო როცა მოდის, რკინის სამყოფელს
პოულობს სრულად დაჭერილსა, სელას ვერ ახერხებს,
დაეძგერება იგი რკინას, სცემს მის მოსურნე,
კვლავ დაიბრუნოს რკინა ისევ და ამისათვის
1055 მიერეკება სპილენძიდან, რასაც თვით ნთქავდა.

არ უნდა იყოს არავისთვის გასაკვირველი,
მაგნიტს არ ძალუძს მოქმედება სხვა რამ საგანზე,
ხან დაბრკოლებად წონა არის, როგორც—ოქროსი,
ზოგჯერ სიმეჩხრე, სვრეტიანი მათი სხეული
1060 სულ თავისუფლად გაატარებს იმის სითბოსა.
ხეთა მასალა ჩანს, ამგვარი არის საგანი.
საშუალო ადგილს იმათ შორის რკინა თავსდება,
და თუ ითვისებს იმ სპილენძის საწყისთა ნაწილს
სამაგიეროდ შორს გასტყორცნის ქვა მაგნესიის.
1065 ეს მოვლენები არცთუ ისე იშვიათია,
რომ ვეღარ შევსძლო ბევრ ამგვარის სხვისა მოყვანა,
და დაგანახვო ერთურთს რარიგ ემსგავსებიან.
ქვას იჭერს კირი, როგორცა ჩანს, მხოლოდ და მხოლოდ
მხოლოდ საქონლის წებო იჭერს ხის მასალასა.
1070 ფიცარი უმალ ბოჭკო-ბოჭკოდ დაიხლიჩება,
ვიდრე გაგლეჯდე იმ ადგილსა წებოთი შეკრულს.
ყურძნის ნაწური წყაროს წყალთან ზერთვას ისწრაფვის,

ამად არ ვარგა არცა ფისი და არცა ზეთი.
ნიკარის წვენი მეწამული მატყლს ერთვის ისე,
1075 მათ განშორებას და გათიშვას ვეღარ შეიძლებ
თითონ ნეპტუნის მძლე ნაკადიც რომ მოანდომო,
ზედ შეალიო მთლად ზღვის ტალღა—მაინც ვერ გარეცხ.
და განა ოქროს შეადულებ ოქროს გარეშე?
ხოლო სპილენძსა აკავშირებს სპილენძთან კალა.
1080 სხვასაც ბევრს რასმე ვიტყვი კიდევ, თუ კმარა ვგონებ?
არც შენ, არცა მე არად გვინდა წილადობილა,
აღარც მე შემფერს ტყუილუბრალოდ მოვცდე ამაზე.
მოკლედ მოიკრას შესაძლოა გრძელი ამბავი.
თუკი ქსოვილი საგნებისა ერთურთს ხვდა ისე,
1085 რომ ერთის ფოსო მიემთხვია მეორის ზნექილს,
ყოვლის უმტკიცეს აღმოჩნდება მათი კავშირი.
და ზოგიც თითქოს კავ-მარყუჟით გადაჯაჭვული
მტკიცედ არიან ერთმანეთზე მოჭიდებულნი;
ყველაზე მეტად ეს ეხება მაგნიტს და რკინას.

1090 ეხლა შეიტყე, როგორ ჩნდება სენი საზარი,
სიკვდილის მთესი, ის შავჭირად მოვლინებული,
კაცთა ნათესავს და საქონელს მუსრს რომ გაავლებს.
მეტად ბევრია, როგორცა ვთქვი, საგანთა თესლი,
ამათგან ზოგი სასიცოცხლოდ მოვლინებულა,
1095 ზოგიც—პირუკუ სენს და სიკვდილს შეგვყრის მფრინვალე;
თუკი შემთხვევით ერთად სადმე შეიყრებიან,
ცას ჯანყით მოსვენ და სწამლავენ სრულად ჰაერსა.
ყველა ეს სენი, ავადობა, ჭირი საზარო
ცით მოვლენილა, როგორც ნისლი, ანდა ღრუბელი,
1100 ან თვით მიწის პირს აღმოჩნდება შეერთებულად,
როს ლპობას იწყებს დედამიწა ხანგრძლივი თქეშით,
ნოტიო, სველი, თან მზის სხივით გახურებული.
არ გაქვს დაცდილი—წყლის და ჰავის შეცვლა ვნებს კაცსა
სახლკარისა და სამშობლოის დამტოვებელსა,
1105 რადგანაც სხვაგვარ გარემოში ის მოხვედრილა?
ვგონებ რომ ჰავა ბრიტანიის სულ სხვაგვარია,
ვიდრე ეგვიპტის, სად იხრება ღერძი მიწისა,
სულ სხვადასხვაა ჰავა პონტოს, ანდა გადესით

იმა ქვეყნამდე სად დამწვარა ხალხი მზის ცხუნვით.
1110 როგორც ოთხია ქვეყნის მხარეთ ნაირსახება,
იმ ოთხ ქარის და ცის ნაწილთა შესაფერისად
განსხვავებულან იმათ შორის სნეულებანიც.
სენი სპილოსი გვხვდება მხოლოდ ნილოსის პირას,
1115 შუა ეგვიპტეს, იმის გარდა არ ბუდობს არსად.
ფეხს იტკივებენ ატიკაში, თვალს—აქაიას.
სხვადასხვა ასოს ვნებს სხვადასხვა კუთხე ქვეყნისა,
ჰავის სხვაობით არის ეგე გამოწვეული.
მიტომაც ხდება, როცა სხვათა ცით მოვლენილი
1120 ანაზდეულად მოგვეპარვის მავნე ჰაერი,
როგორც ღრუბელი ანდა ნისლი ნელად მცურავი,
თავის გარშემო წარყვნის ყოველს, არევ-დაურევს,
და რა მოაღწევს ის ჩვენ ცამდე და ჩვენ ჰავამდე
აფუჭებს სრულად, შეიმსგავსებს, ჩვენთვის უცხოდ ხდის.
1125 და იგი ახლად მოვლენილი ჭირი თუ სნება,
ან წყალს მიერთვის, ან ჭირნახულს მიეტანება,
ან სხვა რამ საზრდელს საქონლის თუ ადამიანის,
ან კიდევ რჩება ჰაერშიგან შემოკიდული.
და როცა ვსუნთქავთ ამ მოწამლულ მავნე ჰაერით,
1130 ჩვენსავ სხეულში ვუშვებთ ხოლმე ამ საძაგლობას.
ასევე სენი დაერევა ზოგჯერ საქონელს,
ზლაზვნით მიდენილ ცხვრის ფარასაც აღარ დაინდობს.
და ამიტომაც სულ ერთია ჩვენთვის სავსებით
მავნე ქვეყანას თვით ჩვენ ჩავალთ, ანდა პირუკუ,
1135 იმ წამხდარ ჰაერს ჩამოგვიტანს ბუნების ძალა;
ან თუ იქნება, ეს სხვა რამე უჩვეული ჩვენთვის,
მოულოდნელი მოახლებით რომ ზეგვყრის სნებას.

სენმა ამგვარმა და სიკვდილის საზარო სუნთქვამ
კეკროპთა ველი მუნჯ სამარედ გარდააქცია,
1140 ქუჩა—უდაბნოდ და ქალაქი—უკაცრიელად.
ის შავი ჭირი მოსულიყო ეგვიპტის სიღრმით,
ზღვა და ხმელეთი გადმოღვლო, ჰაერთა სივრცე,
და თავს დასხმოდა ბოლოს მოდგმას პანდიონისა,
რომ ყველა ჭირის და სიკვდილის პირში ჩაეგდო.

1145 პირველად მისგან თავს იპყრობდა უზომო სიცხე,
ორთავე თვალიც წითლდებოდა, ცეცხლებრ ელავდა,
ჩაშავებულსა ყელის სიღრმეს სდიოდა სისხლი
და გზები ხმისა იარებით ვიწროვდებოდა.
აზრის მოციქულს—ენას სისხლი სდიოდა სქელი,
1150 მოდუნებული ძლივს იძვროდა, ხაოს იდებდა.
შემდეგ, ყელიდან სენის ძალა მკერდში ჩასული
გულს დასუსტებულს მიაღწევდა განაბოლოდროს,
ფამფალს იწყებდა შერყეული სიცოცხლის ფუძე.
სუნთქვას პირიდან მოჰყვებოდა მყრალი რამ სუნი,
1155 დიდი ხნის მკვდარსა ჩვეულებრივ რომ ასდის ხოლმე.
სულის სიმტკიცე ადამიანს ეკარგებოდა,
დავარდნილიყო, მიღწეული სიკვდილის მიჯნას
და აუტანელ ამ ვაებას ენით უთქმელსა
კვნესა-ჩივილი გულმომწყვლელი ზედ დაერთვოდა;
1160 დღიან-ღამიან გადაბმული სლოკინი სრულად
ძარღვსა და ასოს ერთიანად გაუოგნებდა,
ილაჯს უწყვეტდა, ქანცს აცლიდა, მოასავებდა,
სულ ვერ ბესძლებდი შეგენიშნა, რომ დიდი სიცხე
დაუფლებოდა ზედაპირსა მისი სხეულის,
1165 ზეხებით იგი მხოლოდ თბილად გვეჩვენებოდა.
თუმც დამწვრის მსგავსად სხეულს აჯდა წითელი თვლები,
როგორც პყრობილსა საღმრთო ცეცხლის მსგავსი რამ სენით.
შინაგან კია—მოსდებოდა ცეცხლი ძვლებამდე,
ხურდა მუცელი, ალდებოდა ისე ვით ქურა,
1170 მსუბუქ სამოსსაც ვერ იტანდა სნეულის ტანი
ნიავისა და რამ სიგრილის მხოლოდ მნატვრელი.
ციე მდინარეში დასიცხულნი შიშვლად ხტებოდნენ
ამო სიგრილეს მის ტალღებში რომ ჩახვეოდნენ,
1178 ზოგიც თავდაღმა ეშვებოდა ჭათა სიღრმეში,
1174 პირდაღებული აწყდებოდა ზოგიც მის კიდეს
1175 წყურვილით სხეულგაფიცხულნი წყლისკენ ილტვოდნენ,
მცირე რამ ცვარად თავსხმა-თქეზი ეჩვენებოდათ,
სულ არ ცხრებოდა სენი, საწყლად ეყარნენ კაცნი,
ზიშით მუნჯქმნილნი ბუტბუტებდნენ მკურნალნი ჩუმად,
1180 საბრალო სხეულთ, სიცხით დამწვართ როცა ხედავდნენ,
ანთებულ თვალებს ძილგამკრთალნი რომ აცეცებდნენ.
სხვაც ამის გარდა ბევრი იყო სიკვდილის ნიში:

აზრის აღრევა, სევდა-შიშის მონაცვლეობა,
წარბთა შეჭმუხვნა, არეული, გიჟური ხედვა,
1185 ყურში ჩადგომა ხმაურის და უწყვეტ შხუილის,
სუნთქვა ხან ხშირი და ხან კიდევ დაყოვნებული,
კისრის გარშემო წებოსებურ ოფლის მოდენა,
ნახველი—თხელი, მწუთხე, ფერად-ზაფრანისებრი,
ძლივს მომავალი ყელისაგან უმძიმეს ხველით,
1190 ხელის ძარღვების გაკავება, თანაც კანკალი,
თავით ფეხამდე შეცივება მთელი სხეულის.
შემდეგ, რა მოვა ჟამი იგი აღსასრულისა
შევიწროვდება ნესტოები, ცხვირიც წვრილდება,
ცვივდება თვალი, საფეთქელი, ბაგეც ცივდება,
1195 პირი ეღება, ეჭიმება კანი შუბლისა,
დაუყოვნებლივ მთლად სხეული გაუშეშდება.
ასე, მერვე დღეს უბნელდება ნათელი მზისა,
ანდა მეცხრე დღე არსებობის ჩაუქრობს ლამპარს.
თუ კიდევ მაინც ვინმე სიკვდილს გადურჩებოდა,
1200 აუტანელი წყლულებანი, ზავი სალტობა
განა ბოლო დროს მიიყვანდა აღსასრულამდე:
ხან ეწყებოდა საშინელი თავის ტკივილი,
დახშულ ნესტოდან მოდიოდა წამხდარი სისხლი,
სტოვებდა შემდეგ კაცის სხეულს ღონეც და ძალაც.
1205 თუკი როგორმე შეიწყვეტდა ცხვირით სისხლდენას,
მაინც ის სენი ძარღვს და ასოს ჩაუდგებოდა;
ზოგჯერ აღწევდა თვით სასირცხეო ასოებამდე,
სიკვდილის მიჯნის მოახლეებით ზარდაცემულნი
სასქესო ასოს ბასრი რკინით იჭრიდნენ ხოლმე,
1210 ზოგჯერ ისხეადნენ ხელსაც, ფეხსაც—ეცოცხლათ ოღონდ.
ზოგიც კარგავდა ნაწილობრივ მხედველობასაც,
აი, სანამდე მიჰყავს კაცი სიკვდილის ზიზსა!
მეხსიერება დაჰკარგვოდა ზოგს იმ ზომამდე,
აზრს გადამდგარნი თავის ცნობას ვერ ახერხებდნენ.
1215 ცხედარს ცხედარი მიეყარათ დაუმარხავი,
ხოლო ფრინველთა ანუ მხეცთა გროვა-გუნდები
შორ-ზორ უტევდნენ მყრალი სუნით შეზიზღოთებულნი,
რა პირს გაჰკრავდნენ—სულთმობრძავნი სიკვდილს ხვდებოდნენ.
თუმცა ფრთოსანნი არა ჩანდნენ იმ ზავ დღეებში,
1220 არცა მძვინვარე ის მხეცები ტყეს არ სტოვებდნენ,

რადგან იმათაც მუსრს ავლებდა ჭირი საზარო.
განსაკუთრებით ძაღლთა მოდგმა—კაცთა ერთგული,
საშინელ ტანჯვით შუა ქუჩას ღაფავდა სულსა
იმ სასიკვდინო შავი ჭირით დღემოღებული.
1226 ჭირის მკურნალად აღარ იყო ერთი რამ ხერხი;
რადგან თუკი ერთს წამლად რგებდა სუფთა ჰაერი,
მისი ღრმად სუნთქვა, მისი ქროლვა, გაშლილ ცის ჭვრეტა,
სხვისთვის ამასვე სასიკვდილო მოჰქონდა ვნება.
1230 ერთი რამ იყო სამწუხარო და სავალალო;
თუკი ხედვიდა ვინმე—სენი გადამედოო—,
რაკი იცოდა სასიკვდილოდ განწირულიყო,
გადიწურავდა სრულად იმედს, გულს გაიტეხდა
და აღსასრულის მომლოდინე დღეს იმოკლებდა.
1235 უბედურება არ წყდებოდა არც ერთი წუთით,
გადადიოდა ხარბი სენი კაციდან კაცზე,
1245 ვით ცხვრის ფარაში ან გრძელრქიან ხართა ჯოგებში.
ეს უმატებდა გლოვას კიდევ ახალ გლოვასა;
ვისაც ავადმყოფ ნათესავის ნახვას უშლიდა
ხარბი სურვილი სიცოცხლისა, შიში სიკვდილის,
1240 ავი სიკვდილი იმას უმალ უღებდა ბოლოს
მარტოდ გდებულსა, მოძულებულს, განუკითხველსა.
ხოლო ნათესავთ შეელა-ხსნისთვის თავდადებულსა
იდმობდა სენი, მძიმე შრომა და გულის ხეთქვა,
გამოწვეული ავადმყოფის მოთქმა-გოდებით.
ბოლო ამგვარი კეთილთ უჩნდა საუმჯობესოდ.
1225 უპირისუფლოდ და უტირლად ჰყრიდნენ ცხედართა,
1225 და მათ ძვლებს ფლავდნენ ყველგან—საცა მოუხდებოდათ,
1225 წინაპართ რჩევას წმიდათ-წმიდას არვინ იცავდა.
ვინ-ვის გასწრებით იჩქაროდნენ თვისთა დამარხვას,
1247 ტირილით, ოხვრით მიღწეულნი შინ ბრუნდებოდნენ,
სევდა ბევრ მათგანს ჩააგდებდა ლოგინად, სპობდა.
1250 ვერა ჰპოებდი იმ შავ დროსა სრულად ვერავის
სენით, სიკვდილით, ანდა სევდით შეუშფოთველსა.
და მაშინ უკვე არცა მწყემსნი უდგნენ ნახირსა,
არც გუთნისდედა მტკიცე ხელით მართავდა გუთანს.
შეპირვებულნი ძირს ეყარნენ ვიწრო ქოხებში,
1255 სიკვდილს ელოდნენ სიღატაკით, სენით ძლეულნი.
შვილთა ცხედრებზე მშობელთ ცხედარს ნახავდი ზოგჯერ,

ზოგჯერ იმასაც შევხვდებოდი, რომ თვით შვილები
თავის დედ-მამის ცხედარსზედან სიკვდილს ებრძოდნენ.
ცოტა სიავე როდი მოჰყვა აგრეთვე იმას,
1260 რომ ველებიდან მოაშურა ყოველის მხრიდან
საშინელ სენით შეპყრობილმა სოფლელთ სიმრავლემ.
აივსო სრულად მოედნები, სახლი თუ კუთხე,
და ერთად შეყრილთ უმალ სპობდა ჭირი მძვინვარე;
ბევრიც წყურვილით გათანგული ქუჩაში ეგდო,
1265 ბევრიც წყაროსკენ მიდენილი ძირს ეცემოდა,
სუნთქვა ეკვროდათ, სანატრელ წყალს რა პირს დაჰყოფდნენ.
ბევრსაც ნახავდი ხალხთა კრების ჩვეულ ადგილას,
გემებზე გდებულთ, სულთმობრძავთა და ცოცხალმკვდართა
საშინელ ჭუჭყში და ძონძებში გამოხვეულებს.
1270 მუნი იდმობდა, საცოდავად გაძვალტყავებულთ,
საზარ იარით თითქმის ცოცხალ ლეშად ქცეულთა.
ბოლოს არ დარჩა არცა ღმერთთა საკურთხეველნი,
მკვდართა ცხედრებით ბოროტ სიკვდილს რომ არ აევსო.
ღმერთთა ტაძრებიც სავსე იყო სრულად გვამებით,
1275 სადაც მსახურთა მისცეს ხალხსა თავშესაფარი,
დაკარგულიყო ღმერთთა რიდი და სასოება,
მომხდურმა ჭირმა და ვარამმა მოსრა ყოველი,
ქალაქს დაეგდო ძველი წესი დასაფლავების,
რომელსაც ხალხი ოდიდანვე ურყევად სცვიდა.
1280 ძრწოლას შეეპყრო სულყველანი, შიშს და ზარხდომას,
და თვითეული მკვდარს მარხვიდა როგორც შეეძლო.
სიჩქარე, თანაც სიღარიბე რას არ შვრებოდა?
თვისთა ნათესავთ იმ კოცონსა სხვისთვის განამზადს
ზედ დაუდებდნენ განწირული მოთქმა-გოდებით,
1285 ცეცხლს უკიდებდნენ სისხლის დაღვრად განმზადებულნი,
ვიდრე დასთმობდნენ კოცონიდან მკვდრის ჩამოღებას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

პ ო ე მ ი ს ს ა თ ა უ რ ი ს შ ე ს ა ხ ებ. საგანთა ბუნებისათვის—De rerum natura. ლუკრეციუსის პოემის ხელნაწერთაგან მხოლოდ ერთსა აქვს ეს სათაური: De phisica rerum origine vel effecta „საგანთა ფიზიკურ საწყისებზე ანუ წარმოშობაზე". სათაური De rerum natura პირველად გვხვდება რომაელ გრამატიკოს პრობუსთან (პირველი საუკუნე ჩვენი წელთაღრიცხვისა). სათაური De rerum natura უნდა იყოს აღებული თვით პოემიდან, სადაც ეს გამოთქმა გვხვდება პირველი წიგნის 25 სტრიქონში და კიდევ ბევრგან.

წიგნი პირველი

შესავალი პოემისა (1—43) მიძღვნილია ვენუსისადმი. ერთი შეხედვით ეს შესავალი თითქოს უხერხულობას იწვევს, მატერიალისტი, ათეისტი პოეტი ქალღმერთ ვენუსს მიმართავს! საქმე ის არის, რომ პოეტს ეს მიმართვა ეჭირვება, ჯერ ერთი, პოემის ტრადიციული დასაწყისის გაფორმებისათვის: ხომ ცნობილია რომ ყველა ძველი დროის პოეტი პოემის დასაწყისში მიმართავს პოეზიის ქალღმერთს. მეუხის ამგვარი მიმართვის გარეშე პოემის დაწყება წარმოუდგენელი იქნებოდა. და რაკი მიმართვა აუცილებელი იყო, ვისთვის უნდა მიემართა ლუკრეციუსს, რომელსაც განზრახული ჰქონდა ბუნების შესახებ პოემის დაწერა, თუ არა ვენუსისათვის, ვენუსი ხომ სიყვარულის ქალღმერთია. ამიტომ პოეტის არჩევანი სრულიად მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს თვით პოემის თვალსაზრისით, რადგან სიყვარულის ქალღმერთი ვენუსი ლუკრეციუსისათვის წარმოადგენს ბუნების შემოქმედი ძალების განსაზიერებას. მეორეც ერთი, ვენუსის დასახელებამ საშუალება მისცა პოეტს ესდენ შესანიშნავი სურათი დაეხატა ვენუსის ეშხით დამთვრალი ბუნებისა. მესამე საბუთი პოემის დასაწყისში ვენუსის გამოყენისა ის უნდა ყოფილიყო, რომ ვენუსთან ერთად მას საშუალება ეძლეოდა ომის ღმერთი არესიც დაესახელებინა. ჯერ კიდევ ჰომეროსის „ოდისეიდან" (VIII სიმღერა) არის ცნობილი ამბავი, თუ როგორ დაიჭირა უხილავ ბადით თავისი მეუღლე ვენუსი და არესი ვულკანმა (ჰეფესტომ). არესის დასახელებას კი ლუკრეციუსისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან მისთვის, როგორც ბუნებისა და ადამიანის მოყვარისათვის, რა იქნებოდა იმაზე სანუკვარი, რომ ერთხელ კიდევ მოესურვა, ერთხელ კიდევ მოეწოდებინა რომაელთათვის ხელი აეღოთ ძმათა სისხლისმღვრელ ომებზე.

1 „შ ე ნ ე ნ ე ა დ თ ა წ ი ნ ა პ ა რ ო". ქალღმერთ ვენუსისა და ტროელ გმირ ანქიზესაგან წარმოიშვა ენეასი, რომლის თავგადასავალი მოთხრობილია ვერგილიუსის „ენეიდაში".

11 ფავონიუსი—დასავლეთის თბილი ქარის სახელია, ბერძნულად მას ზეფირს უწოდებდნენ ხოლმე.

26 აქ მოხსენებული ლუკრეციუსის მეგობარი გაიუს მემიუსი დასახელებულია ციცერონის ტრაქტატში „ბრუტუსი" როგორც ორატორი. მემიუსს აგრეთვე ეროტიკული შინაარსის ლექსებიც უწერია.

55 და მომდევნო სტრიქონებში ლუკრეციუსი ჩამოთვლის იმ ტერმინებს, რომლებითაც ის აღნიშნავს მატერიასა და ატომებს. ტერმინი ატომი ლუკრეციუსთან არსად

გვხვდება. ლუკრეციუსი მას ასეთი ტერმინებით აღნიშნავს: genitalia corpora, semina rerum, corpora prima, exordia rerum, radices, elementa, corpora, corpuscula და figurae. ჩვენ თარგმანში ვცდილობდით რაც შეიძლება ახლოს მივდევნებოდით ლუკრეციუსის ტერმინოლოგიას.

62 · სტრიქონი და მისი მომდევნო ლექსები შეიცავს ეპიკურეს ხოტბას.

„ეპიკურე... იყო ნამდვილი განმანათლებელი ანტიკურობისა, იგი აშკარად ესხმოდა თავს ანტიკურ რელიგიას, და იქედანვე მომდინარეობდა რომაელების ათეიზმიც... აქიტომ არის, რომ ლუკრეციუსი ხოტბას ასხამს მას ვითარცა გმირს, რომელმაც პირველად დაამხო ღმერთები და გათელა რელიგია, ამიტომაც არის, რომ ეკლესიის ყველა მამებს პლუტარქედან ლიუთერამდე ეპიკურე ღმერთების მოწინააღმდეგე ფილოსოფოსად ჰყავთ მიჩნეული“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. IV, გვ. 121).

66 პ ი რ ვ ე ლ ა დ ე ლ ი ნ ს ა ღ უ მ ა რ თ ა ვ ს თ ა მ ა მ ა დ თ ვ ა ლ ი, ეს პირველი ელინი არის ეპიკურე.

84 და მომდევნო ლექსები. აქ მოყვანილია იმის მაგალითი, თუ რელიგია რა ბოროტ და დანაშაულებრივ საქმეებს სჩადის. ბერძენთა სარდალი აგამემნონი, ძე ატრეოსისა თავის ასულს იფიგენიას (იფიანასეს) მსხვერპლად შესწირავს. ეს თემა ბერძნულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში ბევრგან გვხვდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ევრიპიდეს ტრაგედია „იფიგენია ავლიდში“. ავლიდი ბეოტიის ქალაქია, რომლის ნავსადგურში შეჩერდა ბერძენთა გემთკრებული, როცა ტროას სალაშქროდ მიემგზავრებოდნენ.

117 ჰელიკონი (მთა ბეოტიაში). იგი ითვლება მუზათა სავანედ. ენიუსი აქ მოხსენებულია როგორც პირველი სიახლის შემტანი. მას მიეწერება რომის პოეზიაში ჰეგზამეტრის საზომის პირველად გამოყენება.

121 აქერუსის მხარე—ქვესკნელის სამეფო. სხვაგან ამ ტერმინის ნაცვლად ლუკრეციუსთან გვხვდება აქერონტი (ქვესკნელის სამყაროს ერთ-ერთი მდინარის სახელია), ორკოსის მხარე.

251 მამა ეთერი—აქ სიტყვა ეთერი ნახმარია „ცის“ ნაცვლად.

329—417 სიცალიერის არსებობის დამტკიცებას შეეხება. სიცალიერის არსებობის დასამტკიცებლად მას მოჰყავს სამი საბუთი: 1) სიცალიერის გარეშე წარმოუდგენელია მოძრაობა (335—345), 2) ყველა საგანთა სხეული ნასვრეტებიანია (346—357) და 3) სიცალიერის არსებობით უნდა აიხსნას ხვედრითი წონის სხვაობა საგნებში (358—369). აქ მსჯელობათა დასკვნითი ნაწილი (384—397) საკმაოდ ბუნდოვანია.

449—482 ლუკრეციუსი აქ ასხვავებს coniunctum და eventum თვისებას და მოვლენას.

474 ბ ო ლ ო ს, ე ლ ე ნ ე ს მ ო ტ ა ც ე ბ ა ს რ ო მ მ ო გ ვ ი თ ხ რ ო ბ ე ნ, ლაპარაკია მენელაოსის მეუღლე ელენეზე, რომელიც მოიტაცა პარისმა.

635—920 აქ ლუკრეციუსი პაექრობას უმართავს სხვადასხვა ფილოსოფიურ სკოლას მატერიის აგებულების საკითხის ირგვლივ. ამგვარად, 635 სტრ.—704-მდე იგი ეკამათება და უარჰყოფს ჰერაკლიტეს (დაახლ. 500 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს ყოველივე ცეცხლისაგან იყოს შექმნილი.

705—829 სხვა კოსმოგონიურ სისტემათა უარყოფა. იგი აქ განიხილავს უმთავრესად ემპედოკლეს (500 წ. ჩვ. წ-მდე) მოძღვრებას და VI ს. სხვა ფილოსოფოსთა შეხედულებას. აქ არის უკუგდებული ანაქსიმენის მოსაზრება, რომელიც სამყაროს ძირითად საფუძვლად მიიჩნევდა ჰაერს. უკუგდებულია აგრეთვე თალესის შეხედუ-

ლება, რომელიც წ ყ ა ლ ს (სითხეს) თვლიდა ყოველივეს საფუძვლად, ასევე—ფერეკიდეს შეხედულება—თითქოს საფუძველი ყოვლისა ყოფილიყოს ᲛᲘᲬ Ა. იმ ფილოსოფოსებად, რომლებიც აერთებენ წყალსა და მიწას, ლუკრეციუსი უნდა სთელიდეს ქსენოფანესა და მის მიმდევრებს.

მიუხედავად იმისა, რომ ლუკრეციუსი ეკამათება ემპედოკლეს, იგი მას დიდის პატივისცემით იხსენიებს. ემპედოკლესადმი ამგვარი დამოკიდებულება კანონზომიერია, რადგან ლუკრეციუსიც ხომ მისებრ სალექსო (ჰეგზამეტრის) ფორმას ირჩევს თავისი პოემისათვის. გარდა ამისა, ლუკრეციუსი მისგან ს

ბრივაც არის დაკავებული: ზოგჯერ იგი მიბაძავს კიდეც მას.

716 ᲔᲛᲞᲔᲓᲝᲙᲚᲔ ᲐᲒᲠᲐᲒᲐᲜᲢᲔᲚᲘ. ემპედოკლე წარმოშობით აგრაგანტიდან იყო. ამჟამად ამ ქალაქს ეწოდება გირგენტი. იგი მდებარეობს სიცილიის სამხრეთ სანაპიროზე. მას ლუკრეციუსი ბერძნული სახელწოდების მიხედვით „ტრინაკრია“ „სამკუთხოვან“ კუნძულს უწოდებს. სიცილიასა და იტალიას შორის იმყოფებოდა, ძველების რწმენით, ორი მითიური ურჩხული—სცილა და ქარიბდა.

926 პიერიდები. ლუკრეციუსი უწოდებს პიერიდებს მუზებს. მუზების ასეთი წოდება პირველად ჰესიოდესთან (VIII—VII ს. ს. ბერძენი პოეტი) გვხვდება. პიერია ადგილია მაკედონიაში, იგი ძველთაგანვე მ უზათა სავანედ ითვლებოდა.

წიგნი მეორე

20 ᲛᲐᲨᲐᲡᲐᲓᲐᲛᲔ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲠᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ. ლუკრეციუსი როცა სხეულებრივი ბუნების შესახებ (corporea natura) ლაპარაკობს, გულისხმობს არა მხოლოდ სხეულს, არამედ მთლიანად ადამიანს, ამიტომ ჩვენ corporea natura-ას ვთარგმნით—„ჩვენი ბუნება“.

167—183 ლუკრეციუსი აქ ეკამათება სტოიკოსებს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ თითქოს ყოველივე ეს ქვეყნად შექმნილი, წინასწარ გამიზნული ყოფილიყოს ადამიანისათვის.

216—293 გადახრა (clinamen) ატომებისა. ეს ჰიპოთეზა ატომთა შეუმჩნეველი. ოდნავი გადახრის შესახებ ეპიკურეს ეკუთვნის. ამით განსაკუთრებულად უმთავრესად მისი ატომიზმი ლევკიპპესა და დემოკრიტეს ატომიზმისაგან.

325 და შემდ. ლუკრეციუსი აქ ჰომეროსს მიბაძავს. (იხ. ილიადა, II, 457).

ლუკრეციუსი იარაღის სინონიმად „სპილენძს“ ხმარობს, რომ ამით თავის პოემას არქაულობის სურნელება მიანიჭოს. მის დროს სპილენძი მხოლოდ ღვთისმსახურების წესის აღსრულებისას იხმარებოდა.

416 ᲐᲜ ᲠᲝᲛ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲙᲘᲚᲘᲙᲘᲘᲡ ᲖᲐᲤᲠᲐᲜᲡ ᲐᲤᲠᲙᲔᲕᲔᲜ. ასეთსავე თეატრალურ ჩვეულებაზე მიუთითებს ჰორაციუსი (იხ. მიმართვანი II, 1, 79 და შემდ.).

417 ᲓᲐ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲑᲝᲛᲝᲜᲡ ᲐᲡᲓᲘᲡ ᲙᲕᲐᲛᲚᲘ ᲞᲐᲜᲥᲔᲡ ᲡᲐᲙᲛᲔᲕᲚᲘᲡ. საარაკო არაბული კუნძული პანქეა რომის ლიტერატურაში პირველად არის მოხსენებული ლუკრეციუსთან.

429 ლიტინი—titilare, შეესატყვისება ეპიკურეს მიერ ნახმარ ბერძნულ ზმნას γαργαλίζειν.

430 . თხლე და მზიურა. აქ ლაპარაკია საკმელის საკაზმზე, სანელებელზე, რასაც აგრეთვე ჰორაციუსიც გვიდასტურებს (იხ. II სატ. 44 სტრ. და VIII სატ. 7 და 51)

500 ᲨᲝᲚᲘᲑᲔᲐ—თესალიის სანაპირო ქალაქი.

600—660 მიწის კულტის აღწერას წარმოადგენს. მას უწოდებდნენ დიდ დედას, რეას, კიბელეს. ეს კულტი ფრიგიული წარმოშობისაა. რომში შევიდა იგი ჰანიბალის ომების დროს, წინათ კი ელინისტურ სამყაროში იყო გავრცელებული. ბერძნებმა იცოდნენ რეას კულტი. იგი ითვლებოდა ურანისა და გეას ასულად და ზევსისა და სხვა ღმერთების დედად. რეას ეშინოდა, რომ კრონოსს არ შეეჭამა ახლად შობილი ზევსი (მას ჩვეულებად ჰქონდა თავისი შვილების შთანთქმა). ამიტომ რეამ დამალა ზევსი კრეტას კუნძულზე, ხოლო კრონოსს გადასაყლაპავად მისცა შეუფუთვნილი ქვა. ლუკრეციუსთან ეს მითი უკვე გვევლინება ფრიგიულ კიბელეს კულტთან შეჯვარებული სახით.

606 ციხისებური გვირგვინი (muralis corona)—გვირგვინი, რომელიც გამოსახავდა ციხის გალავანს. ამგვარი ციხისებური გვირგვინით აჯილდოვებდნენ რომაელები მას, ვინც მტრის ციხის გალავანზე პირველი ავიდოდა.

611 დედა იდეა. იდა მთაა ფრიგიაში. ამავე სახელწოდების მთა არსებობს კრეტის კუნძულზედაც. რეასა და კიბელეს თქმულების შეერთებამ, შესაძლებელია, ერთიმეორეს დაუკავშირა ეს ორი მთა.

630 კურეტები—კიბელეს ფრიგიელ მსახურთ უწოდებენ ჩვეულებრივ კორიბანტებს. კურეტებად იწოდებიან ის კრეტელები, რომლებიც ზევსს იცავდნენ კრონოსისაგან,

638 სატურნე—კრონოსის რომაული სახელწოდებაა.

1075 დედამიწანი სხვაც ბევრია მთელ მსოფლიოში. მსოფლიოში მრავალ ქვეყანათა არსებობის საკითხზე ბერძნულ ფილოსოფიაში ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრი იყო გაბატონებული. ფილოსოფოსთა ერთი ნაწილის შეხედულებით (ემპედოკლე, პლატონი, არისტოტელე და სტოიკოსები) სამყარო ერთია, ანაქსიმანე, ლევკიპე, დემოკრიტე და ეპიკურე სთვლიდნენ, რომ ქვეყანათა რაოდენობა უსასრულოდ დიდია.

1154 ოქროს ძეწკვი. ეს გამოთქმა ჰომეროსის „ილიადიდან“ არის (იხ: ილიადა, VIII, 19).

წიგნი მესამე

12 ოქროს თქმა (aurea dicta) —ასე უწოდებდნენ ხოლმე პითაგორას ბრძნულ გამონათქვამებს.

36—ან „ეხლა კი დროა, ჩემის ფიქრით, ბუნება გონის, მასთან სულისა ლექსის სიტყვით გამოგიმღერავნო“.

ლუკრეციუსი ასხვავებს გონსა (animus) და სულს (anima), თუმცა მათ შორის ნეიდრო ურთიერთკავშირს გულისხმობს.

52 „შავ ზვარაკს დაკვლენ და ქვესკნელის შესწირვენ მანებს“. შავი ფერის საკლავი განკუთვნილი იყო ქვესკნელის ღმერთებისათვის.

100 „ის ბერძენთ ენით ჰარმონიად წოდებულიყოს“. „სულის ჰარმონიის“ შესახებ მოძღვრება წარმოდგენილია პლატონის „ფედონში“, რომლის მიხედვითაც სული უნდა წარმოადგენდეს სხვადასხვა ელემენტის ჰარმონიულ ნაერთს.

221 ბახუსის ცვარი — ღვინო.

370—395 დემოკრიტეს მოძღვრება სულისა და სხეულის ატომთა რიცხვობრივ თანასწორობაზე ლუკრეციუსის ნახოლოდ ამ ლექსების მიხედვით არის ცნობილი.

642 მ ც ე ლ ა ვ ი ე ტ ლ ი. უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთარგმნა „ცელის მატარებელი ეტლი“, ამგვარი ეტლი მოხსენებულია აგრეთვე ბერძენი მწერლის ქსენოფონტეს „ანაბაზისში“ (წიგნი I, 7, 10).

750 ჰ ი რ კ ა ნ ი ს თ ე ს ლ ი თ ნ ა შ ო ბ ი ძ ა ღ ლ ე ბ ი. ჰირკანია მხარეა აზიაში; იგი მდებარეობს კასპიის ზღვის ნაპირას. ჰირკანელ ძაღლებს სთვლიდნენ ძაღლისა და ვეფხვისაგან წარმოშობილად, ამიტომაც ისინი მეტისმეტად ავები იყვნენ.

833 რ ო ს პ უ ნ ე ლ თ ჯ ა რ ი ყ ო ვ ე ლ ი ს მ ხ რ ი ვ შ ე მ ო ბ ვ ი ტ ე ვ დ ა. ლუკრეციუსს მხედველობაში აქვს კართაგენის სახელოვანი სარდლის ჰანიბალის ლაშქრობა, სახელდობრ, მეორე პუნიკური ომი, რომელიც სწარმოებდა 218—201 წ.წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

888 და მომდევნო ლექსებში ლაპარაკია დაკრძალვის სხვადასხვა წესზე. ზოგან მხეცებსა და ძაღლებს აგლეჯინებდნენ ცხედარს, ზოგან ცხედრის შესანახად, მისი ბალსამირების მიზნით, იყენებდნენ თაფლსა და სანთელს (ამის შესახებ ლუკრეციუსს გარდა ცნობები მოეპოვება ციცერონს—„ტუსკულანის საუბრები“, I წიგნის 45 თავი პლინიუსს—„ბუნებ. ისტორია“, VII, 35 და XXII, 108 და სხვ.).

984 ტ ი ტ ი ო ს ი. ბუმბერაზი, რომელიც ტარტარში ჩააგდეს ლატონას (არტემიდესა და აპოლონ ღმერთის დედა) შეურაცხყოფისათვის.

1008-9 აქ ლაპარაკია დანაეს ასულებზე, რომლებიც საიქიოს ამგვარ სასჯელს დაითმენენ თავიანთი ქმრების მკვლელობის გამო.

1025 ა ნ კ უ ს ი. რომის მეოთხე მეფე. გადმოცემის მიხედვით კაცთმოყვარეობითა და ღვთისმოსაობით გამოირჩეოდა.

1029 და შემდ. აქ ლაპარაკია სპარსეთის მეფე ქსერქსეზე (V ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე), რომელმაც ჯარის გადმოსაყვანად აზიასა და ევროპას შორის ხიდი გასდო.

1039 დ ე მ ო კ რ ი ტ ე—მისი გარდაცვალების წელი ჩვენთვის არ არის ზუსტად ცნობილი. ზოგიერთის ცნობით იგი 90 წლისა გარდაიცვალა, ზოგისა—109 წლის.

1042 ეპიკურე გარდაიცვალა 270 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

წიგნი მეოთხე

182 ავსტრი—სამხრეთის ქარი.

469 თ უ ვ ი ხ მ ე უ ა რ ჰ ყ ო ფ ს რ ი ს მ ე ც ო დ ნ ი ს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს. აქ ლუკრეციუსს მხედველობაში ჰყავს დემოკრიტეს მიმდევარი, მეოთხე საუკუნის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ფილოსოფოსი მეტროდორე ქიოსელი, რომლის უკიდურესი სკეპტიციზმის შესახებ ციცერონი ლაპარაკობს.

581 ფ ა ვ ნ უ ს ი. მინდორთა და ტყეთა ღვთაებაა. იგი შეესატყვისება ბერძნულ პანს.

683 აქ იგულისხმება რომის კაპიტოლიუმის ხსნა. 390 წ. გალების მოახლოვება შენიშნეს ბატებმა და ხმაური ასტეხეს. ეს ლეგენდა მოყვანილი აქვს ტიტუს ლივიუსს რომის ისტორიის V წიგნში, 47 თავი.

710 და შემდ. თქმულია იმის შესახებ, თითქოს ლომებს ეშინოდეთ მამლისა. მეტად გავრცელებული ყოფილა. ამას აღნიშნავს პლინიუსიც (ბუნებ. ისტორია, X. 47).

1025 სიკიონური ფეხსაცმელი — საუკეთესო ყოფილა ძველ ბერძნულ სამყაროში. იხ. ჰ ე რ ო ნ დ ა ს მ ი მ ი ა მ ბ ე ბ ი, რუსული თარგმანი გ. წერეთლისა. თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომც., 1929 წ., გვ. 76.

წიგნი მეხუთე

15 ლ ი ბ ე რ ი—ბაბუსი.

326 თ ე ბ ე ს ო მ ა მ დ ე ა ნ დ ა ტ რ ო ი ს გ ა მ ო გ ლ ო ვ ა მ დ ე, აქ აღნიშნულია ორი ცნობილი მითი ოიდიპოსის შვილების ომისა და ტროის დამხობის შესახებ.

397 ფაეტონის მითი მოთხრობილია ოვიდიუსთან (იხ. მისი მეტამორფოზები). ფაეტონი მზის შვილი იყო. მას უნდოდა მამის ეტლი, რომელშიაც შებმული იყო ცეცხლმჭშენი მერნები, ცის ტატნობზე მოეტარებინა, რომ მამის ნაცვლად მას გაენათებინა ქვეყანა, მაგრამ მისი ცდა მარცხით დამთავრდა; გზა აერია, მზის ეტლი ქვეყანას მიუახლოვა, ზღვები და მდინარეები დააშრო და თითონაც ეტლიდან გადმოვარდა.

521 ს უ მ ა ნ ი—რომაელთა ძველი ღვთაება. ითვლებოდა ღამის ელვაში ღმერთად და უფრო პატივდებული იყო, ვიდრე თვით იუპიტერი.

904 ქიმერა, ეს ლექსი აღებული აქვს ლუკრეციუსს ჰომეროსის „ილიადიდან“ (VI სიმღერა, 181 სტრიქონი).

1063 მ ო ლ ო ს უ რ ი ძ ა ღ ლ ე ბ ი. მოლოსთა ქვეყნიდან—ეპირიდან—ისინი ცნობილი იყვნენ როგორც საყარაულო ძაღლები.

1302 ლ უ კ ა ნ თ ხ ა რ ე ბ ი—აქ სპილოებზეა ლაპარაკი. ლუკანია იტალიის სამხრეთი ნაწილის სახელია. იქ პირველად ეპირის მეფემ პიროსმა გამოიყვანა საომარი სპილოები. (ეს მოხდა III ს. პირველ ნახევარში ჩვენს წელთაღრიცხვამდე).

1310 ომში ლომების გამოყენებას ეგვიპტის ფარაონებს მიაწერდნენ.

წიგნი მეექვსე

1—42 ათენის ხოტბით იწყება მეექვსე წიგნი, რადგან, ჯერ ერთი, იგი ითვლება ჭიკურეს სამშობლოდ, გარდა ამისა იქაურია ლეგენდარული გმირი ტრიპტოლემოსი. რომელსაც ცერერამ (დემეტრემ) ასწავლა პურის მოყვანა.

86 ზეცის გაყოფაზე ლაპარაკი აქ მიტომ დასჭირდა ლუკრეციუსს. რომ მარჩიელობას დასცინოს. მკითხავები ზეცას ჭყოფდნენ ხოლმე სწორედ მკითხაობის მიზნით.

381 მკითხაობაზეა აქ საუბარი. „ეტრურიულ სამისნო წიგნებს“ უწოდებდნენ ხოლმე. ტ ი რ ე ნ ი ს თ ქ მ უ ლ ს—Tyrrhena carmina.

398 მამის ისრები—იუპიტერის ისრები.

585 და შემდ. სიდონის მიწისძვრა, ლუკრეციუსი რომ იხსენიებს, აღნიშნულია სტრაბონთანაც (Ia 3). სიდონის მიწისძვრა პელოპონესის ომის დროს მოხდა (V ს. ჩვ. წ-მდე), ხოლო ეგინას ყველაზე ძლიერი მიწისძვრა—372 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

639—702 ეტნის ამოხეთქვა ხშირად ხდებოდა ხოლმე.

660 ღვთის ცეცხლი (sacer ignis)—განგრენა.

738 და შემდ. avernus—ავერნის, ავერნული. ეს სიტყვა მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან ἄορνος—უფრინველო. ასეთი სახელწოდების ტბა კამპანიაშია, კუმის მახლობლად. იგი ითვლებოდა ჯოჯოხეთის სათავედ. აღწერილი აქვს ვერგილიუსს „ენეიდის“ VI წიგნში.

750 ტრიტონიდე—ათენა ქალღმერთის ეპითეტია. ამის მომდევნო სტრიქონებში აღწერილი ამბავი მომდინარეობს ცნობილი მითიდან, რომელიც მოთხრობილი აქვს ოვიდიუსს „მეტამორფოზის“ II წიგნში (552 სტრ. და შემდ.). ათენამ მიწისაგან ნაშობი ერიხთონიოსი კეკროპსის ასულებს ჩააბარა. კეკროპსის ქალიშვილებმა აკრძალვისდა მიუხედავად მაინც ჩაიხედეს კალათში. მათ მიერ ბრძანების დარღვევის

ამბავი პალადა ათენას შეტყობინა ყვავმა. ამგვარი გადაპარბებული ერთგულებისათვის ათენამ თავისი ამალიდან გააძევა ყვავის სახსენებელი.

810 ს კ ა პ ტ ე ნ ს უ ლ ა—თრაკიის ქალაქია.

848 აქ რომ წყაროზეა ლაპარაკი, იგი აღწერილი აქვს მრავალ ავტორს და ყველაზე უფრო დაწვრილებით კვინტუს კურციუსს ალექსანდრე მაკედონელის ისტორიაში (IV, 31).

890 არადი—ფინიკიის ნაპირებთან მდებარე კუნძულია. ამ წყაროზე მოგვითხრობს პლინიუსი (იხ. ბუნებ. ისტორია, II, 227)

1108 გ ა დ ე ქ ს ი—კ ა დ ი ქ ს ი. ესპანეთის ქალაქი, დაარსებული ფინიკიელთა მიერ.

1138—1286 „ათენის პირი" გავრცელდა პელოპონესის ომის დროს, 430 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

1139 კ ე კ რ ო პ ი ს მ ი წ ა—ლაპარაკია ატიკაზე. ასე უწოდებდნენ ათენს, რადგან კეკროპსი მის დამაარსებლად ითვლებოდა.

1143 პ ა ნ დ ი ო ნ ი ს მ ო დ გ მ ა—პანდიონი იყო შვილი კეკროპსისა. ათენს მეფობდა.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა . . . . . V—VI
ლუკრეციუსი . . . . . VII—XIV

წიგნი პირველი

მიმართვა ვენუსს (1—43). მიმართვა მემიუსს, პოემის საგანი (50—61). რელიგიის მიზეზით ხდება ბოროტება; იფიგენიას მსხვერპლად შეწირვა (80—101). აუცილებელია რელიგიის ბორკილებისაგან თავის დაღწევა. ბუნების კანონთა გამოცნობა იხსნის ადამიანს ყოველგვარი შიშისაგან (102—135). ლათინური ენით ძნელია ბერძენთ ფილოსოფიის გადმოცემა (135—145). მტკიცება დებულებისა „არარაისგან თითონ ღმერთიც ვერარას შექმნის“ (146—214). სიცალიერის არსებობის მტკიცება და მათი კრიტიკა, ვინც უარჰყოფს სიცალიერის არსებობას (215—264). ატომთა არსებობის დამტკიცება იმისდა მიუხედავად, რომ ჩვენ მათ ვერ ვხედავთ (265—328). მტკიცება ცალიერი სივრცის არსებობისა და იმ თეორიის უარყოფა, რომელიც არ სცნობს სიცალიერის არსებობას (329—417). ყოველივე ამ ქვეყნად შედგება სხეულებისა და სიცალიერისაგან. არ არსებობს მესამე რამ (418—482). ატომთა აგებულება. ატომების სიმკვრივისა და განუყოფლობის საკითხი (483—634). ჰერაკლიტეს თეორიის კრიტიკა (635—704). სხვა კოსმოგონიურ თეორიათა კრიტიკა (ანაქსიმენე, თალესი, ფერეკიდე, ქსენოფანე), უკუგდება ემპედოკლეს დებულებისა ოთხი ელემენტის შესახებ (705—829). ანაქსაგორას დებულებათა უარყოფა (830—920). აქ პოეტი განიხილავს პოემის ძირითად მიზანს: იხსნას ადამიანის გონება რელიგიისაგან. (921—950). ატომთა უსაზღვრო სიმრავლესა და მსოფლიოს უსაზღვრობაზე (951—1051). სტოიკოსთა მოძღვრების უარყოფა მსოფლიოს ცენტრის არსებობის შესახებ. ისევ მიმართვა მემიუსისადმი (1052—1117)

წიგნი მეორე

შესავალი: სიბრძნის ხოტბა. ადამიანთა უქმი შიშისა და ზრუნვის შესახებ (1—61). მეორე წიგნის შინაარსი (62—66). ატომთა მოძრაობა, ურთიერთობა და მათი მოძრაობის სისწრაფე (67—164). განგებისა და ღმერთის მონაწილეობის უარყოფა ქვეყნის შექმნაში (165—183). ყველა სხეული საკუთარი სიმძიმის გამო ქვემოთკენ მიექანება და არრას ძალუძს სხვის დაუხმარებლად იმოძრაოს ქვემოდან ზემოთ (184—215). ატომთა გადახრაზე (216—250). ატომთა გადაბრა და ნების თავისუფლება (251—293). სამყაროს მატერიის რაოდენობა მარად უცვლელია (294—307). ატომთა მოძრაობა, მათი უხილავობის მიზეზი (308—332). ატომთა ფორმის მრავალნაირობა და ამით გამოწვეული მოვლენები (333—477). ატომთა ფორმის სხვადასხვაობა განსაზღვრულია (478—521). ყოველი საგანი შედგება სხვადასხვაგვარ ატომთა შეერთებისაგან (522—580). სხვადასხვაგვარ ატომთა შეერთების მაგალითი თვით დედამიწაა (589—599). დია-

დი დედის კულტის აღწერა, მითი მასზე და ბუნების გაღმერთების უარყოფა (600—659). საგნებში მატერიის სხვაობის საილუსტრაციო მაგალითები (660—699). არა ყოველი ატომი უერთდება ერთიმეორეს (700—729). ატომები უფერულნი არიან. ფერის შესახებ (730—841). ატომებს არა აქვთ არც სითბო, არც ხმა, არც გემო, არც სუნი, არც სირბილე, არც მოქნილობა—მათ არ გააჩნიათ ის თვისებები, რომლებიც განეკუთვნება „მოკვდავ“ საგნებს (842—864). ატომებს არა აქვთ გრძნობა. ცხოვრებისა და გრძნობის წარმოშობა (865—1022). გადასვლა ახალ თემაზე (1023—1047). ქვეყანათა სიჩრაველე სამყაროში (1048—1089). ბუნება თითონ ქმნის ყოველსავე ღმერთების ჩაურეველად (1090—1104). ქვეყნის შექმნა და განვითარება. მისი მოხუცებისა და მიუცილებელი აღსასრულის ნიშნები (1105—1174).

წიგნი მესამე

ეპიკურეს ხოტბა (1—30). მესამე წიგნის შინაარსი და ამოცანები: გონისა და სულის (animus და anima) რაობის შესწავლა და სიკვდილის შიშის უკუგდება (31—93). გონი და სული შეადგენენ ადამიანის სხეულის ნაწილს და არ-მის ჰარმონიას (94—135). სულისა და გონის კავშირი (136—160). გონისა და სულის ბუნება მატერიალურია, „სხეულებრივია“ (161—176). გონისა და სულის ატომების ფეტისფეტი სიწვრილე და სიცცრე (177—230). გონისა და სულის ოთხი შემადგენელი ნაწილი: ქარი („ეროლვა“), სიცხე („ცხუნვარება“), ჰაერი და მეოთხე უსახელო რაობა („სულის სული“). ცხოველთა და ადამიანთა ტენპერამენტის სხვაობის ახსნა (231—322). გონსა და სხეულს შორის მჭიდრო, ურთიერთკავშირის არსებობაზე (323—369). გამოდავება დემოკრიტესთან გონისა და სულის ელემენტების განლაგების შესახებ. მოძღვრება აბსოლუტურ მიჯნაზე (370—395). გონის უპირატესობა სულთან შედარებით და მათ შორის კავშირი (396—416). გონი და სული ერთ არსობას შეადგენენ, იბადებიან და კვდებიან (417—424). სული კვდება სხეულთან ერთად (425—444). გონი და სული იბადება სხეულთან ერთად, ცოცხლობს და კვდება მასთან ერთად (445—458). გონი და სული ავადდება და, მაშასადამე, კვდება კიდეც (459—525). რაკი გონი არის ადამიანის ნაწილი, მას არ ძალუძს არსებობა სხეულის მიღმა (526—557). გონისა და სულის სიცოცხლის უნარი გაპირობებულია მათი ურთიერთკავშირით (558—633). სული განყოფადია და, მაშასადამე, ნოკვდავი (634—669). გონი და სული უკვდავი რომ ყოფილიყო და „ბზამიარეულ სხეულში“ შესვლის უნარი რომ ჰქონოდათ, მათ ეხსომებოდათ თავიანთი წინანდელი ცხოვრება (670—678). სული ისეთ ჭიდროდ არის გადახლართული სხეულთან, რომ დაუშლელად ვერ შესძლებს მის დატოვებას (679—697). სული კიდევაც რომ ყოფილიყო დანაბადი რამ, რომელიც გარედან შედის სხეულში, იგი სწორედ ამიტომ გახდებოდა მოკვდავი (698—712). სული, ცხედარი და ჭიები (713—740). სულთა გადასახლების მოძღვრების უსუსურობის დამტკიცება (741—783). გონი და სული ვერ იარსებებს მოკვდავი სხეულის გარეშე, რადგან მოკვდავი ვერ შეუერთდება უკვდავს (784—805). საბოლოო მტკიცება სულის მოკვდაობისა (806—829). სიკვდილის შიშის უსაფუძვლობა სულის მოკვდაობის დროს. სიკვდილი ტანჯვა კი არ—ტანჯვისაგან ხსნა არის (830—930). ბუნების სიტყვა სიკვდილზე (931—977). სასჯელი სიკვდილის შემდეგ—ზღაპარია. ტანტალისა, სიზიფისა და სხვათა მითების განმარტება, ვითარცა ამქვეყნიურ ტანჯვა-წვალებათა განსახიერებისა (978—1023). სიკვდილის აუცილებლობა (1024—1052). სიკვდილის შიში და სიცოცხლის სიძულვილი გამოწვეულია ბუნების კანონთა არცოდნით (1053—1075). დასკვნა: სიცოცხლის ხანმოკლეობა სიკვდილის მარადიულობასთან შედარებით (1076—1094).

წიგნი მეოთხე

ბუსავალი. გადმოცემის ფორმის დასაბუთება (1—25). მეოთხე წიგნის შინაარსი: სახებათა შესახებ (26—44). მათი არსებობის დამტკიცება (45—109). სახებათა ბუნება (110—128). მათი წარმოშობა (129—142; 168—175). მათი შექმნის სისწრაფე და მოძრაობის სიჩქარე (143—167; 176—215). სახებათა დინება წარმოებს ყოველგვარი საგნისაგან (216—229). მხედველობის თეორია (230—268). სარკეში არეკვლის თეორია (269—347). მხედველობის სხვადასხვა მოვლენები (299—363). აჩრდილი (364—378). მხედველობის ილუზიები (379—461). გრძნობათა გამარჯვება, კამათი სკეპტიკოსებთან (462—521). სხვა გრძნობანი: სმენა, ხმა და ბგერა, სხვადასხვანაირი ხმიერება (522—571). გამოძახილი და მასთან დაკავშირებული თქმულებანი (572—594). სმენა და მხედველობა. ხმისა და ხილულ სახებათა გავრცელების განსხვავება (595—614). გემოვნება, გემოვნებათა სხვაობა (615—672). ყნოსვა, ყნოსვის სხვადასხვა სახეები (673—705). ხედვითი შეგრძნებათა სხვაობა (706—721). სხვადასხვაგვარი ლანდები და მოჩვენებანი (722—826). მიზნობრივობის თეორიის უარყოფა (822—857). შიმშილი და წყურვილი (858—876). სიარული და სხეულის მოძრაობანი (877—906). ძილი (907—961). სიზმარი (962—1036). სქესობრივი გრძნობა (1037—1057). სიყვარული, ტანჯვა და შეცდომა შეყვარებულთა (1058—1191). ურთიერთ ლტოლვა (1192—1207). მემკვიდრეობის თეორია (1208—1232). სიბერწე და შვილიერება (1233—1277). ჩვეულება და სიყვარული (1278—1287).

წიგნი მეხუთე

იაევ ეპიკურეს ხოტბა (1—54). მეხუთე წიგნის შინაარსი (55—90). ქვეყნის მიუცილებელი დაღუპვა. ქვეყნის გაღმერთების უსუსურობა, ღმერთებისაგან ქვეყნის დამოუკიდებლობა და მიზანშეწონილობის თეორიის უარყოფა (91—234). ქვეყანას ჰქონდა დასაწყისი და ისევე მოკვდავია, როგორც მისი ნაწილები (235—379). მსოფლიო სტიქიონთა ბრძოლა (380—415). ქვეყნისა და მისი ნაწილების შექმნა (416—508). ვარსკვლავთა მოძრაობა, მისი მიზეზი (509—533). მიწის მყარობის მიზეზი (534—563). მზისა და მთვარის მოცულობა (564—589). მზის სინათლე და სითბო (590—613). ჰიპოთეზები მზისა, მთვარისა და ვარსკვლავების მოძრაობაზე (614—649). დღის და ღამის ცვალებადობა (650—679). დღისა და ღამის სიგრძე-სიმოკლის ცვალებადობა წლის ახვადასხვა დროს (680—704). მთვარის ცხრომა და ვსება (705—750). დაბნელებანი (751—770). ქვეყნის განვითარების თეორიის შესახებ (772—783). მცენარეებისა და ცხოველების წარმოშობა ქვეყანაზე. მიწის გამოფიტვა (783—836). ცხოვრებისათვის შეუგუებელ ცხოველთა წარმოშობა და მოსპობა. მითიური არსებანი არ შეიძლებოდა არსებულიყო. არსებობისათვის ბრძოლის თეორია (837—924). პირველყოფილი ადამიანები (925—1010). პირველყოფილი საზოგადოების წარმოშობა (1011—1027). ენის წარმოშობა (1028—1090). ცეცხლის წარმოშობა და გამოყენება (1091—1104). სამეფო ხელისუფლებისა და კერძო საკუთრების წარმოშობა (1105—1135). სამეფო ხელისუფლების დამხობა. კანონისა და უფლების წარმოშობა (1136—1160). რელიგიის წარმოშობა (1161—1240). ლითონების აღმოჩენა (1241—1280). რკინის აღმოჩენა (1281—1296). სამხედრო საქმის განვითარება (1297—1349). ქსოვილთა გამოგონება (1350—1360). მიწის დამუშავება (1361—1378). მუსიკის წარმოშობა. მოსაზრებანი მატერიალური კულტურის განვითარებაზე (1379—1435). წელთა დროის პერიოდული ცვალებადობის შეგნება (1436—1439). კულტურის შემდგომი განვითარება: მწერლობა, გემთმშენებლობა, ბუროთმოძღვრება და სხვანი (1440—1457).

წიგნი მეექვსე

ათენის და ეპიკურეს ხოტბა (1—42). მეექვსე წიგნის შინაარსი: ცრუმორწმუნეობრივი შიშის მოსპობა ბუნების მოვლენათა ახსნის გზით (43—95). ქუბილის წარმოშობა (96—144). ელვა (145—218). ელვის ბუნება (219—238). ელვის წარმოშობა (239—322). ელვის სისწრაფე და ძალა (323—356). რა მიზეზით არის, რომ ელჭექი უფრო ხშირად შემოდგომასა და გაზაფხულზეა (357—378). ელვას ღმერთები როდი მოგვივლენენ (379—422). გრიგალი (423—450). ღრუბლები და მათი წარმოშობა (451—494). წვიმა და ცისარტყელა (495—526). მიწისძვრა (535—607). რატომ არ მატულობს ზღვა (608—638). ეტნის ამოხეთქვა (639—702). სხვა მოვლენები (703—711). ნილოსის მოდიდება (712—737). ავერნა (738—839). რატომ არის, რომ ზაფხულობით ჰაში წყალი უფრო ცივია, ვიდრე ზამთრობით (840—847). ამონის ტაძრის წყარო (848—878). ცეცხლოვანი წყარო და არადუსის ნაკადული (879—905). მაგნიტი (906—1089). ავადმყოფობანი (1090—1137). ჭირი ათენში (1138—1286).